



საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით

სი ს ვ ა რ ი



910

შენათარსი

კოეზია

ჯანსუღ ჩარკვიანი — უცნობი ჯარისკაცის საფლავთან	3
რეზო აბაშუკელი — ლექსები	4
ზაურ გოლჭვაძე — მარადიული ცეცხლი. ლირიკული პოემა	7
მორის ფოცხიშვილი — ლექსები	11
შალვა მვაღლიშვილი — ლექსები	13
ემილ ლოტინაუ — ლექსები	14
ალექსანდრე კუშკინი — რუსლანი და ლუდმილა. პოემა. დასასრული.	18

პროზა

გიორგი კეჭაღვაძე — მეთორმეტე წარი. რომანი. გაგრძელება	28
ილარიონ ხუციშვილი — ჩვენ არ გემშვიდობებთ, ლევან! დოკუმენტური მოთხრობა	52
ზოფია კოსმიში — მგზავრი ქალი. მოთხრობა	70
პარლო კობერიძე — გმირული ურომის დღეები. ნარკვევი	93

5

მაისი

1965

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

სამართავლოს ალკა ც. ანა და მწერალთა კავშირის ორგანო





გამარჯვების 20 წლისთავი

ნიკოლოზ ჯაში — გმირი ქალაქი	109
კატრე შამათავა — მშობლიური ჩან- გით	113
კონსტანტინე სვინტრაძე — ბრძოლე- ბი გრძელდებოდა	119



ქრივიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი მერაპვილაძე — თანამედრო- ვე ქართული ნოველა	129
ბრიგოლ ხერხეულიძე — გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ზოგიერთი ნიშან- თვისება	134
რევაზ აბაშელი — მიხეილ ჯავახიშვი- ლი, როგორც ეკონომისტი	143
სერგო თურნაშვილი — ანდრე სტილის ბოლო რომანები	147
მანია მამაცაშვილი — „სპარსული ქრესტომათია“	152

მიგომბრის ხსოვნას

გიორგი შატბერაშვილი	156
---------------------	-----

ყოველი მხრიდან	158
----------------	-----

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-
კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ცოცოვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ჭელი-
ძე, სერგი კილაია, თამაზ კილაძე, ლაშა ჯანაშია

ჯანსუღ ჩაჩკინიანი

უცნობი ჯარისკაცის საფლავთან

ზურაბ ჩარკვიანს

მე გამახსენდი,
კვლავ გამახსენდი,
დღესაც იბოგეს უცხო საფლავი,
მე დამეშალა ყველა სახსარი
და ლექსში ვნახე თავშესაფარი.
მე შენს სულს ვეძებ
რძისფერ ბურუსში
და შენი ხსოვნა მიფრინავს ნისლში,
დაჩოქილია ჩემს წინ სურმულში
ჯარში წასული ბიჭების შიშით.
გულს მამჩნევიხარ მწარე დაღვივით
და შენზე ფიქრი ჭირილობას მიხსნის,
იღვიძებს ქერჩთან სისხლი დაღვრილი
და შეგელას ითხოვს დაღვრილი სისხლი.
სისხლი მზითა და მიწით გამთბარი,
დიდი ომის და ბიჭობის ჭერი...
ჩუმად...

არ გასთქვა შენი საფლავი,
უფრო კარგია, —
მე ასე მჯერა.
მე ასე მჯერა,
მე შენ გიპოვი...

ვიცი, დიდების ნათელი გადგას,
სად დაეტევა გული მთის ტოლი,
აღბათ მთასავით გუგუნებს სადღაც.
ეს არის მზის და სიცოცხლის რისხვა,
მე ის მეძახის,
მე იგი მიხმობს, —
ნუ გეშინია, დაღვრილო სისხლო,
ცოტაც მაცალე —
მართალო სისხლო!

ჩემი ამბები

1942 წელი

როგორც ბარტყები,
ჩვენ ვუსხედით ცარიელ სუფრას
და ნავთის ლამპა
ილეოდა მკრთალი ცახცახით...

თუ სადმე იყო
შაქრისა და პურის ნასახი,
როგორც სიჩუმეს,
გვირიგებდნენ ძილის წინ უბრად.
და დედას ჰქონდა გამხდარი და თბილი ხელები...

გადივლის ფიქრში მოგონება
შეშლილ კვილით
და როგორც ყვავებს,
წარსულ სიზმრებს ჩრდილებად აშლის,
და მეჩვენება:
სისხლიანი თეთრი გვირილა —
დედის ძუძუზე მიმხმარი ბავშვი!

☆ —————



აჰა, დაიძრა მთებში ლანქერი
და გაზაფხული გრუხუნით მოდის!
სუყველაფერი,
სუყველაფერი,
მე აგისრულე, თუ რამეს მთხოვდი.

ვიწამე შენი თეთრი ტაძარი,
ცისფრად მოწყენილ ფრესკებით სავსე,
აგინთე სულში ყველა შანდალი,
რომ დახვედროდი გაზაფხულს ასე.

ახლა შემინდე და მაპატიე,
რადგან მივდივარ,
რადგან გშორდები,
— წაულეკია აპრილს სატივე,
გაუტაცნია თეთრი ბონდები.

მეძახის სწრაფვით სავსე დღეები,
ჩემი სურვილი და გულისცემა,
— და მიმაქანებს ჭენებ-ჭენებით
თეთრი კვიცების დამფრთხალი რემა.



ვუძღვნი ვიეტნამში დაღუპულ
ამერიკელ ჯარისკაცს


შენს ღია თვალებს
გადაეკრა ჯუნგლების ღამე
და სამუდამოდ დაგეძინა მაღალ ბალახში...
ახლა ინთება რეკლამები
ფერად ქალაქში
და ძველ კონიაკს გულგრილად სვამენ.

და მე არ ვიცი შენი სახელი,
მაგრამ მე ვიცი,
ვინც შენს ხელებს შაშხანა მისცა,
...ფარავს ბალახი ნამიანი
თვალებს გახელილს
და დაბლა იწევს თანდათან მიწა.

შორს კი უკრავენ ორკესტრები
ვერცხლის საქსებით —
ქალაქი როკვით ეგებება შემკრთალ ალიონს,
ახლა ადიან თვითმფრინავში
შენი მსგავსები,
რომ ამ ჯუნგლებში სული დალიონ.

შენ წევხარ მკვდარი.
შენი სული სიზმარს აგრძელებს
და გეჩვენება:
— ქერა თმები,


თვალები ლურჯი...
უჭირავს სიკვდილს
სისხლში წითლად მოთხერილი ფუნჯი
და ქვებზე აწერს უცნობ სახელებს...



ბაკურიანი

ქარებმა ნისლი მწვერვალებს მოსდეს
და ქანაობენ შორი ანძები,
და სულში
მძიმედ დაბარდნილ ტოტებს
წყნარად არწევენ თეთრი ნაძვები.

ცისფერი კვამლი ისევ მახარებს,
ვხედავ თეთრ სახლებს, ფიცრით მოღობილს,
წელამდე თოვლში წითლად ფართხალებს
ჩამავალი მზე, როგორც ხოხობი.



მოხუცი მეზღვაური

მოგონებებით მთელი დღე თვლემდნენ
შეშუბებული შენი გუბები,
აღმოსავლურად მოხატულ კედელს
ეცემა ჩრდილი მაღალ თუნგების.

ეწევი თუთუნს და ითენტები,
საფეთქლებს ძილი თანდათან უტევს —
სტამბულის თეთრი მინარეთებით
გამოჩნდა ნისლში ბოსფორის სრუტე.

ზღვის ჰორიზონტებს გაედევნები —
შენს სულში ძველი ქარები ქრიან
და იზაბელას მწიფე მტევნები
ღამეში ლურჯი სინათლით კრთიან.

თითქოს გათავდი,
თითქოს აღარ ხარ,
ღია სარკმელთან ისე ჩერდები.
...ირწევა წყალზე ძველი კატარღა
ხავსმოღებული მწვანე ფერდებით.



პაჩადიული სეესლე

ლირიკული პოემა

ომში დაღუპულ მამას

„სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა.“

გალაქტიონი

შენ არ დაბრუნდი და დაეკარგა
 პატარა სოფელს ერთი საფლავი...
 და მოგონებებს გადაექარგა
 შენი სახე და შენი ამბავი.
 ახლა თვე ფეთქავს ვარდისფურცლობის,
 სოფელს მთრთოლვარე ფერები შვენის.
 უცხო მხარეში შენ ხარ უცნობი
 ჯარისკაცი და საფლავი შენი
 შუა ქალაქში მოურთავთ დაფნით,
 ანთია ცეცხლი ჩაუქრობელი.
 მე მახსენდება დღეები მძაფრი,
 ბიჭი ვიყავი მაშინ სოფელელი:

მიწას ზაფხულის სამოსი ეცვა,
 გუნდი და გუნდი მოჰქროდა მერცხლის,
 ხატავდა სოფლის პატარა ზეცას
 მზისა და ღრუბლის ოქრო და ვერცხლი.
 სამუშაოდან დადლილი მოხველ
 და მახსოვს: თუთუნს როცა ახვევდი,
 დედამ შეგხედა, ამოიოხრა,
 „ომი დაიწყო!“ — თქვა და... გახვევდი.
 მე არ ვიცოდი, რა იყო ომი,
 ან დედა რისთვის ტიროდა ასე.

განზე გაიხმე და გავიგონე:
„თავს მოუარე, მიხედე ბავშვებს!“
ის ღამე ჩვენთვის გათენდა თეთრად,
სოფელში სულ სხვა დღეები დადგა,
ყველას ღიმილი შეკრიბა ერთად
ომმა და უცებ გააქრო სადღაც.
მეორე დღით შეგიკრეს ბარგი,
ტიროდნენ ჩვენი ნათესავები,
შენ ამშვიდებდი და ბოლოს დარდით
ერთი სიტყვა თქვი მხოლოდ: „წავედი!“
თვალეებით უთხარ დედას: „შენ იცი!“
ეზოში მეტი ვეღარ გასძელი,
ჩქარი ნაბიჯით ჩაჰყევ ღელისპირს,
შეგვავლე მზერა უკანასკნელი.
მალე წერილიც მოვიდა შენი,
მე კარგად ვარო... და ჩვენზე წუხდი.
მერე კი შენგან მივიღეთ ძველი
ტანისამოსი პატარა ყუთით.
დიდხანს ველოდით მეორე წერილს
და ფოსტალიონს ვხვდებოდით გზაში.
ერთხელაც დავხვდით და ყველაფერი
დედის კივილმა მაუწყა მაშინ...
მას შემდეგ დიდი გავიდა ხანი,
დამთავრდა ომი, დაბრუნდა ბევრი,
ისევე გაბრწყინდა მრავალი თვალი,
გამხიარულდა მრავალის ჭერი.
იმ ნეტარ ღამით მამა მესიზმრა:
მაკოცა ფრთხილად, „იძინე, შვილო!“
მითხრა და... უცებ გადამენისლა
სიზმარი, რომლის აღდგენას ვცდილობ.
დაუვიწყარი სიზმარი იგი,
გამიმეორე, სიზმარო ერთო!..
მოვიდა ჩემი კაცობის რიგიც,
მამის გულში რომ იმედად ენთო.
და თუმცა მამამ ბევრი იარა,
ჩემთვის იარა ძალიან ცოტა
და ამ სიცოცხლით სავეს ფიალა
მოსვა და დადგა, დადგა და მოკვდა...
ის მოჰკლეს, მაგრამ სულ ერთი არის
მისთვის, ამ ლექსში რაც უნდა ითქვას.
მე კი მოკლული მამის იარით
და ტკივილებით ვწერ ყოველ სიტყვას.

შენ არ დაბრუნდი და დაეკარგა
პატარა სოფელს ერთი საფლავი
და მოგონებებს გადაექარგა
შენი სახე და შენი ამბავი.
ახლა თვე ფეთქავს ვარდისფურცლობის,
სოფელს მთრთოლვარე ფერები შეენის.

უცხო მხარეში შენ ხარ უცნობი
ჯარისკაცი და საფლავი შენი
მოფენილია მზითა და დაფნით
და ათასები მდღეობენ დგანან...
ძეგლი არ გადგას, რადგანაც მათთვის
შენ უცნობი ხარ, ძვირფასო მამავ!
ძვირფას საფლავებს არ ივიწყებენ,
ეფერებიან. უვლიან, ახსოვთ.
მარადიული ალი ირწყვია
და სულში მწუხარ სიმღერას აქსოვს.
ჩაუქრობელი გიზგიზებს ცეცხლი,
მიჰყვები ალს და ზეცად მალღდები.
დედას შეუდგამს პატარა კეცი
შუაცეცხლზე... და შენ ელანდები.
მარადიული ცეცხლი ანთია
და შენი ძვლები იმ ცეცხლით თბება.
ყოველ მწუხრსა და ყოველ განთიადს
მოაქვს დაფნა და არდაგიწყება...
და ცეცხლით ბრწყინავს სული ქართული,
ხელი მართალი, გული ხალასი,
არის ქალაქში ნებადართული,
მარტო ამ ცეცხლთან ბავშვთა თამაში.
მიწა არ კვდება და შენ ხომ მიწის
ხარ უწმინდესი მცირე ნაწილი,
ხარ მისი სუნთქვა და მისი სისხლი,
მის ნედლ ფესვებად ხელეზგაწვდილი.
არ კვდება იგი, ვინც ერთხელ იშვა,
უპირველესად, მიწა არ კვდება —
კლდედ და მდინარედ, წყაროდ და ნისლად
ამოაქვს შენი სახის ნაკეთები.
საფლავი სუნთქავს, რადგან საფლავი
მიწის ნატკენი გულია მხოლოდ.
მიწას სწამს: შუბლი დასადაფნავი
დაიდაფნება ბოლოს და ბოლოს.
მან ბევრს მოხადა გვირგვინი ეკლის
და მოურჩინა ჭრილობა ბევრსაც,
ბევრი უღირსის მალალი ძეგლი
გადაადნო და შხამივით შესვა.
ნასროლი ტყვია მიწასაც მდულრავს,
მიწასაც უდულს ძარღვებში სისხლი,
მიწასაც სძულს და მიწასაც უყვარს,
მიწამ კაცით მოწყენაც იცის.
ყველაზე მეტად მიწას სწამს ღმერთი
და ღმერთი იგი — კარგი კაცია.
მას საკუთარი შესწირა მკერდი,
საასპარეზოდ მისად აქცია.
შური და მტრობა მას არ აბრმავებს,
მიწამ არ იცის, რაა სიხარბე.
არჩევს ღირსეულ შვილთა საფლავებს

და გულზე იბნევს, როგორც მიხაკებს.
გულს აბნევია საფლავიც შენი
და მისი გულის ფეთქვა ხარ ახლა,
ამ გულს ახურებ და ამ გულს შველი,
მიწისთვის, მამავ, უცნობი არ ხარ!

მატულობს ცეცხლი მხედრულ სალამზე
და შენს შეწყვეტილ სიმღერას მღერის.
როგორც ყველა კაცს ამ ქვეყანაზე,
ამ მარადიულ ცეცხლსაც ჰყავს მტერი.
და ემტერება ამ ცეცხლს სხვა ცეცხლი—
უბოროტესი ცეცხლი ომების,
ზეცაში ადის და ზეცას ესმის
მრისხანე ხმები მილიონების.
ცისფერი ალით მიდიხარ ცისკენ,
ახალი ომის აჩრდილი მოგდევს,
ამ აჩრდილს უნდა: დაგვთაღბოს ისევ,
შენი ცოცხალი საფლავი მოგდევს.
მარადი ცეცხლიც მშვიდობას იცავს,
შენს საფლავზე რომ ანთია წყნარად.
მიწა გიცავს და გუგუნებს მიწა:
„არა და არა! არა და არა!“
ო, გამზრდელ მიწას ნუ გავაბრაზებთ,
მას გაუფრთხილდეთ, მის თბილ გულს ვენდოთ,
რომ ყველა მამის წმინდა საფლავზე
მარადიული ეს ცეცხლი ენთოს!



მომის უმსხვილი

გაზაფხული იკოდრომზე

ეს დალეული ცხენები
რამ გადარია ასე,
რამ გაახელა ხეებით
მოჩარდახებულ გზაზე...

აღბათ მხედრები არიან
გადარეულნი, თორემ
ცხენები რამ გადარია,
რამ გადარია სწორედ?!

აღბათ მიჰქრიან სხვა მხარეს,
აღბათ იფრენენ გზნებით,
გაგიხარია, მახარებს
გაუკვალავი გზები.

გაგიხარია, ვხელდები,
თვალს ცისკიდურით ვაცსებ...
ეს დალეული ცხენები
რამ გადარია ასე?!

☆ —————

მე მჯერა

გიორგი ნატროშვილს

როცა მგონია, წამართვეს რაღაც
და უბით ვათბობ ბარტყივით სტრიქონს,
როცა მგონია, გარდასულს ვმარხავ
და მხოლოდ ახალ დღეებზე ვფიქრობ...

როცა ვარსკვლავნი ლღვებიან მშვიდად
მზეზე დაცრეცილ ღრუბლების დარად,
როცა მგონია, გადაველ გზიდან
და ქარში მკაცრი ზამთარი მფარავს...

ის ჩნდება, როგორც მსაჯული დიდრი,
და მცირე, როგორც ეჭვი და ტყვია,
მას ეძახიან ხანდახან სინდისს,
ხანდახან სულის სინათლეს ჰქვია.

ჩნდება და როგორც სიმართლის ღმერთი,
ჩემგან მარტოდენ სიმართლეს ითხოვს,
და არის მამის შუბლივით თეთრი
მისი კაცობის შუქი და სითბო.


ყოველთვის, როცა ისევ და ისევ
შინ მარტოდმარტო ვბობოქრობ ჩემთვის,
მე მჯერა, ის დგას ჩემს წინ და ისმენს,
რაც უნდა მეთქვა და მაინც ვერ ვთქვი.

და მერე, როგორც გულსკენ სისხლი,
როგორც ბურუსში ნათრთოლი გემი,
შენთან მოდის და... ყველაფერს გიხსნის,
რომ შეგაყვაროს ფიქრები ჩემი.




თუთა

ნუთუ არაფერს გეტყვის ეს სახლი,
 სადაც დაირწა შენი აკვანი?
 შენ აქ მოხვედი მოღლილი სახით,
 ამ კედლებს ჩუმად ეცი თაყვანი.
 სადაც ოდესღაც მამა-პაპანი
 მრავალჯამიერს მღეროდნენ კახნი...
 ნუთუ არაფერს გეტყვის ეს სახლი,
 ეს დაკაფული ბებერი თუთა?!
 შენ პირველ ხმას და თვალის ახელას
 უნაზეს ხმით რომ მიესათუთა.



«მთვრალი» ტყე

ბარაგოეში ტყეა არყის ხის
 და მას მთვრალი ტყე ჰქვია რატომღაც.
 რად მაგონდება, დღესაც არ ვიცი,
 ის არემარე, როცა მართო ვარ?!
 იყო დრო-ჟამი ფოთოლთა ცვენის
 და იმ ფოთოლთა ჩურჩულის ხმაში
 ასე მგონია, ჩურჩული შენი
 მე გავიგონე პირველად მაშინ.
 ბარაგოეში არყის ხის ტყეა,
 სიყრმის ოცნების კოშკების მსგავსი,
 დღეს ის კოშკები სულში შემსხვრევა,
 დღეს, განშორების გრიგალში, ქარში.



შენაქნ

ჟამთა ცვლასავით მიჰქრის მარხილი,
 ტუნდრის სივრცით და ცით მოუღლეელი...
 ნეტავ ოდესმე წამით გენახა
 ორი ირემის წმინდა უღელი!
 ჟამთაცვლასავით მიჰქრის მარხილი,
 ჩამოთოვლილი სპეტაკი თოვლით,
 წინ სადღაც თითქოს შენი სახეა
 ცისფერ ციაგით ტყვედმქმნელი ყოვლის...
 შენკენ, ო, შენკენ მოჰქრის მარხილი,
 მაგრამ არ გესმის ჩემი ძახილი.



ჟიქ ლოზინჟ

გიტარა

გიტარა
მღერის,
მღერის, იცინის.
ტირილიც იცის თეთრმა გიტარამ...
და დაგუბული ხმების სიცივე
შფოთავს და კაცის სევდას იპარავს.
მერე აგროვებს აღამიანებს,
მერე უგალობს სულის გრიგალებს,
უბრძანებ?
ლხინსაც გაატიალებს, —
ყოვლისშემძლეა თეთრი გიტარა.
ვესმით?
თქვენ შეკრთით მისი ხმისაგან,
აფეთქებისგან,
ხმისგან კი არა,
თქვენს თვალში კღემა გამოისახა, —
ყოვლისშემძლეა თეთრი გიტარა.
მშფოთვარე სიმის გაწვებათ სისხლი
და ყველა სევდას
თქვენი მხრით ზიდავთ,
მერე თვალეზი ივსება რისხვით
და გარიჟრაჟი ამოდის ზღვიდან.
ხმაშეწყობილი მღერიან ერთად
გარიჟრაჟი და თეთრი გიტარა.
სად არ გვათრია იღბალმა, ღმერთო...
და ფეხქვეშ სად არ გამოგვიტანა.
ეჰ, ყრუ საკანმაც რა მოგვიტანა. —
ჩვენ გვაწამებდნენ,
გვლუპავდნენ,
თანაც
ხელით ახრჩობდნენ

ლამაზ გიტარას
და აუცდენლად ურტყამდნენ დანას.
მაგრამ კვლავ ისევ,
ისევ და ისევ,
ზამთარ და ზაფხულ,
ზაფხულ და ზამთარ,
ისევ შეკრთებით, რადგან მოისმენთ
სიმღერებს,
დიდი ბრძოლებით გამთბარს.
ისევ გიტარა,
ისევ გიტარა,
შფოთიან დღეთა
ჟღერა მდიდარი,
ო, კუბაჯ,
მალე გამოიდარებს,
გამოიდარებს
მზის საწინდარად,
გამარჯვებათა დიდი გრივალით
ბრძოლებისაკენ გიხმობს გიტარა.

☆
ლექსები
☆
ემილ ლოტინანუ
☆

☆ —————

გვიან ღამით

ისე ტკბილად და
ლამაზად გძინავს,
როგორც ზღაპრებში
მეფის ასულებს.
შენს წამწამებზე
წუთები ცვივა,
როგორც ფოთლები
მსუბუქად ცვივა.
ნათელი ადგას
შენს ლამაზ სახეს,
შენი ღიმილი
მოფრინავს ჩემკენ
და უზრუნველი
სიზმრების ფრთებით
თეთრი მტრედით
მოფრინავს ჩემკენ.
მე შენ დაგცქერი
და ასე ვფიქრობ,
რომ მოვა დრო და
შენს სულს მშვენიერს
გამოეყოფა
სულ სხვა სიცოცხლე,
სულ სხვა სიცოცხლე —
მე ასე ვფიქრობ.


შვილიშვილებში,
შვილთაშვილებში,
მათ ცხელ სისხლსა და
მოქნილობაში,
პირველ ვნებებში
და სიყვარულში,
ისევ,

ისევ შენ განმეორდები.
ტუჩშეუხებელ
ფერმკრთალ ტუჩებში,
ქვეყნად რომ კოცნას
ეძებენ ღვთიურს
და იმ ხელებში,
ლამაზ ხელებში,
ქვეყნად რომ ძლიერს
ეძებენ ხელებს,
ისევ,

ისევ შენ განმეორდები.
და ერთხელ ღამით,
შფოთიან ღამით,
კვლავ გაიღვიძებ
და სველი თვალით
ასი წლის შემდეგ
შეხედავ თვალებს,
რომელიც შენი
ორეულია.

ახლა კი ოქროს
ნათელი გადგას,
ახლა კი გძინავს
იმათ სურვილში,
იმათ ქარბუქში,
იმათ წყურვილში,
დაქანცული ხარ
და ისე გძინავს.
მე შენი მესმის...
მართლა ძნელია
იყო პაწია
და დიდი ჩანდე,
რომ გონიერი
და ბრძენი ჩანდე
და უმიზეზოდ
არ გაგეცინოს.

იძინე, ჩემო
ძვირფასო გოგო,
შენი სინათლის
ციური ძალა,
საკმარისია
დღისთვის, ღამისთვის,
ვარსკვლავებისთვის,
მთვარისთვის,
ჩემთვის.




916

არა, კოლუმბო,
არც მე ვიბრძვი ტყუილუბრალოდ,
როცა ფიცს ვაძლევ ოკეანის მშფოთვარ სტიქიებს,
როდესაც ღამით მესტუმრება მუზა უფალი
და თეთრი ფურცლის ოკეანე შთანთქმას მიპირებს.
მეხეტებთან ტკივილები ზვირთების მსგავსად,
ხანდახან გული ისე მწყდება, ტირილს ვაპირებ.
მივაპობ მკერდით, დედამიწა არა ჩანს არსად,
წინ ვიხედები და არა ჩანს არსად ნაპირი.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა





პირველი

მეხუთე სიღება

მე ძლიერ მომწონს თავადის ქალი, მგრძობიარეა, სადა და წყნარი. ქმარს არ ივიწყებს არც ერთი წანით, მძინარეც მასზე ფიქრობს და ზოდაც და ქარაფშუტაც თუ არის ოდნავ, — რა მოხდა? — უფრო მშვენივლია ამით. სიცოცხლე ფეთქავს ლუდმილას ირგვლივ და ჩემი გულიც შვებით იცხება და თვითონა თქვით: თუ შეიძლება, რომ შევადარო დელფირას იგი. ლუდმილა ყველას უყვარს და მოსწონს, დაიპყრო ყველა გული და თვალი, მისი ღიმილი, ნაზი და მკრთალი, ჩემს სულშიც ანთებს ტრფილის კოცონს. მეც ამ საამურ განცდებით ვცხოვრობ და მეცხრე ცაზე დაფრინავ უფროდ. ხოლო დელფირა ჰუსარს ჰგავს უფრო. ბაკენბარდები აკლია მხოლოდ, ბედნიერია მოკვდავთა შორის, ვისაც ლუდმილამ დაუდო ტოლი, ვისაც ლუდმილა უცდის და ნატრობს და ვისაც გულის ეძახის სატრფოს. მაგრამ დელფირას ვინც გაემქცევა, მერწმუნეთ, ისიც შვებას ეწევა. ახლა კი ვნახობთ: ვინ უხმობს ჯუჯას,

ვისი ნალარა ღრიალებს ურჩად, ვინ აუთრთოლა გული ჩიტვით და გაუბედა გრძნეულს ჭიდილი. ეს რუსლანია, იმედის შუქით გულმცემული. და მისი ბუკი ქარიშხალივით ღრიალებს ისევ, რისხვის ღრუბელი გადასდის პირზე და ცხენიც, მისი ერთგული მუდამ, მუხლამდე თოვლში ბორგავს და ცქმუტავს. თავადი გრძნეულს უხმობს და ელის, მშფოთვარე გული ხმამალა უცემს და სწორედ ამ დროს ძლიერი ხელი ჩაჩქანზე დაპკრა ვილაცამ უცემს. მაღლა ალაპყრო რუსლანმა თვალი და დაინახა, რომ მთელი ძალით მისკენ მოქროდა ჯუჯა გრძნეული, სიბრახისაგან მეხად ქცეული. ღრუბელს უგავდა ვეება კუზი, ხელში ეჭირა მრისხანე გურჯი, უკან წვილით მოსდევდა ქარი და აიფარა რუსლანმა ფარი. მაგრა მოზიდა გმირმა აღვირი და მოუქნია გრძნეულს მახვილი, მაგრამ გრძნეული აფრინდა მაღლა, რაინდის რისხვას გადურჩა ახლაც. გაუჩინარდა წამით და ისევ აურზაურით დაეშვა მისკენ.

დასასრული. იხ. „სიკარბი“. 1964 წ. № 8, 9. 1965 წ. № 3.

გმირმა კი ვერღვე გაავდო ცხენი და მოეცარა ჩერნომორის ხელი, ვერ შეიკავა თავი ვერაფრით და თოვლის ზვინში ჩაჯდა ყელამდის. ჩამოქვეითდა რუსლანიც წამსვე, დაბნეულ ჯუჯას წაადგა თავზე და მძლავრი ხელი ჩაკიდა წვერში. ჯუჯაც ამაოდ წვეალობს და ხენშის, თოვლით გაეცსო დამეკნარი პირი, უცებ აფრინდა და ჩვენი გმირიც თან აიყოლა გარინდულ ცაში და მარტო დარჩა მინდორზე რაში. უკვე გამოჩნდა ღრუბლების ჯარი, სისინებს ცივი და სველი ქარი. გადაუტროლეს მოწყენილ ტქეებს, გადაუტროლეს გარინდულ კლდეებს, გადაიქროლეს მღელვარე ზღვებზეც. — ქვემოდან ისმის ტალღის დგაფუნა. გმირი კი მაინც კიბია წვერზე, გამეშებული და დაძაბული. ჯუჯა თანდათან დასუსტდა ცაში რუსული ძალით გოცებული, უკვე დაკარგა რიხი მეფური და უკვე შიშით დაეტყო ხმაში. და ეუბნება ჩვენს რაინდს ასე: „რაინდო, კარგად დამიგდე ყური. რას დაეწანაწალებთ, ნეტავი, ცაზე, გადავიფიწყით მტრთან და შური. მე გაპატივებ ყველაფერს უშალ, როგორც ღირსეულ რაინდს და სტუმარს. ქების ღირსია შენი გმირობა, მაგრამ ჯერ უნდა მომცე პირობა...“ „ჩუმად, ვერავითარ! — რუსლანმა წამსვე გააწყვეტინა ჯადოქარის სიტყვა. — ვერ მოვირგებდით მე და შენ ასე, უნდა აღსრულდეს, რაც ერთხელ ითქვა. რუსლანი თავის ცოლის მტანჯველთან ვერ მორიგდება ვეღარასოდეს და შენც, ბოროტო, კარგად გახსოვდეს, რომ წვერს მოვაუტრის მისი მარჯვენა“. შიშმა შეიპყრო ჯუჯა გრძნეული, აუცახცახდა გონჯი სხეული, მთლად დაედრიჯა სიმწრისკან სახე, ვეება წვერსაც ამაოდ არხვეს: ღონივრად უჭერს რუსლანი თითებს და ღერა-ღერა აწიწყნის კიდევ. ორ დღეს ატარა გრძნეულმა გმირი, ვერ მოიშორა ვერაფრით ჭირი. ოფლი და ხვითი გადადის პირზე... მესამე დღეს კი შესჩივლა ისევ: „ნულა მაწვალენ, რაინდო, კმარა. იწამე ღმერთი და შემიცოდევ. შემინარჩუნე ოლონდ სიცოცხლე და შენი მონა ვიქნები მარად. მიბრძანე, წავალ საითაც გინდა...“ ხოლო რუსლანმა მიუგო მშვიდად: „რაკი იწამე რუსული ძალა, ლუდმილასაკენ გაფრინდი ჩქარა.“

ჯუჯამ მორჩილად მოკუმა პირი, ჩაქინდრა თავი და სევდით სასვეს სახლს მიაშურა და ჩვენი გმირიც საზარელ მთებში აღმოჩნდა წამსვე. მაშინ რუსლანმა შემართა ხმალი, ჯუჯას მიაპყრო მრისხანე თვალი და მთლად დალეულს დარდიო და შიშით, წვერი წყნელივით შეჭრა ძირში. „ჩვენც გვიცნობდეთ, — შესძახა თანაც. — რაო, ყაჩაღო, არ მოგწონს განა? რა იქნა შენი ეშვი და ძალა?“ თქვა და ჩაჩქანზე შეიბა წვერი და მერანს უხმო გაბმული სტვენიო. მერანიც მხოლოდ ამას ნატრობდა, მკვირცხლად მოფრინდა თავის პატრონთან. რუსლანმა ჯუჯა გულაში ჩასვა და უნაგირზე დააკრა მაგრა. თვითონ კი, წამსვე, გრივალის მსგავსად, მწვერვალისაკენ გაქანდა, გაპკრა. და სულმა წამით კვლავ მოიღვინა, ჯუჯას სასახლე როცა იხილა. წვეროსან ჩაჩქანს შეესწრეს თვალი და აირია კაცი და ქალი: ვრცელ პალატებში გამოჩნდა წუთით მზადი მხეველების დამფრთხილი გუნდი. თავზე დაატყდათ რისხვა განგების და საზარელი ჯოჯიც ზანგების ლანდივით სადღაც გაუჩინარდა... ხოლო რუსლანი კარებს მივარდა, — ჩამკვდარ დარბაზებს მიყვება მარტო, ეძახის თავის ცოლსა და სატროფს და მხოლოდ ჩუმი და ვრცელი ბალი უბრუნებს ექოს რუსლანის ძახილს. ახლა ბალისკენ გავარდა იგი, იქაც ღუმილი მეფობდა ირგვლივ. მიდის და მიდის, მაგრამ ამაოდ, უბრალო ჩრდილივც კი არ ქანაობს. ჩამკვდარა ბალი. ჭკალაქებს სძინავთ. ცარიელია ფანატურებიც. არც ხეივანში, არც წყაროს პირას კვალის ნასახიც არ ჩანს სრულებით. უეცრად სუნთქვა შეეკრა თავადს, მთელი ქვეყანა ეჩვენა შავად. აყვა საზარელ და მტანჯველ ფიქრებს: „ტყვეობა... ტანჯვა... ვინ იცის... იქნებ... წუთის საქმე... ტალღები...“ — ასე ფიქრობს რაინდი და სევდით სავეს მთლად დაუნებულა შიშმა გონება. გაშეშდა. მკვდარი ქვა ვეგონებათ, ტანზე ეღება ველურის ცეცხლი ავი ფიქრებით მკვდარსა და შეცვლილს. მაგრამ რაინდის მთრთოლვარე ტუტრებს თითქოს ლუდმილა შეეხო უცებ. ისიც მძვინვარე და შემზარავი ბალში შლეგივით გავარდა ისევ: დაამხო ჩრდილთა მშვიდი კარავი, ყველაფერს სახე უცვალა მყისვე. დაამხო ხეთა შრიალა თალი, წამში უდაბნოდ აქცია ბალი.

უწყალოდ ჩეხავს მრისხანე ხმალი
და მსხვერპლს დაეძებს რაინდის თვალი.
მთლად გააბრახადა წაღკოტი მწვიდი,
წყალმა წაიღო ლამაზი ხიდიც,
ფანატურებიც დაემხენ პირქვე,
ხოლო რუსლანი ხმაღს მაინც იქნევს
და სწორედ მაშინ რუსლანის ხმაღმა
ლუდმილას ქუდი მოხადა უცებ.
ჯაღომ მაშინვე დაკარგა ძალა, —
რუსლანი თავის სანატრელს უცქერს.
აღარ უჯერებს თავადი თვალებს,
ტანჯვისთვის გულიც აღარ ეყოფა.
ეცემა ფერხით და შებნით მთვრალი
ენბევა თავის ერთაულ მეგობარს.
ხელებს უკოცნის და აგლოჯს ბადეს,
მეუღლის ხილვა კვლავ ძალს ჰმატებს.
ეძახის, მაგრამ ლუდმილას სძინავს
და ყვეილივით ფეთქებს და ფშინავს,
ძილი უმძიმებს თვალსა და ბავს
და ძილში ისმენს იდუმალ ჰანგებს.
რუსლანს კი ჩრდილი დაადგა თავზე
და გულიც ისევ წუხილით უცემს,
მაგრამ ნაცნობი ხმა ესმის უცებ
და იმ მადლიან ფინელს ცნობს ხმაზე:
„თავადო, ახლაც გამართებს მხნეობა,
თამბუქაობა და გამძლეობა.
გან წაიყვანე მძინარე ცოლი,
შენი ერთგული და სულის ტოლი.
შენ ახლა მეტი ძალა გპირდება,
არ უღალატო ბედს და ღირსებას,
ღვარძლი კი მისას იწვნევს ისედაც,
ნას ზეცის მისხვა არ ასცილდება.“
შენ კი შინისკენ იჩქარე მალე
და იქ გაახელს ლუდმილაც თვალებს.“

რუსლანის გულში გათენდა დილა,
კვლავ გამოცოცხლდა და ნაზი ცოლი
მიიკრა მკერდზე და სულის თრთოლვით
მწვერვალებიდან დაეშვა ფრთხილად.
კვლავ ზხას დაადგა ცხენი ნავარდით,
შინისკენ ჩქარობს ჩვენი თავადი.
ხელში უჭირავს ძვირფასი ტვირთი
და კიევისკენ ხალისით მიდის.
და დილასავით ნორჩსა და საესეს
ლუდმილას სძინავს დევგვირის მხარზე.
და მის დალალებს ნიაგი არხვეს,
ლოყაზე ცრემლის უბრწყინავს წვეთი,
ხან ხშირი სუნთქვით უღელავს მკერდი,
ხან ეფერება ვარდისფრად სახე.
თვალწინ რუსლანი უღვას მძინარეს,
გულზე გადასდის ნენების მდინარე
და იმეორებს საყვარელ სახელს.
თავდავიწყებას ეძლევა გვირიც.
თავბრუდამხვევი სიამით სასვეს
და ერთგულ მცველად ადგია თავზე
ნაზი მეუღლის ცრემლსა და ღიმილს.

შეუსვენებლად მიდის რაინდი,
ვერც გზა აფერხებს და ვერც ამინდი.

დღისით თუ ღამით, გელზე თუ მთაზე
ჩაუშესლავად მიიწვეს ასე.
ქალწულს კი სძინავს, მაგრამ თავადი
მომოივანი ვენებს იკლავს ძალაობის
ბედისიან მარად ტანჯულს და დევნილს
სხვაგვარად არც კი უხვლია ხელი.
ის მხოლოდ იცავს მძინარე სატრფოს,
გაზიარებულ სიყვარულს ნატრობს,
ვწმინდა მისი სულიც და ფიქრიც.
უბოწო ფიქრში ნეტარებს იგი.
ბერიც თამამად ამტკიცებს ამას
მე კი ვუჯერებ იმ წმინდა მამას,
ვინც იყო ჩვენზე ბერის მნახველი
და ჩვენ გადმოგვცა გვირის სახელი.
მეც მჯერა, რადგან ცალმხრივი ვენბა
სულში ქვასავით უხეშად წვება.
მწვემსო ქალებო, ლუდმილას ძილი
არ იყო თქვენი ძილივით ტკილით,
როცა მღველოზე წვებით ქალწულნი
მისის ცხელი მზით მოქანცულნი.
მეც მასსოვს ერთი პატარა ველი,
დამძიმებული არყნარის ჩრდილით,
მეც მასსოვს ერთი საღამო ბნელი
და მასსოვს ლიდას მაცდური ძილიც...
მე ახლაც მასსოვს, როგორ ვღელავდი,
როცა პირველად ვაკოცე მორცხვად.
მაგრამ მთრთოლვარე და მხდლამო კოცნამ
ვერ გააღვიძა ლიდა ვერავითი.
თუმცა, რას ვებოდა! იმ სიყვარულმა
უკვე სხვა გულში დაიდო ბინა,
მისი ტკივილიც და სიხარულიც
გადავივიწყე დიდი ხნის წინათ.
ჩემს გულში ჩაქრა იმ ტრფობის ალი
და ჩემთვის ახლა სულ სხვა დრო მოდის.
მე დღეს მიტაცებს თავადის ქალი,
მისი რაინდი და ჩერნომორი.

ერთ ზხას ადგანან ახლა ყველანი,
ერთად მისდევენ გარინდულ მინდვრებს.
და აი, უკვე გამოჩნდა კიდევ
მრისხანე ზორცვის მრგვალი მწვერვალი.
მაშინვე იცნო რუსლანმა თავი
და ფიცხი ცხენიც აჩქარდა უცებ.
გაშეშებია სისწაულს თვლით
და თმა ტყესავით აშლია შებლზე.
ჩამოვარდნა ეგება ტუჩი,
ჩამოფხატვია ყვრიმალზე ზუჩი,
მთლად წართმევია სიცოცხლის ფერი,
ამოგანგვლია მიწაში წვერი.
დაუკრეშია კბილები მწარედ,
დანებებია სიკვდილის ქარებს.
მაინც თავისი უთქვამს ბუნებას,
სიკვდილითა და სიცოცხლით საესეს
და აი, უკვე მომაკვავთ თავზეც
უკანასკნელი დღე იწურება.
მის წინ შეჩერდა მამაკი ვვირი
ლუდმილასთან და ჯუჯასთან ერთად
და დაუძახა: „სალამი შენდა!
არ შეირცხვინა რუსლანმა პირი.

უკვე მივზღო ზოროტის სასჯელი, აჰა, იხილე შენი მტანჯველი!"
კვლავ გამოერკვა თავი დროებით, გამოაცოცხლა რაინდის სიტყვამ, სიცოცხლის ფრთები კვლავ გამოება და უყურებდა მოსულებს დიდხანს. ააცმაცუნა ვეება პირი, როდესაც იცნო ამაყი გმირი და შეზარატი აღმოხდა კენესა, როცა ძმაც იცნო, ბილყი და ქლესა. და სიბრაზისგან გაბერილ პირზე გადაუარა სიწითლემ ისევ, კვლავ გაიბრძოლა ძარღვეში სისხლმა, კვლავ მოწყდა კენესა მთრთოლვარე ტურნებ და უსიცოცხლო თვალებში უცებ უკანასკნელად იღვრა რისხვამ. კვლავ აუმღერია ცოფმა თვალებში, გაასავსება ენა წვალებით და ძმა, ზოროტი და უკეთური, აავსო ლანძღვით და საყვიდურით. მერე ყინული ჩაუდგა ხმაში, გაშეშდა, მკაცრი და ფერმიხდილი, და ჩვენი გმირიც დარწმუნდა მასში, რომ დაეუფლა საწყვალს სიკვდილი. ჯუჯა კი შიშმა დააფრთხო უმალ, აუცახცახა გონჯი სხეული და ლოცულობდა გულში ჩუმად, გაოგნებული და დაზნეული.

ერთ უსახელო მდინარის პირას ფერდობზე იდგა პატარა ქოხი, ირგვლივ ეფინა ხახხასა ნიხი, და შრიალებდა ნაძენარი ფრთხილად. გრილი მდინარე თეთრად ელავდა და მოდიოდა ვრცელი და წყნარი და თუ ნიაგი დაუბერავდა ლერწმის ღობესთან მღეროდა წყალი. ველზე რიქრაჟი წვევოდა ციდან და არაფერი არ ხმაურობდა და თითქოს ქვეყნის გაჩენის დღიდან დაუმილს დაეპყრო აქაურობა. უშფოთველ სივრცეს მთავლი თვალი და შეაჩერა რუსლანმა ცხენი: პირველყოფილი, ჩუმი და წყნარი დილის ბურუსში ელავდა ველი. რუსლანმა მოლზე ჩამოსვა ცოლი, თვითონაც ახლოს მიუჯდა თრთოლვით. ბაგეს უცოცხლებს სატრფოს სახელი და გულზე აწევს ტკბილი ნაღველი. უცებ იალქანს შეასწრო თვალი, — გაამოდიოდა ღრუბლის ჩეროდან. ნავს მდინარეზე გაველო კვალი და მებადური ტკბილად მღეროდა. გაღაფინა ტალღებზე ზადე, გამოსცდა ნისლის შრიალა ფარდებს, ქარს მიუშვია ხუჭუჭა თავი და მოაყენა ნაპირთან ნავი. ხოლო ქოხიდან გამორბის ქალი, გაბრწყინებია ბაგე და თვალი,

გამიშვლება მკერდი და მხრები და დაუდგერად დაშლია თმები. ყველა მიწიერ სიამის ღრისი, უნაკლო იყო შშვენება მისი. აი, იხინი, გადახვეულნი, სხდებიან გრილი მდინარის პირას, მიტმანენია სხეულს სხეული და სიყვარულში დრო გადის ტკბილად და უზრუნველი თავისუფლებით მშვიდად სუნთქვენ, როგორც ღრუბლები. მაგრამ თუ იცით, ჩვენმა თავადმა, გაოცებულმა ამით თავადაც, იმ მებადურში ვინ იცნო მაშინ? — მისი ძლიერი მეტყვე ხმაღმაც და სიყვარულშიც — ხაზართა ხანი. ბედნიერების ნექტარით მთვრალი ის ტურფა ასულს, ოქროს თმებიანს, დაწყვილებია გზითა და ბედით და ამ მშვენიერ მეგობრის გვერდით სხვა ყველაფერი დაივიწყებია.

ახლოს მივიდა რუსლანი კიდე. რატომრცა იცნო რუსლანი უმალ. წამოხტა, მოქრის, შეპკივლა კიდეც და ჩაეხვია უეცარ სტუმარს. „ამას რას ვხედავ? — შესძახა გმირმა, — აქ რას აკეთებს ხაზართა ხანი, რად მოაჩიდა ცხოვრებას პირი, რა იქნა მისი განთქმული ხმალი.“
„ჩემო ძმობილო, — თქვა მებადურმა, — ადრე დიდების ძეხნით გართულმა დღეს დაეთმე იგი, როგორც ღრუბელი გამოფიტულია და დამღუპველი. ნერწმუნე: უფრო ახლოა გულთან ეს სიყვარული, ნაზი და სუფთა. გულს არ ჰჭირდება სხვა მეგობარი, სხვა გართობანი და სხვა გონობანი. აღარ მიტაცებს ცხენთა ჭეუნებაც, ხმალოთა ცემაშიც ვერაფერს ვხედავ, სამაგიეროდ: ბედნიერებით დღეს მდიდარი ვარ ყველაზე მეტად. მთლად დავივიწყე ჩემი წარსული და თვით თავადის ნაზი ასულიც.“
„მოხარული ვარ, — უთხრა რაინდმა, — კვლავ ჩემთან არის თავადის ქალი.“
და გამოცოცხლდა ხაზართა ხანიც: „ღმერთო, სა მესმის!.. როგორ?.. საიდან?.. თუ შეიძლება... მაჩვენე ჩქარა. თუმცა არ მინდა, არა და არა. ვერ ვუღალატებ მე ჩემს მეგობარს, მე მისი ნაზი შუქიც მეყვება. მე შევიყვარე ის სულზე მეტად, გვიადვილდება სიცოცხლე ერთად. ჩემი გარდაქმნის და შეცვლის მიზეზს ია და ვარდი ასხია პირზე. მე სხვა ვერაფერს ვეღარც ვინატრებ — მან დაუბრუნა ჩემს სულს თავიდან დიდი სიმშვიდე და მზის სინათლე და დროც, რომელიც შფოთში გავიდა.

მე თორმეტ ასულს ვუყვარდი ერთად,
თავბრუს მახვევდა მათი სიცილი,
მაგრამ დაძვლიე და ჩემდა ზედად
ამის გულისთვის დავთმე ისინიც.
დავთმე განცხრომის კოშკი ზღაპრული
მთვარის მითროლოგარე შუქში ჩაფლულში.
ხელი ავიღე ხმაღლეც და ფარზეც,
მტრებსაც შევეშვი და ვცხოვრობ ასე
და ამ სიმშვიდით ვარ ზედნიერი,
ვიპოვე ჩემი ფუძე და ჭერი
შენთან, ძვირფასო და მშვენიერიო,
სულის სინათლევ, შენთან და შენით."

გალიმებული უსმენდა ქალი
ძვირფას მეგობარს და უცხო სტუმარს.
ხანისთვის მშვიდი მიუბყრო თვალი
და ხან თავისთვის ოხრავდა ჩუმაო.

ჩემი რაინდი და მეზადური
გვიანობამდე ისხდნენ ნაპირთან,
ტკბილი საუბრით იყენენ გართლენი
და ვერც გაიგეს, დღე რომ გაუზინდა.
გაშავდა მთები. დაღუმდა არე.
ტალღებმაც ღელვას და შრიალს უკლეს.
ფეხზე წამოდგა ფერმკრთალი მთვარეც,
რუსლანის წასვლის დროცაა უკვე.
ვადაფარა მიწარე ასულს
წამოსასხამი და შეჯდა ცხენზე.
რატმირიც სულით თან მისდევთ წასულთ,
მონატრებია ნავარდი ველზე.
გზას და მომავალს ულოცავს იგი,
თან თვალი რჩება მეგობრის გზისკენ
და სვედიანად იღვიძებს ისევ
ამაყი წლების მღელვარე ფიქრი.

რა იქნებოდა, რომ ჩემი ქნარი,
ოცნებითა და სიმღერით მთვარალი
და სიყვარულში მღვარი ყელამდის,
ხოტბას ასხავდეს მხოლოდ გმირობას
და მასთან ერთად (უცხოის ყველასთვის)
ძველ მეგობრობას და გულტკბილობას.
რატომ მაძალებს ეს ზედი მკაცრი,
რომ შევერიო სევდა გალობას
და დღევანდელი მანკი და ღვარძლი
გამოეჭინო შთამომავლობას.

თავადის ქალის ხელის მძებნელი
ნაინს უცდიდა ამდროს ფარლაფი,
ხმაღს არ იღებდა ხელში არაფრით,
როგორც მისთანა რაინდს შეჰფერის.
თავს არ იკლავდა წუხილით დიდად
და იჯდა თავის მამულში მშვიდად.
და აი, დადგა ნანატრი წამი:
არც გაუღია ჯადოქარს ჩქამი,
ისე უჩუმრად წაადგა თავზე,
გამოეცხადა და უთხრა ასე:
"შეკაზე ცხენი. ხომ იცი, ვინც ვარ?
აბა, მომყვი!" — და კატად იქცა.
ფარლაფმაც ცხენი შეკაზმა წამსვე
და მიყვა კატას იმედით საესე.

მიდამო უკვე წყვილიაღმე თვლემდა,
მიწას ზვევრავდა მთვარე ზემოდან
და შვე ყორღანებს სინათლეს ფენდა,
როდესაც ღრუბლებს გამოსცდებოდა.
რუსლანიც იქვე, ლუდმილას გვერდით,
იჯდა მღუმარე და მოწყვენილი
და შეჩვეული დარდი და სევდა
კვლავ გულზე ელო მიმზე ხელივით.
ფიქრებს დაეუბყო იგი მთლიანად,
იჯდა უამრავ ფიქრებით საესე
და ძილი გრილი ფრთების შრიალით
ფეხაკრეფილი წაადგა თავზე.
რულმორეული თვალებით კიდევ
დახვდა ქალწულს, მიწარე ყვავილს,
და მერე სატრფოს ფეხებთან მიდო
ათასგვარ ფიქრით დაღლილი თავი.

საზარელ სიზმარს ხედავდა გმირი:
თითქოს თავადის ნაზი ასულს
იდგა უძირო უფსკრულის პირას
გაშეშებული და ფერწასული.
უცებ ლუდმილა უფსკრულში გაქრა.
ისიც უფსკრულთან მივარდა, მაგრამ
არ იცის, რა ქნას... და ცხადად ცენისი,
მეუღლე როგორ უზმობს და კვნისის.
და გადაეშვა უფსკრულში ისიც.
რა შეეშთხვევა, ეშამა იცის...
მაგრამ რას ხედავს გაოცებული:
გამოჩნდა ჭარმაგ გმირთა კრებულში.
დიდებულები სწევია სტუმრად
და თორმეტზე ვაკის თანხლებით
ზის ვლადიმირი სუფრასთან ჩუმად,
კაცი არ არის სიტყვის გამღები.
ვლადიმირს რისხვით შეკვრია შუბლი,
იმდღინდელივით მკაცრია იგი.
მხიარულება ჩამკვდარა სუფრის,
უძრავდ სხედან მაგიდის ირგვლივ.
წუხილის ჩრდილი აწევით თავზე,
დაუკარგია ექიფსაც ემში
და აღარც თასი, მრგვალი და საესე,
აღარ გადადის ხელიდან ხელში.
და უცებ ამჩნევს ჩვენი თავადი,
რომ ძველებურად მხნე და ტანადი,
მკვდარი როგდაიც მოსულა სტუმრად
და თუკი სხვები დამსხდარან ჩუმად,
ის აბრალებს ვეება თვალებს,
წაკიდებია სასმელის ალი
და გაოცებულ რუსლანის მხარეს
არც იხედება, ღალი და მთვარალი.
მერე რატმირსაც შესწრო თვალი,
აქ მოუყრია სუყველას თავი.
და ბიანიც ამღერდა უცებ
და სხვებთან ერთად რუსლანიც უსმენს
გულთმისან მგოსნის ხმატკბილ სიმღერას.
ამ დროს დარბაზის კარი იღება:
ნაზი ლუდმილა შემოყავს ფარლაფს,
მაგრამ მოხუცი სიხარულს მალავს,
არც შეუხედავს, არც განძრეულა.
სტუმრებიც თითქოს ქვებად ქცეულან.

მისჩერებთან ერთმანეთს ჩუმად.
მერე ყველანი ქრებიან უმალ...
და სიმწრის ოფლში დაცურავს გმირი,
წრიალებს, შფოთავს, ოხრავს და ტირის.
დაუფლებია მტანჯველი შიში
მძიმე ლოდვიტ ჩაძირულს ძილში.
სიზმარიაო, — ფიქრობს და თანაც
სიბრაზე ახრჩობს, ძილს რომ დანებდა,
მაგრამ არაფრით არ ყოფნის ძალა,
რომ მოიშოროს ავი ზმანება.

ოდნე ანათებს ფერმკრთალი მთვარე,
წყვილადი მეფობს ოთხივე მხარეს
და სიჩუმეა ვარდემო მკაცრი...
ცხენს მოაჭენებს უპირო კაცი.

მის წინ მდუმარე მინდორი ბზინავს,
ყორღანიც ბზინავს და ხედავს იგი,
რომ რუსლანს ცოლის ფეხებთან სძინავს,
ცხენი კი დადის ყორღანის ირვკელივ.
მაშინვე ბნელში გაქრა გრძნეული,
ფარლავს კი შიშით უთრთის სხეული,
ველარ უჭირავს ხელში აღვირი,
შეეკრა სუნთქვა და თრთის ბალღივით.
ბოლოს კი ფრთხილად დააძრო ხმალი
(აუციმციმდა ხმალს ბასარი პირი)

მეექვსე სიმღერა

ძვირფასო, რატომ მაძალებ ასე,
რომ დაუღვევარ სიმების ხმაზე
ძველი ამბები ვიმღერო ისევ
და ერთგულ მუზას მთლიანად მივცე
თავისუფალი დროც და გონებაც...
მე კი მომბეზრდა უკვე ჭორები
და, ნეტარებით მთვრალმა, სრულიად
გადავივიწყე ფიქრიც და შრომაც
წყნარი სიმების ხმატკბილი ერთობაც
და ახლა მხოლოდ ლხინი მწყურია.
ადრე ცხოვრებას რითაც ვზომავდი,
დღეს ის საზომი აღარ მჭირდება.
დღეს შენით ვსუნთქვ და განცხრობამში
არც მესმის, როგორ მიხმობს დიდება.
უკვე ჩამიქრა ცეცხლი მალული,
გამოგონების გაქრა გენიაც,
მაგრამ სურვილი და სიყვარული
სულს ძველებურად კვლავ შერჩენია.
შენ კი მაძალებ, რადგან მოგწონდა
ის, რასაც ადრე ვცვებოდი შენთვის
და მოგონების მაღალ კოცონთან
შენც გათრთოლებდა მიჯნურთა ბედი.
რაც მომხდარიყო დიდი ხნის წინათ,
ის შენს ფიქრებშიც იდებდა ბინას
და შენც ვიპყრობდა ზღაპრული ძალით
ჩერნომორი და გრძნეული ქალი,
ბრძენი ფინელიც და ვლადიმირიც...
და გიბრწყინავდა სახე ღიმილით

და ემზადება, რომ მთელი ძალით
ორად გააპოს მძინარე გმირი.
მიუახლოვდა და გმირის რაში
აუხვივინდა და აღუღდა მაშინ,
მაგრამ ამაოდ, ჩემს რაინდს სძინავს,
ვერ გრძობს ვერაფერს და როგორც რკინა,
გულზე აწვება მტანჯველი ძილი.
ხოლო ფარლავი, მხდალი და ფრთხილი,
თავზე წაადგა და ცივი ხმალი
სამჯერ ჩასო მკერდში მძინარეს
და მთლად დაფეთდა, ისედაც მხდალი,
როცა იფეთქა სისხლის მდინარემ.
მერე კი ძვირფას ნადავლით ხელში
შეშინებულმა მოკურცხლა ბნელში.

მთელ ღამეს ეგდო რუსლანი ასე,
ვიდრე არ ჩაქრა ვარსკვლავი ცაზე.
ვიდრე არ გაქრა პირქუშ მთებიდან
დაუკვალავი და მძიმე ნისლი, —
მას პირდაპირებულ ჭრილობებიდან
მდინარესაგით დიოდა სისხლი.
დილით კი ოდნე გააღო თვალი,
ამოიკვესა და ძალის ძალით
წამოიწია კიდევ და მყისვე
სულწარათმეული დაეცა ისევ.

ჩემს მსუბუქ ლაყავს ისმენდი როცა,
მაგრამ ხანდახან ნაწი თვალებით,
ფარული სვედით და დანანებით
და თანავგრძნობით მიცქერდი მეგოსანს.
ამიტომ გებედავ. შენ მაძლევ იმედს
და კვლავ ვაღვიძებ ჩათვლემოდ სიმებს,
შენს ფეხით ვჯდები და ისევ ისე
ჭაბუკ რაინდზე სიმღერას ვიწყებ.

მაგრამ რას ვამბობ? სად არის იგი?
ტრიალ მინდორში აგდია მკვდარი.
ულვაშს და ქოჩორს უწეწავს ქარი
და უტრიალებს ყორანი ირვკელივ.
დადუმებულა ნაღარა ურჩი,
უძრავად გღია მინდორზე ზუჩიცი.
თავს დასდგომია ერთგული ცხენი,
ჩაუქინდრია ამაყი თავი,
დასცქერის სისხლის ხასხასა ყვავილს
და ელის ასე, ელის და ელის.
აღარ უბრწყინავს ისე, ვით წინათ,
ფაფარი, ოქროს ჩანჩქერის დარი.
ხოლო მის პატრონს სხვა ძილით სძინავს,
ვერ დაიქუხებს ჯერ მისი ფარი.

ჯუჯა სადღა? — ის კვლავ გუდაში
ზის ნაინისგან დავიწყებული,
ისევ ჩიფთივებს ბნელში ბებრულად
და ყველას ერთად წყევლის გულდასმით.

მან არ იცოდა, რა მოხდა გარეთ, იგინებოდა თავისთვის მწარედ. ბოლოს გაბედა და მხდელი თვალი გამოაპარა გუდიდან ჩუმად და როს რუსლანი იხილა მკვდარი, კვლავ დაუბრუნდა იმედი უშალ. სისხლის გუბეში აგდია მტერი, — მალე შინისკენ! ჰერი და ჰერი! არც ლუდმილა ჩანს, რა გინდა მეტი, — თავისი ფეხით მოსულა ბედი. სიხარულისგან უთრთის სხეული, მაგრამ კვლავ მწარედ ცდება წყეული.

ამასობაში ძვირფას ალაფით
ყა ნაინისკან ებეჯაოყეული

კიევისაკენ მიქრის ფარლაფი და უნაგირზე ზის აწოწილი. მიქრის იმედის და შინის გზაზე და მის წინ დნებრის შრიალით სასვე უკვე გამოჩნდნენ მშვიდი მიხდვრები. ფარლაფი მიქრის და ფიქრის მიდენის. აი, ქალაქიც გამოჩნდა უკვე და აი, უკვე ქალაქში მიქრის და ხალხით სასვე ქუჩებს და შუკებს მართლა რაინდი ჰგონიათ იგი. გახარებული ხმაურობს ხალხი. მისდევენ მხედარს, ქენებით დალილს, გარბიან, რათა მამას ახარონ და გაუნათონ ისევე სამყარო.

ისევე ტანჯავდა წუხილის ტვირთი, ისევე სტიოდა ძველი ტკივილი, მისდევდა ნაცნობ ფიქრების ზვირთებს და კოშკში იჯდა მზე — ვლიდმირი. მის ირგვლივ ისხდნენ, ქვაზე მშვიდები, ბოიარები და რაინდები. უცხვე ხმაური გაისმა გარეთ, ხალხის ყაყანი მოაწყდა კარებს, გაიღო კარი და რას ხედავენ: შემოდის ვიღაც უცხო მხედარი. ჯერ მიაჩერდნენ უეცარ სტუმარს, მერე ხმაურით წამოდგნენ უშალ.

„ფარლაფი?... როგორ, რომელი ძალით?..“

ნუთუ დაბრუნდა თავადის ქალი?..“ თავადიც ფეხზე წამოდგა ნელა, მძიმე ნაბიჯით შევილისკენ მიდის, უბედურ ასულს უცქერს და ღელავს, გულს სიხარული სწევვია დიდი. სურს მამის ხელი მოხვიოს ფრთხილად, მიიკრას, ნაზი და დაქანცული, მაგრამ ვერაფერს ვერ გრძნობს ქალწული და მკვლელის ხელში გულმშვიდად სძინავს. მისჩერებია თავადს ყველანი და მოლოდინში ჩუმად ღელავენ. მოხუცს დიმილი შეაშრა პირზე და თვალი რაინდს მიაპყრო ისევ. ფარლაფმა ტუჩზე მიიღო თითი და გაუსწორა თვალები ფლიდი, ბოლოს კი უთხრა: „ლუდმილას სძინავს,

ასე ვიპოვე ცოტა ხნის წინათ.

ტყის კაცს ჰყოლია თავადის ქალი, გამოვავლიე ხელიდან ძალით. ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა ბედი: სამ დღეს ვულეწით ერთმანეთს მკერდი, სამჯერ დაგვებდა ფერმკრთალმა მთვარემ, ვიდრე ჭიდილი დამთავრდა ცხარე. ბოლოს კი ვძლიე, მაგრამ ასული დამხვდა მძინარე და გულწასული. როდის გაახელს ასული თვალებს? ვის ვთხოვთ შეველა ან რომელ ძალებს? არ ვიცი — მკაცრი კანონი ბედის წყვედაითაა მოცული ჩემთვის. დემრთი უშველის, თუკი ინება,

წერს კი ცდა ვკანარებს და მოთინება“.

მალე გაგრცელდა ქალაქში ცნობა საბედისწერო და გულსაკლავი. ხალხმა ქუჩებში გამართა ბუბობა, ჩამოფარდათ გმიერებს მხარ-მკლავი. ქალაქის თავზე ცა იქუფრება და მოედანი ღელს და მტყუნარებს, გაღებულია კოშკი მწუხარე და ყველასა აქვს შესვლის უფლება. და მოდის ხალხის პრელი ნაკადი, აღელვებული მოიწევეს ძალით კოშკისკენ, სადაც თავადის ქალი ფარჩებზე წევს და სძინავს აქამდის. ძილს დაუპყრია მთლიანად იგი, ხოლო რაინდებს სარცელის ირგვლივ ჩაუქინდრიათ მკაცრი თავები. აზანარებენ ცას საკრავები: ღრიალებს ბუკი, ნალარა, დაფი, მაგრამ მძინარეს არ უთრთის წარბიც, არც ბუკის ესმის და არც ნალარის. ხოლო თავადი, თვალცრემლიანი, გაწამებული სევდის იარით, ასულის ფეხებს ეკვრის ჰუდარით. და მოხუცს გვერდით უღდას ფარლაფი, ადრინდელ ფარლაფს არ ჰგავს არაფრით, შემოწოლია მკვლელს სინანული და სულს უწეწავს ჯავრი ფარული.

დაღამდა კიდევ. მაგრამ ქალაქში არ მოუხუტავს თვალი არავის. იდგნენ. იციდნენ და ლაპარაკში გაუგონარი და შემზარავი ამბავს ამბავი მოყვა მრავალი და გაახსენდა მავანს მავანი. ყველამ აუბა საუბარს მხარი, ცოლს ივიწყებდა ჰუბუკი ქმარი. და როცა მთვარემ იბრუნა პირი, — ქალაქს დაატყდა ახალი ჭირი. ფეხზე წამოდგა კიევი მთელი. ქალაქი ახალ განსაცდელს ელის. და როცა ზეცის განათდა თალი, ქალაქის კედელს მიაწყდა ხალხი. და რას ხედავენ: მდინარის იქით თეთრად ცახცახებს კარგების რივი.

წამოშლიათ ცხენოსნებს მტვერი,
ბრჭყვიალებს ფარი და შუბის წვერი.
მთელი მინდორი ბორბავს და ღელავს
და საომარი ფორნები ნელა
მოზოზინობენ მტვერში ჭრიალთი.
ქედებზე კოცონს გააქვს ბრიალი,
ალები ხტიან, როგორც ჭინკები.
ამხედრებულიან პაჭანივები!
ამასობაში ბრძენი ფინელი
მომაჯალს უკვე წვდებოდა ფიტრით
და უდაბნოში უცდიდა იგი
ადრე განჭვრეტელ დღეს მოთმინებით.

შორს, სტეპებს იქით და მთებს გადაღმა,
სადაც მიდამო სიციხით გადახმა,
სადაც ქარებმა დაიფეს ბინა,
სადაც მქუხარე ქარიშხლებს სძინავთ
და სადაც ღამით, მარჯვედ და ქლესა,
ვერც კუდიანი ვერ ბედავს შესვლას, —
იქ მშვენიერი ველია ვრცელი
ორი პატარა წყაროს წყლით სველი.
ერთში მოღლეავს ცოცხალი წყალი,
ხოლო მეორე წყაროში — მკვდარი.
გამეფებულა ირგვლივ დღემილი,
არ ირხევინან მწკრივები ხეთა.
როგორც არ უნდა კლავდეს წყურვილი,
მხდალი ირემი მაინც ვერ ბედავს
იმ წყაროს წყალი დაღობს წმინდა,
რადგან სულელები უხსნაღარ დღიდან
მთელეპარე ნაპირს უდგენან მცველად
და მათი შიში აკავებს ყველას.
უცებ წყაროებს დაეცა ჩრდილი
და განდევნილი წყაღვით თავზე.
სულეებს დაუფრთხათ ხანგრძლივი ძილი,
შემინებულნი აფრინდნენ ცაზე.
მან კი აავსო ხელადა ორი,
გამოადღვიდა ქალწული წყალი
და გაქრა წამსვე, ქარვით მალი,
ასწლოვან ნაძვებს და ბორცვებს შორის.
რუსლანთან გაჩნდა მოხუცი წამში, —
თავს დასდგომოდა ერთგული რაში,
თეთონ კი სისხლით დაეღობ მიწა
და ღია ცის ქვეშ უძრავად იწვა.
მოხუცი თავზე დაადგა ჩუმად,
ჯერ მკვდარი წყალი აპკურა მკერდზე
და ჭრილობები, გაბრწყინდნენ მზეზე,
ვეამიყ სინათლით გავისო უმაღლ.
მერე აპკურა ცოცხალი წყალი
და გაახილა რაინდმა თვალი,
სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე
რუსლანი ფეხზე წამოდგა წამსვე.
დღეს მიაჩერდა ხარბი თვალებით
და ნაშთიც განვლილ ტანჯვა-წვალებების
მოშორდა, როგორც უცქერი ძილი,
შკაბლოდ, როგორც უშწუო ჩრდილი.
მაგრამ ლღმშილა სადღამა? ღმერთო!
რუსლანს კვლავ ოფლად დაასხა პირზე,
შეცკრა სუნთქვა და ჩაქრა ისევ
ცუცხლი, რომელიც მის გულში ენთო.

უცებ, ბრძენი და გულთამხილველი,
გადახვია რუსლანს ფინელი
და სიყვარულით ჩაიჭრა მკერდში:
„გათავდა, ველიო, შენ აღარ გერჩის
მოხთალი ბედი და დღეს იქით
იქუხებს შენი მრისხანე ხმალი,
კიევს მშვიდობას მოუტანს იგი
და იქ დახვდება თავადის ქალიც.
შენ ეს ბეჭედი მაიღე შებლზე
და ჯაღო ძალა დაეკარგავს უცებ.
გაბითურდება მტერი და ღვარძლიც
თვალს ამოივსებს მიწით და ნაცრით.
თქვენ კი სიმართლე შეგარჩებთ ფარად
და ბედნიერი იქნებით მარად.
ახლა მშვიდობით... ღმერთი გვარავდეს.
ველარ შევხვდებით კუბოს კარამდე.“
თქვა და მაშინვე უკვლოდ გაქრა.
და სიხარულით სავსე და მთვრალი
რუსლანი ეძებს მეგობარს, მაგრამ
ვერც მიაწვდინა ვერაფრით თვალი.
არც ჩამიჩუმე არ ისმის ირგვლივ,
ტრიალ მინდორში მარტოა იგი.
რაკი პატრონი ფეხზე იხილა,
კვლავ დაიქნია ფაფარი ცხელი
და ერთ ადგილზე ხტის და ჭიხინებს
და ანჯღრევს ჯუჯას რუსლანის ცხენი.
აი, მზადაა უკვე თავადიც,
არ ეპუება დროსა და მანძილს
და გარინდებულ ტყეების გასწვრივ
ფიცხი მერანი მიყავს ნავარდით.

მაგრამ რა მწარე სანახავია
კიევი მტრებით გარემოცული.
ქალაქის თავზე ზეცაც შავია
და ლაღობს მტერი კართან მოსული.
მტერს დარჩენია ყანაც და ბალიც.
ცაში მზადდება ჭეჭა-ჭეხილი.
და გალავანზე გასული ხალხი
ყანებს და ბაღებს უცქერს წუხილით.
გახშირებულია ოხვრა და ვიში,
გამეფებულა ქალაქში შიში.
ხოლო მძინარე ასულის გვერდით,
შეფოთებული ქალაქის ბედიო,
ლოცვად დამდგარა დიდი თავადი
კვლავ ძვილებურად მხნე და ტანადი,
კვლავ ძვილებურად ჩუმი და მაკერი. —
ბრძოლისთვის უკვე მზადაა იგი.
ღვევმირთა გუნდი არტყია ირგვლივ
და დიდებულთა ერთგული რაში.

ბრძოლის დღეც დადგა. ავარდა მტვერი.
და ქალაქისკენ დაიძრა მტერი.
ჯარმა აავსო ველი სავსებით,
რახმებს მოსდევნე შლეგი რახმები.
და აღრიდა ქალაქში ბუკი,
დღეს მიგმატა ფოლადის შუქი.
მაშინ ამხედრდნენ კიეველებიც
და გაემართნენ მტრისკენ ქენებით.

გაჩაღდა ომი. გაცოფდა რვალი
და აქლრიაღდა ჯაგმანზე ხმალი,
ჩაჩქანზე კეტი და ფარზე ცული.
ცხენებმაც იგრძნეს სიკვდილის სუნი.
სტენით მოფრინავს ისრის ღრუბელი, —
ქვეყნის დამქცევი და დამლუგებელი.
შემოიქვია სიკვდილმა ცელი,
სისხლით დაფარა მინდორი ვრცელი.
თავქვე ცვივიან მკვდარი მხედრები,
ემაღებიან მახვილს დედლები.
რაზმი ყოვნიით შეიჭრა რაზმში,
უმხედროდ მიქრის დამფრთხალი რაში.
ჯერ ომის ბედზე ფიქრიც შორს არი.
ცხენოსანს ებრძვის იქ ფეხოსანი.
გაუთლილ რიგზე დგება სხვა რიგი,
იქ რუსი კვდება, აქ პაჭანიგი.
გურზს გაუბია ერთისთვის შუბლი.
გულს დასობია მეორეს შუბი,
გაუჭყლეტიათ მესამე ფართი,
ცხენის ფლოქეებში ავდია მკვდარი.
დაღამებამდე გაგრძელდა ასე,
ვერც ერთმა მხარემ ვერ ძლია მტერი.
დადუმდა ველი, გვაგებთი საესე,
ქვასა და ბალახს ეცვალა ფერი.
ძაძა ჩაიკცა თითქოს ბუნებამ,
თითქოს მინდორსაც დაესხა რეტი
და მეომრებმაც, დაქანცულებმა,
მიდეს თავები გვაგებთს გვერდით.
ღრმად ჩაეძინათ დაღლილ მეომრებს,
ალარც ახსოვდა ერთი მეორეს,
მხოლოდ ხანდახან ისმოდა კენესა,
ან რუსის ლოცვა წვდებოდა ზეცას.

იფანტებოდა წყვდიადი მხდალი,
ჩრდილები ადვილს იცვლიდნენ ფრთხილად,
უკვე ვერცხლისფრად ბრწყინავდა წყალი
და თენდებოდა საეჭყო დილა.
იკვეთებოდა ტყე და ქედები,
ცაც იღვიძებდა, ჩუმი და ვრცელი,
მაგრამ ჯერ კიდევ თვლემდნენ მხედრები
და მშვიდად თვლემდა ჯერ ბრძოლის ველიც.
მაგრამ უეცრად მტრების ხანაკში
ყურისწამლები ატყდა განკაში.
ცხენები ადვილს მოწყდნენ ჭენებით
და წამოცვიდნენ კიველებიც.
გაოგნებულნი დარბიან ველზე
და რას ხედავენ: ვიღაცა ცხენზე
ამხედრებულა და მტრის რიგებში
შეხვიით დაქრის, ჩეხავს და ანგრევს,
იღუბებიან პაჭანიგები,
ცულად წასულა ურჯულოს საქმე.
ღრიალებს უცხო რაინდის ბუკი,
ცეცხლივით ადგას ფარ-აბჯრის შუქი.
ურჯულოების რისხვა და ჭირი
რუსლანი იყო ის უცხო გმირი.
დაჯირითობდა თამაშ-თამაშით
პაჭანიგების დამფრთხალ ხანაკში.
სადაც კი მიწვდა მრისხანე ხმალი,

სადაც გამოჩნდა მისი მერანი,
იქ ზვინად დადგა ხორცი და ძვალი,
პირქვე დაემხენენ წამსვე ყველანი.
უცებ გაიხსო მინდორი ვრცელი
სისხლში მოსვრილი გვაგებთს ჯარით,
მთებად დახვავდა კაცი და ცხენი,
შუბი, ისარი, ხმალი და ფარი.
და ბუკის ხმაზე სლაგი მხედრებიც
მტერს დაეუახნენ რკინის მკერდებით.
გაათამაშა გმირმა ისინიც
და გმირს ფეხდაფეხ მიაკყვნენ ყოვნიით.
მაშინ კი დაფრთხნენ პაჭანიგები,
მოტრფიალენი რბევა-თარეშის.
მოახტნენ ცხენებს და სიქარეში
მიაწყდნენ დამფრთხალ რიგებს რიგები.
ეყოფათ, ადრე რაც უჩხუბიათ,
არ შერჩათ ბრძოლის თავი სრულებით
და კიველთა ხმლებს გაურბიან
საჯოჯონეთოდ განწყინებულნი.
მათ გუნდებს ჩეხავს რუსული ხმალი.
ხარობს კიევი... დამშვიდდა თვალი,
ისმის სიმღერა და შეძახილი,
ქარს გაუფანტავს მწუხარე ფიქრი.
გმირი კი უკვე ქალაქში მიჭრის,
ხელში უჭირავს ზასარი მახვილი.
განათებია იმედით შუბლი,
მოშორებია გულიდან ნისლი,
ვარსკვლავის დარად ციმციმებს შუბი,
აბჯრიდან წვეთავს ურჯულოს სისხლი.
წვერსა და უღვავს შუთორებს მტვერი
და მუზარადზე ერხევა წვერი.
ხალხს დაუფარავს მიწარილები,
ქალაქისა და ციხის კედლები,
სახლის ზანებიც და მთედნებიც, —
ხვდებიან ლალი შეძახილებით.
და აი, კოშკში შევიდა იგი,
გამეფებულა დუშილი ირგვლივ.
ლუღმილას ისევ სძინავს შევლივით.
დაუფლებია ძილი ზღაპარული
და ვლადიმირი, ფიქრში ჩაფლული,
შვილის ფეხებთან დგას მოწყენილი.
ისევ შეეკრა მკაცრი კოპები,
ისევ წუხილში იდგა ყელამდის
და მარტო იყო, რადგან ყველანი,
მისი შვილებიც და მეგობრებიც
საომრად იყვნენ ველზე გასული.
მხოლოდ ფარლავი იდგა კარებთან,
მტერს აგინებდა და კანკალენდა
გალაჩრებულნი და ფერწასული.
მთლად დაუღრიჯა სიმწრისგან პირი,
როგორც კი იცნო ბოროტმა გმირი.
ველარ გაუძლო შიშსა და წუხილს
და მოეკვითა გონწასულს მუხლი.
ღირსეულ სასჯელს უცდის ღალატში
მაგრამ სატრფოსკენ მიზნის თავადი,
აუციმიცმა შუქმა თვალგები,
ახსოვს ფინელი დანაპარები,
ბეჭდისგან ნამდვილ სასწაულს ელის.
აი, შეახო მთრთოლვარე ხელი...

და სასწაულის გახდა მხილველი:
ძილი, ხანგრძლივი და საკვირველი
დაირღვა უცებ. გაალო თვალი
და გამოფხიზლდა თვალის ქალი.
უძრავად იჯდა ლუდმილა წამით,
გაოცებული ამ სიგრძე ღამით,
უძრავად იჯდა, როგორც სტუმარი.
გამოყოლილი და იდუმალი

გულს უწვრილებდა თითქოს სიზმარი.
ბოლოს კი იცნო: — ღმერთო, ის არის!
და ნაზ ხელეში აღმოჩნდა გმირი,
მთლად დაავიწყდა განვლილი ჭირი,
გაქრა წუხილის და სევდის ჩრდილიც,
გაქრა ტკივილიც ყველა იარის
და ვლადიმირიც, საყვარელ შვილებს
გადაეხვია თვალცერმლიანი.

ჩემო ძვირფასო, შენც ხედები ალბათ,
რით დავამთარებ მე ამ გრძელ ამბავს.
ვლადიმირს რისხვა გაუქრა წამსვე,
უმართებულო და უსამართლო.
ჯუჯას შეუნდეს, წუხილით სავსეს,
და დაიტოვეს კოშკში სამადლოდ.
ხოლო ფარლავმა ბოლომდე გახსნა
თავის ბოროტი სული და სახე
და ააბტია რუსლანმა მასაც.
და ამ ბედნიერ სურათის მნახველს,
ცვლავ მოუბრუნდა გული ვლადიმირს
და ძველებურად ლაღად და მხნედა,
თავის საყვარელ ოჯახთან ერთად
გადაიხადა დიდი ნადიმი.


ასე მთავრდება თქმულება ძველი,
მას შერე ბევრი გაფრინდა წელი.

აპილოზი

ფუჭი ღუმლის წიაღში მჯდარი,
ქვეყნის გულგრილი მცხოვრები ერთი,
ჩემი დამჯერი და მშვიდი ქნარით
ძველისძველ ამბებს ვმღეროდი ჩემთვის.
და ვივიწყებდი დორიდას ღალატს,
მაგიწყებოდა ჭორიც და შურიც
და სიმღერებში ფეთქავდა წყნარად
ბედის სიბრძავით დაჭრილი გული.
გამონაგონის ფრთების წყალობით
მე ქვეყნის კიდეს ვცდებოდი უმაღ,
მაგრამ ბიფათიც მოიჩქაროდა
და გროვდებოდა ჩემს თავზე ჩუმად.
ვიღუბებოდი... წმინდა მფარველო
ახალგაზრდობის მშფოთვარე წლების,
დამაცხრობელო და საყვარელო
დასნეულვებულ სულის და ვენის. —
შენ ამარიდე შავი ღრუბლები,
გულში ჩამხედე მშვიდობის სანთლით
და დამბრუნე თავისუფლებაც,
ყმაწვილკაცობის კერპი და ხატბი.

დღეს შორეული გზები დედავენ
და ნევის ნაპირს მოშორებული
კავკასიონის ვუკეერ მწვერვალებს
და მიპყრობს მათი ბრწყინვა მეფურთ.
სალი კლდეებით და ხეობებით
დასერილია სივრცე სრულებით
და მეც სავსე ვარ მუნჯი გრძნობებით
და სურათებით ველურ ბუნების.
და სულიც ისევ სავსეა ფიქრით,
რომელსაც უკვე ვერავინ შეცვლის.
ალტაცეზათა მოკლე დღე მიქრის
და პოეზიის ჩამქრალა ცეცხლი.
წავიდა იგი, ლექსების ჟამი,
ჟამი გართობის და სიყვარულის.
ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა წამი, —
გაქრა და დარჩა სევდა ფარული.
თუ ადრე მისი ცეცხლი მეგბარა
და სხვა ყველაფრის ვიყავე მგმობელი,
დღეს სამუდამოდ თვალს მიფარა
ქალღმერთი — წყნარი სავალობლების.

თარგმნა ოთარ კლიაძემ



ბიოგრაფიული პროფესორი

რომანი

თავი მერვე

ღორისმა სკოლა დაამთავრა და წავიდა. მგონი თბილისში მუშაობდა და თან დაუსწრებლად სწავლობდა. წასვლის წინ მითხრა, წერილებს მოგწერ და შენც მომწერეთ. ერთხელაც არ მოუწერია წერილი. ამაზე ძალიან ვწუხნდი. მერე მისამართი გავიგე და თვითონ მივწერე, სიტყვა რატომ გატეხე და არაფერს მწერ-მეთქი. თან დიდის ამბით ვაფრთხილებდი, მანდ ლამაზი გოგონები იქნებიან და არავინ შეიყვარო-მეთქი. სწორედ ამან დამლუპა. ჩემი წერილით ფოსტაში ვილაც დაინტერესებულა. ვილაც კი არა, ჩვენი ქიმიის მასწავლებელი, თამარ თეთრაძე. იქვე წაუკითხავს, აღშფოთებულა და სკოლაში მოუტანია. იმ დღესვე დამიბარეს დირექტორთან. „შენ წერ ასეთ წერილებს?“ — სწორედ ასე მკითხა, წერილებსო. მე დავწერე-მეთქი, მივუგე. მერე გამიჯავრდა და კარგა ხანს მესაუბრა, შენ არც ისე პატარა

ხარ, რომ არ გესმოდეს. შენ სახელს უნდა გაუფრთხილდე და სკოლასა და მშობლებს სირცხვილი არ აჭამოთ. ცალკე თამარ მასწავლებელი მომდგა, ამ გოგოს თვალებში აქვს ჭკუა, სულ პრანჭვა-გრეხაშია, თუ არ მოვუარეთ, სირცხვილს გვაჭმევსო. მერე წერილი მამაჩემს აჩვენეს. მამაჩემი ნერვიული კაცი იყო. კინალამ გავიყდა, რომ წაიკითხა. მაშინვე თმაში მეცა და მცემა, როგორ გაბედე ამის დაწერაო. დედაჩემს უთხრა, ამ გოგოს მიხედე, თორემ რამე ცუდი რომ გავიგო, ორივეს სახლში გამოგამწყვდევთო. მას შემდეგ ათასი თვალი მიდარაჯებდა, ვერ წარმოიდგენ, როგორ ვიტანჯებოდი. ბავშვებმაც გაიგეს ყველაფერი, სულ ჩურჩულებდნენ ჩემზე და ვინ იცის, რას არ იგონებდნენ. შემდეგ მამა გარდამეცვალა. სიკვდილის წინ მაკოცა, ატირდა და მითხრა, არ შემარცხვინოო. თვალის დასანახავად შემძულდნენ ბი-

ქები. ბორისის სახელის ვაგონებაც არ მინდოდა... ფიცი დავდე, არავის შევიყვარებ და არც ვავთხოვდები-მეთქი.

ლოლამ ლაპარაკი დაამთავრა. იგი კვლავ სადღაც შორს იცქირებოდა და ბალახის გამხმარ ღეროს წიწწნიდა.

— საწყალი გოგო, — ვთქვი მე, — საწყალი პატარა ლოლა!

ლოლამ გაიცინა.

— მერე ის ბიჭი აღარ გინახავს?

— როგორ არა. რამდენჯერმე ჩამოვიდა. ვაიხსენა ძველი სიყვარული. მაგრამ მე მასზე გული აღარ მომიბრუნდა. თუმცა რა მისი ბრალი იყო.

კარგა ხანს ვიარეთ. საღამო ხანს ფონი მოვძებნეთ, რომ ვალმა გავსულიყავით და დაბისაკენ მიმავალ მანქანას გავყოლოდით. შეიძლებოდა ავტობუსსაც გამოველო.

მსუბუქმა მანქანებმა ჩაიარეს, მაგრამ ისინი ან საერთოდ არ ჩერდებოდნენ, ან სვლას შეანელებდნენ და შიგ მსხდომნი თავაზიანად გვისინიძნენ, ადგილი არა გვაქვსო; თან ბოდვისაც იხდიდნენ. ბოლოს იმედი გადავიწყვიტეთ და ფეხით გავუღეჭით გზას.

მე მსიამოვნებდა კიდევ ფეხით სიარული, მაგრამ ლოლას ეტყობოდა, რომ დაიღალა, თუმცა არ ამჟღავნებდა და მეფიცებოდა, მეც ფეხით სიარული მირჩევნიაო. ამასობაში ცა საწვიმრად მოგზადა. ლოლა იცინოდა და ამბობდა, რამდენი ხანია თავით ფეხებამდე არ დავსველებულვარ, იღბლიანი დღე შეგვხვდაო. წვიმამ რომ დაუშვა, ცოტა შეეცვალა გუნება. მართალია, საწვიმარი ორივეს გვექონდა წამოღებული, მაგრამ ბევრი ვერაფერი ვვიშველა, რადგან წვიმა კოკისპირულად ასხამდა. გვციოდა, მაგრამ არ ვიმჩნევდით. უკვე ვნანობდით, ასე რომ დავაგვიანეთ გზაზე გამოსვლა. მაპატიე-მეთქი, ვუუბნებოდი ლოლას. ის კი, თავის მხრივ, ბოდვის მიხიდა, ჩემი ბრალია, მე უნდა მომეფიქრებინა უკან დაბრუნება, შენ აქაური არა ხარ და რა იცოდი, რომ საღამოობით ამ გზებზე მანქანები იშვითად დადიანო.

— მთავარი მაინც ისაა, სურდო არ შეგეყაროს, — ვუთხარი მე.

— მაგის არ მეშინია, — გავიცინოდა ლოლამ.

— მე კი, რაც აქ ჩამოვედი, მგონი ხუთჯერ მაინც მოვიხადე სურდო. მაღაზიაში შევალ თუ არა, გამყიდველი უსიტყვოდ მაწოდებს ცხვირსახოცებს. იცის, აუცილებლად ვიყიდი.

ლოლა უცებ შებრუნდა და გზას დააკვირდა.

— მგონი მანქანა მოდის, — თქვა მან.

ორი კაშკაშა ფარი სწრაფად ახლოვდებოდა. შორიდანვე ეტყობოდა, მსუბუქი მანქანა უნდა ყოფილიყო.

— მე ვაგაჩერებ, — თქვა ლოლამ, — იქნებ მათ რაინდულ თავმოყვარეობაზე ვიმოქმედო.

შემდეგ გზაზე გავიდა და მძღოლს ხელი დაუქნია. მანქანა მაშინვე გაჩერდა და წინა კარი სწრაფად გაიღო.

— სად მიხვალთ? — იკითხა შოფერმა.

— დაბაში, — უთხრა იმედმოცემულმა ლოლამ, — წაგვიყვანეთ, თუ შეიძლება!

— წაგიყვანთ, — თქვა შოფერმა.

ლოლამ უკანა კარი გააღო და მანქანაში სწრაფად ჩაჯდა. წინ ორი კაცი იჯდა, უკან — ერთი. მანქანაში უკვე ნახევრად შესული ვიყავი, რომ ვილაცამ ხელი მკრა.

— შენ სადღა მოძვრები? არ იცი, რამდენი კაცი ეტევა მანქანაში?

მაშინვე მივხვდი, მთვრალი იყო. ვიფიქრე, ამასთან მგზავრობას ისევე ფეხით წასვლა სჯობია-მეთქი. მაგრამ ლოლა უკვე მანქანაში იჯდა და გადაწყვიტე, მისი ხათრით როგორმე მომეთმინა.

— კარგი გულით სამნიც დავეტე-ვით, — ვთქვი მე და ვავილიძე.

— ჩაეთრიე! — დამიღრიალა უცნობმა და წამოღდა, თან ცალი ხელი ისე

გიორგი კეჭელაძე
მეთორმეტე წარი

მაგრად მოხვია ლოლას, არ გამეჭქესო, რომ ვოგომ ტკივილისაგან შეპყვირა.

— ჩაიდეთ, ვაჟა! — დამიძახა მან და კარისაკენ გამოიწია, — ჩაღი ახლავე!

მე მანქანიდან გადმოვედი, მაგრამ ლოლა ვერაფრით ვერ დაუსხლტა ხელიდან იმ კაცს. მაშინ ისევ მანქანაში შევხტი და მთვრალს ისე მოხერხებულად დავკარი მუშტი სახეში, რეზოს რომ დაენახა, ალბათ უყუყმანოდ მომანიჭებდა პირველ თანრიგს კრივში. მერე ისევ უკან გადავხტი. ამასობაში ლოლამ დრო იხელთა, მანქანიდან გადმოხტა და გულგახეთქილი მკლავში ჩამეჭიდა.

არ გასულა ერთი წუთიც, რომ თვალბამღვრელი და პირდორბლიანი უცნობი ჩემს პირდაპირ იდგა. მანქანიდან კი აუჩქარებლად გადმოდიოდნენ წინა სავარძელზე მსხდომნი: სახე-ბანჯგვლიანი, თავმოტვლეპილი შოფერი და ჭოკივით გრძელი მოჩვენება. მთვრალი მომვარდა და ელვის სისწრაფით ჰაერში ამიტაცა, რომ ძირს დავენარცხებინე და მერე ჩემთვის ძეგლი აეგო. მეც მაგრად ჩაჭიდე ხელი, ისე მაგრად, რომ ვერასგზით ვერ მომიცილებდა. მერე დავინახე, როგორ მოვიდა მოჩვენება ლოლასთან, ორივე ხელი წელზე შემოხვია, გულში ჩაიკრა და, მგონი კოცნაც დაუბირა. ამ დროს ფეხქვეშ მიწა ვიგრძენი, მაშინ მეორე ფეხი მოვხარე და ისეთი ძალით მივარტყი მუცელში, რომ კაცმა ვაიო, დაიღრიალა, ხელი შემიშვა და წელში მოიკუნტა. იმავე წამს კარგა დიდი ნახტომი გავაკეთე და მოჩვენებას ზურგში წიხლი ვუთავაზე. მას ხმაც არ ამოუღია, ისე ჩაიკეცა ასფალტზე. შოფერმა ეს რომ დაინახა, მანქანაში შევარდა და რკინის სახელური გამოიტანა. წასული იყო ჩემი საქმე. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ნეტა თავში მაინც არ დამკრას და აქვე არ გამათავოს-მეთქი. მაგრამ რალაც სასწაულთი უცებ ისიც ასფალტზე წამოწვა. მაშინვე დავინახე ამ სასწაულის მომქმედიც. ეს ლოლა იყო. მას ხელში ქვა ეჭირა. დრო აღარ დამიკარგავს და

სანამ შოფერი ასფალტზე „ნებივრობდა“, მივვარდი, რკინა ხელიდან გამოვტაცე და უკნიდან წამოპარებულ შოფერს ვენებას მხარზე მოვუნაცვე.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, ძლივს მოვასწარი იმის გაფიქრება, პირველი შემთხვევაა ბრძოლიდან გამარჯვებული რომ გამოვდივარ და ისიც სამის წინააღმდეგ-მეთქი. ცოტახნით სიჩუმე ჩამოვარდა. სამივენი ჩემს პირისპირ იდგნენ და გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდნენ. მეც სახელური მოვიმარჯვე და ველოდი, თუმცა ვიცოდი, რომ ასეთ დროს ლოლინი კაცს კარგს არაფერს მოუტანს. ამის მაგალითი საკუთარი გამოცდილებიდანაც ბევრი მახსოვდა. მე მაინც ვიდექი და ვუყურებდი, როგორ ისვამდა შოფერი თავზე ხელს და დროდადრო თითებზე იხედებოდა, სისხლი ხომ არ მდისო. ლოლას ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ აქვე, ჩემს გვერდით იდგა. ხელში სახელურს ვატრიალებდი და უძრავად ვიდექი. გულში იმედის ნაპერწკალი მენტო. იქნებ მშვიდობიანად მომიცილდნენ-მეთქი. ეს იმედი მაშინ გადამიწყდა, ის მოჩვენება და შოფერი ბუზღუნით რომ წამოვიდნენ ჩემკენ.

მოულოდნელად ყველაფერი განათდა და მაშინვე მივხვდი, ჩხუბი დამთავრებული იყო — მანქანა გვიახლოვებოდა. მერე ძრავას ხმაც გავიგონე. იმავე წამს ჩემი მტრები შეტრიალდნენ და ადგილს მოწყდნენ. კიდევ ერთი წამი და მათი მანქანა თვალს მიეფარა.

მე ისევ ისე ვიდექი. არც კი ვაპირებდი გზიდან გადახვევას. მანქანა ზედ ჩემს ზურგთან შეჩერდა და როცა შევტრიალდი, ვილაცამ დაიძახა:

— ვაჟა, შენა ხარ, კაცო? ამ შუაგზაზე რამ გაგაჩერა?

მანქანაში შევიხედე. შოფრის გვერდით პროკურორის თანაშემწე შალვა იჯდა.

— შენ ხარ, კაცო, ამ შუალამისას?

— მე ვარ, ვერ მიცანი? — საოცარი სიმშვიდით მივუგე მე და ლოლას ხელი დავუქნიე. ლოლამ ჩანთით ხელში

მორბინა და ჩვენ სწრაფად მოვთავსდით უკანა სავარძელზე.

— ფილმებში გამოძიებლები და პროკურორები ყოველთვის. თავის დროზე ცხადდებით ხოლმე, — ვუთხარი შალვას, — აქ კი რა ღმერთი გაგიწყრა. როცა ის ვაჟბატონები კარგად მივყევე, მერე რაში მჭირდებოდი!

— ვინ ვაჟბატონები, კაცო, გამაგებინე რას ამბობ!

— ვინ და ისინი, ახლახან მანქანით რომ გაიქცნენ. აი, ჩხუბი ეს იყო! თუმცა ლოლაც დამეხმარა. ეს ჩვენი კულტსახლის დირექტორია, ხელოვნების დიდი მოყვარული. ეს კი ჩემი ძველი მეგობარია, გამოძიებელი, — მივუბრუნდი ლოლას, — თან შეთავსებით პროკურორის მოადგილეცაა.

— რის ჩხუბი, რა ჩხუბი, გამაგებინე, კაცო! — თავი გამოიღო შალვამ, როცა ლოლამ ხელი ჩამოართვა და თავისი სახელი უთხრა.

— დიდი არაფერი, — ვთქვი გულგრილად, — მანქანა გვაჩერეთ. შიგ მთვრალეები აღმოჩნდნენ და ჩხუბი დავეწყეს.

— მერე?

— ცოტა შეხლა-შემოხლა გვექონდა, ეს სახელურიც წავართვი შოფერს, როგორც გამარჯვების სიმბოლო და უსიტყვო კაპიტულაციის საბუთი. ეს ოხერი, რატომღაც ზურგი მეწვის!

ლოლა შეშფოთდა და ხელი ზურგზე ფრთხილად მომისვა.

— მანქანის ნომერი ხომ არ ვახსოვს? — მკითხა გამოძიებელმა.

— არა, მაგრამ ჩვენს წინ მიდიან, — ვუთხარი მე, — „მოსკვიჩია“. ფერი კარგად ვერ გავარჩიე. სამნი სხედან. სამივენი მთვრალეები არიან.

— აუცილებლად დავეწვი, — თქვა შალვამ, — დავეწვი და ჰკუას ვასწავლი!

— შენ იცი, — ვუთხარი მე.

— მართლა მოერიე სამ კაცს?

— ვერა ხედავ?

— ჩემი ძველი მეგობარია, — უთხრა შალვამ შოფერს, — კრივში კი

ვარჯიშობდა, მაგრამ არ მეგონა, სამ კაცს თუ გაუმკლავდებოდა.

— რომელი თანრიგი ვაქვთ თხა შოფერმა.

— პირველი, — მივუგე მე და ლოლას ვუჩქმიტე. არაფერი წამოგცდეს-მეთქი.

— პირველი აქვს, — დაუდასტურა შალვამ, — ოსტატობაზე მუშაობს.

— ჰოო, — თქვა შოფერმა.

— იმათ დავეწვი და ვაჩვენებ სეირს, — მითხრა შალვამ.

— თავი დაანებე, — წამომცდა უცებ, — თავისი გაჭირვებაც ეყოფათ, — ვთქვი და მაშინვე ვინანე, ღმერთი არ გაუწყრეს და მართლა არ დაანებოს თავი-მეთქი.

— ჰო, მაგრამ შენზე სუსტი რომ შეხვედროდა ვინმე, ხომ საშინელ დანაშაულს ჩაიდენდნენ! ამ გზაზე სულ მოკრივეები ხომ არ დადიან! ვთქვათ და, ეჯობნათ შენთვის?

— ეჰ, რას ამბობ, როგორ მაჯობებდნენ!

— არა, ამ საქმეს ასე ვერ წავუყრებ, აუცილებლად დავეწვი იმ ლოთებს და ჰკუას ვასწავლი!

— როგორც გინდა, — ვუთხარი გულგრილად.

ერთ ხანს ჩუმად მივდიოდით. ლოლა მეკვროდა და ცახცახებდა. საწყალი გოგო რა დღეში ჩავარდა! რა გვეშველებოდა, მართლა რომ ეჯობნათ?

— შალვა!

— გისმენ.

— თუ ძმა ხარ, დაეწვიე და ტყავო გააძრე იმ ბანდიტებს. ხვალვე დამირეკე სკოლაში. ძალიან გეხვეწები, თუ გინდა თვითონ ჩამოვალ დაბაში. იცოდე, რომ გაგაქცენენ, ჩვენი ძმობა გათავდება.

— აბა რა! მეტსაც ვუხამ. მე მაგათ ვასწავლი, როგორ უნდა ჩხუბი და აყალმყალი!

— შენ სად ყოფილხარ ასე გვიან?

— ერთი დიდი საქმე გავხსენი... ოო,

გიორგი კეჭალმაძე
მეთორმეტე ზარი

რომ იცოდე, რა ჩახლართული საქმე იყო!

— აბა, აქაც შენებურად დატრი-
აღდი!

— გეკადრება? მაგათ გავუშვებ?

უკვე დაბაში ვიყავით. მანქანა საერ-
თო საცხოვრებელთან გავაჩერებინე.

— გმადლობთ, — ვთქვი მე, — გმად-
ლობთ. შალვა!

— არ ღირს, — მიპასუხა შალვამ, —
ახლავე დავეწვი იმ ხულიგნებს.

მე და ლოლა თავით ფეხებამდე გა-
ლუმბულები ქუჩაში ვიდექით.

— შევიდეთ ჩემთან, — ვუთხარი
ლოლას, — ტანზე გამოიცვალე. ამასო-
ბაში ჩაის ან ყავას ავადუღებ, მერე
შინ მივაცილებ.

— უხერხულია, დამინახვენ.

— ნუ გეშინია, კარგი მეზობლები
მყავს.

ლოლა წამომყვა. დერეფანში არავინ
შეგვხვებდრია. გროშას მისებურად კა-
რი რომ არ შემოედო და არ შემოხე-
ტებულიყო, შიგნიდან გასაღებით ჩაე-
კეტე.

— რატომ კეტავ? — მკითხა ლოლამ.

— ერთი მეზობელი მყავს, კარზე
არც კი დამიკაკუნებს ხოლმე, ისე შე-
მოდის.

— არა უშავს, ასე უფრო უხერხუ-
ლია, გააღე!

კარი ისევ გავაღე. მერე ლოლას
ჩემი ტანსაცმელი გადმოვუწყვეე, ჩაი-
დანი ავიღე და წყაროზე წავედი. რომ
დავბრუნდი, ლოლა ჩემს ტანსაცმელ-
ში გამოწყობილი დამხვდა, ნავთქუ-
რის ანთებაც მოესწრო.

— ახლა მე გავალ, — თქვა ლოლამ, —
შენც გამოიცვალე ტანსაცმელი. —
მერე კარგად დამაკვირდა და შეჰ-
ყვირა: — უიჰე! მართლა გაჭრილი გქო-
ნია ხალათი! სისხლიც გდის. ამდენ
ხანს როგორ ვერ შევამჩნიე? ახლავე
გაიხადე!

— არაფერია, — ვუთხარი მე, —
არც კი ვგრძნობ.

— ახლავე გაიხადე-მეთქი!

ხალათი გავიხადე. პერანგი ძალით

გამხადა. მერე ჰრილობა ოდეკალონით
მომბანა და შემხვია.

— მე გავალ, — თქვა მერე.

ლოლა გავიდა. ტანისამოსი სწრაფად
გამოვიცვალე და კარი გავაღე. ლოლა
დერეფანში იდგა.

— შემოდი, — ვუთხარი მე, — რა
შეშინებული სახე გაქვს?

— რომ დავენახე ვინმეს?

— მერე რა, ახლაც ხომ ცამეტი
წლის გოგო არა ხარ!

— მართლაც, — თქვა ლოლამ და
გაიღიმა, — ახლა დიდი ვარ, — მერე
უცებ მკითხა: — მანქანაში რომ ჩავსხე-
დით, მშვენიერ გუნებაზე იყავი, მერე
რალად ჩამოუშვი ცხვირი?

— მაშინ გამარჯვებას ვზეიმობდი
და ის მიხაროდა. მერე წარმოვიდგი-
ნე, რა მოხდებოდა, მათ რომ ეჯობ-
ნათ. შენ მართლა დიდი მოკრივე
ხომ არ გგონივარ? ბეწვზე გადავრ-
ჩით!

ძრავას სახელური იქვე, კედელზე
იყო მიყუდებული. ლოლამ თვალი
შეავლო და გაიცინა:

— ეგ სახელური რალად გინდოდა,
რომ წამოგიღია?

— რას ამბობ? მე ჯერ თავი სიზ-
მარში მგონია. ხვალ დავხედავ და თუ
ისევ ამ ადგილას დამხვდა, დავრწმუნ-
დები, რომ ყველაფერი სინამდვილე
იყო.

— საწყალი ეჭა! არ გინდა, ყველა-
ფერი ეს სიზმარი იყოს?

— არ ვიცი, მინდა და არც მინდა.
არ მინდა იმიტომ, რომ ბოლოს და ბო-
ლოს ჩემს სიცოცხლეში პირველად
გავიმარჯვე და ისიც სამის წინააღ-
მდეგ.

— პატარა ხარ, — თქვა ლოლამ, —
ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, არ მიკვირს,
ასე რომ გიძნელებდა მასწავლებლობა.

— ჭადრაკის თამაში იცი? — ვკი-
თხე მე.

— ვიცი.

— დღეს სამ კაცს მოვუგე. ამას
ჭადრაკის ენაზე ერთდროული თამაშის
სენსი ჰქვია. სამ კაცს ვეთამაშებო-

დი, სამ ძლიერ მოთამაშეს და მინც მოვუგე.

— გილოცავ!

— გმადლობთ. ხვალ მთელი თვის ხელფასს ვხარჯავ. ყველა ჩემი მეგობარი უნდა დავბატიყო, რეზოს კი თამადად დავნიშნავ. ჩემი მწვრთნელია. სამ კაცს მოვუგე კრივში, ხუმრობაა! თანაც ყველა უპირატესობა მათ მხარეზე იყო: რიცხობრივი, ტერიტორიული, მატერიალური და რა ვიცი, კორიფე რა...

— არ არის სწორი, — თქვა ლოლამ, — მატერიალური უპირატესობა შენს მხარეზე იყო, ისინი უდღეოდ გეთამაშებოდნენ.

— მართალი ხარ, მე ჩემმა დედულამ მომიტანა გამარჯვება.

მალე ჩაიც ადულდა. ვივასშმეთ; შემდეგ ლოლა შინ მივაცილე. დაბრუნდი თუ არა, ლოგინში შეეძვერი. მაშინვე მკვდარივით დამეძინა. მართლაც, საშინლად ვიყავი დაღლილი.

ჩვენში თოვლი იშვიათად მოდის ხოლმე, მაგრამ ზამთარი საკმაოდ ცივი იცის. მიუხედავად ამისა, მეხუთე წელია აქ ვეცხოვრობ და ოთახში ჯერ დუმელი არ დამიდგამს. ნავთქრა მაქვს, იმას თუ ავანთებ ხანდახან, ეს არის და ეს. არც იონაა მცივანა, თუმცა რა შეაციებს, დილიდან საღამომდე ტყეში დარბის სანადიროდ, შინ რომ ბრუნდება, უკვე ღამეა. ისიც მაშინვე ლოგინში შეძვრება და დილაზე გვერდს არ შეიცვლის, ისე სძინავს. არ მახსოვს, როდისმე სურდო შეჰყოფიდა. თუმცა სხეულის გაკაყებაზე დიდად როდი ზრუნავს. ეცინება ხოლმე, დილით ადრიადა რომ წამოვდგები და მდინარისაკენ გავრბივარ ცივ წყალში საბანაოდ. ამ ყიამეთში რომ მდინარეში ვიბანაო, მერე ალბათ მამხუციერიც ვერ მიშველისო, — ამბობს იგი.

ოდნავ აცივდება თუ არა, მაშინვე ვიწყებ „გაკაყებას“. მდინარე შორს არაა. სანამ საბანაოდ წავიდოდე, ჩაი-

დანს ნავთქრაზე ვტოვებ. როცა დაბრუნდები, წყალი ადუღებული მხვდება, ვისაუზმებ და სკოლისაკენ ვბრუნდები. დერეფანში რომ გავივლი, ვაქას ოთახის კარზე დავაკაკუნებ. ვაქა თუ მზადაა, რამდენიმე წუთში წამომეწევა. მაგრამ ეს იშვიათად ხდება. ზოგჯერ ჩემს კაკუნზე ეღვიძება და გახარებული მეუბნება, შენ გიშველა ღმერთმა, დავიანებას გადამარჩინე, თუმცა ჯობდა, ცოტა ადრე გავეღვიძებოდა, საუზმობასაც მოვასწრებდიო.

სკოლაში ყველაზე ადრე მე მივდივარ. შინისაკენ მიმავალი სკოლის დარაჯი მუდამ კიბეზე მხვდება, „გაუმარჯოს“, მესალმება იგი და პაპიროსს მთხოვს, რომ ცოტა ხნით შემაჩეროს და გამომელაპარაკოს.

— ხომ კარგად? — მეკითხება იგი, სანამ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს ვიღებ.

— გმადლობთ, — ეპასუხობ, — არა მიშავს.

— აცივდა, ხომ?

— მაგრამ აცივდა. დიდი ზამთარი იქნება.

— ნამდვილად იქნება, — მეუბნება დარაჯი, სიგარეტს მართმევს და ცეცხლს უკიდებს.

— დღეში ერთი მეტს არ ვეწევი, — განაგრძობს შემდეგ, — იმიტომაც არ ვყიდულობ. რომ ვიყიდო, უფრო ხშირად მოვწევი. არ მინდა მივეჩვიო.

— ნუ მიეჩვევი, მავნებელია.

— ეს ერთი რას მიზამს, — მეუბნება იგი და სიგარეტს თხრილში ისვრის, — ახლა უნდა წავიდე და დავიძინო. კარგად იყავი!

— ნახვამდის, — ვეუბნები მე და დერეფანში შევდივარ.

ჩემს შემდეგ დირექტორი მოდის ხოლმე. იგი დერეფანს ჩქარი ნაბიჯით გამოივლის. სამასწავლებლოს კარს შემოაღებს, შემოიხედავს, „სალამი, ანტონ!“, — იტყვის ხმადაბლა, კარს ისევ გაიხურავს და პირდაპირ თავის

გიორგი კეჭელაძე
მეთორმეტე ზარი

კაბინეტისაკენ გაემართება. იქ ხუთი-ოდე წუთს გაჩერდება, მერე ისევ დერეფანში გამოვა. ჯიბეებში ხელეჩაწყობილი ყოველი ოთახის კართან შეჩერდება, ოთახში შეიხედავს, ერთი-ორჯერ თავს გააქნევს, ხანდახან შევა კიდევ, გულდასმით მოათვალიერებს ღუმელს, ფანჯრებს, დაფას, მაგიდას. ბოლოს ეზოში ჩავა და შეწუხებული სახით ხან სად შეჩერდება, ხან სად. ხელით მოსინჯავს ღობეს, ბაღშიც გადაიხედავს და მხოლოდ ამის მერე ბრუნდება უკან. ახლა სამასწავლებლოში შემოვა და შთაბეჭდილებებს მიზიარებს.

ესა და ეს გაუფუჭებიათ და კაცი-შვილს ყურადღება არ მიუქცევიათ, ესა და ეს გასაკეთებელია და არავინ თავს არ იწუხებსო. მე თავს ვუქნევ, სწორია-მეთქი. მიხეილი კი წინ და უკან დაბიჯებს. გამოხედვაზე ეტყობა, ერთ რამეში მტკიცედაა დაარწმუნებული: სკოლაში ერთხელ მაინც რომ არ მოვიდე, აქაურობა ელვის სისწრაფით გავერანდება, ფანჯრები ჩაილეწება, მერხები ნამსხვრევებად იქცევა; მასწავლებლები სკოლაში სულაც არ გამოცხადდებიან, თავზეხელაღებული ბავშვები კი ერთმანეთს ცხვირ-პირს დაამტკრევენო. „აი, ვინ ვარ მე, — ამბობს მისი შეწუხებული და გატანჯული სახე, — სკოლისათვის თავდადებული ადამიანი ვარ, მომბაძეთ ყველამ, ჩემსავით გულთან მიიტანეთ საქვეყნო და სახალხო საქმე!“

სკოლის ეზოში მესამე ყოველთვის თედო გამოჩნდება. იგი ნელა მოდის, ძალიან ნელა. თუ ქუჩაში შეგხვდა, სალაში აუცილებლად პირველმა უნდა უთხრა, თორემ შეიძლება სულაც ვერ შეგამჩნიოს. სამასწავლებლოში შემოვა, მიიხედ-მოიხედავს, ლიღინით იტყვის სალამს და დატანს: „ისევ შენ ხომ, ძველო გვარდია?“.

— ისევ ჩვენ, — ვპასუხობ მე და ფანჯარაში ვიქტირები. ვხედავ, როგორ მოდიან ბავშვები სკოლისაკენ. ქუჩებში პატარა, ჰრელი ნაკადულები მოწანწყარებს. ეს პატარა ნაკადულები

ერთმანეთს სწრაფად უერთდება სკოლის ეზოში უკვე მოზრდილი მღერნარე შემოდის.

სამასწავლებლოს კარი წამდაუჭრებელია. განუწყვეტლივ შემოდიან მასწავლებლები. „გამარჯობა“, — ისმის ყოველ წუთს. „გაგიმარჯოს“, — ვპასუხობ მე. „გამარჯობა“, — ამბობენ სხვებიც და თავიანთ საქმეს განაგრძობენ. ახალმოსულიც მაშინვე ავიწყდება ყველას.

ახლოვდება გაკვეთილების დაწყების დრო. თედო ცხრილს კითხულობს და მასწავლებლებს ათვალიერებს, ყველა აქ არის თუ არა! „აბა, მზად არიან ჩემი მეომრები? დავიწყეთ ბრძოლა“, — იცის ხოლმე თქმა. მორიგეებიც იქვე დგანან. „ყველანი აქ არიან“, — ამბობენ ისინი, „ყველანი ვართ, მაშ, ვიწყებთ ბრძოლას!“ თუ რომელიმე მასწავლებელი არ არის, თედოს სახე მოედრებულა. „რა მოუვიდა? აგვიანებს?“ „არა, ავად არის“, — ამბობს ვიღაც. „მერე, კაცო, ვერ დამირეკა მაინც? ხომ გითხარით, ავად არ განდეთ-მეთქი. რა ვუყო ახლა იმ კლასს? ასე კი არ არის, ძმაო, აქ სკოლაა“, — ჩვენს ნებაზე ხომ არაა, ბატონო თედო, კარგად ვიქნებით თუ ავად“. „აი, ახალი ამბავი. აბა, ვის ნებაზეა? მოგუაროთ თავს ამ ორ დღეს. რა გქნა, კაცო, ვინ გავუშვა იმ კლასში. გამოვიწერო მასწავლებელი, თუ?.. ამიტომ გეუბნებით, დროზე მაინც შემატყობინეთ-მეთქი. წინდაწინ გავაფრთხილებდი ვინმეს“. მერე აუცილებლად იპოვნის თავისუფალ მასწავლებელს, ან პიონერხელმძღვანელს ჩაიგდებს ხელში. „ა, კაცო, მიშველე რამე. აიკლებენ ის ჭინკები ყველაფერს. გააჩერე გაკვეთილზე, რამე საინტერესო უამბე. იშოვეს ავადმყოფობის დრო!“

ამასობაში ზარიც დაირეკება. ელვის სისწრაფით დაცარიელდება ეზო, კიბე, დერეფანი. აქა-იქ კართან თამამი ბავშვები დგანან: „მოდის თუ არა ჩვენი მასწავლებელი? ვის მოაქვს ჩვენი ყურნალი?“ მოჰკრავენ თუ არა თვალს მასწავლებელს, მაშინვე კლას-

ში შერბიან. მერე ყველაფერი წყნარდება, მშვიდდება და იწყება „ბრძოლა“.

ამ დროს დერეფანში თუ გაივლი, მიხვდები, რომ ეს მართლაც ბრძოლაა, დიდი, ხანგრძლივი ბრძოლა. იგი თვითეული მოსწავლისათვის ათი-თერთმეტი წელი გრძელდება. მასწავლებლისათვის კი დაუსრულებლად, ზოგჯერ სიცოცხლის ბოლომდეც. ეს ბრძოლა ჩხირების თვლით იწყება და სინუსებით და კოსინუსებით მთავრდება. იწყებენ თითის სიგრძე გოგონები და ბიჭები, სკოლაში დედები, ძმები, დეები რომ მოაცილებენ ხოლმე და მერე კარგა ხანს დგანან დერეფანში, ბავშვმა უტეხს არ მოიწყინოს და ღრიალი არ ატეხოსო. იწყებენ ეს შეშინებული პატარები და ამთავრებენ ტანაყროლი, ზრდადასრულებული ქალიშვილები, მაღალკანჭებიანი, კუნთმავარი ბიჭები, საულვაშეები ახლახან რომ შეგინგილიათ.

გადის ორმოცდახუთი წუთი და მეორედ გაისმის ზარის ხმა. ათწუთიანი შესვენებაა. სამასწავლებლოში შეგდევარ. დერეფანი, ეზო, კიბე კვლავ ბავშვებით ივსება. ხმაურობენ, იცინიან... მე სიგარეტს ვიღებ და ვუკიდებ. სიგარეტს ეწევიან თედო, ვახტანგი, ზოგჯერ ვაჟაც. ქართლოსი და რეზო სწრაფად აწყობენ ჭადრაკის ფიგურებს, ყოველი წამი ძვირფასია. ვახტანგი ხმადაბლა ახველებს და საკამათოდ ემზადება. ქალბატონი თამარი სამასწავლებლოს ათვალიერებს და მორიგ მსხვერპლს ეძებს, რომ თავის სტუდენტობაზე და დაღუპულ ცხოვრებაზე ელაპარაკოს. მაგიდასთან დაწყებითი კლასის მასწავლებლები სხედან და საკონტროლო წერის რვეულებს ერთმანეთს ამაყად აჩვენებენ: „ნახე, როგორ წერს?“ „მშვენიერია!“ „პირველად ვხედავ, ბიჭს რომ ასეთი კარგი ხელი ჰქონდეს“. „რას ამბობ, ქეთევან, ჩემს ლევანს, გოჩაშვილს, ცუდი ხელი აქვს? ახლავ გაჩვენებ“.

ისევ ირეკება ზარი... ისევ ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილი, მერე ათ-

წუთიანი შესვენებაა. კვლავ ^{თითო} სიგარეტი, თითო საჭადრაკო ^{პარტია} ვახტანგის რომელიმე ახალი ^{გადაწყვეტილებით} კვლავ ორმოცდახუთი წუთი. ახლა დიდი დასვენებაა — ქართლოსი და რეზო ორი პარტიის თამაშსაც მოასწრებენ. ბოლოს და ბოლოს თამარიც ჩაიგდება ხელში ვაჟს. ჩვენ თითო სიგარეტსაც მოვწევთ: ისევ ორმოცდახუთი წუთი. და ასე შემდეგ. პირველი, მეორე, მესამე... მეხუთე, მეხუთის შემდეგ მე ყოველთვის ვითვლი ზარს, ეს ჩვეულებად გადაამქცა. დაირეკება და ვამბობ ჩემთვის: „მეექვსე“, ისევ დაირეკება: „მეშვიდე“. და ასე მეთორმეტემდე. მაშინ ჟურნალს თარიღე ვღებ. ცარციან თითებს წყლით ვისველებ და ცხვირსახოცით ვიწმენდ.

მერე ვაჟასთან ერთად სასადილოში მივდივარ. უსიტყვოდ მივუსხდებით მაგიდას. ოფიციალტიც უსიტყვოდ მოგვიტანს საჭმელს. სადილის შემდეგ კარგა ხანს ვზივართ ჩუმად. უკვე აღარ შეგვიძლია ლაპარაკი, ხმის ამოღებაც არ გვინდა. მთელი დღე ვლაპარაკობთ, მთელი ექვსი საათი, დავიღალეთ, სიჩუმე მოგვენატრა.

ვზივართ ასე. მერე ვღებები და კვლავ სკოლისაკენ მივდივარ, საკონტროლო წერის რვეულები მაქვს გასასწორებელი. მაგიდას მივუჯდები, მარცხნივ რვეულების მთელი დასტა მიდევს, წინ — წითელი მელნით სასვე ბოთლი. რვეულს ვიღებ და მშვიდად ვფურცლავ. ამ დროს მთავარია მშვიდად იყო. ნერვები დამშვიდებული უნდა იქონდეს, თუნდაც რვეულში ერთი და იგივე შეცდომა ათჯერ განმეორდეს. არა, არაფერზე არ უნდა იფიქრო. თუ თავს დაღლა შეატყვე, მაშინ შეგიძლია დროებით მოსცილდე კიდევ სამუშაოს, ოთახში გაიარ-გამოიარო და შემდეგ ისევ მაგიდას მიუჯდე. საქმის გადადება არ ღირს. სულ ერთია, ხვალ მაინც უნდა გაასწორო! ხვალ არაფრით არ იქნები უკეთეს

გიორგი კეჭელაძე
მეთორმეტე ზარი

გუნებაზე. ვერც ზერელედ გადაავლებ თვალს რვეულებს — მაშინვე გამოგრჩება შეცდომა.

გადის ერთი საათი, მეორე. ზამთარში ადრე ღამდება, შეიღ საათზე უკვე ბნელა. ისევ ირეკება ზარი. ახლა საღამოს სკოლა იწყებს მუშაობას. ისევ ჟურნალი, ცარცი, ისევ ორმოცდახუთი წუთი. კლასში აქ გაცილებით ცოტანი არიან — ათი-თორმეტი, დიდი-დიდი თხუთმეტი მოწაფე იყოს. ისინი არასოდეს არ ცეკუბობენ, არც ზედმეტს იტყვიან რამეს. ვაკვეთილზე უჩვეულო სიჩუმე დგას. მაგრამ აქ კიდევ უფრო ძნელი ხდება სწავლება. ბევრი რამ დავიწყებულია. ბევრი რამ თავის დროზე არ უსწავლიათ. დროც ნაკლები აქვთ; — დღისით მუშაობენ.

პარასკევსა და შაბათ საღამოს სკოლა არ მუშაობს და მე კინოში ან ბიბლიოთეკაში მივდივარ. მეტი რა საქმე მაქვს. საღამომობით ვზივარ და ვკითხულობ. ზოგჯერ ერთსა და იმავე წიგნს მეორედ და მესამედაც კი ვაღვიკითხავ.

ასე გადის მთელი დღე. ყველაღლე საოცრად ჰგავს ერთმანეთს და ამავე დროს არცა ჰგავს. თვითონ მე ვიცვლები, ყოველდღე ვიცვლები. გუშინ სხვა ვიყავი, ხვალ კიდევ სხვა ვიქნები. ეს შეგრძნება ყოველთვის მქონდა, ბავშვობიდანვე. ომის დროს განსაკუთრებით მძაფრად დამეუფლა ეს გრძნობა. იქ, ფრონტზე ყოველდღე კი არა, ყოველ საათს სხვადასხვანაირი ვიყავი. იქ ყველანი ისე სწრაფად ვიცვლებოდით, ისე სწრაფად გავდიოდით სიცოცხლის გზას, რომ ხშირად ერთი ან ორი დღის განშორების შემდეგ ერთმანეთის ცნობაც კი გვიძნელდებოდა.

სასადილოდან რომ გამოვედი, მაშინდა გამახსენდა, ვაჟა უნდა მენახა. დღეს პირველად ვააცდინა ვაკვეთილი. ავად იყო. დილით, სანამ სკოლაში წავიდოდა, ჩემთან შემოვიდა, სახე აწითლებული ჰქონდა, თვალები ამღვრეოდა.

მითხრა, სიცხე მაქვს, გუშინ გავცივ-

დი, თედოს გადაეცი, სკოლაში მოვალო. მერე წავიდა და ისევ ჩაწვა ლოგინში. ერთი ჭიქა ცხელი ვუტანე, მაგრამ არ გაეკარა. თედოს რომ ვუთხარი, დღეს ვაჟა ვერ მოვა-მეთქი, ბევრი იბუზღუნა, მერე მკითხა, მართლა ძალიან ცუდად ხომ არ არის; თუ ასეა, საავადმყოფოში დაწვეს, შინ ვინ მოუვლისო. სამი ვაკვეთილის შემდეგ სკოლაში ვილაცამ დარეკა რაიონის ცენტრიდან. ვაჟას ავადმყოფობა რომ გაიგო, შეწუხდა, გადაეცით, დრო რომ მქონდეს, აუცილებლად ვნახავდიო. ვილაც ხულოგნები დავიჭირე, მისი თხოვნა შეევასრულეო. კარგად რომ ვახდებოდა, აუცილებლად ჩამოვიდეს და ის გოგოც წამოიყვანოსო. მისი ნათქვამიდან ბევრი ვერაფერი გავიგე. რა ხულოგნები, ვინ გოგო? რა თხოვნა უნდა ჰქონოდა ასეთი ვაჟას?

ჩვენი სახლის დერეფანში მაყვალა ქუქჩიშვილი შემეფეთა. მე რომ დამინახა, სახე აელენწა, რალაც ჩაილულულა და გაიქცა. ვაჟას ოთახში შევედი. იწვა. კარის ჭრიალზე თვალები გაახილა და წამოიწია.

— ისევ დიდი სიცხე გაქვს? — ვკითხე მე.

— ოცდაცხრამეტი, — მითხრა და თერმომეტრზე მიმითითა.

— ის გოგო ახლა აქ იყო?

— მაყვალა? ჰო, აქ იყო.

— რა უნდოდა?

— მივლიდა. შენ გითქვამს, ავად არისო. ვაკვეთილიდანაც გაგინთავისუფლებია. მეექვსე ვაკვეთილი კი თვითონ მიუტოვებია.

— არ გაუჯავრდი?

— შენ რატომ უთხარი, ავად არისო?

— მკითხა, ინგლისური ხომ არ გავციცდებოა. კი, ვაჟა ცოტა შეუძლოდ არის-მეთქი. მაშინვე ატყდა, თუ შეიძლება თქვენი ვაკვეთილიდან გამანთავისუფლეთო. არ მომეშვა, მეც ავდექი და გავანთავისუფლე. სულ არ მიფიქრია, რომ აქ მოსვლას ვაბედავდა.

— კარგ დროს კი მომისწრო. ჩაიამიღულა, ერბო-კვერცხი გამოკეთა,

წამლებიც მომიტანა. ძლივს დავაკავე, თორემ ექიმთანაც გარბოდა.

— ჰო, მაგრამ ხომ იცი...

— ყველაფერი ვიცი. მთელ სკოლაში მარტო მაგ ბავშვს არ ვძულვარ და მასაც თავი შევაჯავრო?

ახლოს მივედი და ხელი შუბლზე დავადე. მართლაც მაღალი სიცხე ჰქონდა.

— ექიმი ხომ არ მოვიყვანო? — ვკითხე მე, — იქნებ საავადმყოფოში დაწოლა სჯობდეს. აქ ვინ მოგივლის? სხვა არა იყოს რა, მშვიერი მოკვდები.

— არ არც ექიმი მინდა, არც საავადმყოფო. არაფერი არ მინდა. აი, ისევ გამოვიღის მაყვალა და მეტი არაფერი მინდა, მაშინვე მოვრჩები.

— გუშინ სად იყავი მთელი დღე? სად გაცივდი?

— გავისეირნეთ. საღამოს წვიმამ მოგვისწრო და დავსველდით.

— ვინ გახლდა?

— ლოლა. რომ იცოდე, რა ამბები გადაგვხდა!

მე ვუთხარი, რაიონის ცენტრიდან დაგირეკეს, ვილაცემები დაუჭერიათ-მეთქი. ვაჟას სიხარულისაგან თვალი გაუბრწყინდა.

— მაშ, დაუჭერია? შენ კი გენაცვალე, შალვა! ბიჭი არ ვიყო, სამაგიერო პატივი თუ არა გცე.

— ვინ დაუჭერიათ? — ვკითხე მე.

— ო, გრძელი ამბავია, ამ სახელურს ხედავ? ნადავლია. სამი კაცი გავლახეთ მე და ლოლა. რა გოგო ყოფილა!

— დალაგებულად მიაშვე.

— არა, ვერ გიამბობ. მინც გამომრჩება რამე. არ მინდა გამომრჩეს. მერე მოგიყვები ყველაფერს. სკოლაში არის რამე ახალი? თედომ რა თქვა?

— არაფერი. ეწყინა კი. თუ ცუდად არის, საავადმყოფოში წაიყვანეო, მთხოვა.

— ცხადია, ეწყინებოდა, — გაცივდა ვაჟამ, — თედოს გაკვეთილს ნუ გაუცდენ და თუ გინდა, მოკალი.

კარი გაიღო და ოთახში გრიშა შემოვიდა.

— ამ ბიჭს რა მოუვიდა? — იკითხა მან, — გაცივდა სადმე?

— ჰო, გაცივებულა.

— მე კი არც შემოვსულვარ, — სინანულით თქვა გრიშამ, — მთელი დღე მარტო იყავი?

— მარტოდმარტო ვიყავი, — მიუგო ვაჟამ, — ეგ არის შენი მეზობლობა?

— რა ვიცოდი. სკოლაში მეგონე. გინდა რამე?

— არაფერი არ მინდა.

გრიშა საწოლთან მივიდა. საჭიროდ ჩასთვალა ვაჟას შუბლი მოესინჯა.

— იწვის კაცი!

— ის წიგნი წაიკითხე? — ჰკითხა ვაჟამ, — კიდევ მაქვს ერთი, უფრო საინტერესო — სერბიულ-ხორვატული ლექსიკონი.

— არავის ათხოვო. მერე წავიღებ. ჰო, მართლა, მოტოციკლეტი ვიყიდე, ხვალ შინ მოვიყვან.

— მომილოცავს! — ვუთხარი მე და ხელი ჩამოვართვი.

— გმადლობთ, — გრიშას სახე გაეზარდა, — დიდებული მანქანაა. თვითმფრინავს ჰგავს.

— როდის მოგვატეხინებ კისერს? — ჰკითხა ვაჟამ.

— როგორც კი ადგები.

საღამოს სკოლაში ვიყავი წასასვლელი. ამის გარდა, სანამ მეცადინებოდა დაიწყებოდა, რვეულები მქონდა გასასწორებელი. ვაჟასთან გრიშა დავტოვე და წავედი.

დეკემბრის ბოლოს ძალიან აცივდა. მთელი კვირა გადაუღებლად წვიმდა. მერე თოვა დაიწყო და მეორე დღეა, განუწყვეტლივ თოვს. თოვლმა ბავშვები მთლად გადაარია. დასვენებებზე საკლასო ოთახში ან დერეფანში რაღაცა გააჩერებთ. დაირეკება თუ არა ზარი, კისრისტეხით ჩარბიან კიბეზე და ეზოს მოეფინებიან. ჩაღდება გუნდაობა, კილაობა, არის ერთი წიოკობა და აურ-

გიორგი კეჭალმაძე
მეთორმეტე ზარი

ზაური. ბიჭები კლასების მიხედვით იკავებენ პოზიციებს: „ცეცხლს“ ჯერ შორიდან აჩაღებენ, მერე თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს და ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიან. ვაკვეთილზე ერთიანად თოვლში ამოგანგულნი სხედან. დირექტორის ყვირილი წუთითაც არ წყდება. კაბინეტში სულ ახალ-ახალი დამნაშავეები მოჰყავს. სამასწავლებლოშიც ბლომად მოიყარეს თავი სიცივისაგან აძაგაგებულმა და გალუმპულმა ბიჭებმა. ისინი თავდახრილნი დგანან და განაჩენს ელიან. დირექტორმა სახელდახლოდ გამოსცა ბრძანება: კლასის ხელმძღვანელები წუთითაც არ მოსცილდნენ თავიანთ კლასებს; არც ერთი მოსწავლე არ ჩავიდეს ეზოში; არც ერთი მასწავლებელი არ გაჩერდეს სამასწავლებლოში. ყველანი გარეთ, დერეფანში, ეზოში, კლასებში უნდა იყვნენ. უნდა შევაკავოთ ბავშვები, სანამ ყველაფერს დაამტკრებდნენ და დაღეწავდნენ. შესვენებებიც შევამოკლეთ, მაგრამ სულ ხომ ვერ გავაუქმებდით? ყველანი დავილალოთ. „ამათ უნდა შევავაზო ჩემი ნერვები? — გაიძახის გამწარებული თამარი, — ვაკვეთილის შემდეგ დასვენება არ გვინდა? მანქანები ხომ არა ვართ?“ — მე კიბესთან ვდგავარ და ეზოში ვიციკირები. ბარაქიანად თოვს და „ბრძოლის ველი“ ფართო ფანტელებით იფარება. ვაჟა ჩემს გვერდით დგას. თვალები მოუსვენრად უციმციმებს და სახეზე უცნაური ღიმილი დასთამაშებს. ერთი სული აქვს, ეზოში ჩავიდეს და პატარა ბიჭვით თოვლში გადაეშვას. კიბის სახელურზე თოვლს ხვეტავს და თითებით სრესს. მერე აქა-იქ მიყუყუღ, დაღონებულ ბავშვებს ჩემად უღიმის, მესმის თქვენნი, მაგრამ რას იზამ; ცოტაც მოითმინეთ, აი, შინისკენ რომ გაუღდგებით გზას, იცოცხლეთ, დროს იშოვითო. დერეფანში ნერვებაშლილი თამარი დაბიჯებს, წამით ჩვენთან შეჩერდება: „ამ გიყებს უნდა შევწირო ჩემი სიციოცხლე? აბა, ერთი შეხედე, ვინმეს წიგნი თუ უჭირავს ხელში. რის

სწავლა, რა სწავლა! ათამაშეთ და მეტი არაფერი უნდათ“. — მერე კვლავ განავრძობს გზას. ვაჟა კი მოუსვენრად აცეცებს თვალებს და ისევ ბავშვებს უღიმის... „მართლა ასეა, მართლა არ გინდათ სწავლა?“ ბავშვები გაათამაშდნენ და ახლა ისინიც უღიმიან. აი, როგორც იქნა, ვნახეთ კაცი, ჩვენ რომ თანაგვივრძობსო. ერთი მათგანი უკვე კიბეზე მოძვრება, რომ თოვლის რამდენიმე ფანტელი მიანიც დაიჭიროს.

— წადი, ბიჭო, წიგნს მოკიდე ხელი! — უჯავრდება ვაჟა, — თოვლი არ გინახავს?

ბიჭი იშშუშნება და კიბეს უხალი-სოდ სცილდება.

— სანადირო ამინდია, — ამბობს ვაჟა, — ეჰ, ახლა თოვლში მარბენინა!

— დეპეა უნდა გავუგზავნო იონას, — ვეუბნები მე, — აუცილებლად ჩამოვა.

— ჩამოვა, — მიიმედებს ვაჟა, — როგორ არ ჩამოვა. გრიშა თუ მათხოვებს თოფს?

— გათხოვებს, გრიშა იშვიათად დადის სანადიროდ.

— დავაქაცდა შენი შვილობილი, ანტონ.

ეს თედოა. მან ვაჟას მხარზე ხელი გადახვია. მე უკვე მის მამობილად მომნათლეს.

— დავაქაცდა, — მიეუგე მე, — სულ თოფსა და ნადირობაზე ოცნებობს.

— ომის მერე თოფს არ გავკარებდევარ, — ამბობს თედო, — აღარ მცალია, — მერე ვაჟას მიუბრუნდა: — რას შვრებიან ჩვენი ბავშვები, სწავლობენ ინგლისურს?

— ო, საუცხოოდ, უკვე ინგლისურად აზროვნებენ.

— ჰოდა ასე, — იღიმება თედო, — ვაკვეთილზე ხელს ხომ არ ვიშლიან?

— ისე, ხანდახან.

— ძალიან არ ინერვიულო. უარესია. ასე უეცრად კლასს ვერ დაიმორჩილებ. ბევრნი არიან. სულდათქმუ-

ლად უნდა იმუშაო. ერთად თუ შეუ-
ტევ ყველას, ვერასოდეს ვერ მოერე-
ვი. სათათაოდ კი ყველას დაიმორჩი-
ლებ. მაშ, სწავლობენ ინგლისურს?
კარგია!

— მეტსაც შვრებიან, — თქვა ვა-
ჟამ, — ჩემს გაკვეთილზე ყველაფერს
სწავლობენ: სიმღერას, ცეკვას. ნამდ-
ვილი მსახიობები არიან. ამას წინათ
სიმღერის გაკვეთილი მქონდა. მთელი
გაკვეთილი მღეროდნენ. ვერც კი შე-
ატყობ, ვინ მღერის. სხედან თავის-
თვის მერხზე და ასე პირმოკუმული
ერთხმად ზუზუნებენ „სულიკოს“.
რომელ ერთს დასჯი? რა იცი რომე-
ლი! მერე დაფისაკენ თუ მიბრუნდი,
ვინმე მეტისმეტად გათავებდებული
წამოხტება და დაველურს დაუვლის.
მიბრუნდები მისკენ და ისეთი უმწი-
კვლო და უცოდველი თვალებით შე-
მოგხედავს, ისეთ გულუბრყვილო სა-
ხეს მიიღებს, მაშინვე ეპვი შეგეპარება,
ხომ არ მომეჩვენაო.

— ეს რომელ კლასში ხდება? —
იკითხა თედომ.

— თითქმის ყველგან, განსაკუთრე-
ბით კი მეხუთესა და მეექვსეში, ყვე-
ლაზე მხიარული ხალხი მაინც მეხუ-
თეშია.

თედო ჩაფიქრდა.

— უნდა უშველო რამე, — თქვა
მან, — როგორმე სხვანაირად უნდა
მიუდგე.

— სულ ამაზე ვფიქრობ, მაინც არა-
ფერი გამოდის.

— მე შევიდოდი მეხუთე კლასში,
მაგრამ ზომ იცი, ასეთ საქმეში ჩარევა
შინცდამაინც კარგი არაა. მასწავლე-
ზელმა თვითონ უნდა მოუთაროს თავის
გაკვეთილს. სხვისი ჩარევა ზოგჯერ
უარესიც არის...

ზარი დიარეკა. დიდი დასვენება
დამთავრდა. თედო მე მომიბრუნდა.

— მერე რაღაც უნდა დავავალო, ან-
ტონ, გამახსენე, თუ ძმა ხარ!

თედომ მერვე კლასის ხელმძღვანე-
ლობა დამავალა. ყველაზე ზარმაცი და
თავაშვებული ბავშვები ამ კლასში

იყვნენ. მათი ხელმძღვანელი ხელმძღვანელი
გელაშვილი სულ იმას გაიძახოდნენ, რომ
დამეხმარეთ, ან ვისაც გინდათ, გინდათ,
ჩააბარეთ ეს კლასი, მე ვერ მოვუვ-
ლიო. ნუნუ ავად არის. მთელი კვირაა
სავადმყოფოში წევს, თებერვლამდე
ვერც დაბრუნდება თურმე.

— ბარემ ჩამომახრჩვეთ, — ვუთხა-
რი თედოს, — აღარ შემიძლია ამდენი.

— უარს ნუ იტყვი, — მითხრა თე-
დომ, — ჩაიბარე კლასი, სანამ ის ქალი
დაბრუნდებოდეს. რაღა დარჩა, თუ ძმა
ხარ!

— ვაჟას მიეცით. ახალგაზრდა კა-
ცია. მისთვისაც უკეთესია, ბავშვებს
დაუახლოვდება.

— ეგ თადარიგში გვყავს. ნარგიზა
შვებულებაში მიდის.

— ნარგიზა?

— ჰო, ქართლოსის ცოლი. მომკლეს
ამ ქალებმა, სულ დეკრეტული და
დეკრეტული, თითო სათადარიგო მას-
წავლებელი ყველას სჭირდება. მეცხ-
რე კლასი ვაჟას უნდა მივცე. — მე-
რე პირდაპირ საქმეზე გადავიდა: —
გუშინ ორი მერვეკლასელი გაიბა-
რა მესამე გაკვეთილიდან — მისიუ-
რამე და ბერიძე. საღამოს კინოში ყო-
ფილან და კონტროლიორი გაულანძ-
ღავთ, ჩია კაცი რომაა, მოსულელო.
არც ის იქნება მთლად მართალი. უფ-
რო მისიურამე იზამდა, ბერიძე ისეთი
საცოდავია, რას გაბედავდა! გაკვეთი-
ლების შემდეგ კრება მოიწვიე. კაცმა
რომ თქვას, სულ რეზოს ბრალი კია,
ისეთი კრივი ასწავლა ამ თითის სიგრ-
ძე ბლარტებს, ვისაც გინდა ცხვირ-პირს
დაამტვრევინ.

გარეთ ისევ თოვდა. გზა თოვლს
დაეფარა, ეტყობოდა, შინ მიმავალ
ბავშვებს დიდხანს ეთამაშნათ ზედ,
ერთიანად გატყუნილი და მოლიპული
იყო. რის ვაი-ვაგლახით მივდიოდი.

გიორგი კეჭალამაძე
მეთორმეტე ზარი

გზადაგზა თედოსა და იმ ჩხუბისთავ მასსურადეს ვწყევლიდი. აღმართი გაჭირვებით ავიარე და ჭიშკარს მივადექი. დაბალი სახლის აივანიდან ძალღივად გავდგომოდა და ყუფითა და ღრუნით ჩემკენ გამოქანდა. ჭიშკარი მაშინვე მიგზურე და მოშორებით დავდექი. მერე აივანზე ბიჭი გამოჩნდა. მან სწრაფად ჩამოიბრინა კიბე და ჭიშკართან მოვიდა.

— შენი სტუმარი ვარ, — ვუთხარი მას, — შინ არის ვინმე?

— არის, — თქვა ბიჭმა და გაწითლდა. ამას კი აღარ ველოდი. ნუთუ დედამისის ასე ეშინია-მეთქი, გავიფიქრე.

— მომავორე ეს ძალღივი! — ვუთხარი და ჭიშკარი გავადე.

ბიჭი კიბეზე ამიძვდა, მერე კარი გააღო და გზა დამითმო. ოთახში რომ შევედი, სკამი დამიდგა. დაბნეულმა აქეთ-იქით დაიწყო წრიალი, ბოლოს ამოღერდა:

— დედაჩემი შეუძლოდაა. მეორე ოთახში წევს. ახლავე ვეტყვი და შემოვა.

— მე თვითონ შევალ, — ვუთხარი მე, — ნუ ადგება.

წამოვდექი და გვერდით ოთახში შევედი. ბუხრის პირდაპირ, ძველებურ ხის ტახტზე, გამხდარი ქალი იწვა. მან ჩემკენ გამოიხედა, მიცნო და თავი უხერხულად იგრძნო.

— გამარჯობათ, როგორ ბრძანდები?

— იცოცხლე, ბატონო ანტონ, — შეწუხდა ქალი, — წნევა მაქვს და... — მერე ბიჭს მიუბრუნდა: — თემურ, მასწავლებელს სკამი მოართვი! დაბრძანდით, ბატონო!

ამ ქალის ქმარი მეოთხე წელია, პატიმარია. შოფრად მუშაობდა. დათვრა და მანქანა გადააყირავა. ოთახი მოვათვალე. ბიჭი მოშორებით იდგა და თვალებით რალაცას მეუბნებოდა.

— ასეთ ამინდში ტყუილად არ შეწუხდებოდით, — მითხრა ქალმა, — აუცილებლად თემური დააშავებდა რამეს.

ბიჭს ერთხელ კიდევ აუარა-დაუარა ვერმა.

— რა უნდა დაეშავებია? — დაუარა-დაუარა დე ქალი, — ისე შემოვიარე, რა პირობებში მეცადინეობს-მეთქი.

— ეჰ, რა პირობები ექნება, ბატონო. მე ავად ვარ. ეგ ბიჭი აქამდეც არაფერს აკეთებდა და ახლა რას ისწავლის!

— როგორ არ ისწავლის, თემური ჭკვიანი ბიჭია. — „ისეც რა ვუთხარ მაგას“, გავიფიქრე და გაბრაზებულმა გადავხედე ბიჭს.

— თქვენ გაიხარეთ, პატივცემულო ანტონ. მართლა სწავლობს რამეს? იქნებ ეგ მაინც დადგეს კაცი. თქვენ კლასის ხელმძღვანელი ბრძანდებით?

— დიახ, დროებით. სანამ ნუნუ დაბრუნდებოდეს.

— მართლა სწავლობს? — გაიმეორა ქალმა, — აღარ გამოყვება ორიანები?

— ამ ბოლო დროს ცოტა უმატა მეცადინეობას, არ უნდა გამოყვეს.

„არ ამაცუნდრუკა ამ ბიჭმა? — ვფიქრობდი მე, — ერთი სკოლაში მობრძანდეს, ვასწავლი ჭკუას!“

ქალმა დამლოცა, ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც მე ეს ამბავი გამეხარდა, მაგ ბიჭზე უკვე ხელი ჩაქნული მქონდაო. მერე თემურს უთხრა, სტუმარს რამე მოართვი, პატივი ეციო. თემურმა კარადაში დაიწყო ფათური. არ იცოდა, რით გამასპინძლებოდა ძვირფას სტუმარს, ამ დაწყევლილ აღმართში მის გასალანძლავად რომ ამოვიდა და რაც სახლში ფეხი შემოდგა, სულ აქებდა და ადიდებდა.

მე წამოვდექი და ქალს დავემშვიდობე.

გარეთ რომ გამოვედით, დაღამებული იყო. ისევ თოვდა. თემური გამომყვა. დაღმართზე დავეშვი, ფეხი დამისხლტა და კინაღამ პირაღამ გავიშოტე. ბიჭმა მკლავზე ხელი მტაცა. შევხედეთ თითქმის ჩემი სიმაღლე იყო.

— სულ მოლიბულია გზა, — შეწუხებულნი ხვით თქვა მან, — წუხელ

ბავშვებმა წყალი დაასხეს. სასრილოდ უნდათ. კაცს ველარ გაუვლია.

დღამართი ნელა ჩავიარეთ. თემური არაფერს ამბობდა. ჩემი მკლავი ეჭირა და ფრთხილად მოაბიჯებდა. ძალიან კი ვუჭე დედამის!

— ვიცი, რისთვის მობრძანდით, მასწავლებლო, — მითხრა ბოლოს მან, — მადლობელი ვარ!

— ეგლა მაკლდა, — მიუფგე მე, — მადლობასაც მიხიდი იმ ტუქუილისათვის?

— გმადლობთ, მასწავლებლო, დედაჩემი ისედაც ცუდად არის.

— კონტროლიორს რაღას ვერჩოდით?

თემური გაჩუმდა.

— ორიანებზე რაც ვთქვი, მართალი ხომ არ გგონია?

— არა, მასწავლებლო, ვიცი, რატომაც თქვით.

— წადი, — ვუთხარი მე, — დედაშენს მიხედე, მადლობელი ვარ, რომ ჩამომაცილე.

გზას დავუყევით. თემური ერთ ხანს იღვა. მერე ფეხის ხმა გავიგონე. მოვიხედე, ბიჭი უკვე სირბილით ადიოდა აღმართზე.

დღეს პირველად ვიმგზავრე გრიშას მოტოციკლეტით. მთელი ოცი კილომეტრი გავიარეთ. მაგრადაც გავიყინეთ. მე კიდევ არაფერი, ძარაში ვიჯექი. ძარას კი საფარი ჰქონდა. გრიშა იყო ცუდ დღეში. ქალაქში ჩასვლამდე ათჯერ მინც გააჩერა მოტოციკლეტი, გაყინულ ხელებს ისრესდა. ცალკე სიცივითა და ცალკე შიშით სული კინლამ ამომძვრა.

როგორც იქნა, გვეშველა და ჩავედით. მანქანა ორსართულიანი სახლის წინ გააჩერა და მაშინვე შესასვლელში შეეცვივდით.

— მარტო შედი, — მითხრა გრიშამ, — რა დროს შენი მორცხვობაა! არც ერთი არ ხართ გუშინდელი ბავშვი. უკვე საკმაოდ იცნობთ ერთმანეთს. ბინაც იცი, მორჩა და გათავდა!

— უხერხულია, — ვუბასუხე მე, — გორ მივადგე ასე, რას იფიქრებს ლი?

— კარგი ერთი, რა უნდა იფიქროს! ყველაფერი იცის და თანახმაც არის, მეტი რა გინდა?

გრიშას სულითა და გულით უნდა, მისი ქვისლი გავხდე. რამდენი ხანია თავისი ცოლის ბიძაშვილთან საქმეს მიჩარხავს.

— შედი, ჰო, ბინა ხომ არ დაგავიწყდა, მეორე სართულზეა, მარჯვნივ, მეხუთე ოთახი. მე აღარ გამოვივლი. ჩემს საქმეს მივხედავ და შინ წავალ, თუ სადმე არ გადავყირავდი ამ ყოვეთში.

— კარგი, წადი, — ვუთხარი მე.

გრიშამ წასვლის წინ ერთხელ კიდევ მოისრისა ხელები, ქუჩაში გავიდა და მოტოციკლეტი ააგუგუნა.

კიბეს მძიმედ ავეყვი. მეხუთე ოთახთან რომ მივედი, წამით შევჩერდი და კინლამ უკან გამოვბრუნდი. „რა სისულელეა! — გავიფიქრე მე, — რა სისულელეა!“ მერე გრიშა გამახსენდა. ძლივს დამიყოლია და წამომიყვანა. ალბათ ამ ქალის სუბვილიც იყო, ისე არ შემჩინდებოდა. კარზე დავაკაკუნე. „ახლავე“, — მომესმა ქალის ხმა. ორიოდვე წუთის შემდეგ კარი გაიღო და ზღურბლზე ქეთო დავინახე. მაშინვე მიცნო და აწრიალდა. მერე შინ შემიპატიყა:

— მობრძანდით, ბატონო ანტონ, მობრძანდით! აი, აქ დაბრძანდით, დღემელთან, შეცაებული იქნებით. — სკამი სწრაფად დამიდგა. — ძალიან კი დამივიწყეთ.

— არ დამეფიწყებინართ, — ვუთხარი მე და პალტოს გახდა დავიწყე. მომეშველა და პალტო კარადაში დაკიდა.

— გრიშა როგორაა? ბავშვები ხომ კარგად ჰყავს?

— ყველანი კარგად არიან. თქვენ ისევ მარტო ხართ?

გიორგი კეჭალაძე
მეთორმეტე ზარი

— ისევ მარტო, თქვენსავით, — გაიღმა ქეთომ.

მე სივარტი ამოვიღე.

— შეიძლება მოვწიო?

— როგორ არა!

ოთახში ძალიან ცხელოდა. სივარტი მოვუკიდე და ფანჯარასთან მივედი. გულდაგულ ბარდნიდა. უკვე ღამდებოდა და ქალაქში აქა-იქ სინათლეები ციმციმებდა. ქეთომ საფერფლე მოიტანა და მაგიდაზე დადო. ღამაში საფერფლე იყო. პაწაწინა მწვანე ბაყაყს სასაცილოდ დაედო პირი, თითქოს ყიყინებდა. ბაყაყი ხელში ავიღე და ფერფლი პირში ჩავაყარე.

— ძალიან ჰგავხართ თქვენს ბიძაშვილს, — ვუთხარი ქეთოს, — ტყუპები ეგონებით კაცს. ღამაში ცოლი ჰყავს გრიშას, თვითონ კი ეშმაკს ჰგავს.

— რატომ? არც გრიშა ურიგო.

— ეშმაკს ჰგავს. მიკვირს, ის ქალი როგორ გაჰყვა.

— გაგამხელთ გრიშასთან, — მითხრა ქეთომ, — და თქვენს მეგობრობასაც ბოლო მოეღება.

— ტყუილა გგონიათ, გრიშას არ ეწყინება.

— ახალგაზრდობისას მეც ღამაში ვიყავი, — თქვა ქეთომ.

— თქვენ ახლაც ღამაში ხართ.

ქეთო ოდნავ გაწითლდა.

— ძალით გათქმევენით ეს ქათინაური, — მითხრა და სუფრის გაწყობას შეუდგა. — უნდა დაგათროთ. საუკეთესო ღვინო მაქვს, ბაღდადური. ჩვენი ნათესაეები ბაღდადში ცხოვრობენ.

— თუ თქვენც დათვრებით... მასპინძელმაც ხომ უნდა დალიოს.

— მეც დავლევ, — მითხრა ქეთომ და სახეზე წამოწითლდა.

„ყველაფერი ძალიან უბრალო და გასაგებია, კაცი ვერ წარმოიდგენს, ისე უბრალოა ყველაფერი. ცუდი ისაა, ჩვენ თვითონ რომ ვართულებთ ცხოვრებას“, — ეს ბოლო სიტყვები მგონი ხმამაღლა წამოაცდა.

— რა თქვით? — შემომხედა ქეთომ.

— ცხოვრება უბრალოა-მეთქი, ძა-

ლიან უბრალო. კაცები ვართულებთ ცხოვრებას. ქალები კი ძალიან უბრალოები ხართ.

— ესეც ქათინაურია?

— ჰო, მაგრამ მარტო თქვენ არ გეხებათ, თქვენი ბიძაშვილიც ასეთია.

კარგა ხანს ვიჯექით სუფრასთან. ღვინო მართლაც საუცხოო იყო. ორი ჭიქა დავცალე. თავი უკვე მიბრუოდა. ქეთომაც დალია და „შენობით“ დამიწყო ლაპარაკი. თერთმეტი საათი სრულდებოდა, სუფრიდან რომ ავდგე და პალტო ჩავიცვი. ქეთო დერეფანში გამომყვია და კბეზე ჩამაცილა. გარეთ კვლავ თოვდა.

— სად უნდა წახვიდე ასე გვიან, — თქვა მან, — დარჩი, ანტონ!

თვალეში შევხედე. თვალები უბრწყინავდა, ლოყები ასწითლებოდა. ძალიან ახალგაზრდა მეჩვენა. გაცილებით უფრო ახალგაზრდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. „ყველაფერი ძალიან უბრალოა“, — გავიფიქრე მე, — ისე უბრალო, გავიკვირდება კიდევ. რომ წარმოიდგენ.“

უსიტყვოდ მივბრუნდი და ისევ ავეყვი კბეზე.

პალტო გავიხადე და სკამზე დავეშვი. ქეთომ მაგიდა სწრაფად ააღაგა და საწოლთან მივიდა.

— აქ დაწვები. მე მეზობელთან ვათევ ღამეს.

— ჰო, — მივუხე მე და მაშინვე მივხვდი, რომ ამ წუთამდე ბავშვით ვვლავდი. ახლა კი ერთბაშად დავმშვიდდი. ასე მეგონა, თითქოს ათასჯერ გამეთია დამე ამ ოთახში; თითქოს შეცრად გამახსენდა რაღაც ძალიან კარგი და ძვირფასი, დიდი ხნის წინათ რომ დამვიწყებოდა და დღემდე ამოდ ვცდილობდი გამეხსენებინა.

საავადმყოფოს დერეფანში თოვლი ჩამოვიბერტყე და მოსაცდელში შევედი.

— ვინ გნებათ? — მკითხა მორიგემ, თითჩხალათინამა, ჩასუქებულმა ქალმა.

— მექოშვილი, — მივუგე მე. — თუ შეიძლება.

— მექოშვილი? — გაიმეორა ქალმა, — არ მახსოვს. მეშვიდეში იკითხეთ. აი, ხალათი.

ხალათი ჩავიცვი და კიბეზე ავედი. კოსტა მართლაც მეშვიდე პალატაში იწვა. თავთან ახალგაზრდა ქალი ეჯდა. მისი ქალიშვილი თუ იყო.

— გამარჯობა, — ვუთხარი კოსტას და ხელი ჩამოვართვი. დამკვნარი, თეთრი ხელი საბანზე უსიცოცხლოდ ედო.

— როგორ ხარ, კოსტა?

— ცუდად. — მითხრა ჩურჩულით, — ვიხრჩობი!

— ნუ გეშინია, გულს ნუ გაიტეხ. შენისთანები მოურჩენიათ?

— ჩემისთანებს რა მთარჩენს!

საწოლთან დავეკევი და ოთახი მოვათვალიერე. იქ კოსტას გარდა, კიდევ სამი ავადმყოფი იწვა.

— რა ხანმოკლეა ცხოვრება, — თქვა კოსტამ, — ეჰ... — თვალზე ცრემლი მოადგა, შერცხვა.

მე შევხედე და ღიმილით ვაწუგე. რა კაცი ხარ, როგორ შეგშინებია შეტყი. მან ჩურჩულით რაღაც მიმასუხა. ვერაფერი გავიგონე და მისკენ დავიხარე: — თქვი რამე?

— ვტირი-მეტყი. ჩემს თავს თვითონვე დავსტირი. მერე სხვები მიტირებენ. მე კი ყველაზე მეტად მეტირება, მე ყველაზე მეტს ვკარგავ!

ყური თითქმის მის ტუჩებთან მქონდა. მაინც ძლივს გავიგონე. ეს რომ თქვა, სახე ისევ აემღვრა.

— ჩემი ბიჭი რას შვრება? — იკითხა მერე, როცა დამშვიდდა. — ისევ ზარმაცობს?

— აღარ ზარმაცობს.

— კიდევ კარგი. მე რომ აღარ ვიქნებო, მაინც გამოიქცევა სკოლიდან. ანტონ, მიშველე რამე. ნუ გაუშვებ.

— შენ არაფერი გიჭირს, — ვუთხარი მე, — არც ბავშვს გავუშვებთ სადმე, ნუ გეშინია!

— შენი იმედი მაქვს, ანტონ.

მერე მიწყნარდა.

— დაეძინა? — ვკითხე ახალგაზრდა ქალს. იგი ცრემლს ჩუმად იწმენდდა.

— დაეძინა, — მითხრა მან, — ცოტა ხნით ჩასთვლიმა, რას დააძინებს ტყვილი!

გულდამძიმებული გამოვედი პალატიდან. დერეფანში ექიმი შემეჩეხა. გავაჩერე და ფანჯარასთან მივიყვანე.

— მექოშვილთან ვიყავი, — ვუთხარი მე, — არაფერი ეშველება?

— არაფერი, კიბოა.

— ფრონტზე ერთად ვიყავით, სიკვდილს გადამარჩინა.

— არაფერი შეველის, — გაიმეორა ექიმი, — ასე კაცი არ შემცოდებია.

გადმოვედი თუ არა ავტობუსიდან, გრიშა დაბარებულოვით ჩემთან გაჩნდა და მკლავში ხელი მტაცა.

— როგორაა საქმე? — მკითხა და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა. მე ისევ კოსტა მედგა თვალწინ და უცებ ვერც კი მივხვდი, რაზე მეკითხებოდა.

— ქეთოზე გეკითხები.

— ღამე სასტუმროში გავათიე, — ვუთხარი მე.

— კარგი ერთი.

— შენს თავს გეფიცები.

— ტყუილზე მიფიცებ?

— არაფერი გიჭირს, ნუ გეშინია.

საპარიკმახეროს წინ ვაყა და ვახტანგი იღვანე და ჩვენკენ იცქირებოდნენ.

— ამათთან არაფერი თქვა, — გავაფრთხილე გრიშა.

— როგორ გეკადრება!

— წუხელ სად იყავი? — მოსვლისთანავე მკითხა ვაჟამ.

— შენი საქმე არ არის, — ვუთხარი მე, — შენს კანში დაეტყი!

— ამ სიბერეში ანტონი გაგვეშმაკდა, — თქვა ვახტანგმა.

— შევიდეთ, სასადილოში დავსხდეთ. — შემოგვთავაზა გრიშამ.

ცარიელი კუპე მოვძებნეთ და მაგი-

გიორგი კეჭელაძე
მეთორმეტე წარი



დას შემოვუსხედით. გრიშა ბუფეტთან მივიდა და ოფიცინანტს რალაც უთხრა.

— ჯიბე ცარიელი მაქვს, — გვითხრა მან, — დავუკვეთე, მაგრამ წინდაწინ იცოდეთ, გადახდა თქვენ მოგიწევთ.

— ინტელიგენციის ხარჯზე გინდა თავი გაიტანო? — ჰკითხა ვახტანგმა.

— ცოდნა თქვენ გაქვთ და ფული. სირცხვილიც კია, მე რომ დავპატიყთ.

— კარგი, თავს ნუ ისაწყლებ!

— ცუდ გუნებაზე ვარ, — ვთქვი მე, — სავადმყოფოში ერთი ჩემი ძველი მეგობარი ვინახულე, მძიმე ავადმყოფია.

— რა სჭირს? — იკითხა ვახტანგმა.

— კიბო.

— ოო, ცუდად ჰქონია საქმე!

— ჩვენი ბავშვის მამაა, — განვარტე მე, — ვანო მექოშვილის.

— ძალზე ზარმაცია, — აღნიშნა ვახტანგმა, — იმ უბედურს ახლა ეგ უნდოდა? მგონი არც ღედა უნდა ჰყავდეს.

— არც ღედა ჰყავს, — დავუდასტურე მე.

— ჩემს კლასშია, — თქვა ვეჟამ.

— ჩავაბარეს მეცხრე კლასი?

— ჰო, თედომ მაჩუქა.

— არა უშავს, — ანუგეშა ვახტანგმა, — ესეც ხომ უნდა ისწავლო.

ანიკო შემოვიდა და სუფრა გავვიწყო.

— ქეიფობთ, მასწავლებლებო?

— ეს რა ქეიფია? — უთხრა ვახტანგმა, — ამას ქეიფს ეძახი?

— გრიშა, არ გაწყინოს განათლებულ ხალხში ყოფნამ, — გაეხუმრა ანიკო.

— გრიშა ასე გაუნათლებელი ნუ გგონია, — გამოექომაგა გრიშას ვეჟამ, — უკვე ინგლისურს სწავლობს.

— ინგლისური კი არაა, ქართული არ იცის ხეირიანად!

— შენ ხუმრობ და, გრიშამ ბრწყინვალედ იცის თათრული, — ვუთხარი მე.

— ისევე მაგას რა ვუთხარი!

— შენს თავს ვფიცავ, ანიკო. გინდა ახლავე სიყვარული ავიხსნა თათრულად?

— მამაკაცებმა მაგის მგტი იცით! — ანიკო გავიდა.

— ახალ წელს გაუმარჯოს, — ვახტანგმა და ჰიქა აიღო, — ბედნიერი იყოს.

— ბედნიერი იყოს.

— ანტონისა და ვეჟას ქორწილი გვენახოს, — თვალი ჩამიკრა გრიშამ.

— რალაცას ეშმაკობთ, — გაიცინა ვახტანგმა, — რამეს ხომ არ აწყობთ?

— ანტონი უნდა დავაქორწინო, — უთხრა გრიშამ.

— ყველა მშრომელს გაუმარჯოს, — დაილოცა ვახტანგმა, — ყველა პატიოსან მშრომელს! შენც გეხება ეს, გრიშა!

— გმადლობთ, — მიუგო გრიშამ, — თქვენც გაგიმარჯოთ, პატივცემულო მასწავლებლებო, ღირსეულად აღგეზარდით ჩემი უღირსი ბიჭი. ყველაზე პატიოსანი ხალხი თქვენ ხართ, მასწავლებლები.

— თავისთავად ცხადია, — მიახალა ვახტანგმა, — ახალი არაფერი აღმოგიჩენია.

— არა, ძალიან ნუ გამოიღებ თავს, უვარგისი ყველგან ურევია.

— გაუმარჯოს პატიოსან ხალხს! — დავილოცე მე.

— ჩვენ არ გვირეგია უვარგისი, — წამოიძახა ვახტანგმა, — თუ უვარგისია, მასწავლებელიც არ ყოფილა.

— კარგი, ჰო, თითო მახინჯი ყველა ოჯახშია.

— ჩვენს შორის არ არის-მეთქი. განა შეიძლება მე ვინმე მოვატყუო, როცა მთელი ჩემი სიცოცხლე ბავშვებს ვუმტკიცებ, ტყუილი არ ვარგა, სიყალბე არ ჩაიდინოთ-მეთქი? რაც უნდა ცუდი კაცი იყოს, სკოლაში ფეხს რომ შემოდგამს, იმ დღიდან იგი პატიოსანი ადამიანია. როცა სხვას ასწავლი, თვითონაც სწავლობ. სხვას თუ სიწმინდისაკენ მოუწოდებ, ზნეობრივად შენც მალდები. ასეთია ადამიანის ბუნება.

— ეს რაღაა? — თქვა გრიშამ, ჰიქა ასწია და ღვინოს სინათლეზე ვახედა, — ეს რაღაა, მარწყვივით რომ ყლა-

პავთ ამ ღვინოს? ამას, ჩემო ძმაო, მეცნიერულად ალკოჰოლი ჰქვია.

— ახლა ლოთებად მოგვნათლე, მეზობელი? — გაიცინა ვაჟამ.

— ძალიან ცდები, თუ ასე ფიქრობ, — უთხრა ვახტანგმა, — სუფრასთან ჩვენ დასათრობად არასოდეს ვიკრიბებთ. ერთად ყოფნა და მეგობრული საუბარი გვინდა ხოლმე. ქართული სუფრა კი უღვინოდ რა სუფრაა! თუ შენ აქ, ჩვენს სუფრაზე, დათრობას აპირებ, გირჩევნია, დროზე აიბარგო.

— როგორ გეკადრება, ყოველდღე კი არ მიწევს განათლებულ ხალხთან პურის ჭამა. ახლა კეტი რომ მირტყა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

— გრიშა ჩვენია, — ვთქვი მე და ჭიქა მივუჯახუნე, — აბა, დალიე, გრიშა! ეს ორი ჭიქა ღვინო შენ რას დაგათრობს. კამათსაც თავი დაანებე. ვახტანგი კამათში ჯერ არავის დაუმარცხებია. თუმცა არც შენ ხარ ნაკლები ფილოსოფოსი.

— არა, კი არ გეწყინოს, გრიშა, — გაუღიმა ვახტანგმა.

— არა, ძმაო, მე ასე ადვილად ვერაზინ მაწყენინებს.

— დღეს თამართან ვიყავი და ცოტა ნაწყენი წამოვედი, — თქვა ვახტანგმა, — პატარა საქმე მქონდა, მივედი და არაფრით არ გამომიშვა, სანამ ახალი წელი არ დამალაციინა. მერე წუწუნს მოჰყვა, გარბიან ეს წლები, მე კი ისე შევებერდი სკოლას, ცხოვრება არ გამოვიგაო.

— გაუთხოვარია, — უბასუხა გრიშამ, — არ გაემტყუნება.

— არა, მაგას არ ჩივის. გაუთხოვარი საკუთარი სურვილით დარჩა. არ მინდოდა ოჯახში უფროსი მყოლოდა, მამაკაცი კი უფროსობას არის დაჩვეულიო.

ვაჟამ ამოიოხრა.

— მივადექით ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს. ვახტანგ, ახლა შენ მოგიწევს ამ სუფრის დატოვება.

— აცალე, კაცო, — მიეშველა გრიშა, — მიყვარს კამათი.

— მომბეზრდა, — თქვა ვაჟამ, — თუ გგონიათ, რამე ახალს ამბობთ.

— ციხე შიგნიდან გატყდებოდა, — უთხრა გრიშამ, — აქი ახლახან ამბობდი, ჩვენს შორის უვარგისი არ შეიძლება იყოსო. შენ თვითონ არ ასხენე თამარი?

— არა, თამარი ცუდი ქალი როდია! თუ ასეთი რწმენა აქვს, ეს, პირველყოვლისა, მისი უბედურებაა. თავის საქმეს მაინც მშვენივრად უძღვება.

— მაშ, ჩემს ბიჭს გაუმარჯოს, — თქვა გრიშამ, — და ყველა თქვენს მოსწავლეს. თუ კარგები ხართ, ის ბიჭიკ კარგად გამოზარდეთ, თქვენი მიზანიც ეგ არის. სხვა რა საქმე გაქვთ!

საწოლზე წამოვწყეკი, ვთვლემდი. დერეფანში ვიღაც შემოვიდა. მაშინვე ვიგრძენი, იონა იქნებოდა. მძიმედ მოდიოდა. იატაკზე ფეხებს აბაკუნებდა, მივხვდი, თოვლს იბერტყავდა. ვიწეკი და ვუსმენდი ამ ხმას, ორი წელი რომ ასე მენატრებოდა. ფეხის ხმა ჩემი ოთახის კართან შეწყდა. მაშინვე ლოგინიდან წამოვევარდი და კარიც გაიღო. ზღურბლზე იონა იდგა, ჩემი იონა — მაღალი, მხარბუჭიანი, მუდამ მოღიმატი. ხელში ჩანთა ეჭირა.

— სალამი, ძველო, — თქვა მან, — ჩანთა კუთხეში მიაგდო, მომიახლოვდა და ხელის ჩამოურთმევლად პირდაპირ შუბლზე მაკოცა. მერე საწოლთან მივიდა და მძიმედ ჩამოჯდა.

— ბატონო ანტონ, როგორ გიკითხოთ?

— სად დაიკარგე ამდენ ხანს? — ვუთხარი მე, — არ გრცხვენია?

— მრცხვენია, ანტონ, მაგრამ შენი იმედი მაქვს. იოლად შემირიდებდი.

— შეგირიდებდი, — ვუთხარი ღიმილით, — მეტი რა გზა მაქვს!

კოლოფიდან სიგარეტი ამოვიღე. ასანთს რომ ვუკიდებდი, ვიგრძენი, ხელი მიკანკალებდა. ეს მანაც შეამჩნია და გაიღიმა.

გიორგი კეჭაღმაძე
მეთორმეტე ხარი

— ავად ხომ არა ხარ?

— კარგად ვარ, ძალიან კარგად. შენ უკვე დავაყვაცებულხარ. საკუთარი გზა გაქვს, საკუთარი ცხოვრება.

— საკუთარი გზით? ადვილი სათქმელია! ლამის სული ამომძვრეს ამ გზაზე მარტო სიარულით.

— ნუ წუწუნებ, — ვუთხარი მე, — პაპიროსს არ ეწევი?

— ხანდახან, მაგრამ ახლა შენი ხათრით არ მოვწევი.

— მოშიებულნი იქნები.

— გაქვს რამე?

— მაქვს, ოღონდაც ცოტა ხანს მომიტონინე.

პიჯაკი ჩავიცვი და მალაზიაში წავედი, კონსერვი, ყველი და მოხარშული ღორის ხორცი ვიყიდე. ორი ბოთლი ღვინოც გამოვყაყოლე.

— ამ საახალწლოდ ქეიფობ, ანტონ? — დიმილით მკითხა გამყიდველმა.

— ვფიქრობ, — ვუპასუხე მე, — იონა ჩამოვიდა.

— რას ამბობ? მომილოცავს! მგონი შარშან არ ჩამოსულა, რაღაც თვალი არ მომიკრავს.

— შარშან არ ჩამოსულა.

კარი რომ შევადე, იონა მაგიდასთან იდგა, ხელში თოფი ეჭირა და ათვალიერებდა.

— ყოჩაღ, ანტონ, — მითხრა მან, — სარკესავით ბზინავს, ტყუილად კი არა მაქვს შენი იმედი.

კონსერვი გავხსენი, პური და ყველი დავჭერი და ღვინო ჭიქებში დავასხი. იონამ თოფი თავის ადგილას დაკიდა და მაგიდას მიუჯდა.

— დალოცე ახალი წელი, — ვუთხარი მე და ჭიქა ახლოს დავუდგი.

— ძან კი დაუთოვია, — წამდგომს სანადირო ამინდია.

— აქეთ ასეთი თოვლი ჯერ არ ყოფილა.

— გაუმარჯოს ახალ წელს! სულ ასე ჯანმრთელად და ბედნიერად იყავი!

— ბედნიერად, — გავიმეორე მეც და ღვინო კიდევ დავასხი.

— ტყვია-წამალი გაქვს?

— რამდენიც გინდა.

— ყოჩაღ!

— დედაშენი როგორ არის?

— რა უჭირს, დაბერდა. ისეთი ნერვიული გახდა, პირდაპირ აუტანელია. თანაც, ცოლი შეირთო, დღე და ღამე ჩამჩიჩინებს.

— პოლა, შენც შეირთე, პატარა ხომ არა ხარ?

— რა მეოჯახება! ისე ვარ გამოფხეკილი, ცოლი რომ მყავდეს, ან თავისით მიმატოვებდა, ან მე თვითონ გავუშვებდი.

— იმუშავე, რაღას უყურებ?

— სადღა უნდა ვიმუშავეო. თბილისში ყოველი მეორე კაცი ჟურნალისტია. შენსავით გავწირო თავი და რაიონში წავიდე?

— ესეც სინჯე.

— ეჰ, მაგას ნუ მიხსენებ!

იონამ თეფში მოასუფთავა, მერე ღონიერად დაამთქნარა და მითხრა:

— მთელი ღამის უძინარი ვარ, არ დამაძინებ?

მე ლოგინი გავუშალე, მერე პალტო ჩავიცვი და ეზოში გავედი.

თავი მცხრა

მესამე დღეა, დილით ადრე ადგომა აღარ მიწევს. მოსწავლეებს საზამთრო არდადეგები აქვთ და სკოლაში მოგვიანებით ვცხადდები ხოლმე, რადგან იქ საქმე ბევრი არაფერი მაქვს.

მოთმინებით ვცხრებდი ცხელ ჩაის, კარზე ფრთხილი კაკუნი რომ მომესმა. მობრძანდით-მეთქი, დავუძახე. მაგრამ

სტუმარი, როგორც ჩანდა, ყოყმანობდა. ავდექი და კარი გავადე. დერეფანში ჩემი მეზობელი მოხუცი ქალი იდგა. მან დამანაშავესავით გაიღიმა და ოთახში შემოვიდა.

— ავად ხომ არა ხართ? — მკითხა ქალმა. იგი უხერხულად იდგა მაგი-

დასთან და ჩემს ღარიბულ სუფრას ათვალიერებდა.

— არა, გამდლობთ, — მივუგე მე, — კარგადა ვარ.

— წუხელ თქვენ ახველებდით?

— მე ვახველებდი? არა, არა მგონია.

— კი, ნამდვილად თქვენ ახველებდით.

გაცივებული ვიყავი და ხანდახან მახველებდა, მაგრამ არც ისე, რომ ამ ქალისათვის ძილი დამეფრთხო. ნეტა შარზე ხომ არაა-მეთქი, გავიფიქრე.

— ახალგაზრდა კაცი ხართ, — მითხრა ქალმა, — წაყრუება არ შეიძლება. გართულება იცის.

— დიახ, იცის, — დაუვდასტურე მე, — მაგრამ ახლა მშვენივრად ვგრძნობ თავს.

— მგონი ხელი შეგიშალებთ. უკაცრავად!

— არა, რას ბრძანებთ, უკვე ვისაუზმე.

— ღუმელი რატომ არ გიდგათ. ვერა ხედავთ, რა ცივი ზამთარია? ასე არ შეიძლება, იმიტომაა, რომ ვახველებთ.

— სხეულს ვიკაჟებ, სიცივეს ვეგუებები, — მივუგე მე, — ვინ იცის, რა შემხვდება ცხოვრებაში; ომის დროს ხალხს მთლად თოვლში ეძინა. თუ არ გჯერათ, ანტონს ჰკითხეთ. მე ოთახში მინც ვარ.

— ომი — ომია. ახლა კი მშვიდობაა, მაღლობა ღმერთს!

— თითქმის უკვე შევეგუე სიცივეს.

— რალა შეგუებაა, მთელი ღამე ახველებთ. ღუმელი აუცილებლად დადგით და თავს მოუარეთ. წყალი ააღუღეთ და ორთქლი ისუნთქეთ. ფილტვებისათვის ძალიან კარგია. კვერცხი ხომ არ გინდათ?

ასეთი საუბრის შემდეგ კვერცხის ყიდვაზე, რა თქმა უნდა, უარს ვერ ვეტყვოდი.

— კვერცხი? რა ვიცი, თუ გექნებათ.

— ახლავე, — თქვა და გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემობრუნდა და კვერცხები მაგიდაზე დამიწყო: — ფული არ მინდა, — მომიბრუნდა იგი. —

ეს ისე მოგიტანეთ, ტყუილად ნუ ექებთ.

— აჰ, როგორ გეკადრებათ, ქალბატონო!

— არა, შვილო, არ მინდა.

— ქალბატონო, ფული იმდენი მაქვს, არც კი ვიცი რაში დავხარჯო, ჩემთვის ეს არაფერია.

— შეშა და ღუმელი იყიდე, — მითხრა ქალმა.

— ქალბატონო, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მაგდებთ. თუ შეიძლება აიღეთ ფული!

— არა, შვილო, — გაიღიმა ქალმა და კარისკენ წავიდა, — თავს მოუარე.

— გამდლობთ, — მივაძახე დაბნეულმა, — გამდლობთ!

ოთახში შეგბრუნდი და კარგა ხანს გაცეებული ვიდექი. აი, სერიო თუ გინდათ, ეს არის. თავი მომაქვს ჩემი ხელფასით და ამ მარტოხელა ქალმა ორი მანეთი არ მიწყალობა? სირცხვილისაგან სახე მიხურდა. ალბათ ძუნწი ვგონივარ, ღუმელი რომ არ დავიდგი, და ამით დამსაჯა. ამ ამბავმა ერთი შემთხვევა გამახსენა: მაშინ უნივერსიტეტში გამოცდებს ვაბარებდი. ფული შემომელია და მთელი დღე ხმელა პურზე ვიყავი. მაგრამ კარგად რომ მომშვივდა, მოვხვეტე ჩემი უკანასკნელი გროშები და სასადილოში შევედი. ოფიციანტი რომ მოვიდა და მკითხა, რას ინებებთო, ვუთხარი, ეს გროშებილა დამარჩა და თუკი შეიძლება ამით კაცმა ისადილოს, რამე მომიტანეთ-მეთქი. ოფიციალტმა გაიღიმა და მალე ისეთი სუფრა გამიწყო, ხუთ კაცს გააძღებდა. ზედ შესანიშნავი ცივი ლიმონათი მოაყოლა. თან მითხრა, რამდენიც გინდა, ჭამეო. გაცეებისაგან პირდაღებულს, მაშინვე დამეკარგა ჭამის მად. რამდენიმე ლუკმა მოვიციქნე, ლიმონათისათვის ხელიც არ მიხლია, ავდექი და ოფიციალტს ჩემი გროშები მივაწოდე. არაო, მითხრა ლიმლით. მერე გამომაძილა და დიდის

გიორგი კეჭალმაძე
მეთორმეტე წარი

ამბით დამიბარა, თუ ფული შემოგაკლდეს, არ მოგერიდოს, ყოველთვის აქ მოდიო. როგორ გაცდებოდა ალბათ, სუფრა თითქმის ხელუხლებელი რომ დახვდებოდა! მერე ბევრჯერ შემომლევია ფული, მაგრამ იმ სასადილოს როგორ გავეკარებოდი!

პიჯაკისამარა გარეთ გამოვედი. „გამარჯობა“, — დამიძახა იონამ და გვერდით ჩამიარა. მერე მობრუნდა:

— წამოხვალ სანადიროდ?

— წამოვალ, — მივუგე მე, — თუ გრივამ თოფი მათხოვა.

— რა ჯანდაბად უნდა, რომ არ გათხოვოს.

აღარ თოვდა. ირგვლივ ყველაფერი თეთრად ბზინავდა. ქუჩაში ბავშვები დარბოდნენ და ერთმანეთს გუნდას ესროდნენ. მე რომ დამინახეს, წამით შეჩერდნენ, მაგრამ რომ აღარ გავუჯავრდი, ისევ განაგრძეს თამაში. ერთი გუნდა ავიღე და ვესროლე ბიჭს, კოსკს რომ მოფარებოდა და „ტყვიებს“ გამალებით იმარაგებდა. ბიჭმა შემომხედა და გაიცინა.

— ამცლა, მასწ...

— განგებ ავაცილე, — ვუთხარი მე.

— არა, მასწ... აბა, კიდევ მესროლე!

ისევ ავიღე გუნდა და ვესროლე. ბიჭი შებრუნდა, რომ აეცილებინა, მაგრამ გუნდა ქეჩოში მოხვდა.

— ახლა მომხვდა, მასწ...

— ყოჩაღ, როგორ მიხვდი?

— მივხვდი, მასწ... — ბიჭი იღინებოდა.

გრიშასთან მოციქულად ანტონი მივგზავნეთ. გრიშამ თავისი ხელით გამოიტანა თოფი, ჩემთან მოვიდა და ყოყმანით მითხრა:

— თუ გაწმენდ, გათხოვებ.

— თავის დღეში არ გაგიწმენდია, ახლა მაინცადამაინც მე გინდა გამაფრინო?..

ტანზე თბილად ჩავიცვით, ჩანთები საგზლით ავავსეთ, წელზე სავაზნეები შემოვირტყით და გზას გავუღექით. ანტონიც თან გამოგვყვა. ძალიან მიკვირს, ასე რამ შეაყვარა ამ კაცს სიარული. ან ამ თოვლში როგორ გაიდა და წამოსვლა. მართლაც მალე დაიძლია, თოვლი ძალიან ღრმა იყო. ანტონიმ რომ გავცდით, სულ გაუკვალავ თოვლში გვიხდებოდა სიარული. ბოლოს ანტონმა ხელი ჩაიჭნია და შეჩერდა.

— რამოდენა თოვლია ეს ოხერი. მეტი აღარ შემიძლია, უკან დავბრუნდები.

— მაგაზე გაწყენინებ? — გაიცინა იონამ.

— როგორმე უშენოდაც ჩამოვიტანთ ნანადირევს, — ვუთხარი მე.

გზა განვაგრძეთ. ანტონმა ერთ ხანს გვიყურა, მერე კი კოჭლობით ვაბრუნდა უკან.

— საათები ბევრი აქვს? — მკითხა იონამ.

— ო, საკმაოდ.

— ხელფასიც დიდი ექნება, ოცდასამი წლის სტაჟი აქვს. პენსიასაც ხომ აძლევენ, როგორც ომის ინვალიდს.

— ჰო, ალბათ.

— ფული ექნება შენახული, — თქვა იონამ, — ნეტა რას უნახავს?

— რატომ? ჯერ ცხოვრება წინა აქვს. შეიძლება ოჯახსაც მოეკიდოს.

— გავიქდა თუ? რა ღროს მაგის ოჯახია! — იონა შეჩერდა და თვალი თვალში გამიყარა.

— აბა, სანამ უნდა იყოს ასე მარტო?

— რამე ხომ არ უთქვამს მაგის თაობაზე?

— არის თაობაზე?

— ოი, იმის, ცოლის შერთვაზე.

— არა. არაფერი უთქვამს, მაგრამ ბუნებრივი იქნება. ძნელია მარტო ცხოვრება.

იონა ჩაფიქრდა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. დიდი გაჭირვებით მივარღვევდით თოვლს. ჩიტის ნაკვალევიც არსად აჩნდა. სიარულში დაგვცხა. ერთი პირობა მზეც ამოვიდა და თოვლი თეთრად ააპრიალა. მერე ისევ მიეფარა ღრუბლებს და მალე ნისლი ჩამოწვა. უცებ იონა შეჩერდა:

— არ იცი, რამდენი აქვს ფული? —

მკითხა მან.

— საიდან მეცოდინება?



— არაფერი უთქვამს?
 — არა.
 — შენ იმ ქალთან რამე ანგარიში ხომ არა გაქვს?
 — რომელ ქალთან?
 — ჩვენი მეზობელი რომაა, ბავშვიანი.
 — ანიკო? რა ანგარიში უნდა მქონდეს?
 — მაშ, იქნებ მამაჩემი ეშმაკობს რამეს?—იონამ გაიღიმა და თვალები მოწყურა.
 — ნუ დამიმაღავ. იქნებ დედინაცვალია ჩემი.
 — არა, რას ამბობ, ანტონი მაგას იკადრებს?
 — იკადრებს კი არა!
 — არა, არ იკადრებს. მამად შეკფერის. შენ ანიკო წყალწაღებულ ხომ არა გგონია? ნუ გაერევი მაგ საქმეში. ქალი პატიოსნად ცხოვრობს.
 — ჰმ, პატიოსნად. მე რა გამომეპარება! მამაჩემი ფულიანი კაცია, ფული ვის არ შეაცდენს!
 მე არაფერი მითქვამს.
 უხმოდ შივაბიჯებდით თოვლში. ცამ პირი შეიკრა და თოვა დაიწყო. იონა წინ მიდიოდა. ღონივრად მიარღვევდა თოვლს. თავზე და განიერ, ვაქკატურ მხრებზე წვრილი ფიფქი აცვივოდა. ირგვლივ ჩქამი არ ისმოდა. იონამ ნაბიჯს უკლო და ახლა გვერდით მომყვებოდა.
 — შენ ყველაფერი იცი, — მითხრა მან, — მითხარი, ნუ დამიმაღავ.
 — რა ვიცი? — ვკითხე მე.
 — რამდენი აქვს მამაჩემს ფული...
 — არ ვიცი.
 — რას მიმაღავ, უცხო ხომ არა ვარ. ვართმევ თუ? მამაა ჩემი. ისე მაინტერესებს.
 — არაფერი არ ვიცი, თავი დამანებე!
 — ცოლის შერთვას თუ აპირებს, რამეს აუცილებლად გეტყვოდა.
 — არაფერი უთქვამს. ისე კი ყველას გვინდა, ცოლი რომ შეირთოს. მარტოხელა კაცია, გვეცოდება.
 — რას ამბობ, კაცო?

— რა გიკვირს?
 — თუ ძმა ხარ, დაუშალე, შენთან ძალიან ახლოსაა, აუცილებლად ვის.
 — რატომ უნდა დავუშალო? პირიქით.
 — თქვენ მთლად გააგიყებთ იმ კაცს. რა დროს მისი ცოლია! ცოლიც ჰყავს და შვილიც!
 თოვამ მოუხშირა და ერთბაშად ბარდნა დაიწყო. რამდენიმე წუთში ორივენი თოვლისკაცებად ვიქცით.
 — მგონი სისულელეა ახლა სანადიროდ წასვლა, — ვუთხარი მე და შევეჩერდი, — თანაც საძაველ გუნებაზე ვარ. არ ვიცი, რამ მომშხამა ასე.
 — მართალი ხარ, — თქვა იონამ, — ჯობია, დროზე დავბრუნდეთ.
 ახლა მე მივდიოდი წინ. გამალებით ბარდნიდა და თოვლი სწრაფად ფარავდა ჩვენს ნაკვალევს.
 — რა უცნაური ხარ, — თქვა ლოლამ, მერე დაიხარა, მიწაზე თითებით თოვლი მოხვეტა და სახეში შემაყარა, — ამ შუა ზამთარში და ისიც ღამით ბაღში ჯდომა გავგონილა? იმ გრიბმა მაინც არ გასწავლა ჭკუა?
 — თქვენს კლუბში ყოფნას აქ ჯდომა მირჩევნია. კინოში სულ მძაგძაგებს ხოლმე, აქ კი სიცივეს არც კი ვგრძნობ.
 — უკვე ექვის თვალით გვიყურებენ, — მითხრა ლოლამ ცოტა ხნის შემდეგ, — შენ ვერ ამჩნევ?
 — ვამჩნევ და მიხარია კიდევ, ძალიან მიხარია.
 — ასე სასიხარულოა?
 — რატომაც არა, ეს სიყვარულის ახსნას სჯობს.
 — აპირებ სიყვარულის ახსნას?
 — დავავიანე?
 — არა, მგონი სულაც არ არის საჭირო.

გიორგი კეჭალმაძე
 მეთორმეტე წარი

— უარის თქმას ხომ არ აპირებ? —
კვითხე მე და თვალეში შევხედე.

— ვაპირებ.

— მაშ, მითხარი.

— მაცაღე, სული მოვიტყვა.

ლოლას თითქოს მართლაც უტირ-
და სულის მოთქმა. დღეადა და ხელს
მკერდზე იღებდა. მე ახლოს მივუჯექი
და წელზე ხელი მოგხვიე.

— სილა არ გამაწნა, — ვუთხარი
მე, — თორემ ისეთ ღრიალს ავტეხ,
სულ აქ შევყრი, რაც კლუბში ხალხია.

— არ გავარტყამ, — მითხრა ლო-
ლამ, მერე საყულო გამოხსნა და სახე
ჩემს მკერდში ჩამალა: — ცხვირი გა-
მეყინა, უნდა გავითბო.

— ცოლად წამომყვები? — მივახალე
უცებ.

— რა თქვი?

— ასე ადვილი გასამეორებელია?

— გაიმეორე, რა დიდი ამბავია?

— ცოლად თუ წამომყვები-მეთქი?

— რას მეკითხები, ვითომ არ იცი?

— ჰო თუ არა?

— ხუმრობ? თუ გინდა, დღესვე გა-
მოგყვები. აი, ახლავე.

— მიყვარხარ, — ვუთხარი მე, —
ძალიან მიყვარხარ, ლოლა!

— ის პატარა გოგო მაინც უფრო
გიყვარდა.

— არა, უფრო არა, ასე მიყვარდა.

— უფრო გიყვარდა!

— შეიძლება, იმიტომ რომ მას არ
ვუყვარდი.

— აი, ხომ ვითხარი! მე კი ისე მიყ-
ვარხარ, როგორც შენ ის პატარა
გოგო გიყვარდა.

ხმა არ ამომიღია. ყელზე ლოლას
ცხელ სუნთქვას ვგრძნობდი და ცეცხ-
ლი მეკიდებოდა.

— გჯერა, რაც ვითხარი?

— არა!

— განა ვერ ხედავ, რომ ვტირი?

ლოლა მართლაც ტირიდა. ხმადაბლა
სლუკუნებდა და ლოყებზე ცრემლი
დაბალუბით ჩამოსდიოდა.

— კარგი, დავიჯერე, ნუღარ ტირი.

— არ შემიძლია, — სლუკუნით ამ-
ბობდა იგი, — არ შემიძლია!

— კარგი, გაჩუმდი, — ვუყვავებდი
მე. ის კი ისევ გულამომჯდნარი
როდა.

მერე თავი ავუწიე და თვალეში
ჩაეხედე. სველი წამწამებიდან ცრემ-
ლი ცვიოდა.

— ლოლა, — ვუთხარი და შევანჯღ-
რიე კიდეც, არაფერი მოუვიდეს-
მეთქი. მან ახლა კისერზე შემომხვია-
ხელები და კოცნა დამიწყო. სული კი-
ნაღამ შემეხუთა. ეს გოგო ნამდვილად
გაგიჟდა-მეთქი, გავიფიქრე.

მერე უცებ მომწყდა და გააქცა. ად-
გილიდან წამოდგომა ვერც კი მოვას-
წარი, რომ სირბილით ჭიშკარში გა-
ვარდა და გაუჩინარდა.

„ხომ არ გაგიჟდა!“ — ვფიქრობდი
და გაოცებული, დაბნეული და რეტ-
დასხმული, გახურებულ სახეზე წამ-
დაუწუმ ხელს ვისვამდი. მერე წამოვ-
დექი და შინისაკენ ბარბაცით გავე-
მართე. ყველაფერი სიზმარი მეგონა.
საოცარი, განუმეორებელი სიზმარი. „მე
კი ისე მიყვარხარ, — თითქოს ისევ
მესმოდა ლოლას სიტყვები, — რო-
გორც შენ გიყვარდა ის პატარა გოგო...“

მე მართლაც ძალიან მიყვარდა ის
გოგო, მგონი ლოლაზე უფრო მეტად.
ალბათ იმიტომ, მას რომ არ ვუყვარდი.

შეშა მაინც არ მიყიღია, არც ღუ-
მელი დამიდგამს. რაღა აზრი აქვს. ხვალ
ისევ იწყება სწავლა და დილიდან სა-
ლამომდე სკოლაში უნდა ვიყო. სალა-
მოობით კი ან კინოში მივდივარ, ან
შინ მისვლისთანავე ვწვები და სანამ
დამეძინება, წიგნს ვკითხულობ. ლო-
გინში კი რა შემაცეხებს, ორი საბანი-
მასხურაეს და ორივე ისეთი სქელი, ყო-
ველამ მესიზმრება, თითქოს ვიღაც
ხურგზე მაწევს და მახრჩობს. ეს საბ-
ნები დედაჩემის შეკერილია, დედაჩემმა
კი მშვენივრად იცის, როგორ მიყვარს
შეშის ჩეხვა და ცეცხლის დანთება.

ის იყო სინათლე უნდა ჩამეჭრო და
კვლავ ჩემს ათფუთიან საბნებში შევ-
მძვარლიყავი, რომ კარი გაიღო და
ოთახში იონა შემობარბაცდა. გვარია-

ნად იყო შეჭიკჭიკებული. თვალი ჩამიკრა, ღიმილით წამოვიდა ჩემკენ და სასთუმალთან დამიჯდა. რომ დათვრება, ძალიან უყვარს თვალის ჩაკვრა. ვაიბადრება და ხან მარცხენა თვალს ჩაგვიკრავს, ხან მარჯვენას, ხან მარცხენას, ხან მარჯვენას, სანამ. ორივე თვალი ერთად არ დაეხუჭება. ამ ბოლო დროს თითქმის ყოველ საღამოს თვრება. სასაღილოში მავიდასთან განმარტოებით ზის და ღვინოს ყლურწავს. კიდევ კარგი, სამი-ოთხი ჭიქა თავისუფლად ჰყოფნის.

— როგორ ხარ? — ვკითხე მე და გავუღიმე.

— დიდებულად, — მითხრა მან, დაიხარა და ღვინოს სუნი სახეში შემართქლა. მერე ლოყაზე მაკოცა.

— შენ გენაცვალე, — თქვა მან და შუბლზე მომისვა ხელი, — კარგი ბიჭი ხარ.

— ყველა ასე ამბობს, — დავუდასტურე მე.

— შენ აქ უნდა იყო? ეჰ, იცი რა არის ინგლისური ენა? ახლა ყველა ინგლისურს სწავლობს. ჩამოდი თბილისში, იმდენი მოწათე გიშოვო, აი, ფული... — იონამ ყელში გამოისვა თითი. — სულ ასპირანტები და მეთერთ-

მეტეკლასელი გოგონები, აბითურენ-ტები.

— ჩამოვალ, — ვუთხარი მე, — ველ მიზეზს გარეშე ჩამოვალ.

— ჩამოდი და პირდაპირ ჩემთან მოდი.

მერე ისევ გადამისვა შუბლზე ხელი.

— შენ ფული გექნება.

— მერე?

— უნდა მასესხო. თბილისიდან გამოგიგზავნი. ან ანტონი მოგცემს. თუმცა ვალი არ უყვარს.

— რამდენი გინდა?

— ბევრი არა. ასე, ორმოცდაათი.

— ნაკლები რომ იყოს?

იონა მოიღუშა და ჩაფიქრდა. მერე უცებ გაებადრა სახე.

— ჯანდაბას, იყოს. მაინც კარგი ბიჭი ხარ!

მე ავდექი. პიჯაკის ჯიბიდან სამი ათმანეთიანი ამოვიღე და მივეცი. იონამ გამომართვა, გამიღიმა, თვალი ჩამიკრა და ადგა.

— კარგი ბიჭი ხარ, თბილისში პირდაპირ ჩემთან მოდი.

სინათლე ჩავაქრე და ლოგინში შევივერი.

გიორგი კეჭაღმაძე
მეთორმეტე წარი

დასასრული იქნება



ილია იონიძის ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის შესახებ!

ლოკუმენტური მოთხრობა

თეთრი ხომალდი სარგასნის ზღვის ტალღებს მიაპობდა. მზის მცხუნვარე სხივები წყლის ზედაპირს ვერცხლისფრად ალაპლაპებდა. ზღვა ყვითელი და წითელი წყალმცენარეებით იყო სავსე. ღია ილუმინატორებში თვითმფრინავების გუგუნი აღწევდა.

ამერიკული თვითმფრინავები ჯგუფ-ჯგუფად ტრიალებდნენ ჰაერში, დროდადრო დაბლა დაეშვებოდნენ, გემს ზედ ცხვირწინ ჩაუქროლებდნენ.

ხომალდი კუბის ნაპირებისკენ მიცურავდა.

„გვაშინებენ, — ფიქრობდნენ მგზავრები, — მაგათ ბაქი-ბუქის მეტი რა შეუძლიათ!“

გემზე სოფლის მეურნეობის სამასი საბჭოთა სპეციალისტი იმყოფებოდა. ისინი დილაობით ვარჯიშობდნენ, მეორე წიგნებს ჩაპკირკიტებდნენ, სწავლობდნენ ესპანურ ენას, თამაშობდნენ ქადრაკს და ხშირად საესტრადო კონცერტებსაც მართავდნენ. ქართულ სიმღერებს აქ მუდამ დიდი წარმატება ჰქონდა. განსაკუთრებული პოპულარობით „სულიკო“ სარგებლობდა. „სულიკოს“ მთელი ხომალდი მღეროდა. ლურ-

ჯი ოკეანის თავზე ირხეოდა რუსული, უკრაინული, ქართული და ბელორუსული სიმღერების ჰანგები.

ციხის მიღმა კი რჩებოდა თეთრი კვალი. ოკეანის უსასრულო მინდორზე თოლიები გვირილებივით ჩანდნენ. ცაზე ამერიკული ნაღმტყორცნები გუგუნებდნენ.

ხომალდი ჰავანას უახლოვდებოდა.
დღიურიდან

„5 ივნისი. 1961 წელი. მზე საშუაღლეოზე აიწვერა. „საქართველომ“ ღუზა ჩაუშვა და რეიდზე დადგა. სალოცმანო კარაბთან ერთად ჩვენს შესახვედრად უამრავი ნავი, ბარკასი და კატარღა დაიძრა. გემბანიდან კარგად ჩანს ჰავანა, მისი სანაპირო ყველას ზღაპრული გვეჩვენება. როგორც იყო, მივალწიეთ!“

„საქართველოს“ მოუთმენლად ელოდნენ. სანაპირო ხალხით იყო სავსე. ლევანმა ნავსადგურის თეთრ შენობაზე აღმართულ ვეება ტრანსპარანტზე წაიკითხა: „ფიდელი“, „მეგობრობა“. ხალხის ტალღა გუგუნებს: ვივა, რუსო, ვივა, რუსო!

მძიმედ დაუშვეს კიბე, მაკრამ მიწა-

ზე ფეხის დადგმა ვინ აცალათ, საბჭო-
თა ქვეყნის წარგზავნილები ხელში
აიტაცეს. ზომილინი კიბიდან ხავანგე-
ბო ავტობუსებამდე თუმცა პატარა
მანძილი იყო, მაგრამ მთელი საათნახე-
ვარი მოანდომეს იქამდე მისვლას. სიმ-
ღერა არ წყდებოდა, არ წყდებოდა
შეძახილები და ტემპერამენტიანი „ვი-
ვა“ და მერეც, როცა ავტობუსები სას-
ტუმრო „ჰავანა ლიბრესაკენ“ მიქრო-
დნენ, ლევანი ფანჯრიდან ხედავდა
მდლა აღმართული ხელების ტყეს.

ლევანმა მეგობრებს გადახედა. ყვე-
ლას მოუსვენრობა ეტყობოდა. ლევანი
ფიქრობდა... „აი, ჩვენ შენთან ვართ,
კუბავ, შენს მიწაზე. ნახატები და ფო-
ტოსურათები ტყუოდნენ. მათ ვერ შეს-
ძლებს გადმოეცათ შენი მღელვარე,
ლაშაზი სული“.

როგორ ოცნებობდა ლევანი ამ დღე-
ზე! მან გაიღიმა და როცა თავი ასწია,
მეგობრების გაბრწყინებული თვალები
დაინახა.

სასტუმრო „ჰავანა ლიბრე“. ისევ
ხალხი, ისევ შეძახილები და გულუხვი
მასპინძლობა. სასტუმროს უზარმაზარ
ვესტიბიულში გრილოდა. ლევანმა მო-
გვიანებით გაიგო, რომ „ჰავანა ლიბრე“
კუბის დედაქალაქის საზოგადოებრივი
თავშეყრის თავისებურ ცენტრს წარ-
მოადგენდა. ადრე დილიდან მოყოლე-
ბული გვიან ღამემდე არ წყდებოდა აქ
ადამიანთა ფუსფუსი,—ეწყობოდა შეხ-
ვედრები, კამათი. დადარაჯებულ ფო-
ტორეპორტიორებს ხომ ვერ აუვლოდი
გვერდს!

ხანდახან დარბაზის შუაგულში რო-
მელიმე ახალგაზრდა გამოვიდოდა და
მშვიდად, ყველას ვსაგონად კითხუ-
ლობდა ლექსებს. აქ ადვილად ეცნო-
ბოდა ადამიანი ადამიანს, ადვილად
გაიგებდა ხოლმე ახალ ამბებს და რაც
მთავარია, აქ ხშირად მოდიოდა თვი-
თონ ფიდელი.

სასტუმროს დერეფნები ჰაბუკებით
იყო სავსე. მათ ლურჯი კოსტუმები
ეცვათ, ღიმილით ეგებებოდნენ სტუმ-
რებს და ოთახებისაკენ მიუძღოდნენ.

ლევანს ოცდამეერთე სართულზე შეხ-

ვდა ოთახი. ოთახში შესანიშნავი ავეჯი
იდგა. საერთოდ, მთელ სასტუმროში
ყველაფერი სანიმუშოდ გამოიყოფოდა.
და. ხნიერმა ადმინისტრატორმა თქვა,
რომ წინათ ეს სასტუმრო მხოლოდ
მდიდრებისთვის იყო განკუთვნილი; აბ-
რაზე ეწერა: „შავკანიანებსა და ძალ-
ლებს სასტიკად ეკრძალებათ შესვლა“;
თითო ნომერი ოცდათხუთმეტი დოლა-
რი ღირდა, ახლა კი ძალიან იაფიაო.

როგორც კი თავისუფლად დაიგუ-
ლეს თავი, ლევანი კაკოს შეუჩნდა:
მოდო, სადმე გავისეირნოთო. ცოტა
ხნის შემდეგ მეგობრები სიენფუუგოსის
სანაპიროზე იხსნენ. სიენფუუგოსი
ესპანურ ენაზე „ას მამხალას“ ნიშნავს.
მაღე დაღამდა კიდევც.

ღამით უფრო ლამაზი ჩანს ჰავანა—
უთვალავი ლამპიონით გაჩახჩახებული.
ბოლაზში ხომალდები დგანან. ზღვა
წყნარი და მუქია. სიბნელედან მოისმის
გიტარის წკრიალი—ქალაქის შორეუ-
ლი სუნთქვა. ჰავანას თავზეც ნათურე-
ბია—ნათელი, მოციმციმე ვარსკვლავე-
ბი. ისინი თითქოს საგანგებოდ დაშვე-
ბულან ქვევით და ასე ბრწყინავენ.
პროექტორის ვერცხლისფერი ზოლი
წამაღუწუმ სერავს სივრცეს, მკვეთრად
გამოჰყოფს საოკეანო ხომალდთა სი-
ლუეტებს, ნაპირზე გამოფენილ ხალხსა
და ლოზუნგს: „ფიდელი — მშვიდო-
ბა!“ ამ სიტყვებით ხედება ჰავანა ყვე-
ლას, ვინც სამეგობროდ მოეშურება
მისკენ.

დღიურიდან

„ქუჩაში ხშირად მაჩერებენ, რაღა-
ცას მეკითხებიან. ჰგონიათ კუბელი, ან
მექსიკელი ვარ. მე უხერხულად ვიღი-
მები. დამარცვლით ვუხსნი, რომ ქარ-
თველი ვარ.“

ეს წუთია მელიკოს წერილი გავუგ-
ზანე. ღამის პირველი საათია...

საქართველოში კი დილის ათი საათი
იქნება. დასრულდა ჩვენი მოგზაურო-
ბაც. საშინლად მეძინება“.

მთელი კვირა ქალაქს ათვალიერებ-

ილარიონ ხუციშვილი

ჩვენ არ გემშვიდობებით, ლევან!

დენ. ეს იყო პირველი ნაცნობობისა და პირველი დამეგობრების, პირველი გაცვირვებისა და სიხარულის დღეები. ჯერ კიდევ ბათუმში ყოფნისას, გამომგზავრებამდე დიდი ხნით ადრე, ლევანმა ბიბლიოთეკები გადაქეპა, უნდოდა, რაც შეიძლება მეტი ცოდნოდა ამ ქვეყნის შესახებ, მის ზომ გმირულ კუნძულზე ერთი წლის შრომა ელოდა.

კუბის მიწაზე, როგორც ფოკუსში, თავი მოიყარა ლათინური ამერიკის ძველმა იარებმა, ქვეყნის ბედი შეაჩარზე ეკიდა. „შაქრის გარეშე კუბა არ არსებობს!“ — ხმაილა გაჰყვიროდა მშრომელთა ჩაგვრით ჯიბეგასქელებული კუბის რევოლუციამდელი მთავრობა, რომლებიც მთელს მოგებას თვითონ იჯიბავდნენ. ეს უმდიდრესი ქვეყანა იძულებული იყო ყოველწლიურად 150 მილიონი დოლარის სურსათი შემოეზიდა. სასალათე მწვანილიც კი ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოდიოდა. დასამუშავებელი მიწების ერთი მეხუთედი იანკებს ეკუთვნოდათ. კუბის გლეხობის — გუაპიროს ოთხმოც პროცენტს საკუთარი მიწა არ გააჩნდა. კუბელი ხალხის ბედ-იღბალს ამერიკელი ელჩები განაგებდნენ. მოსახლეობის ნახევარზე მეტი უმეფეობი იყო. უწიგნურმა ხალხმა ბნელ საქმიანობას მიჰყო ხელი, ჰყიდა მორფსა და ჰაშიშს. კუბის კაზინოებს უთვალავი ტურისტები ეტანებოდა, შემოსავლით კი ჩიკაგოელი და ნიუ-იორკელი განგსტერები ისქელებდნენ ჯიბეს, ცოტაოდენი ადგილობრივ კაუდილიოებსაც რჩებოდათ. ჰავანა ამერიკის შეერთებული შტატების ჰარამხანად იყო ქცეული. კუბის დედაქალაქში ყოველ დამით თორმეტი ათასი ქალი მეძაობდა.

ქვეყანაში, სადაც ბავშვები ფეხშიშველი დადიოდნენ, ფეხსაცმელების ფაბრიკები წელიწადში ექვს-შვიდ თვეს უსაქმოდ იდგნენ. სამაგიეროდ მუშაობდნენ ღამის კლუბები და კაბარეები. ისინი გათენებამდე ემსახურებოდნენ კლიენტებს.

„შაქრისა და მონების კუნძული!“ — ეს მოკლე და ბევრისმთქმელი სახელ-

წოდება კუბამ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მიიღო. ასე გრძელდებოდა ნამდევად, ვიდრე ფიდელ კასტრო „ბარბუდოსებთან“ ერთად გმირულად ბრძოლა წავიდა ჰავანაში.

დღიურიდან

„6 ივნისი. 1961 წელი. ჰავანა. დილის ექვს საათზე ვიღვიძებთ. საინტერესო სანახავია ახალგაღვიძებული ქალაქი. სასტუმროს აივანიდან კარგად ჩანს სახლები, ქუჩები. ქალაქი დეკორატიულ მცენარეებსა და ყვავილებშია ჩაფლული. ზღვის ნიავს გრილი სურნელება მოაქვს. სანაპიროზე სახალხო მილიციის რაზმმა ჩაიარა. რაზმის ყოველ წევრს ცისფერი ხალათი აცვია. „უპ, ვირ, არო!“ — ისმის მეთაურის ხმა. ხალხი შეიარაღებულია, ხალხი ფხიზლობს. ახლა, გლეხების მიტინგზე, როცა ფიდელი იკითხავს, ემხრობა თუ არა გუაპირო მთავრობის პოლიტიკას, თანხმობის ნიშნად ახალ-ახალი შეშანები ალაპალადებია... მოთმინება არ მყოფნის, მინდა, რაც შეიძლება ჩქარა შევეუერთდე მოვლენათა ამ ორომტრიალს.“

ლევანი გრძნობდა კუბის მძლავრ მაჯისცემას. მოსახლეობას ძალზე თამამად ეჭირა თავი. ეს-ეს არის, პლია პირონთან ვაჟაკურად მოიგერიეს დესანტი. ეს ხალხი დღისით შრომობდა, ეწაფებოდა ცოდნას, ღამით კი ქუჩებსა და მოედნებზე საგუშავად გამოდიოდა. მიტინგებზე საოცარი მგზნებარება და ერთსულოვნება სუფევდა. არ შეიძლებოდა, არ გადმოგდებოდა ხალხის ამგვარი აღტყინება და როცა ასი ათასი კაცი ერთხმად გუგუნებდა — „სამშობლო ან სიკვდილი!“ — ლევანს ქრუნტელი უვლიდა. მან იცოდა, რომ ეს ხალხი უსათუოდ გაიძარჯვებდა.

კუბელები დიდი ყურადღებითა და სითბოთი ხვდებოდნენ საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს. ქუჩაში თვალს რომ მოჰკრავდნენ, გარს შემოეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, მეგობრულად უტყაუენებდნენ მხარზე ხელს და შინ ეპატიებოდნენ.

„გაიგეს თუ არა, რომ საბჭოთა ქვეყ-

ნიდან ვიყავით, მოსახლეობა გზის ორივე მხარეს გამოეფინა. ჩვენც ვპასუხობთ შეკითხვებზე და თვითონაც ცნობისმოყვარეობას ვიჩენთ. კუბელები მეტად გულლია ხალხია. მე მომწონს ისინი. სასკოლო ქალაქში გოგონებმა ცოცხალი ყვავილები მოგვართვეს. ცოტა არ იყოს, სიამაყეც ვიგრძენი. კუბელებისათვის ჩვენზე უფრო სასურველი სტუმარი არ არსებობს. რამდენიმე საათს ვათვალისწინებდით კაპიტოლიუმს. მინის კარადასთან შეეჩერდით. აქ ინახება ძვირფასი რელიქვია—კუბის რესპუბლიკის პირველი დროშა. იგი სამფეროვანია. თეთრი ფერი სიწმინდეს ნიშნავს, ლურჯი — იმედს, წითელი — სისხლს, ხოლო ვარსკვლავი, თავისუფლების სიმბოლოა. სამოცი წლის წინათ ამ დროშის ქვეშ დაიარაზმა კუბელი ხალხი. მაშინ ესპანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხს ხოსე მარტი ედგა სათავეში. დღეს კუბაში ხოსე მარტის აპოსტოლს ეძახიან და ახლაც, როგორც სამოცი წლის წინათ, სამი ფერი ამკობს რევოლუციის დროშას“.

კაპიტოლიუმის ერთ ნაწილში სახალხო ბიბლიოთეკა არის მოთავსებული. ერთ-ერთ თეთრ დარბაზში ლევანმა თორმეტიოდე წლის ბიჭი დაინახა. იგი განმარტოებით იჯდა და უზარმაზარ წიგნს ფურცლავდა. ლევანმა ამოიკითხა სათაური — „მართლმსაჯულება“. „ოჰო, — გაიფიქრა მან, — ადრე არ არის ამ ბიჭუნასთვის ასეთი წიგნების კითხვა? შენს ასაკში მე ჩაისუბნის ღელეში ვკუყუმალობდი“. მერე გვერდით მიუჯდა. ბიჭმა იგრძნო უცხო კაცის სიახლოვე და თავი ასწია. მას დიდი, ნათელი თვალები ჰქონდა, ბიჭს არხელიო ერქვა. არხელიოს ძალიან გაუზარდა, როცა მოსაუბრის ვინაობა გაიგო, ლოყები შეუფაკლდა და ენად გაიკრიფა. რამდენიმე წუთის შემდეგ ლევანმა ყველაფერი იცოდა. იცოდა, ვინ იყვნენ არხელიოს მშობლები, რას აკეთებდა მისი ძმა. გაიგო ისიც, რომ ორიოდე დღის წინათ პლაია ჰირონზე პატარა არხელიოც ავტომატით ხელში

ელოდა მტერს. ბიჭი გულდაწყვეტილი იყო, ავტომატიდან გასროლა არ დამკვირვებიაო.

— იცით, რა ერქვა ზღვის ყურეს, სადაც მტრის დესანტი გადაიჩხნა? „კოჩინოსი“! — ბიჭმა აღარ დაუცადა ჩვენზე მომაგრებულ მთარგმნელს და დაიწყო იმის განმარტება, რომ „კოჩინოსი“ ღორს ნიშნავს, ხოლო ყურეს ამიერიდან „ღორების ყურე“ ეწოდება. — შესაფერისი სახელწოდებაა, ხომ? — იცინოდა არხელიო. ამ პატარა ჰავანელს უკვე წაეკითხა ხოსე მარტი, უყვარდა ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და ექიმობაზე ოცნებობდა.

„...მეორე დღეა, ჰავანას ვათვალისწინებ. ვიყავი კაპიტოლიუმის ვეება შენობაში. იგი 1921 წელს აუშენებიათ. შენობის ერთი ნაწილი სახელმწიფო დაწესებულებებს უჭირავს, მეორე კი მუზეუმს აქვს დათმობილი. ფართო დერეფნები ძველებური ავეჯითაა მორთული. შავი ფერის ხე, მუქწითელი სავარძლები, ხავერდის მძიმე ფარდები, მოზაიკით დამშვენებული იატაკი, — ყველაფერი ეს თვალს იტაცებს და გზიბლავს. ოქროს არშიაშემოვლებული ქერი ზღაპრული სანახავია.

საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზი ექვსასი კვადრატული მეტრი იქნება. კედლების გასწვრივ, კარადებში, მხოლოდ და მხოლოდ იურიდიული ლიტერატურაა.

დარბაზის ერთი მხარე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სკულპტურული პორტრეტებითაა სავსე. წარმოიდგინე, მედიო, აქ ვნახე ქართველი ქალის ქანდაკება!“ (მეუღლისადმი მიწერილი წერილიდან).

ქალაქი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს იყო ლამაზი და ზღაპრული ქალაქი. მისი ყოველი ქუჩა შეუცნობელ, იღუმალეებით სავსე წიგნს ჰგავდა. და სწორედ აქ, ამ შორეულ ქვეყანაში, ლევანს რუსული ლაბარაკი შემო-

ილარიონ ხუციშვილი
ჩვენ არ გემშვიდობებით, ლევან!

ესმა. მაღაზიაში თითქმის არავინ იყო. გრილოდა. ლევანს საზაფხულო შარვალი მოეწონა. მაღაზიის პატრონმა, გამხდარმა მოხუცმა გაიღიმა და ლევანს თხელ, გამჭვირვალე ქაღალდში შეხვეული შარვალი გაუწოდა.

ლევანმა ჯიბიდან სიგარეტი „ნოვოსტის“ კოლოფი ამოიღო. უეცრად მოხუცის გაოცებული სახე დაინახა. იგი კოლოფს უყურებდა. ლევანმა მას სიგარეტი შესთავაზა. გამაღობთ, სერ, — თქვა მოხუცმა, სიგარეტი აიღო, გააბოლა და ჩურჩულით დაუმატა:

— შეიძლება კოლოფი მომცეთ? მე მას შევიწინააღმდეგე—მერე ღრმად ამოისუნთქა და ლევანს ნაღვლიანად შეხედა. ლევანის წინ რუსი ემიგრანტი იდგა.

ლევანი თვალს არ აშორებდა მოხუცის გამხდარი ხელების მოძრაობას; ბოლოს გამოეთხოვა და სასტუმროსაკენ გაემართა.

დღიურიდან

„1961 წლის 10 ივნისი. დღის სამ საათზე შევხვდით აგრარული რეფორმის ნაციონალური ინსტიტუტის დირექტორ-აღმასრულებელს არიფესონ ანტონიო ნუნეს ხიმენესს. კაბიტნის ჩინი მან ჩეგვარას კოლონაში მიიღო. ხიმენესი ახალგაზრდაა. კუბაში აგრარულ რეფორმას უბრალოდ „ინრას“ უწოდებენ. „ინრა“ მთავარი რევოლუციური ძარღვია, იგი აგრარულ ცვლილებებს ახდენს კუბაში.

ხიმენესმა დაწვრილებით აგვიხსნა აგრარული რეფორმის მნიშვნელობა, გველაპარაკა კუბის სოფლის მეურნეობის სიძნელეებსა და პრობლემებზე. მან თქვა, რომ კუბის რევოლუციური მთავრობა დიდი იმედით შეჰყურებს საბჭოთა ქვეყნიდან ჩამოსულ სპეციალისტებს.

ამ გამხდარსა და შავგვრემან მამაკაცს კეთილი გამომეტყველება ჰქონდა. წარსულში იგი, როგორც გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, ჰავანას უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. მან დაწერა შესანიშნავი წიგნი—„კუბის გეოგრაფია“, მაგრამ ბატისტას დიქტა-

ტურამ საშინლად შეაფიქროვა ნიჭიერი მეცნიერი.

რევოლუციის დაწყებისთანავე ფესორი თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩადგა და ჩქარა გაითქვა სახელი. მშვიდობიან დღეებში კუბის გეოგრაფიის დიდი სპეციალისტი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეს ჩაუდგა სათავეში. მეცნიერმა და სარდალმა ხიმენესმა თავისი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

„ინრა“ კუბის რესპუბლიკის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. სწორედ ამ ინსტიტუტმა მოახდინა მემამულეებისა და უცხოელ კომპანიათა მიწების ნაციონალიზაცია, ფული გადაუხადა კერძო მესაკუთრეებს, მიწები გლეხებს დაუბრუნა და შექმნა ე. წ. „სახალხო მაღაზიები“. ასე რომ, „ინრა“—კუბის მთელი ეკონომიკის სული და გული—კუნძულზე მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციაც არის. სადამოს წავედით თეატრში. დავესწარით კონცერტს. პირველად ჩვენი მასპინძლები გამოვიდნენ და კუბური სიმღერები და ცეკვები შეასრულეს. მეორე განყოფილება ჩვენს „ანსამბლს“ დაეთმო. „სულიყო“ ვიმღერეთ. წინათ არასოდეს არ გამოვსულვართ ხალხის წინაშე. აქ კი ქართული სიმღერები ამერიკის მთელი კონტინენტისათვის უნდა გვემღერა: კონცერტს რადიოთი და ტელევიზიით გადასცემდნენ. როგორ ცდილობდნენ ჩვენი ბიჭვები, რაც შეიძლება კარგად გამოსულიყვნენ“.

გულლია მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საფუძვლიანად გაეცნოთ სტუმრებისთვის თავიანთი ქვეყანა, ეგრძობინებინათ, რომ ოკეანის გადაღმიდან სამასი საუცხოო „ჩიკოს“ ჩამოსვლა მათთვის სასურველი და გასახარელი არის.

თავისუფალ დროს ლევანი თანამემამულეებთან ერთად ჰავანას ათვალერებდა. დიდხანს ისხდნენ მეგობრები მაღალ სკამებზე, სვამდნენ კოქტილს, ხანდახან რადიოში „ინტერნაციონა-

ლის“ პანგები გაისმოდა, მაშინ ყველა ფეხზე დგებოდა და მღეროდა.

ასეთი იყო კუბა 1961 წელს. ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის კედელზე ლევანმა წაიკითხა: „თუ ამერიკელებს არ შეუძლიათ აიტანონ სოციალიზმი, მაშინ კეთილი ინებონ და კუბიდან ოთხმოცდაათი მილის დაშორებით გადაბარდნენ“.

განსაკუთრებით სასიამოვნო იყო „კადილაკით“ სეირნობა. ეს მანქანა რევოლუციურმა მთავრობამ შაქრის ქარხნის მეპატრონეს ჩამოართვა. მანქანის სარკმლებიდან ჩანდა ზღაპრული ფერებით აელვარებული ქალაქი. ლევანს უნებურად ახსენდებოდა კოლუმბის სიტყვები: „ეს არის ადამიანის თვალით ნანახ მიწათა შორის ყველაზე ულამაზესი მიწა“.

მანქანიდან მოჩანდა ბრწყინვალე ვილები, ფრონტონებზე წითლად ელავდნენ წარწერები: „რევოლუციური ხელოვნების სკოლა“, „კულტურულ-სასწავლებელი“, „პროფკავშირების კლუბი“. ყოფილი მილიონერების სახლებში ახლა სახალხო კომპერატივებიდან და მეთევზეთა დაბებიდან ჩამოსული ჭაბუკები და ქალიშვილები ცხოვრობდნენ.

ერთხელ იმ სკოლის წინ შეჩერდნენ, სადაც მომღერალთა თვითმოქმედი გუნდების ღირსიერები სწავლობდნენ.

სტუმრებს 15-17 წლის გოგონები შემოეხვივნენ. მათ ნაცრისფერი უსახელო ხალათები და ლურჯი შარვლები ეცვათ. მზიარულმა და ცნობისმოყვარე გოგონებმა უამრავი კითხვა დააყარეს სტუმრებს. ყველას აინტერესებდა, როგორია საბჭოთა ქვეყანა, კომკავშირში ვის იღებენ, რა ხნისანი თხოვდებიან ქალები და სხვა.

ისინი კარგად მღეროდნენ. კუბელი გლეხების — გუაპიროების სიმღერა პარტიზანულმა სიმღერებმა შეცვალა. ეს სიმღერები სიერა-მაესტრას მთებში შექმნეს კუბელმა პატრიოტებმა.

იმღერეს სტუმრებმაც. ქართულმა სიმღერებმა ადაფრთოვანა მასპინძლები. ზეიმი დასრულდა. დაემშვიდობნენ

ერთმანეთს, მაგრამ ახლა ქუჩების მოედო ხალისი — კუბელი გოგონები ხელიხელჩაიდებულები გამოვიდნენ ქუჩებში და მღეროდნენ. სიმღერა მოედინა ფართო ბულვარს.

ერის სული ყველაზე კარგად სიმღერაში იგრძნობა და კუბელ გოგონათა ეს სიმღერაც კარგად გამოხატავს ხალხის რევოლუციურ განწყობილებას. მისამღერს გოგონები სიცილით ამთავრებდნენ. ასე მხოლოდ გამარჯვებული იცინის, იცინის იგი, ვისაც სჯერა თავისი ძალისა, ვისაც ვერც ბლოკადით შეამინებ და ვერც ინტერვენციით.

დღიურიდან

„1961 წლის 11 ივნისი. დღით შაქრის ლერწმის ასაღებად გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად იყვნენ კუბელი ბიჭებიც. ისინი სულ მალე საბჭოთა კავშირში მიემგზავრებიან სასწავლებლად. საღამოზე გამოგვიცხადეს, ვინ სად იმუშავებდა. ჩემი ხუთეული კამაგუეის პროვინციაში გაანაწილეს“.

ავტობუსების ქარავანი მთელ კილომეტრზე გადაიჭიმა. გზა გვირაბში გადაიოდა. ეს გვირაბი საფრანგეთის რომელიღაც ფირმას აუშენებია. კარგი გვირაბი იყო, ძველ გზას 25 კილომეტრით ამოკლებდა. ზღვისგადაღმელი მშენებლები, რა თქმა უნდა, არ დარჩნენ ვალში. 12 მოლარე მთელი დღე-ღამის განმავლობაში 10 სენტავოს ახდევინებდა ყველა მანქანის მძღოლს. მშენებლობაზე გაწეული ხარჯები კომპანიამ ერთი ხელის დაკვრით ამოქაჩა და ჩქარა სუფთა ოქრომ იწყო მათ ჯიბეში დენა. ახლა უკვე აღარაინი გახდევინებს ბაეს გვირაბში გავლისათვის, რევოლუციამ თავის საკუთრებად გამოაცხადა იგი.

ასეთივე ბედი ეწია პან-ამერიკული კომპანიის მაგისტრალსაც. ამ მაგისტრალზე ახლა ლალად მიჰქროდნენ ავტობუსები, წინათ კი აქ გავლა ფული ღირდა.

ავტობუსები სანაპიროზე გავიდნენ.

ილარიონ ხუციშვილი

ჩვენ არ გემშვიდობებით, ლევან!

ვეებერთელა მზე უმოწყალოდ აჭერს. აქა-იქ დაბალი სახლები გაიღვებენ. ისინი უკრაინულ სახლებს მოგავიწყებენ შორიდან. მაგრამ ეს ერთი წამით მხოლოდ. ამ სახლებს პალმის ტოტების სახურავი აქვთ, ხოლო კედლები ლერწმისაგან არის დაწნული. ყოველ სახლთან პალმების მთელი ტყეა. შაქრის ლერწმის სიმაღლე რამდენიმე მეტრს აღწევს.

მთელი გზა საბჭოთა ქვეყანაზე ლაპარაკობდნენ.

„როგორ გადავუჩინებ ყინვას?“ — აინტერესებდათ ახალგაზრდებს. ისინი დღე-დღეზე მოსკოვში ჩავიდოდნენ, სწავლა უნდა დაეწყათ. რუსული ზამთარი კი აშინებდათ.

ჩვენი ბიჭები შეეცადნენ აეხსნათ მათთვის, რომ ყინვის საწინააღმდეგოდ აღამიანები თბილ პალტოებს იცვამენ. ამან სულ დააბნია კუბელები. გაცივებულნი აცეცებდნენ თვლებს. ვერაფრით მიმხვდარიყვნენ, რა იყო, ან როგორი იყო „პალტო“. ასეთი სიტყვა მათს ლექსიკონში არ მოიძებნება.

ნაშუადღევს შაქრის ლერწმის პლანტაციებს მიაღწიეს. აქ მასპინძლებმა ნამდვილი ხელოვნება უჩვენეს შორი ქვეყნიდან ჩამოსულ „ჩიკოებს“. ყველას ჰქონდა ფართოფარფლებიანი ქუდი — გაუჩრო და მძიმე, ბასრი დანა — მაჩეტე ლერწმის საჭრელად.

შაქრის ლერწამი — „კაბა“ გარეგნულად მდინარის ლერწამსა და ორსამმეტრიან სიმინდს წააგავს. შაქრის ლერწამი ოც წელიწადს ხარობს და ყოველი აჩეხვის შემდეგ ხელმეორედ ამოიყრის ხოლმე. იგი არ მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლას, არც დობე სჭირდება. პირველად სტუმრებს ადგილი მოეჩვენათ სამუშაო. მოუსვი მაჩეტე და მანქანებამდე მიიტანე ლერწმის შეკრა! შეცდნენ, ცოტა ხანსაც არ გაუვლია, რომ ოფლში გაიწუწუნენ, ხელები დაუშეშებდათ.

ლევანმა გაიკვირა: ნუთუ არ არსებობს ისეთი მანქანა, რომელიც ადამიანს დაეხმარება?

მასპინძლებმა ნაღვლიანად გააქნიეს თავი:

— ასე ვმუშაობდით, ასე ვმუშაობდით. ბინალ-დე-რიოში ბიჭები პირველად შეეფეთნენ „გუსანოსს“. გაცხარებული მუშაობის დროს რამდენიმე ადგილას ავარდა ბოლი. ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. კუბელები ერთ ადგილას შეგროვდნენ და ყაყანი ატეხეს. აღმოჩნდა, რომ ცეცხლი თავდაპირველად კერძო ნაკვეთს წაჰკიდებოდა, ეს ნაკვეთი კოოპერატივის ესახდებოდა. კერძო ნაკვეთის მუპატრონეს იმედი ჰქონდა, რომ ცეცხლი კოოპერატივის ნაკვეთშიც გადავიდოდა. მართალია, იმედი გაუმართლდა, მაგრამ ბედად, აქვე, კოოპერატივის წევრები მუშაობდნენ და ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს.

— რატომ ჩაიღინე ეს? — ჰკითხეს კუბელებმა მესაკუთრეს.

— აბა, რა თქვენი საქმეა. მე ხომ ჩემსას წავუკიდე. — თავხედურად განაცხადა მან.

— ერიპა, — გაცივებით გადახედეს ერთმანეთს ჩვენმა ბიჭებმა.

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ეს ხომ „გუსანოსია“, — თქვეს დარცხვნილობა მასპინძლებმა, — ამ გაიძვერებს ჩქარა მოვლდებთ ბოლოს.

გუსანოსი, ანუ ჩერკი, ასე უწოდეს კუბელებმა რევოლუციის მტრებს. გუსანოსი ჩუმ-ჩუმად, შეფარულად ანხორციელებს თავის ბნელ საქმეებს.

შემდეგში ლევანსა და მის მეგობრებს არაერთხელ მოუხდათ მავნებლებთან პირისპირ შეტაკება.

დღიურიდან

„1961 წლის 12 ივნისი. დილის ოთხ საათზე ავდექით. ჩვენი რაიონში ჩასვლას თითქმის მთელი დღე მოვანდომეთ. დიდი მზიარულებით შეგვხვდნენ. უკრავდა ორკესტრი. ყველანი პარკში მიგვიწვიეს. აქ სახელდახელო მიტინგი გაიმართა. აქვე გავიგეთ, რომ ჩვენი ჯგუფიდან ზუთი კაცი, მათ შორის მეც, მარიანა გრახალესის სახელობის მაშულში გავვანაწილეს.

დაწოლის ხანს ყველანი კაკოს ოთახში შეგვროვდით. გვიწოდდა დაწვრი-

ლებით გაგვეგო, როგორ იმსხვერპლა
კაკო ცნობისმოყვარეობამ.

„ო, რამდენი ვიცინეთ!“

წყნარი ღამე იყო. კაკომ სინათლე
ჩართო და თავისი განუყრელი ესპა-
ნურ-რუსული ლექსიკონი გადაფურ-
ცლა.

— ე, დაიწყო ქექვა! — წამოიძახა
ლევანმა. — დაიძინე, ბიჭო.

— ერთ სიტყვას ვნახავ, რა დიდი
ამბავია!

კაკო აჩქარებით ფურცლავდა ლექ-
სიკონს, მერე უტბად გაშეშდა, ამოი-
ონრა, პირზე ხელი იტაცა და საბაზა-
ნოსაკენ გაიქცა.

„ხომ არ გავიჟდა?“ — გაიფიქრეს ბი-
ჭებმა.

კაკო მახარაძე ჩქარა დაბრუნდა. დაბ-
რუნდა თვალებამღვრელი და ფერ-
შკრთალი. გაბრაზებული დაემხო ბა-
ლიშზე, ზეწარში გაეხვია და კედლისა-
კენ გადაბრუნდა.

— აღარ იტყვი, რა დაგემართა? —
კვლარ მოითმინა ლევანმა.

კაკო ერთ ხანს განაბული იწვა. მერე
შემობრუნდა და ნაღვლიანად შეხედა
ბიჭებს.

— ნეტა არ გავპარულიყავი დღეს
სასეირნოდ. ანდა რა მიხდოდა? სული
წინ რომ მისწრებს, იმიტომ მომდის
ყველაფერი. ჰოდა, მივყვები ქუჩას.
ვხედავ, რესტორანია. რა თქმა უნდა,
შევედი. სხვაც ჩემსავით მოიქცეოდა.
დავჯექი ჩემთვის, ავიღე მენიუ და
ჩავიკითხე. ყველაზე ძვირფასი კერძი
იგირჩიე — „რანა-ტორო“. ვიცოდი,
„ტორო“ ხარს ნიშნავს. გავიხედე და
ქათმის ბარკალი არ მომიტანეს?! გემ-
რიელად შევექეცი, ჰოდა, აი, გადავწყ-
ვიტე გამეგო, რას ნიშნავდა „რანა“.
ღმერთო ჩემო, ხომ მქონდა ამის უფ-
ლება! რანა-ტორო ქათამი კი არა,
ბაყაყი-ხარი ყოფილა თურმე. ფუუ! —
სიმწრით გადააფურთხა კაკომ.

ბიჭები სიცილით იგუღებოდნენ.

ამ შემთხვევის შემდეგ დიდ დროს
არ გაუვლია, ლევანი და კაკო წაიყვა-
ნეს კამაგუეის ფერმაში, სადაც „რანა-
ტოროები“ ჰყავდათ მოშენებული.

ფერმა საუცხოო მოწყობილი იყო. გი-
განტურ ბაყაყებს ექვსი თვის მანძილ-
ზე კვებავდნენ, ხოლო შემდეგ პრეზერ-
ვირ სამზარეულოებში აგზავნიდნენ.

მეგობრები მშვენიერ ბინაში მოათავ-
სეს. ეს ბინა წინათ ამერიკელ მემამუ-
ლებს ეკუთვნოდა.

დადგა შრომისა და საქმის დრო,
ხუთეულში შედიოდნენ: ლევან ქექა-
ვა, ნიკოლოზ ბორიშპალეცი, ვიქტორ
კოვალენკო, კაკო მახარაძე და ვიქტორ
შუგალიაძე.

მაგრამ რთით დაეწყოთ? პირველად
რისთვის მოეკიდათ ხელი?

წინ უამრავი სიძნელე ელოდათ. ყვე-
ლაფერი მოსაწყისი იგებელი და საპატ-
რონო იყო. ბოლოს ასე გადაწყვიტეს:
ქექვას რაიონის ეკონომიკისა და მე-
ურნეობის მოწესრიგება დაევალოს,
მახარაძეს — სოფლის მეურნეობის
მდგომარეობის შესწავლა, კოვალენ-
კოს — მეცხოველეობისათვის უნდა
გადაეხედა, შუგალივს — მექანიზაცი-
ისათვის, ხოლო ბორიშპალეცს მთელი
რაიონის ელექტროფიკაცია ჩააბარეს.

დღიურიდან

„მამულის ადმინისტრატორმა მანოლ
პერესმა ხალხს ჩვენი თავი წარუდგინა.
მან თქვა, ესენი დიდი რუსეთის
სოფლის მეურნეობის საუკეთესო სპე-
ციალისტები არიანო და აქ სამუშაოდ
ერთ წელს დარჩებიანო. მე გამოვედი
სიტყვით, ჯერ რუსულად ვილაპარაკე,
მერე ესპანურად გავურბიე. რა თქმა
უნდა, ჩემს გამოსვლას ტაშით შეხ-
ვდნენ.

ღამით ავტომატის ხმამ გამოგვადვი-
და. რას იზამ, უნდა შევეჩვიოთ“.

ლევანის ხუთეული იმ დღეებში სამ-
ხედრო შტაბს დაემსგავსა. მამულის
დათვალეირებისას აღმოჩნდა, რომ ყვე-
ლაფერი თავიდან უნდა დაეწყოთ. თუ
გინდა სწორად უხელმძღვანელო, —
ფიქრობდნენ მეგობრები, — უნდა იცო-
დე, რა გაქვს და რა უნდა გქონდეს
მომავალში. სახალხო მამულის „5-10“-

ილარიონ ხუციშვილი

ჩვენ არ გემშვიდობებით, ლევან!

ზე გამგებლებს კი მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ აგროტექნიკაზე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ხუთეულმა მამულის დირექციას სასწრაფო სამუშაოების გეგმა წარუდგინა. ამ რთულ და საპასუხისმგებლო სამუშაოების სიმძიმე ლევანს დააწვა მხრებზე.

დღიურიდან

„1961 წლის 15 ივნისი. ყველაფერი მოკლე დროში უნდა გავაკეთოთ. დრო არ ითმენს. დღე-ღამეში კი 24 საათია. აქეთ კიდევ ციტრუსები და ბანანები დავგეგმათა მოსავლეაღად.

ციტრუსებში მე და კაკო კარგად ვერკვევით. მაგრამ ზოგაერთ სუბტროპიკული კულტურის შესწავლა მართლა მოგვიწევს. კიდევ კარგი, კაკომ მთელი ერთი ჩემოდანი წიგნები წამოიღო.

დღეს კოვალენკო ფერმის გაცნობას შეუდგა.“

...წვიმამ გადაიღო. სველი პალმები, გზის პირას ჩამწკრივებული ბუჩქები და ლერწმები მზეზე ალაპლაპდნენ, პლანტაციებს ოსშივარი ასდიოდა. ლევანი მუქ-წითელ მიწას უყურებდა და უხაროდა. „აქ ყოველთვის გაზაფხულია, მარადი გაზაფხული... — ფიქრობდა თავისთვის, — თუ გინდა, ყოველი კვირის ბოლოს თესე სიმინდი. გავა დრო, შაი, რა ჩქარა გავა და აქ, ამ ბარაქაში მიწაზე ყველაფერი ბლომად იქნება.“

ლევანს უკვირდა: ეს როგორ მოხდა, რომ ყოფილი მეპატრონეები საცხებით არ ზრუნავდნენ ამ მიწის მოვლისათვის? მიწა მაშინ იძლევა კარგ მოსავალს, როცა უვლი, ანებივრებ და ეალერსები. არავინ იცოდა, გაიხარებდა თუ არა აქ ვაზი. ვიდაცამ თქვა: იმას, ვინაც ამ მიწაზე პირველად ჩაჰყარა ვაზი, მარჯვენა მოჰკვეთესო.

ასეთი იყო კუბა. კუბა, რომელიც იძულებული იყო უცხოეთიდან, კერძოდ, ამერიკიდან შემოეზიდა მთელი სასურსათო საქონელი.

და ეს მაშინ, როცა საუკეთესო მიწების ნახევარი დაუშუშავებელი რჩებოდა.

თითქოს გასაოცარია, მაგრამ ფაქტია კუბასათვის ყველაზე დიდი გასაჭირი შაქარი იყო, იგი კუბის კოლონიურმა ხავერდის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ჩვენი სამშობლო შაქრით მდიდარია თითქოს, მაგრამ ვინ უწყის, რამდენი სიმწარეა ამ შაქარში. —

წერდა კუბელი პოეტი ნიკოლას გილიენი. შორეულ წარსულში კონკვისტადორმა დიეგო ველასკეზმა კუბაში შაქრის ლერწმში ჩამოიტანა. ჰავა და ნიადაგი მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა ახალი კულტურისათვის. გავიდა წლები, კუბაში გაშენდა შაქრის ლერწმის პლანტაციები. იგი ზღაპრულ შემოსავალს იძლეოდა, მემამულეებს კი მეტი რა უნდოდათ! ნაყოფიერ ველებზე განადგურდა ტროპიკული ტყეები, გლეხები გამოაძევეს საკუთარი მეურნეობიდან და აიძულეს ქედებსა და ტაობიან ადგილებში დასახლებულიყვნენ. მიწები ადგილობრივმა და გადაამთელმა მემამულეებმა დაინაწილეს.

1905 წელს ამერიკულმა შაქრის კომპანიამ ორიენტეს პროვინციაში ას დოლარად ორმოცდაცხრაათას რვაას ოცდარვა ჰექტარი მიწა შეიძინა. მის მაგალითს მიბაძეს ამერიკის შეერთებული შტატების სხვა კომპანიებმაც. უცხო ქვეყნის კაპიტალი სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს. ამათ იყო კუბის საუკეთესო ადამიანების პროტესტი. მათ იცოდნენ, რა მოჰყვებოდა სოფლის მეურნეობის ერთადერთი კულტურის გაბატონებას. ეს თვითმკვლელობას ნიშნავს, — აღშფოთებული ამბობდა ხოსე მარტი. შაქრის ჰიპერტროფია გახდა კუბის ეკონომიკის საფუძველი, სხვა კულტურები გაისრისა, გაქრა. დიაბეტით შეპყრობილმა, ერთი კულტურის ნაყოფიერებით განაწამებმა კუნძულმა დაკარგა თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ყოველგვარი საშუალება. ღარიბი ადამიანები სისხლითა და ოფლით გამოშუშავებულ დოლარებს აგროკვებდნენ და აძლევდნენ მდიდრებს, ისინი კი ამერიკის შეერთებული შტა-

ტების მსხვილ მრეწველებს უზავნიდნენ. კუბელ ხალხს არაფერი რჩებოდა: დღითიღე დატკავდებოდა. ნახევარდ-მშიერი გუაპირო მხოლოდ სეზონის დროს შოულობდა სამუშაოს. ეს მაშინ, როცა შაქრის პლანტაციების მფლობელების — ლათიფუნდისტების მიერ ნა-ყიდი მიწების თითქმის ნახევარი არ მუშავდებოდა.

სამ მილიონ კუბელს — კუნძულის მთელი მოსახლეობის ნახევარს, არა-სოდეს არ ენახა ელექტრონის შუქი.

აი, რატომ გახდა აგრარული რე-ფორმა კუბის რევოლუციის ყველაზე პირველი სახელმწიფო ამოცანა. 1959 წლის 17 მაისს ლეგენდად ქვეულ სიე-რა-მესტრას მთებში, სადღესასწაულო თათბირზე მიიღეს კანონი აგრარული რეფორმის შესახებ. ამ კანონის საფუძ-ველზე მთელი მიწა უფასოდ გადაეცა გლეხებს — გუაპიროებს.

მიიმაღნენ ბატისტას დამკაშები, შათ ღვარძლი ახრჩობდათ და შურის-ძიება გადაწყვიტეს... კუბელი ხალხი დღესასწაულობდა. ახალი წლის — „აგ-რარული რეფორმის წლის“ შეხვედრა უჩვეულო იყო. ქუჩებში გრძელი მაგი-დები დადგეს. ყველა ერთ საერთო სუფრასთან ილხენდა. სადღეგრძელო-ებსა და მზიარულებას ბოლო არ უჩან-და. ყვავილების გირლიანდები და ხეთა ტოტები ამშვენებდნენ სახლებს.

ახალი წლის ამ დამეს კასტროს „წვეროსნები“ სასურველ თოვლის ბა-ბუებად მოველინენ ქვეყანას. მათ ხომ კუბელ ბავშვებსა და გლეხებს მოუ-ტანეს ყველაზე საუკეთესო საჩუქარი — თავისუფლება.

რევოლუციამ საბოლოოდ მოუღო ბოლო სამზის წყვეულ ლათიფუნდის-ტებს, მონოკულტურასა და პოლიტი-კურ-ეკონომიურ დამოკიდებულებას.

ეკონომიური დამოუკიდებლობა კი ნიშნავდა თავის დახსნას სამრეწველო და სასურსათო საქონლის შემოზიდვი-საგან.

განთავისუფლებულ კუბის სოფლის მეურნეობას, ყველა დარგის სპეცია-ლისტები დასჭირდა. საპატო და საპა-

სუნისმგებლო საქმე იყო სამასი ხაზი — თა აგრონომის ჩასვლა კუბაში, გლეხე-ბის დასახმარებლად.

არ შეიძლებოდა არც ერთი დღის დაკარგვა.

დღიურიდან

„1961 წლის 16 ივნისი. უკვე სამი დღეა მარიანა გრაზალესში ვართ. არ ვიცი, კიდევ რამდენ დროს მოვანდომებ გეგმისა და ეკონომიური ანგარიშების შედგენას, ერთი კი ცხადია — დროა მივხედოთ პლანტაციებს. დღეს შუა-დღემდე კაკოსთან ერთად ვმუშაობდი ფორთოხლის ბაღში. შტამბებს ვათე-რებდით“.

ცნობისმოყვარე კუბელებმა რამდენ-ჯერ შეიხედეს ბაღში, ლევანი და კაკო გულმოდგინედ უსვამდნენ ფუნჯს ხეთა შტამბებს. კუბელები ცმუკადნენ, ჩუმად ხითხითებდნენ და ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. მათთვის საესებით გაუგებარი იყო ამ ორი „ჩი-კოს“ მოქმედება.

ორიოდე საათის შემდეგ ბაღში მანოლი მივიდა, იმანაც ჯერ შორიდან უყურა ბიჭებს, შემდეგ კუნძზე ჩამოჯდა და მეგობრებს სიგარეტი გაუწოდა.

— აქეთ მოვიდოდი და ვიფიქრე, მოდი, შევივლი, სიგარეტს მოვაწვეი-ნებ-მეთქი, — მანოლმა სიგარეტი მო-სწია და ინტერესით მიმოიხედა ირგე-ლივ.

— რატომ იტყუები, — გაიცინა ლე-ვანმა, — ჩვენ ზომ ვიცით, რისთვისაც მოხვედი? ჩვენი ნამუშევრისათვის გინ-დოდა თვალის შევლება. ჰოდა, დასტ-კბი კიდევ, ვინ გიწლის...

ახლა მანოლსაც აულაპლაპდა თვა-ლები და გაიღიმა.

— ბიჭებმა მითხრეს. რუსები პა-რადს აწყობენ, ხეებს თეთრ წინდებს აცმევენო.

ლევანმა მიწიდან რამდენიმე გაყვით-ლებული ფორთოხალი აიღო და მანოლს გაუწოდა:

— იცი, რატომ ჩამოცვივდნენ?

ილარიონ ხუციშვილი

ჩვენ არ გემშვიდობებით, ლევან!

მანოლა მხრები აიჩეჩა.

— ის მაინც თუ იცი, რატომ დაცვივდა ამ ხეებს ყველა ფოთოლი?

უხარმაზარი შავი ჭიანჭველები დასეოდნენ მიწაზე დაყრილ ფოთლებს და გრძელი, შემაზრუნენი მარწუხებით მიათრევდნენ თავიანთი ბუდეებისაკენ. მიწაზე დაყრილ ფოთლებს მზე აცხუნებდა, ობითა და სოკოებით იფარებოდა. ძლიერი, შრომისმოყვარე ჭიანჭველები ძარცვავდნენ ხეებს სამოსისაგან, ხოლო ფოთოლგაცილ ხეზე ნაყოფი აღარ იცდიდა, ჯერ კიდევ უმწიფარი ცვივოდა. როგორ არ სცადეს კუბელებმა ჭიანჭველების გაწყვეტა, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყვეს.

— აი, ხედავ, — შეეთვრებულ ხისკენ გაიშვირა ლევანმა ხელი, — ეს ჩვენი მეთოდია.

ხის გაეთვრებულ ტანს არევაბრევა გამოეწვია პაწია ყაჩაღებში. ჭიანჭველათგან ვერც ერთი ბედავდა თეთრი საზღვრის გადაბიჯებას. ხოლო ხეზე შერჩენილ მავნებლებს შორის ტრაგედია დატრიალდა. შეშფოთებულნი და დაბნეულნი, პირდაპირ მიწაზე ხტებოდნენ.

ერთ ხანს მანოლი გაყუჩებული შეცქეროდა ჭიანჭველების რიას. შემდეგ უნდობლად მიუბრუნდა ლევანს:

— მერე ეს გვიშველის ვითომ?

— როგორც ხედავ. მაგრამ უახლოეს ხანში ხეებს მკურნალობაც დასჭირდება, რადგან პარაზიტებმა მათ საშინელი ზიანი მიაყენეს. დროდადრო სასუქიც უნდა მივაშველოთ. ხეები ძველებურ სამოსს ჩაიცვამენ. მოსავალიც ერთიორად გაიზრდება, — უბასუხა ლევანმა.

— თუ აგრეა, — ეშმაკურად გაიღიმა მანოლა, — წავალ, ბიჭებს შევკრებ, მოგეხმარებიან.

„5-10“-ზე მამულში გამარჯვებას ზეიმობდნენ. ამ ცნობამ ელვის სისწრაფით შემოირბინა მთელი პროვინცია. გლეხები ყველა კუთხიდან დაიძრნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ „წინდებში“ ჩასმული ბალები.

დღიურიდან

„რა საცოდავად გამოიყურებიან ციტრუსოვანთა ბალები. ისინი აქ გაცივდებიან მებრევიან, გიძრე ჩვენთან, შავი ზღვის სანაპიროზე, აქ სომ მარადი ზაფხული სუფევს. მთელი წლის მანძილზე შეგიძლია კრიფო ხეხილი. მაგრამ მოსავალი ცოტაა“.

ქართველ აგრონომებს „ინრაში“ განუცხადეს: ცუდადაა ციტრუსების საქმე, მოსავალი ძალიან ცოტაა, ნაყოფის ხარისხი, მისი გარეგნული ფორმა ევროპის ბაზრის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. ჩვენთვის კი აუცილებელია ციტრუსების ექსპორტი. დღემდე კუბა მხოლოდ ფორთოხლის წვეს ამზადებდა და ამიტომ ნაყოფის ხარისხზე არც იწუხებდა თავს. თქვენ ამ საქმის სპეციალისტები ხართ და უნდა მოგვეხმაროთ.

ეს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა იყო. კამაგუეის პროვინცია ციტრუსოვანთა პლანტაციების ყველაზე დიდი მხარეა კუბაზე. „მარიანა გრაახა-ლესის“ მეურნეობა ერთ წელშიაღწი უნდა გამხდარიყო საციტრუსო მეურნეობის მოწინავე გამოცდილების გამარცხლებელი ცენტრი.

ლევანი და კაკო ჯერ კიდევ ჰავანაში შეუთანხმდნენ კუკური ბერიძესა და ზაურ სირაძეს, ციტრუსოვანთა ნარგავებს ერთად მივხედოთო, ერთმანეთს გამოციდილება გავუზიაროთო. ერთობლივ მოქმედებას, რა თქმა უნდა, აზრი ჰქონდა.

კაკო კამაგუეის გაემგზავრა და ათი დღის განმავლობაში ქიმიურ ლაბორატორიას არ მოშორებია. ციტრუსებისათვის სასუქის ხსნარს ამზადებდა. უკან რომ დაბრუნდა, თან სამი სახის რეცეპტი ჩამოიტანა. კომბინირებული სასუქების ხმარება დამოკიდებული იყო ნარგავთა ასაკზე, ნიადაგის ხარისხზე.

დღიურიდან

„1961 წლის 26 ივნისი. დღისით სიმინდის ყანაში გავიარე. ბევრი რამ გადასასინჯი და შესამოწმებელია. კულუმბისდროინდელი მეთოდებით თე-

სავენ სიმინდს. იქაურებს აგროტექნიკისა არაფერი ესმით.

ახალგაზრდებმა სადილზე მიმიპატიუეს; იქ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი.

გვიანობამდე ვსაუბრობდით.

ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ დაძინება არ მსურდა.

მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან თუ გავიხსენებ ჩემიანებს, გავიხსენებ და ავფორიაქდები. როგორ არიან ნეტავ? მიიღეს თუ არა ჩემი წერილი? ვამაგვინა, რას აკეთებს დედა, მარტოა თუ როსტომიც ჩამოვიდა.

მედიკოს დარდი მკლავს.

დავქორწინდი, ერთი თვეც არ ვყოფილვართ ერთად. რაღაც უხერხულობას ვგრძნობ მის წინაშე, მართალია, თვითონ ყველაზე მეტად უჭერდა მხარს ჩემს გამგზავრებას, მაგრამ მაინც მაწუხებს... განა შემედლო არ წამოგუსულიყავი? როგორ შეგხედავდი მეგობრებს თვალბეჭში? იტყოდნენ, სიძნელისა შეეშინდაო. მსურველი კი ძალიან ბევრი იყო.

მედიკო! როგორ მინდა გხედავდე ამ წუთს.“

ღამე იყო. ლევანს არ დაეძინა. ტანთ ჩაიცვა და კბეხს ჩაჰყვა. ლერწმის მინდვრებს სიჩუმე დაუფლებოდა. მთვარე ანათებდა, დიდი, ღამაში მთვარე. მოშორებით ორი სილუეტი ჩანდა, მხრებზე ავტომატები ჰქონდათ გადაკიდებული. ლევანი მათკენ გაემართა.

— მშვიდობაა?

— მშვიდობაა.

...განთიადისას ფანჯარაზე მაგრად დააბრაზუნეს. ლევანი მიხვდა, რაღაც ცუდი მოხდა. შორს უზარმაზარი ალი გიზგიზებდა.

შუვალოვი ტრაქტორებს ეცა.

— არიქა, აამუშავეთ!

— არა, ჩიკო! — შეაჩერა იგი სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილია წვეროსანმა. — ვიცი, რაც გინდა, მაგრამ ახლა ეგ აღარ გვიშველის, ახლა ცეტსლს ცეტსლით უნდა ვუპასუხოთ.

ლევანი, მანოლი და კიდევ რამდენიმე კაცი მინდვრის ბოლოსაკენ გაიქცნენ. მალე რამოდენიმე ადგილას ხე-

ულებად ავარდა ბოლი, შემდეგ კი კვლად აღიმართა ალი და მეორე ცეტსლოვანი კედლისაკენ გაბობდა. მეორე ცეტსლოვანი კედლები ღრიალით დაეჯახნენ ერთმანეთს და ძირს დაენაცხნენ. გარშემო გადამწვარი მიწა ჩანდა. პლანტაცია ყოფილ ლატიფუნდისტან დაახლოებულ ორ კერძო მესაკუთრეს გადაეწვა. ლატიფუნდისტან თვითელისათვის 100 ჰესო გადაეხადა. დამნაშავენი ჩქარა შეიპყრეს, შიშისაგან აკანკალებულები მილიციის მანქანაში შეჰყარეს და ქალაქისაკენ გააქროლეს.

— დახვრიტეთ, ჩააძლეთ, — გააფთრებული ხალხის ყვირილი მიაცილებდა მანქანას.

დღიურიდან

„1961 წლის 26 ივნისი. დღეს, განთიადზე, კამაგუეიში წასასვლელად მოვემზადეთ. მანოლს უწიგნურობასთან მეზრძოლ „აღფაბეტისადორესის“ დღესასწაულზე მივყავართ. გზაზე სიეგო დე ავილეში შეგჩერდით. მანოლი ადმინისტრატორების შეკრებას უნდა დასწრებოდა. ჩვენც მიგვიწვიეს.

სიეგოდან კამაგუეამდე ზუსტად 122 კილომეტრია. გზა ძალიან კარგია, მაგრამ მგზავრობა საშიშია. ყველა მანქანა აქ გიჟური სისწრაფით მიჰქარის. რას იზნა, ტემპერამენტის ბრალია. მძღოლები მოსახვევებში არც ცდილობენ სიჩქარის შენელებას.

კამაგუეიში მანოლის სახლში ვისადილეთ. მანოლის 2 ბავშვი ჰყავს. ერთი ათი წლისაა და უკვე მე-5 კლასშია, ხოლო მეორე 7 წლისაა და მეორე კლასში სწავლობს...“

კასტროს ხელისუფლების დამყარებისას მოსახლეობის მესამედს უწიგნურები შეადგენდნენ. ფიდელმა თქვა, ერთი წლის განმავლობაში ბოლო უნდა მოვუღოთ ამ საშინელ ნაშთსო.

კუბას ელვის სისწრაფით მოედო ეს ალი. გაჩნდა „ლოზუნგიც: „თავისუფლებისათვის, უპირველეს ყოვლისა, განათლება არის საჭირო“.

ილარიონ ხუციშვილი

ჩვენ არ გემშვიდობებით, ლევან!

დარბაზი სამხედრო ბანაკს წააგავდა, შეკრებილთ მწვანე და ცისფერი ტანსაცმელი ეცვათ, პატარა ბიჭებს, მოხუცებს, ქალიშვილებს სამხრეთებზე „აღფაბეტისადორესის“ ცისფერი ნიშანი ეკეთათ. აქ იყვნენ სულ პატარა ბიჭებიც და გოგონებიც. ბერეტები სამხრეთების ქვეშ ამოეჩარათ, აქა-იქ პისტოლეტებსაც მოჰკრავდით თვალს. აგერ, წითელ-ხილბანდიანი ქალიშვილი სახალხო მილიციელის ფორმაში გამოწყობილ ზანგს ეხვევა. სუნამოს სურნელი ბენზინის სუნშია არეულ.

ადამიანები კუბის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ამ დღესასწაულზე. ერთმანეთს თავიანთ პირველ მიღწევებზე ესაუბრებოდნენ, უამბობდნენ მღებულ შობაბეჭდილებებზე და მომავალზე ფიქრობდნენ.

ლევანი ჩქარა შეუერთდა კონრადო ბენიიტეს ბრიგადის წევრთა მხიარულებას. მას ყველაფერი აინტერესებდა. სცენაზე ქალიშვილები გამოვიდნენ, ანთებული ფარნები ეჭირათ ხელში. ანთებული ფარანი უფიგნურობის ლიკვიდაციის სიმბოლოდ მიუჩნევიათ კუბელებს. ეს ფარნები ანთია ყველგან — მაღაზიების ვიტრინებში, საღამოს სკოლების შესასვლელებში, სამკერდე ნიშნებზე...

ამ შეკრებაზე ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო. სხდომა კონცერტით დაიწყო. შემდეგ შეკრების საზეიმო ნაწილი გაიმართა. დარბაზი გუგუნებდა: „კუბა—კი, უფიგნურობა — არა!“ „სამშობლო ან სიკვდილი!“

ლევანი ახალგაზრდა მასწავლებელს — რიკოტს გაეცნო. რიკოტი თხუთმეტი წლისაა, მრგვალი სახე აქვს, რის გამოც უფრო პატარა გვეგონება, მაგრამ თავი ძალზე თავისუფლად უჭირავს, დაუფიქრებლად არაფერს იტყვის და ამით გზიბლავს კიდევ.

— მუშაობის დროს ბევრი სიძნელე გეხვედება. — ამბობს არნოლდი! არ გვეყოფნიდა სათვალეები, მათი შოვნა მთელი პრობლემაა. მოხუცთა უმრავლესობას ხომ უსათვალოდ კითხვა არ შეუძლია. როგორ უნდა გვესწავლებინა

მათთვის კითხვა? ყველა თავისებურად ცდილობდა დაეძლია ეს ნაკლი.

არნოლდმა ბოლიში მოიხალა, წავიდა და ერთი წუთის შემდეგ მალაქა-ქორხუა ცი შემოიყვანა.

— აი, გაიცანით, ამხანავი მორონასელო, — თქვა არნოლდმა, — ამ მოხუცმა წერა-კითხვის შესასწავლად სპეციალური მხედველობითი მოწყობილობა დაიმზადა.

ლევანმა მოხუცს სთხოვა, თუ შეიძლება თქვენი გამოგონება მაჩვენეთო.

მოხუცმა ჩაიღიმა: ჩემი გამოგონება გამოფენაზე წაიღეს, სამაგიეროდ განათლების სამინისტრომ სათვალე მაჩუქაო. მორონასელომ ჯიბიდან ამაცად ამოიღო ტყავის ფუტლარი და სათვალე ფრთხილად გაიკეთა. მოხუცმა ლევანს უბის წიგნაკი სთხოვა და მასში გულმოდგინედ გამოყვანილი ასოებით ჩაწერა თავისი გვარი.

— წერა-კითხვა ჯერ კიდევ კარგად არ ვიცი, მაგრამ მომეცით თქვენი მისამართი და მალე წერილსაც მოგწერთ. — თქვა მოხუცმა და წიგნაკი დაუბრუნა ლევანს.

კუბაში ბრიგადირებს ყველგან სიხარულით იღებენ და ძალიან მალეც შეეჩვივნენ მათ. მინდვრებში ისინი გლეხებთან ერთად მუშაობენ, მოცალოების უამს კი წერა-კითხვას ასწავლიან.

არნოლდი კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. იმ საღამოს მან ახლად გაცნობილებს უამბო თავის ნაცნობი ქალიშვილის — ბრიგადელის შესახებ, რომელიც ახლა სიენაგო დე სანატის ჰაობებში ასწავლის წერა-კითხვას.

...1961 წლის მაისი. ცოლისადმი მიწერილი წერილიდან

„... ჰავანა ზეიმით შეხვდა თავის წარგზავნილებს. ყველა რაიონიდან ჩამოვიდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, ისინი, მთელი წლის მანძილზე დაუღალავად იბრძოდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად კუბაში.

ჩამოსულთა რიცხვი თითქმის 70 ათასს აღწევდა, ყველა ისინი მოათავსეს საუკეთესო ოტელებში, სკოლებში.

დელაქალაქი კეკელუცად მოერთოთ სადღესასწაულოდ. თვითეულ დაწესებულების თავზე სახელმწიფო დროშის გვერდით აქტივისტთა წითელი თეთროლიანი ალაში ფრიალებდა: „კუბაში ყველამ იცის წერა-კითხვა“.

პარადს მთავრობის ყველა წევრი დაესწრო.

მიტინგი განათლების მინისტრმა გახსნა. ფიდელ კასტრომ წინადადება შეიტანა, წუთიერი დუმილით ეცათ პატივი ბრძოლებში დაღუპული პატრიოტებისთვის. მერე იგი ლაპარაკობდა რევოლუციის მონაპოვარზე, ლაპარაკს ხშირად აწყვეტინებდნენ. 600 ათასი ადამიანი ერთხმად ყვიროდა: „ფიდელ!.. ფიდელ!“

ამ დღესასწაულმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. კუბელებს ეს გამარჯვება იუნესკომაც მიულოცა.

დღიურიდან

„1961 წლის 2 ივლისი. დილის 6 საათიდან შუადღემდე სიმინდის ყანაში ვიყავი. მართალია კვირადღე იყო, მაგრამ ჩვენ გადაწყვიტეთ მაინც გვემუშავა — ემარგლავდით, ვრწყავდით. ძალიან კი დავიღალეთ. შებინდებისას ოთახში ვიჯექი. ვფიქრობდი: აი, ჩქარა, ორი თვე გახდება, რაც არაფერი გამოვიტყავ ჩემიანებისა. ამან, ცოტა არ იყოს, გუნება წამიხდინა.“

ამბობენ, როცა სამშობლოსაგან შორს ხარ, პირველსა და უკანასკნელ თვეს ძალიან გიჭირს ცხოვრებაო. ბოლო თვემდე მე ჯერ არ მიმიღწევია. ხოლო რაც შეეხება პირველ ხანს — ნამდვილი ყოფილა“.

დღიურიდან

„1961 წლის 3 ივლისი. შუვალოვთან მანქანების გარდა ვერაფერზე ილაპარაკებ. ჩემის აზრით, იგი სიზმარშიც ხედავს თავის ტრაქტორებს. პირველ ხანს სახელოსნოდან ცხვირიც არ გამოუყვია. ჩაპკირკიტებდა უცხოურ „ფორდებს“, „ოლივერ-სუპერებს“, „ფერჯიუსონებს“. კიდევ კარგი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან სათადარიგო ნაწილები გამოგვი-

ვზანეს, თორემ შავი დღე დაგვაღებოდა.

შუვალოვი ყოჩაღი ბიჭია. მალევე გერკვა ამ მანქანებში და „გამოსტრახლა“. შემდეგ სათესი მანქანები გადააკეთა. გუთანს მოჰკიდა ხელი. კუბაში მხოლოდ დისკურ გუთნებს იყენებენ. მართალია, ისინი უფრო ადვილად ხნავენ, მაგრამ შედეგი ვაცილებით ნაკლებია. ვასუფთავებული მინდვრის კულტურული ხვნა მხოლოდ სახნისიანი გუთნით შეიძლება. ასეთ გუთნებზე აქ წარმოდგენაც კი არ აქვთ და, რა თქმა უნდა, მთელი კუბა რომ გადააბრუნო, ვერსად იპოვი. ჩვენვე დავამზადეთ კბილანა ფარცხები და თათიანი კულტივატორი, ტრაქტორებისა და ავტომობილების კვანძების შესამოწმებელი სტენდები.

ერთი სიტყვით, ავტოსამანქანო პარკი შეექმენით. ცოტა ხნის შემდეგ კი სატრაქტორო ბრიგადაც დავაკომპლექტეთ“.

დღიურიდან

„1961 წლის 9 ივლისი. დღეს სიმინდის მორიგი კვირეული იწყება. სადილობის შემდეგ წავედით სიეგოში „ალფაბეტისადორესის“ კარნავალზე. ცენტრალური ქუჩა გაჭედილი იყო ხალხით. წარმოდგენა მოედანზე მიმდინარეობდა. ტრიბუნაზე მიგვიწვიეს — ადგილობრივმა რადიომ გამოაცხადა, საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილები გვესტუმრენო და მოედანზე თავშეყრილმა ხალხმა მქუხარე ტაშით დაგვაჯილდოვა.“

ქალიშვილებმა მოგვართვეს სუვენირები, ხილით გაგვიმასპინძლდნენ. გვთხოვეს ავტოგრაფები.

სალამოს გაიმართა მეჯლისი. მიგვიწვიეს სცენაზე და დედოფლის არჩევის უფლება მოგვეცეს. ქალიშვილებმა გუნდ-გუნდად გაიარეს ჩვენს წინ. ბოლოს და ბოლოს ავირჩიეთ დედოფალი. თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობდით.

ილარიონ ხუციშვილი
ჩვენ არ გემშვიდობებით, ლევან!

მერე პირველად ჩვენ ვიცეკვეთ გამარჯვებულებთან.

დღემდე აღტაცებული ვარ ამ ლამაზი და სასიამოვნო საღამოთი“.

დღიურიდან

„1961 წლის 13 ივლისი. როგორც იყო, მივიღეთ ჩვენი „დღ-24“ და „ბელორუსი“. შუვალოვი აღტაცებულია. რა ილეთები არ უჩვენა კუბელებს თავისი „ფოლადის ცხენებით“. ლამის ააცეკვა. კუბელებმა აღტაცებისაგან ტაშიც კი დაუკრეს. ხუან დელგატო ერთი წამითაც არ სცილდებოდა ვიქტორს, მის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა, შემდეგ კი შეევედრა: „მოიტარა, მეც ვსინჯო!“ „დაჯექი“. ხუანი ისე მარჯვედ მართავდა, თითქოს მთელი სიცოცხლე ამ ტრაქტორზე მუშაობდა. ვიქტორი ზეიმობდა“.

დღიურიდან

„1961 წლის 16 ივლისი. ვილაცას მოსვენება დაუკარგა ჩვენი მექანიზატორების საქმიანობამ. გაავრცელეს ჭორები: საბჭოთა ტრაქტორები უვარგისია, ძნელი და მოუხერხებელია მათი მართვაო. ვიქტორმა და ხუანმა ერთმანეთს გააჯიბრეს „დღ-24“ და „ოლივერ-სუპერი“. ჩვენმა ტრაქტორმა აშკარად დაჯაბნა ამერიკული. ხუანი დამშვიდდა. წინადღით გადაწყდა, ღამ-ღამობით ტრაქტორები არ მოგვეყვანა ცენტრალურ პარკში, დაგვეტოვებინა დეპარტამენტის აგროფუნის ფარდულეებში. შუალამისას ყვირილი ატყდა. სროლის ხმაც მოგვესმა. თურმე ცეცხლი მოუკიდეს ერთ-ერთ ფარდულს. იმ დამეს სადარაჯოზე ხუანის ძმა იზრაელ დელგატო იდგა. იზრაელმა ესროლა ცეცხლის წამკიდებელს, მაგრამ ააცდინა. მტერმა მიმალვა მოასწრო.

დღის 5 საათზე ოთახში შემოვარდა გარაჟის უფროსი ალფრედ ბილბაო.

— ხომ გეუბნებოდით, დეპარტამენტში არ შეიძლება მანქანების დატოვებათქო, — ყვიროდა ალფრედო, — ნუთუ კიდევ დაიყინებთ?!

სასწრაფო ზომებიც მივიღეთ. ეს ხანძარი ჩვენთან დაახლოებული პირების ნახელავია. აბა, საიდან გაიგეს,

რომ ამ ღამით იქ ვტოვებდით ტრაქტორებს?

ორი საათის შემდეგ ალფრედო მობრბინა.

— მართალი ხარ, ამ ღმერთგამწყურალმა გუსანოსებმა კარგი საქმის ჩაფუშვა მოინდომეს. მაგრამ ვერ მივართვით. დაცვას გავაძლიერებთ“.

დღიურიდან

„1961 წლის 18 ივლისი... კაკო თანდათან ეუფლება ესპანურს, ზის, ლექსიკონში ჩაურგავს თავი და იზუთხავს. მაგრამ დღეს საუზმის დროს კაკოს „ლინგვისტურმა“ მონაცემებმა კინაღამ ხიფათს გადაგვეყარა...“

აი, რა მოხდა იმ დღეს. ბიჭებმა ნახევარი დღე სიეგო დე ავილში გამართულ თათბირზე დაჰყვეს. გამგზავრების წინ მანოლმა მეგობრები ბარში შეიპატიჟა, ცოტათი გადაეკრათო.

დარბაზში ხმაური იყო და კვამლი იდგა. მაგიდებთან მსხდომნი ყვავს შექცეოდნენ. კუბაში ყვავ ისეთივე მაგარია, როგორც ბათუმში. ბარმენის დახლთან ეკიდა დიდი, ფერადი პლაკატი: „ნუ დაყრით მიწაზე ბანანის ნაფცქვენს. თუ თავისუფალი კუბელი ხალხის ჯანმრთელობა გინდათ, ნაფცქვენი კალთაში ჩაყარეთ!“

— მღა-ა! კარგია! — მოწიწებით თქვა ვიქტორმა.

მანოლმა და კაკომ მოიტანეს სოსისი და ლუდი.

— აბა, შევუდგეთ, — მანოლმა პირველმა წაავლო ჩანგალს ხელი, — ამას „ბერო კალიენტე“ ჰქვია.

ჩინებული სოსისი იყო. მაღიანად შექცეოდნენ. მოულოდნელად კაკო გაფითრდა და თეფში გვერდზე გადაღბა.

— რა იყო, არ მოგეწონა? — გაუკვირდა მანოლს.

— რალაც დამცხა. მე ლუდს დავლევ მხოლოდ. — კაკო სწრაფად წებოტინა ლუდის კათხას.

როცა ბარიდან გამოვიდნენ, კაკომ ქართულად უთხრა ლევანს:

— იცი, რა ჭამე ახლა?

ლევანმა გაკვირვებით გადახედა მეგობარს.

— როგორ თუ რა?

— რა და, ძაღლის ხორცის სოსი-სი... — ჩურჩულით თქვა კაკომ.

— მართლა ვითომ?

— აბა! როცა ვჭამდი, გამახსენდა, რომ „პერო“ ესპანურად ძაღლს ნიშნავს, „კალიენტე“ კი ცხელს. მოხარშული ძაღლის ხორცით ცხვეიმასპინძლა ეგ შეჩვენებული.

— ვიქტორ, — ლევანმა გვერდზე გაიყვანა კოვალენკო და კაკოს ნათქვამი გადასცა. ვიქტორს გააქრთოლა, ნერწყვი გაუშრა და ადგილიდან მოსწყდა:

დღიურიდან

„მერე მანქანით შინისაკენ გავემართეთ. მთელი გზის მანძილზე სამივენი მოღუშულნი ვიჯექით. მანოლი დროდადრო შემოგვხედავდა, უკვირდა, რა დაემართათო. შინ კაკოს ლექსიკონი მოვიშველიეთ და უარესად აგვერია გული.

— ეს რა გვაჭამე, ჰა? — აღშფოთებულმა ვიქტორმა ზედ ცხვირზე ააფარა ლექსიკონი.

მანოლი დაიბნა, უცებ ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე, შემდეგ გულიანად გადაიხარხარა. აღმოჩნდა, რომ სიტყვა „პერო კალიენტე“ ნიშნავს ცხელ საუზმეს, სწრაფად ჭამას, როგორც ამას ძაღლები აკეთებენ. სოსისი კი ზბოს ხორცისაგან ყოფილა დამზადებული...

— ლევან, თუ ხათრი გაქვს, კაკოს წამოართყი ერთი, — კმაყოფილებით თქვა ვიქტორმა და საწოლზე გაიშობა. დარცხვენილი კაკო ფარდას აწვებდა“.

დღიურიდან

„1961 წლის 20 ივლისი. ორ კვირაში ერთხელ ვესწრები კამაგუეიში გამართულ „ინრას“ პროვინციული სამმართველოს თათბირებს. ვიხილავთ მიმდინარე საკითხებს, ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებთ, ვმსჯელობთ სხვადასხვა პრობლემაზე.

დღეს საინტერესო ამოცანა დავგვი-სახეს „ინრას“ ხელმძღვანელებმა. რატომ არის სიმინდის ტარო უფრო გრძელნაწილს ვიდრე ფუჩჩი, ტაროს შიშველ ნაწილს ჩიტები კენკავენ და მწერები აფუჭებენ“...

როცა კამაგუეიდან უკან ბრუნდებოდნენ, ზოსემ პირდაპირ გული გაუწყალა ლევანს თავისი შეკითხვებითა და წინადადებებით. ლევანი მოთმინებით უსმენდა.

— მე მგონია, ჩვენ ყველანი რაღაცაში ვცდებით, — უთხრა ლევანმა, — აგროტექნიკის კანონებს ზუსტად არ ვიცავთ. კარგი იქნება, თუ კაკოს დავეკითხებით. კაკო ხომ ამ საქმის დილოსტატია.

კაკომ დაასკვნა: მიზეზი ერთია. სიმინდის ყანებს გვიან რწყავენ და მიწის მაშინ აპოხიერებენ, როცა უკვე დამთავრებულია სანაყოფო ორგანოების ჩამოყალიბება.

— ახლა რაღა გვეშველება? — იკითხა ზოსემ.

— არაფერი, მოვუცადოთ შემდეგ მოსავალს და როცა მცენარე ხუთ-ექვს ფოთოლს გამოიბამს, მაშინ დავუმატოთ სასუქი.

თან წიგნიც მისცა.

ეს წიგნი სიმინდის მოვლის წესებს შეიცავდა. მას შემდეგ ზოსე რუსულ-ესპანური ლექსიკონის დახმარებით უკვე წიგნს, დღისით კი კაკოს არ შორდებოდა.

მეურნეობას საკუთარი ჰიბრიდული თესლი არ ჰქონდა. მას მეზობელ პროვინციაში ყიდულობდნენ, თითო კენტალს¹ 123 პესოდ. თავის სიმინდს კი გრანბა 6 პესოდ ყიდდა.

— ვითომ რატომაო? — გაიკვირვა კაკომ.

— ორიენტეს პროვინცია შავმიწა-ნიდაგაინია, ჩვენთან კი ეწერია. ამ მიწაზე ჰიბრიდულ თესლს ვერ მოიყვან, — აუხსნა მანოლმა.

— სისულელეა, ჩვენში, დასავლეთ

¹ კენტალი — წონის საზომი, უდრის 46 კილოგრამს.

საქართველოში ასეთივე მიწებია, მაგრამ ჰიბრიდული თესლი ცუდი როდი გვაქვს, — ჩაერია საუბარში ლევანი, — აქ რალაც სხვა ამბავია.

ყველაფერი საქმად სწრაფად გამოირკვა. თურმე სადღედ და სამამულე ფორმა მწვერვალებს შორის ჩასმული სარები ვილაცას განზრახ გადაედგოლებინა. როცა საგველების მოჭრის დრო დგებოდა, სამამულე ფორმათა მწკრივებში ხდებოდა არევ-დარევა, ვერ იღებენ ჰიბრიდულ თესლს.

ეს რომ შემდეგში აღარ განმეორებულიყო, კაკომ ავისმსურველთა საწინააღმდეგოდ მარტივი ხერხი მოიგონა.

თესვის დროს სამამულე რიგებს მზესუმზირას თესლი დაუმატეს, რათა მისი აყვავების შემდეგ მკვეთრად გამოჩენილიყო მწკრივი. შეცვალა მწკრივების განლაგებაც. ადრე ნ სადღედ ფორმას მიჰყვებოდა ორი სამამულე, ახლა კი სამის შემდეგ ერთი მოდიოდა. მცენარეთა რაოდენობა იგივე დარჩა, განლაგება კი უფრო საიმედო.

როცა მოვიდა დამტვერიანების პერიოდი, კაკოს გაახსენდა იძულებითი დამტვერვის მარტივი წესი. ამ წესს საქართველოში ძველად ხმარობდნენ. ორმა მხედარმა მინდვრის ორივე მხარეს გაკიმა თოკი და ცხენები ერთი ბოლოდან მეორისაკენ გააჭენეს. გლეხები მხრებს იჩეჩავდნენ: „რუსები გაგიჟდნენ“.

მაგრამ ეს მეთოდი ძალზე მოიწონეს „ინრას“ მორიგ სხდომაზე.

დამტვერვა კი არ ხდებოდა. ლევანი და კაკო რამოდენიმე დღე თავს იმტვრევდნენ. ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ. შუადღის ზვატი უმოწყალოდ ღუპავდა მტვერს, დამით კი ნიავი არ იჭრის. პირველი კულტივაციის დრო რომ მოახლოვდა, შუვალოვმა ხუან დელგატო ტრაქტორზე დასვა და უთხრა: ადელანტი!

ასოცი დღე გაგრძელდა სამუშაოები. მერე ტარობმა მჭიდროდ შემოიკრეს სამოსი, გაქრა მეჩხერიანობა, „რუსულ მინდორზე“ ყველაზე იაფი სიმინდის

მარცვლი მოიწიეს. შესანიშნავი მოდგა ჰიბრიდული თესლიც.

იმ წელს თითქმის ყველგან უმნიშვნელო მოსავალი მოიწიეს. მსხვილ სიმინდს, რომელიც „მარიანა გრახალესის“ ნაკვეთში მოვიდა, ოქროს ფასი დედო. გაზეთებმა მთელ ქვეყანას აუწყეს გრახალესელთა წარმატება. ყანების სანახავად გლეხები შორეული პროვინციებიდანაც ჩამოდიოდნენ.

დღიურიდან

„1961 წლის 19 ივლისი. დილით მე და ხოსემ ცხენებით შემოვიარეთ ორი დეპარტამენტი (აგროუბანი). ვუყურებდი ხოსეს და ძლივს ვიკავებდი სიცილს. ხოსე ზედგამოჭრილი დონ-კიხოტია. მაგრამ ნაადრევად მომიწია სიცილი, ცხენებს მივაჭენებდით. უცებ ჩემი როსინანტი ადგილზე დაესო, მე კი ჰაერში უცნაური წრე მოგზაზე და ძირს დავენარცხე. ძლივს ავდექი, როცა მოვიხედე, ჩემი ცხენი აღარსად იყო, შინ დაბრუნება მოპრიანებოდა. სხვა გზა არ იყო, ხოსეს შემოვუჯექი უკან და მოთმინებით ვუსმენდი მის დაცივებას“.

მეუღლისადმი მიწერილი წერილიდან

1961 წლის 20 ივლისი

„ჩვენ კარგი დამოკიდებულება გვაქვს ადგილობრივ მოსახლეობასთან. აქ ჯერ კიდევ შემორჩა კერძო ვაჭრობა. თუმცა ყველა ქარხანა, ფაბრიკა და მსხვილი საწარმო ნაციონალიზებულია. მალაიიების მეთი წილი მაინც კერძოა. ასევე კერძოა კაფეები, რესტორნები, სასადილოები. სოფლებში ჯერ კიდევ იყენებენ დაქირავებულ მუშახელს. ყოველივე ეს კაპიტალიზმის გადმონაშთია; გუბა ხომ ახლახან განთავისუფლდა.“

ცხოვრების პირობები დღითიდღე უმჯობესდება. წინათ მოსახლეობის ნახევარი უმუშევარი იყო, არ ჰქონდა შესაძლებლობა ეყიდა ხორცი და კარაქი. უკვე დაისახა მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებები, ეს პრობლემა 18 თვეში უნდა გადაიჭრას. ერთი წლის წინათ აქ იყო კერძო სამედიცინო მომსახურება. ახლა ყველა პოლიკლინიკა



და სავადმყოფო ხალხის საკუთრებაა. ფიდეღს ძალიან უყვარს საბჭოთა კავშირი და კერძოდ, აქ მომუშავე ამხანაგები. ასე რომ, ჩემზე ნუ იღარდებთ, არაფერი არ მომივა“.

დღიურიდან

1961 წლის 22 ივლისი.

„ჩამოვიდა სტეფანე მუხა — საბჭოთა სპეციალისტების ხელმძღვანელი კამაგუვისა და ორიენტეს პროვინციებში. დაათვალიერა მეურნეობა, კმაყოფილი დარჩა, საქმიანი რჩევა-დარიგება მოგვცა.“

დღეს, როგორც იქნა, მივიღე „კომსომოლსკაია პრავდას“ პირველი ნომერი. წერილები კი რატომღაც იგვიანებენ. ველავ.

სტეფანე ნესტორის ძემ გვითხრა, ჰავანაში კუბის ნაციონალური დღესასწაულისადმი მიძღვნილ ზეიმზე ხართ მიწვეულიო, ამ ზეიმზე იური გაგარინი უნდა ჩამოვიდეს. ამ ცნობამ საოცრად გაგვახარა“.

დღიურიდან

1961 წლის 23 ივლისი. „...ადრიანი დილაა. კამაგუეის სასტუმროში ვარ. სასტუმროში თავი მოიყარეს საბჭოთა ქვეყნიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა. ყველანი ჰავანაში, ზეიმზე მივემგზავრებით. მეტისმეტად გამახარა ვალერიან ჭაჯაიას ნახვამ. მთელი ღამე ვსუმრობდით. ვიგონებდით ბათუმს, მეგობრებს, ნათესავენს...“

ხვალ კი ჰავანა, შეხვედრა ფიდეღსთან, ნომერ პირველი კოსმონავტის დიმილი“.

დღიურიდან

1961 წლის 24 ივლისი. „შუაღმერთი“ ჰავანაში ჩავედით. ვისადიღეთ და ქუჩებში თავშეყრილ ხალხს შევკურთღით. მთელი ჰავანა საბჭოთა კოსმონავტს — იური გაგარინს ხვდებოდა. მთავარი გზატკეცილის გაყოღებით, რამდენიმე კილომეტრის მანძიღზე, სახალხო მიღიციის საბატიო ყარაული იღვა.“

უეცრად მოვარდნიღმა ტროპიკულმა წვიმამ ვერავინ შეაღინა. ხალხი ისევ იღვა მთავარი გზატკეციღის ორივე მხარეს. როგორც იყო, გამოღინდა ავტომანქანების კორტეჟი. შუაღი მომავალ ღია ავტომანქანაღი იღგენ ფიდეღლი, გაგარინი და დორტიკოსი. კორტეჟი ნელა ახღოვდებოდა. გაისმოდა აღტაცებული შეღახიღები: „ვივა, ფიდეღლი, ვივა, გაგარინი!“ ეს მღვნებარე შეღახიღები ვეღვა ტალღებიღით აწყღებოდა ავტომანქანებს.“

კაკო გამაღებით აწკაპუნებდა თავის „ფედს“, მაგრამ მე ვფიქრობ, ასეთ თავსღმაღი გადაღებული სურათი არ გამოვა მიინცაღამაინც კარგი“.


დღიურიდან


1961 წლის 25 ივლისი. „იური გაგარინის პატიღსაცემად აღღღუმი მოეწყო. აღღღუმის დაწყებამღე ხოსე მარტის მონუემენტი დავათვაღიერეთ. ამ მონუემენტის სიმაღლე 104 მეტრია. დაახლოებით ხღუსართულიანი სახღის ოღენაა“.

იღარიონ ხუციშვიღი

ჩვენ არ გემშვიღობებით, ლევან!

დასასრული იქნება





მოთხრობა

ამ ქალმა რატომღაც მიიქცია ღიზას ყურადღება. იგი აუზის კიბესთან იდგა და მოცურავეებს უცქეროდა. ღიზა ქალს დაჟინებით მიშტერებოდა, რაღაც ენიშნა მის გარეგნობაში და ეს აღელვებდა. შეცბუნებული და უკმაყოფილო ქალი ცდილობდა დაეძლია ეს უცნაური გრძნობა, გაერკვია, რამ გამოიწვია იგი, მაგრამ ვერაფერი გააწყვო. განა საქმე მართლა ამ ქალის გარეგნობა ან მისი მოხდენილი ჩაცმულობა იყო? მერე რა, რომ საუცხოოდ ეცვა, დიდად არაფრით გამოირჩეოდა. ასეთ კომფორტაბელურ გემოთული, ლამაზი ქალი ირევა, ეს საკვირველი არცაა. მაშასადამე, მიზეზი სხვა რამ არის. ღიზას თვალეზში თანდათან იმატა შიშმა.

ვალტერი გვერდით ეჯდა შეზღონგზე. თვალი დახუჭული რომ არ ჰქონოდა, უეჭველად ჰკითხავდა: „რა იყო, ჩემო პატარავ?“ — მას ხომ ღიზას თვალეზში ყველაფრის ამოკითხვა

შეეძლო, გინდაც ეს სიტყვები გაცეითილი გეჩვენოთ კიდეც. ვალტერი მართლა ახერხებდა ამოკითხვა ყველაფერი, რაც ამ თვალეზში ისახებოდა. მას დიდად ახარებდა და ართობდა ეს ამბავი. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც დაადგა თვალი ღიზას და შემდეგ ცოლადაც შეირთო. ღიზამ თითქოს მეექვსე გრძნობა შესძინა ვალტერს და ამ თვისებას იგი ხუმრობით თავის „შინაგან სმენას“ ეძახდა. თუმცა ასეთი განსაზღვრა არცთუ ისე შეეფერებოდა იმ ნიჭს, რაც სმენაზე კი არა, მხედველობაზე იყო დამყარებული. თუ ვალტერი ვერ ხვდებოდა, რაზე ფიქრობდა ღიზა, ასეთ შემთხვევაში ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა: „რა იყო, ჩემო პატარავ?“ მერე რა, რომ ეს ცნობისმოყვარეობა გარეშე თვალს შეიძლება სასაცილოდ სჩვენებოდა. აგერ უკვე რამდენი წელია, უცვლელად ეკითხება ამას, ეკითხება ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა ღიზა პირველად შევიდა

შის ანტიკვარულ მალაზიაში. ეს იყო ომისშემდგომი წლები და ვალტერი ძველებური ნივთებით ვაჭრობდა. მაშინ ლიზა ისეთი გამხდარი იყო, ისეთი ბეჩავი, ისეთი ბავშვური გამომეტყველება ჰქონდა, რომ ვალტერი უნებურად შეეკითხა, რა იყო, ჩემო პატარაო.

ვალტერმა სახე მზეს მიაფიცხა და თვალები დახუჭა. ამგვარად, მას ახლა მხოლოდ სმენის ნიჭილა დარჩენოდა. გემზე ამოსვლის შემდეგ ორთავენი აღფრთოვანებულ ქება-დიდებას ასხამდნენ ცხოვრებას. მაგრამ რაკი ახლა ლიზამ აღარ აუბა მხარი, ვალტერმა საჭიროდ ჩასთვალა, კვლავ ჩაეთრია იგი საუბარში.

— რა კარგია აქ, არა, ლიზჰენ? დიდებული გემია ეს ჩვენი „ჰამბურგი.“ ძვირად კი დაგვიჯდა მგზავრობა, ვერაფერს იტყვი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩვენ შეგვიძლია ეს არაფრად ჩავადლოთ. როგორც იქნა, ბედმა გამიღიმა, ლიზჰენ. აი, ნახავ როგორ ვიცხოვრებთ. დრო არაა თუ? როგორ გგონია, პატარავ?

პასუხი რომ ვერ მიიღო, ვალტერმა თვალი გაახილა, სახეზე ცნობისმოყვარეობა აღებუჭდა. ახლა „შინაგანი სმენის“ მოშველიება იყო საჭირო.

— თავი მოაბრუნე, ლიზჰენ, მზე მხოლოდ ცალ მხარეს მოგვეილება.

ლიზა კვლავ დუმდა.

— რა იყო, პატარავ? — ჰკითხა გაკვირვებით ვალტერმა, — სულ იმ მხარეს რად იყურები?

ლიზამ თავი მოაბრუნა.

— არაფერი, ისე...—უპასუხა ქმარს, მაგრამ თვალი კვლავ უცნობი ქალისაკენ გაექცა.

— იცნობ მაგ ქალს? — დაინტერესდა ვალტერი.

— არა. საიდან მოიტანე? — შეკრთა ლიზა, — ნეტა რამ გაფიქრებინა?

— ისე უყურებ, თითქოს იცნობდე.

— ცოტა უცნაური მეჩვენა, — და ლიზამ კვლავ ქალისაკენ გაიხედა.

— უცნაური? — ვალტერი რამდენიმე წამს ცნობისმოყვარეობით ათვა-

ლიერებდა უცნობს, მერე მხრები აიჩეჩა, — განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

ლიზამ მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა — მსგავს შემთხვევებში ღიმილი თითქოს საბოლოოდ ფანტავდა მათ შორის წარმოქმნილ წუთიერ გაუგებრობას. ლიზამ უფრო მოხერხებულად მოიკეცა შეზლონგზე. ვალტერი მართალია. აქ კაცი მართლაც საუცხოოდ გრძნობს თავს. მოგზაურობის პირველმა დღემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: საოცარი ამინდი დაიჭირა. ეს ვეებერთელა გემი წყალზე მსუბუქად მისრიალებს, რწევა სრულებით არ იგრძნობა. მგზავრებს მზით გაკაშკაშებულ გემბანზე მოეყარათ თავი. ამ ადგილს აქ პლაჟს ეძახდნენ. აუზიდან მხიარული ხმები და სიცილი ისმოდა. შეზლონგებს შორის მარჯვედ დასრიალებდნენ სტიუარდები — ნაყინი და გამაგრილებელი წყლები დაჰქონდათ. ყველაფერს მშვიდი ელფერი ელო.

— გერმანია უკან დარჩა, ვალტერ, — თქვა ლიზამ.

— ზეგ ვეროპასაც რამდენიმე წლით მოვიტოვებთ უკან, რასაკვირველია, თუ არაფერი მოხდა. არ მოგწყინდება?

— არა გგონია.

— არც მე. ევროპაში კვლავ გაძნელდა ცხოვრება.

— მეშინოდა, ვაითუ არაფერი გამოვიდეს-მეთქი.

— ტყუილად როდი გეშინოდა. „ბებერი“ ყველგან ათავისუფლებს სამსახურიდან შტრაიტის ხალხს. ჩემს დანიშვნას ნაწილობრივ ბატონ გლობეს უნდა ვუმაღლოდე.

— ნუ ხუმრობ!

— სულაც არა. უბრალოდ, მსოფლიოში ბევრს ყებდობენ ამაზე. აუცილებელია, ზოგან ხმის ჩამხშობი მოეწყოს. ამისათვის ეძებენ ჩემისთანა ხალხს და აგზავნიან იქ, სადაც ყველაზე მეტს ლაყბობენ, რომ მოლა-

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

ყბეებს ლაგამი ამოსდონ. ვინ იცის, ანტიფაშისტური წარსულიც მომაწებონ.

ლიზას გააქრეოდა.

— ასეთი წარსული რომ საჭირო იყოს, მაშინ შტრაიტს გაავაზენდნენ.

— ეგ არ მოხდებოდა, — გაეღიმა ვალტერს, — და იცი რატომ? იმიტომ რომ შტრაიტს მართლაც აქვს ასეთი წარსული.

სტიუარდი მიუხალოვდა მათ და სადილად მიიპატიჟა:

— დღეს მგზავრობის პირველი დღეა. აჯობებს, ცოტათი ადრე შებრძანდეთ რესტორანში, რომ მოხერხებული ადგილი შეირჩიოთ. ასეთ შორგზაზე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენთან მოსვლა მხოლოდ იმიტომ გაგებდე, რომ სხვა მგზავრები...

გემბანი მართლაც თითქმის მთლიანად დაცარიელებულიყო. მგზავრებს ახლა ალბათ კაიუტების ჩრდილი უფრო ეამებოდათ, სადაც ვენტრიატორები იდგა, ვინემ სარკესავით მოლაპლაპე ოკეანის ზედაპირი. მხოლოდ ერთ შეზღონვზე ქოლგის ჩრდილში ხანშიშესული, ჭალარა კაცი თვლემდა. კაცის ფერხთით დიდი, ლამაზი ძაღლი იჯდა.

— ეგ ყბედი სტიუარდი მართალია, — თქვა ვალტერმა, როცა კარი-საკენ მიდიოდა, — ეს გემი ოცი დღე და ღამე ჩვენი მატერიკი იქნება. შენ, ალბათ, ჩასვლისთანავე შენს დას ინახულებ, არა?

— არა, რა საჩქაროა. მაშინ ვნახავ, როცა უკვე კარგად მოვეწყობით, — უბასუხა ლიზამ და შეზღონვს გვერდი აუქცია.

— იცის კი, რომ ჩავალთ?

— არა.

— რატომ? განა არ შეატყობინე?

— აკი გითხარი, უკანასკნელ წუთამდე ვეჭვობდი-მეთქი, — შეაგვიანა პასუხი ლიზამ. — რა გქნა, ცრუმორწ-

მუნე ვარ და წინასწარ თქმისა მეტონადა.

— გეშინოდა, არ დავინახავდი გაეცინა ვალტერს. — მართლა ბავშვი ხარ. თუმცა რა, ამასაც თავისებური სილამაზე აქვს.

ვალტერმა სიტყვის დასრულება ძლივს მოასწრო, რომ უეცრად რაღაც უცნაური ამბავი მოხდა: როგორ მოხდა — ამას ვერც ლიზა, ვერც ვალტერი და ვერც ძაღლის პატრონი ხნიერი კაცი ვერ იტყოდა. გემბანის კართან ის უცნობი ქალი გამოჩნდა, ამ რამდენიმე წუთის წინ ასე რომ დააინტერესა ლიზა. ვერავინ შეამჩნია, ქალმა ნელა დაუსტვინა თუ ენა დააწლაკუნა. ეს კია, რომ ყველამ დაინახა, როგორ ისკუბა ძაღლმა. არა, საშიში არაფერი მომხდარა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ქალს შეშინებოდა, როცა ძაღლმა ტორები მხრებზე დააბჯინა? პატრონმა ძაღლს დაუძახა და ისიც მაშინვე უკან მიბრუნდა. შემდეგ ეს კაცი ძველებური თავზიანობით კარგა ხანს უხდიდა ბოდიშს ახალგაზრდა ქალს.

— სულელო, — გაეცინა ვალტერს, როცა ლიზას გადაფთობებულ სახეს შეხედა, — ასეთი ძაღლი ავს არაფერს ჩაიდენს. ამით მხოლოდ თავის სიმპათიას ამქლავნებს.

ლიზა ქმარს ყურს არ უგდებდა. უყურებდა, როგორ იწმენდდა უცნობი ქალი ტანსაცმელს, უყურებდა ისე, თითქოს მისი სიკვდილ-სიცოცხლე ამაზე იყო დამოკიდებული. სახეზე ხან გაოცება ეხატებოდა, ხანაც ეჭვი. ეს გამომეტყველება არც მაშინ შესცვლია, როცა უცნობი ქალი წავიდა.

ვალტერი შიშმა აიტანა.

— რა დაგემართა, ლიზკენ?

ლიზამ ხმა არ გასცა. გაოგნებულად გაჰყურებდა სივრცეს და თვალეშში შიშის ზარი ჩადგომოდა.

ძაღლმა ისკუბა. ათეულმა და ასეულმა ძაღლმა. ისეთებმაც, ამ გემბანზე რომ არის და სხვებმაც. Hundesstafeln¹, ასე უწოდებენ მათ. ისინი ჯა-

¹ საგანგებოდ დაგეშილი ძაღლების რაზმები.



რისკაცებით მწყობრად მიაბიჯებენ, ხან კი მწყემსებით მიერეკებიან ორფხა არსებათა ჯოგს, რომელთა მსგავსება ადამიანებთან თავზარსა გცემს და გულს გირევს. ძაღლები და... თითქოს კომპარულ სიზმარში ნანახი გზა, რომელიც ამქვეყნად არც ერთ გზას არა ჰგავს. იგი მავთულხლართებითაა შემოღობილი. აქეთ-იქით კი ხორა-ხორად შეშა აწყვია. ამ გზაზე გარბიან „ჰამბურგის“ მგზავრებით მორთულ-მოკაზმული ადამიანები. ისინი უწყსრივოდ გარბიან ლიანდაგის გასწვრივ, მაგრამ ლიანდაგი აქედან არსად გადის. ეს ჩიხია, ნამდვილი ჩიხი, ნამდვილი დასასრული. ადამიანები თანდათან უახლოვდებიან წითელ შენობას, რომლის თავზეც გაქვარტლული საკვამურები მოჩანს. დაცარიელებულ საწოლ-ვაგონებში ჯერ კიდევ დგას მძიმე სუნი. მირბიან ძაღლებიც, ასეთიც, ამ გემბანზე რომ არის, და სხვანაირებიც. ამ უცნაურ გზაზე წინ და უკან ტრიალებს წითელჯვრიანი მანქანა; უწყსრივოდ გროვებად ყრია ტანსაცმელი, ბავშვის ეტლები, ტალახში გათელილი ფოტოსურათები. აი, წითელი შენობის წინ უკვე დგას ადამიანთა შიშველი, საზარელი ბრბო, უკან კი მოჩანს თეთრი, კლანჭებით მოღუნული ბოძები, ზედ გადაჭიმული მავთულხლართები. მავთულხლართებთან თეთრ-ცისფერზოლიან ქურთუკებში გამოწყობილი ადამიანები ჩაჩოქილან. აქვეა საგანგებოდ დაგვიშლი ძაღლების რაზმები. გვერდით ორკესტრი უკრავს და ახალგაზრდა მომღერალი ქალი დარდიმანდულ სიმღერას ვაკივის: „არა, არ მინდა მილიონები, მე უფულოდაც გავლევ ცხოვრებას...“ სწრაფად, ერთიმეორის მიყოლებით გაიეღვებენ ჰაერში ხელები: ერთი, მეორე, მესამე... ხელებზე ნომრებია ამოღალული.

ვალტერმა ქალს მაგრად მოუჭირა მაჯაზე ხელი:
— დვთის გულისათვის, ლიზჰენ, რა დაგეპარათა?

— არაფერი, ვალტერ, არაფერი.
— არაფერიო? გული გამებნებოდა ისეთი ფერი დაგედო.
— მეჯავრება ძაღლები! მათი დანახვა არ შემძილა! — ისტერიულად შეპყვირა ლიზამ და იქვე, შეზლონგზე ჩამოჯდა.
— ძაღლები გეჯავრება? ეს კი არ ვიცოდი, ეგ არასოდეს გითქვამს! — გულწრფელად გაიკვირვა ვალტერმა.

სადილი საუცხოო იყო. ვალტერს გემრიელი პურისჭამა უყვარდა და ჩინებულ ხასიათზედაც დადგა. ყოველ ახალ კერძს განცხრომით მიირთმევდა და მისთვის ჩვეულ იუმორს აფრქვევდა. ამიტომაც ვერ შეამჩნია, ლიზა რომ სულ ჩუმად იყო და პირი თითქმის არაფრისათვის დაუკარებია. მაგრამ როცა შეამჩნია, გაკვირვება და უკმაყოფილებაც გამოთქვა. ნუთუ არ მოეწონა სადილი? ეს ხომ ჭეშმარიტი გერმანული კერძებია. საგანგებოდ შერჩეული და თანაც უნაკლოდ მომზადებული. თვით ვალტერიც კი, ასეთი პირის გემოს კაცი, წუნს ვერაფერს გამოუნახავს. როგორც გამოირკვა, ლიზას მადა დაჰკარგვოდა, თავიც სტიოდა და გუნებაზე ამიტომ ვერ იყო. მხოლოდ ამ მიზეზით არ ისურვა, ვალტერს სუფრაზე მისი ახალი ნაცნობი მოეწვია. ვალტერის თქმით, ეს ნაცნობი ღმერთივით ბიჭი იყო, მათთან დაახლოებას დიდად მოწადინებული. ლიზამ უარი რომ უთხრა, ვალტერი ჯერ აიმრიხა, შემდეგ მიხვდა, რომ ეს არ იყო ყინიანობა, ქალური აზირება, რაც მას ასე ეჯავრებოდა. საბედნიეროდ, ლიზას სულაც არ სჩვეოდა ყინიანობა. ჰოდა, შეიძლება კი კაცმა ცოლს ანგარიში არ გაუწიო მხოლოდ იმიტომ, რომ გასურს ვიღაც ნაცნობს პატივი სცე?

სჯობია კიდევ, თუკი „ჯონი“ (ომის შემდგომ წლებში ამერიკელებს ხომ

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი



ეს უწყინარი და დამცინავი სახელი შეერქვათ და ვალტერმაც თავისი ნაცნობი ასე მოიხსენია) მაშინ გაეცნობა ლიზას, როცა ის ჩვეულებრივ მომხიბლავი იქნება და, როგორც ყოველთვის, ყველას მოაჯადოებს. ნასადილევს ლიზა თავისტივილის აბს გადაუკლავს და ერთი საათით წამოწვება. ვალტერი კი ამასობაში ჯონისთან ტენისის ერთ პარტიას ითამაშებს. შემდეგ, თუ ლიზა კარგად იქნა, სამივენი ერთად წავლენ ჩაის დასალევად. მოსწონს ასეთი გეგმა?

მოსწონს, რა თქმა უნდა, მოსწონს და ძალიანაც მადლიერია ქმრის, რომ სურვილს მიუხვდა. როცა ქალმა იცის, რომ ცუდ ფერზეა, როცა თავს მოღლილად, მობერებულად გრძნობს, აი, როგორც ახლა... კარგი ქმარი ასეთ შემთხვევაში ან შეეკამათება, ან გაიცინებს. ვალტერიც ასე მოიქცა. მისი რეაქცია გულწრფელი იყო. მის თვალში ლიზა არა თუ მობერებული ჩანდა (თუმცა სიბერისა და ლიზას ერთად მოხსენიება სასაცილო იყო), არამედ იოტისოდენადაც არ შეცვლილიყო მას აქეთ, რაც მისი ცოლი ვახდა. რაკი სიტყვა ამაზე ჩამოვარდა, მარტო ვალტერი როდი ფიქრობს, ლიზა სრულებით არ გამოიკვლიაო. ვალტერის პირუთვნელობაზე ყველაზე კარგად ნავსადგურში მომხდარი დღევანდელი ამბავი მეტყველებს: ვალტერი დოქტორ შტრაიტს გულისხმობს. ლიზა უნდა გამოტყდეს, რომ თვითონაც გოცეხული დარჩა. დოქტორმა შტრაიტმა იგი ხომ მხოლოდ რამდენიმე წუთით ნახა და ისიც როდის? ათი წლის წინათ. მაგრამ დღეს მაინც იცნო და მიესალმა. დიახ, იცნო, თუმცა ლიზას სრულებით არ ახსოვდა შტრაიტი. ამიტომაც ნულარ ინაღვლებს თავის გარეგნობაზე და ნურც იმას ფიქრობს, თითქოს ვალტერი ან ატყუებდეს, ანდა რაღაც სისულელეს ეუბნებოდეს.

— წმინდა რასა მაინც წმინდა რასად რჩება, — დაასკვნა ვალტერმა და ლიზას თვალი ჩაუკრა.

მიუხედავად მისი მოლოდინისა, დასკვნამ ლიზას დიდი კმაყოფილება არ მიანიჭა. ქალმა მხოლოდ ნაძალადევი ღმილით უთხრა, სიტყვა „რასა“, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს და საერთოდ, უმჯობესი იქნება, ეს სიტყვა ხუმრობითაც კი არ წარმოთქვას.

ვალტერს არ უყვარდა, როცა შენიშვნებს აძლევდნენ, მაგრამ ამჯერად ეამა კიდევ. დიახ, ცოლი მას კარგად იცნობს, და იცის, რომ სიტყვა „რასა“ მის სტილს არ შეეფერება. ამიტომ გასაგებია, რომ ლიზამ მისი სიტყვები ასე სერიოზულად მიიღო, თუმცა არც ამას უშვავს რამე, — მერე რა, რომ ზოგს ასეთი საქციელი შეიძლება უცნაურად ეჩვენოს. აფსუს, სად არის მისტერ ბრედლი! მისთვის ამ საუბრის მოსმენა ტენისის პარტიაზე უფრო საინტერესო იქნებოდა. ვალტერმა ისიც კი გაიფიქრა, ბრედლი სულაც დასთმობდა ტენისს, თუკი ამ საუბარში მონაწილეობას მიაღებინებდნენო. ეს ხომ საუცხოო მასალა იქნებოდა მისი გამოკვლევისათვის, რომელიც იდეა, აქვე უნდა ითქვას, ალბათ თავისებურად ნაღრძობმა ტენიმა თუ აკვიატებულმა აზრმა შთაუწერგა. ვალტერმა ეს მაშინვე შეატყო ბრედლის, როგორც კი გამოთვალაარაკა. ჰო, უფრო სწორად, აკვიატებული აზრის შედეგი უნდა იყოს და დოქტორმა შტრაიტმაც, როცა ისინი ნავსადგურში გააცნო ერთმანეთს, ამიტომაც ჩათვალა საჭიროდ ეთქვა ამერიკელისათვის, ამ გერმანელთან „შეგიძლია ყველაფერზე ილაპარაკოთო“. შტრაიტმა ეს ორჯერ გაუმეორა, მართალია, ვითომ ხუმრობით, მაგრამ ვალტერი კარგად იცნობდა შტრაიტს და დარწმუნებული იყო, ეს სიტყვები სერიოზულად იყო ნათქვამი. ვალტერი საზრიანი კაცი ვახლდათ. როცა ვაიგო, ბრედლი გერმანიაში მათ „განმანთავისუფლებელ“ არმიას ჩამოჰყავდა, მაშინვე იაზრა, თუ რას ნიშნავდა ეს. ყმაწვილს აშქვეყნად ბეგრი რამ უნახავს და ახლა არ ასვენებს აკვიატებული იდეა, არ ასვენებს გერმანულ

სულის პრობლემა. მაშინვე გადმოუშალა კიდევ თავისი აზრები, გადმოუშალა არა ზერელედ, არამედ მეცნიერულად, გზადაგზა გერმანელი ფილოსოფოსების — ჰეგელის, ფიხტეს, კანტისა და შობენჰაუერის მოძღვრებანიც მოიშველია. სიმართლე უნდა ითქვას, ბრედლის ეს ფილოსოფია საფუძვლიანად შეუსწავლია. არა, ლიზა ტყუილად იცინის. ნიცშემდეგ ვერ მიიღწიეს. გემის საყვირმა ხელი შეუშალათ. შტრაიტს ხომ უნდა გამომშვიდობებოდნენ! მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ნიცშეზეც ილაპარაკებენ. მართლაცდა, რატომ არ უნდა დაეხმაროს ვალტერი ბრედლის ამ პრობლემის ვარკვევაში, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია?

— შენ რას ფიქრობ ამაზე, ლიზა? ვაი რომ ლიზა არაფერს ფიქრობდა! ეს რამდენიმე წუთია, არც უსმენდა ქმრის ლაპარაკს. მან კვლავ დინახას უცნობი ქალი. იგი მეტრდოტელის თანხლებით მაგიდებს შორის მიდიოდა და თითქოს ვიღაცას ეძებდა. ქალმა მზერა წუთით ლიზაზე შეაჩერა, მაგრამ მაშინვე გულგრილად აარიდა თვალი. ლიზას ის იყო შეგების ოხვრა უნდა აღმოხდენოდა, მაგრამ თავი შეიკავა: ვალტერი უტქერდა.

ისინი ბარის ერთ მყუდრო კუთხეში ისხდნენ, დახლიდან ოდნავ მოშორებით. მეორე, მცირე დარბაზიდან ჯაზის ხმა ისე ყრუდ მოისმოდა, თითქოს ფილტრში გაუტარებიათო. ღია კარში წუთით გამოჩნდებოდნენ ხოლმე მოცეკვავე წყვილები და ისევ მიიმაჯობოდნენ.

— თმა სხვანაირად დაგივარცხნია. ბრედლის ხათრით? ასე ხომ არასოდეს ივარცხნიდი?

— არ მოგწონს? — შეშფოთდა ლიზა.

— არა, რატომ არა... მაგრამ სულ შეგცვალა კი. რომ მოგვიანლოვდი, პირველად ვერც კი გიცანი. უცნობი

ქალი მეგონე. არ მეგონა, თმა ასე შეცვლიდა ადამიანს.

— ეს რომ ბრედლის ხათრით გეწყინებოდა? — კეკლუცად ჰკითხა ლიზამ.

ვალტერი კვლავ გაოცდა. რა ამბავია ლიზას თავს? რა ხანია მათი ურთიერთობა სასიამოვნო, ამხანაგური, ყოველგვარ კეკლუცობას მოკლებული, ძალდაუტანებელი იყო, რასაც ეგზომ აფასებენ მამაკაცები და რაზეც ქალები მხოლოდ მაშინ თანხმდებიან, როცა თავიანთი ქორწინების სიმტკიცეში დარწმუნდებიან.

— სულაც არა, — უწყინრად მიუგო მან და გადაწყვიტა საუბრის თემა შეეცვალა, — მიხარია, რომ ბრედლი მოგეწონა. თუმცა უეჭველია, ჩვენც განსხვავებულად გვექცევა. ასე უცნაურად რად შემომხედე?

— იმიტომ, რომ უცნაურად ლაპარაკობ.

ლიზა თვალს არ აშორებდა კარს, საიდანაც დარბაზის ერთი მხარე მოჩანდა. ორკესტრთან ახლოს, ერთმანეთთან მიდგმულ რამდენიმე მაგიდასთან საკმაოდ უცნაური კამბანია იჯდა, — სულ ნაირნაირად მორთული, ნაირნაირი ჯურისა და ნაირნაირ ენაზე მოლაპარაკე ხალხი. მეტწილად ინგლისური ენა ჭარბობდა, მაგრამ შიგადაშიგ ფრანგული და გერმანულიც ისმოდა. ამათ ლიზამ ჯერ კიდევ დღისით, სადილობისას მიაქცია ყურადღება, მაგრამ მათ შორის მაშინ ის ქალი არ დაუნახავს.

— მე ვფიქრობ, რომ შტრაიტის პარტიის წევრობა... ლიზა, შენ არ მისმენ, ეშმაკმა დალახვროს, ისევ იმ დედაკაცს მისჩერებინარ!

— ვალტერ, პირდაპირ აუტანელი ხდები!

— მე ეს მაბრაზებს, გესმის?

— რა სასაცილო ხარ!

— გეცნობა ის ქალი?

— შესაძლოა.

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი



ქართული ენის ენციკლოპედია

— და არ გაგონდება, სად ნახე? არა თუ ასეა, ვიდრე არ გაიხსენებ, დაიტანჯები.

ლიზას პასუხი არ გაუცია.

— მაგრამ ტყუილად კი აშტერდები და თავს ძალას ატან. იცი, ასეთ დროს რა უნდა ჰქნა? ფიქრით იმ ადგილას გადასწვდე, ამ საგანთან თუ ადამიანთან რომ არის დაკავშირებული.

ლიზა ერთბაშად მთელი ტანით შებრუნდა მისკენ:

— ბოღვა! გიყური ბოღვა!

— რა მოგდის?

— მაპატიე, — ლიზამ უკვე სძლია თავს.

— გაწყენინე? რა ჩავიდინე ასეთი?

— მაპატიე, ვალტერ. ყურადღება არ მიაქციო. შეუძლოდ ვარ.

— შეუძლოდ ხარ? ამიხსენი ერთი, რას ნიშნავს ეს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდად ვარ. გული მერევა, უბრალოდ გული მერევა, ესაა და ეს.

ასეთმა უკმეზმა პასუხმა ვალტერი საგონებელში ჩააგდო. ის ყურადღებით, თითქმის მტრულად დააკვირდა ლიზას და მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ ალერსით უთხრა:

— ძალზე ვწუხვარ. ეგ ზღვის ავადმყოფობას ჰგავს. აბები უნდა მიიღო.

— ასეც ვიქცევი.

— ნურც კონიაზე იტყვი უარს. მისტერ ბრედლი აპირებდა რაღაც არაჩვეულებრივი კონიაკით გაგვმასპინძლებოდა.

— შენ თქვი, ის განსხვავებულად გვექცევია? — მცირედენი დუმისლის შემდეგ უკვე სავსებით მშვიდად ჰკითხა ლიზამ.

ვალტერი გამხიარულდა. მას უყვარდა დასარულეული ამბები, მოფიქრებული აზრები, მათემატიკური სიზუსტით ჩამოყალიბებული იდეები. როცა დავა მოულოდნელად შეწყდებოდა, დაუსრულებელი აზრი თითქოს ჰაერში დაეკიდებოდა, საეჭვო ბურუსით მოცული, ქაოსური ხდებოდა. მისგან ხსნა მხოლოდ ადამიანის გონების სისტემატურ, შემოქმედებით მუშაობას

შეეძლო. ვალტერი მადლიერი იყო ლიზას, რომ მან შეწყვეტილი დატოვა განაგრძო.

— იცი, ეგ ორმოცდახუთში არმიასთან ერთად პირდაპირ დახაუში მოხვდა. უეჭველია, ამან დასცა თავზარი. აქამდე ინახავს ქალის ჩანთას. იცი ეს ჩანთა რისგანაა გაკეთებული? ადამიანის ტყავისგანა.

— ეგ ტყუილია, — ჩუმად თქვა ლიზამ, მაგრამ ეს სიტყვები კივილივით გაისმა, — ეგ უკვე აშკარა ტყუილია!

— ვაი რომ არა! ტყავი ტატუირებულია, უფრო სწორად, ნომერია ტატუირებული... შენ იქნებ არ იცი, მაგრამ ზოგ ბანაკში პატიმრებს კანზე ცხელი შანთით ადღავედნენ ზოლმე ნომრებს.

ლიზამ უსიტყვოდ შეხედა ქმარს, მერე ჰიქა აიღო და ნელა, ტუჩმოუშორებლად შესვა წყალი.

— და მაინც ჩვენი მისტერ ბრედლის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ის არ ფიქრობს, ყველა გერმანელი მტარვალაო. ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს. ეშმაკმა დალახვროს! ამდენი საზოზღრობის შემდეგ დიდად სასიამოვნო როდია იყო გერმანელი. ამიტომაა, სხვათა შორის, რომ „ბებერი“ კი არა, შტრაიტიც მართალი.

— რაში? — ჩურჩულით ჰკითხა ლიზამ.

— იმაში, რომ აუცილებელია დაარწმუნო მსოფლიო, რომ გერმანელი მკვლელს არ ნიშნავს. თუმცა, არა, შტრაიტი ამ აზრს სხვანაირად, უფრო მოსწრებულად აყალიბებს: „აუცილებელი არაა მკვლელს ნიშნავდესო“. — ვალტერი გაეცინა და გაიმეორა: — აუცილებელი არაა.

ლიზას კვლავ რაღაც დაემართა: სახე გაუფითრდა, ტუჩები აუცახცახდა, თვალეხს ნერვიულად ახამხამებდა. რამდენიმე წამს თავს ებრძოდა.

— ვალტერ, არ შეგიძლია, უჩემოდ ეკამათო ბრედლის?

— კი მაგრამ, ლიზენ...

— მე არ შემიძლია თქვენი კამათის

მოსმენა. უბრალოდ არ შემძლია. აკი მეუბნებოდით, მოგზაურობა დასვენება და სიამოვნება იქნება!

— მართალი ხარ, გასაგებია, — ცოტა ხნის დუმის შემდეგ დამნაშავე-სავით მიუგო ვალტერმა.

ბრედლის გამოჩენა ორივეს გაეხარდა. ამერიკელმა შორიდანვე დაანახა მათ კონიაკის ბოთლი, ალბათ ეს იყო მისი „იშვიათი ნადავლი“. ბრედლი ჰაბუტური აღნაგობის მამაკაცი იყო. ასეთი გარეგნობა ამერიკული ფილმების წყალობით ახლა მოდად იყო ქცეული. ამ „ჰაბუტს“ ჰქონდა საფეთქლები ჰქონდა, პირის კუთხეები ღრმა ნოჰებს დაეღარა, სახეზე კი ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა.

— საკუთრად თქვენთვის ვიშოვნე, ფრაუ კრემერ, — თქვა მან დამტვრეული გერმანულით. — აბა, ერთი დახედეთ, ცოტა გარჯა კი არ დამჭირდა! ბრედლიმ ჭიქები შეავსო.

— ნებას მომცემთ, შევსვა ჩვენი მოგზაურობისა და უფრო მეტად დაახლოების სადღეგრძელო?

ლიზას გაეღიმა:

— ჩვენთვის დიდად სასიამოვნო იქნება.

— და შტრაიტის სადღეგრძელოც. ერთმანეთი ხომ მან გაგვაცნო. ახლა ვხედავ, რომ კარგი სტრატეგი ყოფილა.

— დოქტორი შტრაიტი და ჩვენ თითქმის მეგობრები ვართ, — ჩაუბრუნა ვალტერმა.

— მაგრამ ალბათ არა ისეთი, როგორც მე და ის, — გაეცინა ბრედლის. — ჩვენ სულ სხვანაირი მეგობრობა გვაკავშირებს. თუმცა თქვენმა მეუღლემ არ იცის, რაშია საქმე. იცით, მე დოქტორ შტრაიტი დახაუს კარის შემტვრევისას გავიცანი...

— მაპატიეთ, — ღიმილით შეაწყვეტინა ვალტერმა, — ჩემი ცოლი არ ეკუთვნის იმათ რიცხვს, „ვისთანაც ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი“.

ბრედლის შერცხვა.

— მას ძალიან სუსტი ნერვები აქვს, — დაუმატა ვალტერმა.

— ოჰ, ძალიან მწყინს, რომ არ გა-
მაფრთხილეთ! მე ვერასოდეს ვერ გავ-
ბედავდი... სინამდვილეში ფრაუ კრემერის
მერი სრულიად მართალია. ასეთი მო-
ნოლოგები აქ უადგილოა. გარდა ამისა,
იმასაც უნდა მივხვდარიყავი, რომ
ეს ბნელი ისტორია თქვენთვის საინ-
ტერესო არ იქნებოდა. ომი ალბათ
კარგად არც გახსოვთ. მაშინ სულ
ბავშვი იქნებოდით.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ლი-
ზამ წაიბუტბუტა. არაფერია, არაფე-
რიო, დარცხვენით დაამატა კიდევ
რამდენიმე სიტყვა და ქმარს ვედრე-
ბით შეხედა. ვალტერი არ ჩქარობდა
გამოპასუხებოდა მის მუნჯ მუდარას,
ბრედლის მიერ მიწოდებულ სიგარეტს
მშვიდად უკიდებდა ცეცხლს და უხერ-
ხულობას თითქოს არც გრძნობდა. ამ
დროს მცირე დარბაზიდან კვლავ გაის-
მა ორკესტრის ხმა, რაც მეტისმეტად
დროული გამოდგა. ღია კარიდან მო-
მშვიდად უკიდებდა ცეცხლს და უხერ-
ხულობის დასაფარავად შეიძლებოდა
ცეკვით თვალთმაქცურად დაინტერესე-
ბა. ამ შესაძლებლობას სამივე ხელად
მოეჭიდა და დარბაზისაკენ სწრაფად,
მეტისმეტად სწრაფადაც მიბრუნდნენ.

— უცნაური კამპანიაა, — თქვა ვალ-
ტერმა და იმ ჯგუფზე მიუთითა, ორ-
კესტრის ახლოს ერთმანეთზე მიდ-
გმულ მაგიდებთან რომ მოკალათებუ-
ლიყო.

— ეს მეორე მსოფლიო ომში მონა-
წილეთა რაღაც საერთაშორისო ორგა-
ნიზაციაა, — აუხსნა ბრედლიმ.

— საინტერესო ჯგუფია, მათ შო-
რის პასტორიც არის.

— თანაც გერმანელი პასტორი, თუ
გინდათ იცოდეთ, — გაეღიმა ბრედ-
ლის. — ისინი ამერიკაში მიემგზავრე-
ბიან ომის საწინააღმდეგო ერთ-ერთ
კონფერენციაზე.

ბრედლი ვიღაცას მიესალმა.

ზოფია პოსმინი
მგზავრი ქალი

— იცნობთ იმათგან ვისმე? — ჰკითხა ლიზამ.

— არა, უბრალოდ აი, ის ქალი ორმოცდამეხუთე კაიუტით მიემგზავრება, ჩვენ მეზობლები ვართ და დერეფანში ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს.

— ეგ ხომ... — უნდოდა ეთქვა ვალტერს, მაგრამ ცოლს შეხედა და სიტყვა გაუწყდა. „რა უცნაური თვალები აქვს ამ უცნობ ქალს. გიყურებს და თითქოს ვერ გხედავს,“ — გაიფიქრა მან.

ლიზას ხელი აუქანჯალდა. სუფრაზე ცოტაოდენი ღვინო დაიღვარა.

ამ დროს უცნობი ქალი მეზობლისაჲკენ გადაიხარა და რამდენიმე სიტყვა უთხრა. კაცმა თავი დაუქნია, ღირიჟორთან მივიდა და რაღაც ჩასჩურჩულა. ღირიჟორის მრავლისმეტყველი და ოდნავ ეშმაკური ღიმილი იმას მოასწავებდა, რომ შეასრულებდნენ რაღაც პიკანტურს, რაღაც ისეთს, რასაც არავინ არ მოელოდა. დარბაზი დაღუმდა. ამ სიჩუმეში უეცრად მხიარული სიმღერა შემოიჭრა:

არა, არ მინდა მილიონები,
მე უფულოდაც გავლევ ცხოვრებას,
მსურს მარად ვიყო შეყვარებული,
ვსვა და ვიმღერო,
ვსვა და ვიმღერო.

— მასხრები, — გაეღიმა ვალტერს, — ნახეს რაღა სეზონის „მშვენება“. ეს, ალბათ, რომელიღაც ძველი ოპერეტიდან იქნება. არ გახსოვს, ლიზჰენ? — ლიზამ უარის ნიშნად თავი გააქნია, პირი იბრუნა და ნიდაყვით მაგიდის ძვიდეს დაეყრდნო. ცარიელი ჭიქა ხელში უქანჯალდებდა, ამიტომ იგი მაგიდაზე დადგა. უცნობი ქალი წამოდგა, ბარის კარს მიადგა და დარბაზს თვალი მოავლო. მისი თვალები ვალტერის თვალებს შეხვდა.

— იმ ქალს მოეწონეთ... — გაეღიმა ბრედლის.

— მაგ ქალს საოცარი თვალები აქვს, — უბასუხა ვალტერმა, — არა მგონია, მხედავდეს, თუმცა ჩემკენ კი იყურება.

ლიზა წამოდგა.

— გთხოვთ მპატიოთ, ახლავე დაგბრუნდები.

სოლისტი გატაცებით მღეროდა, ეტყობოდა, ეამაყებოდა, რომ ასე ოსტატურად ბაძავდა სიმღერის შესრულების ძველებური მანერას.

არა, არ მინდა მილიონები,
უფულოდაც ვარ მე ბედნიერი,
მიყვარხარ ისე, როგორც მუსიკა,
შენ ჩემო კარგო, შენ ჩემო კარგო.

უცნობი ქალი კვლავ უძრავად იდგა და იცქირებოდა. ტაშის ხმაზეც არ შერხეულა. შემდეგ ნელა გატრიალდა და თავისიანებს შეუერთდა. ლიზა კი არა და არ ჩანდა.

— ხომ არაფერი დაემართა თქვენს მეუღლეს? — აწრიალდა ბრედლი.

ვალტერმა ბოდიში მოიხადა, უნდა მივხედო, ამ დილითაც თავს ცუდად გრძნობდაო.

ლიზა სავარძელში მიწოლილიყო, თვალები დაეხუჭა. ვალტერის შემოსვლაზე არც განძრეულა.

— ვანა ეგრე ცუდად ხარ, გენაცვალე? — ჰკითხა ვალტერმა და ახლოს მივიდა.

— ჰო, ცუდად ვარ.

— ახლავე ექიმს მოგიყვან.

— არ მინდა!

— არ მესმის შენი, თუ ავად ხარ...

— უკვე გადავყლაპე აბი. სხვა აქ მაინც არაფერი აქვთ.

ვალტერი ლიზას გვერდით მიუჯდა და ხელი მოჰკიდა.

— ლიზჰენ, საყვარელო, რა დაგეშმართა? მითხარი!

— ალბათ ზღვის ავადმყოფობაა.

რამდენიმე წამის განმავლობაში ვალტერი მღუმარედ უყურებდა ცოლს. შემდეგ ჰკითხა:

— დარწმუნებული ხარ?

— არ ვიცი. გული მერევა ძალიან.

— კარგი, ეგრე იყოს, თუ არ გინდა ექიმი, ნუ გინდა. რით შემოძლია დაგენმართ, როგორ მოვიქცე?

ლიზას თვალი არ გაუხელია, ისე უბასუხა:

— არ მინდა ხელი შევიშალო. წადი ბრედლისთან. — მაგრამ, თითქოს შევშინდარ, მაშინვე დაუმატა: — ოღონდ დიდხანს არ დარჩე, ვალტერ!

— არა, ვერ დავეთანხმებით, მისტერ ბრედლი, ნამდვილად ვერა. განსაკუთრებით იმ დებულებაში, რომლისთვისაც, თქვენი თქმისა არ იყოს, შეიძლება „დანაშაულის წაყრუება“ გვეწოდებინა, თუმცა ეს, ცოტა არ იყოს, გამარტივებული იქნებოდა. თქვენ ბრძანეთ, რომ სწორედ ეს „დანაშაულის წაყრუება“ გერმანელი ხალხის ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც თავისი ფსიქოლოგიური შედეგებით უტოლდება... იმ „გმირულ საქმეებს“, რისი მთელი საშინელება თავისი თეორიის შექმნისას ალბათ ვერც წარმოედგინა ფიხტეს, მე ვერ დავეთანხმებით მაგ დასკვნებში, თუმცა თითქმის მთლიანად ვღებულობ იმ წინამძღვრებს, რაზეც ეს დასკვნებია დამყარებული.

მე მჯერა, რომ გერმანიაში ხედვობდით ადამიანებს, რომლებმაც სწრაფად დაივიწყეს, თუ ვინ ჩააბა კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომში, ვინ შეიწირა ათეული მილიონობით ადამიანი და ამბობენ, რომ ეს სასჯელი უსამართლოა. მეც ვეთანხმებით: ეს იდეალური ნიადაგია ახალი ბოლღითი იდეების აღმოსაყენებლად, ხოლო მისტიციზმით მოწამლული გერმანელების სული კი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ფრიალად ადვილად ითვისებს მათ.

მე მჯერა თქვენი ნაამბობი იმ კაცზე, ვინც ორმოცდაათი წელი დახაუს გვერდით გაატარა და თქვენ ვითხრათ, არ ვიცი, იქ რა ხდებოდაო. გერმანელების უმეტესობა ასეთ შემთხვევებში „არ ვიცი“, პასუხობს. მათ მაშინაც არაფერი იცოდნენ, როცა კრემატორიუმების ღუმელები გიზგიზებდა, არც მაშინ, როცა „დახმარების“ სახით დასჯილთა ნივთებს ინაწილებდნენ. მაშ, რაღად უნდა იცოდნენ ახლა, როცა „ისტორიული თვალსაზრისი“ სა-

ძულებას აძლევთ ამ ამბებს შორიდან უცქირონ და ზვიადი გულგრილობა შეინარჩუნონ?

არ შეიძლება კაცს ისტორიისადმი ემოციური დამოკიდებულება მოთხოვო. ეს კი უკვე ისტორიაა. თუმცა ისტორიაც კი არაა, — მხოლოდ ისტორიული ზღაპარი, ნიბელუნგთა საგების თანამედროვე ვარიანტია. მაშ, რატომ უნდა ამჯობინონ ეს ზღაპარი სხვას? რომ ამჯობინონ, ეს ნიშნავს — რეალურად სცნონ იგი. ეს კი არ შეიძლება მათ სურდეთ. მე თქვენზე ნაკლებ როდი ვიცი ეს, მისტერ ბრედლი. მათ არ უნდათ რეალურად სცნონ, რაც იქ ხდებოდა. უფრო მეტიც, როცა ამბობენ, არ ვიციო, შეუგნებლად ცდილობენ გაამართლონ ყველაფერი, რასაც იქ ადგილი ჰქონდა, თანახმად ყოველი გერმანელისათვის დამახასიათებელი მეტაფიზიკური რწმენისა (ეს რწმენა ჰეგელმა ჩამოაყალიბა), რომ ყოველი სინამდვილე, როგორც არ უნდა იყოს ის, გონივრული და აუცილებელია. ამიტომაც არ შემიძლია შეგედავით, როცა მეუბნებით, ყოველ გერმანელს სულში თავისებური სიმბიოზი აქვს, სადაც დანაშაულის წაყრუება და სინდისის გამწმენდი ტენდენციები ერთმანეთს მშვენივრად ეთვისებაო. იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ თქვენსავით მეც არ ვგულისხმობ აღმოსავლეთის ზონის გერმანელებს. თქვენც ხომ ამბობთ, მათ სასარგებლოდ მარტო ის მეტყველებს, რომ სიტყვა „ოსვენციმის“ გავონება არ უკვიროთ.

მე მესმის, რატომ არ იღებთ ამას მხედველობაში გერმანულ ხასიათზე მსჯელობისას, თქვენ გგონიათ, და იქნებ არც უსაფუძვლოდ, რომ კაცმა შეიძლება ერთი იფიქროს და მეორე თქვას. ამგვარად, ვუბრუნდები ჩვენს ძირითად თემას და შემიძლია დავეთანხმომთ სიმბიოზის ფორმულირებაში, რომ ყოველი გერმანელის სულში

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

ერთად თავსდება დანაშაულის წაყრუება და ნაციონალური სულის აღორძინების წყურვილიც. მართალია, ზოგი რამ საკამათოდ მიმაჩნია, მაგრამ გერჯერობით არ გეტყვით, თუ რა; ხომ ვიცი, რომ ჩემი პასუხი უფრო გაინტერესებთ, ვინემ ჩემთან შეკამათება. ამიტომ შევეცდები გიპასუხოთ:

ამგვარად, მე ძირითადად ვეთანხმები თქვენს დაკვირვებებსა და დასკვნებს, თუმცა იმ კაცისათვის, ვისაც ოცდაცამეტი წლიდან ორმოცდახუთ წლამდე გერმანიაში არ უცხოვრია, დასკვნების გამოტანა თითქმის შეუძლებელია. თქვენ დოქტორ შტრაატის მეგობარი ხართ და მისგან ალბათ არაერთხელ გასმენიათ: ვინც საკონცენტრაციო ბანაკში არ ყოფილა, ის ვერ გაიგებს ვერც იქაურ ცხოვრებას, ვერც ტყვეების მოვალასა და მათ ფსიქოლოგიას. მე ხელზე დავიხვევ ამ სიტყვებს ჩემი იმ დებულების დიასამტიკებლად, რომ გარეშე თვალისთვის დასკვნების გამოტანა შეუძლებელია. მთელი გერმანია, მისტერ ბრედლი, ოთხმოც მილიონიანი მოსახლეობითა და ხუთას ორმოცდათხუთმეტი ათასი კვადრატული კილომეტრით, ერთ მთლიან საკონცენტრაციო ბანაკს წარმოადგენდა.

ბრედლის ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა. შემდეგ ზრდილობიანად შეიცადა, ვალტერი საუბარს ხომ არ განაგრძობსო და თქვა:

— მაპატიეთ, მისტერ კრემერ, მაგრამ კარგად ვერ გამიგეთ.

ვალტერმა თავი დაუქნია, თითქოს ანიშნა, განაგრძეთო.

— „დანაშაულის წაყრუებაზე“ როცა ვლაპარაკობდი, მე არ ვგულისხმობდი ჰიტლერის რეჟიმის დროს გერმანელი ხალხის პოზიციას. ვიცი, რას ნიშნავდა იმ დროს არათუ წინააღმდეგობა, არამედ ჰიტლერის სისტემის მიუღებლობაც კი. ამ თვალსაზრისით თქვენი წარსული გამართლებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გასაგები მაინცაა. მე მაინტერესებს დღევანდელი გერმანელები, უფრო სწორედ, მათი დამოკიდებულება თავიანთი კონკრე-

ტული წარსულისადმი. იმიტომ არა, რაღაც მორალური სიამოვნება ვიგრძნო, არამედ წმინდა პრაქტიკული მოსაზრებებით. როგორც მოგვსენებათ, მე ყურნალისტი ვარ, განათლებით ისტორიკოსი და ზოგჯერ... ზოგჯერ ძალიან მინდა პროგნოზები დავადგინო.

— რაც ემყარება დღევანდელი გერმანელების დამოკიდებულებას იმასთან, რასაც თქვენ „გმირობას“ უწოდებთ?

— ნაწილობრივ ამასაც.

— გასაგებია, — თქვა ვალტერმა, — შევეცდები გიპასუხოთ. იმედია, მაპატიებთ, თუკი რამდენიმე სიტყვას საკუთარ თავზეც მოგახსენებთ. მე მაქვს ამის უფლება, ვინაიდან ვეკუთვნი გერმანელების იმ კატეგორიას, რომელიც თქვენ სამარცხვინო ბოძზე გააკარით. თქვენი აზრით, მხოლოდ საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღები არიან უდანაშაულონი როგორც წარსულის, ისე აწმყოსა და. შესაძლოა, მომავლის წინაშეც ყველა დანარჩენი კი დამნაშავეა, რადგან თუ აქტიურად არ ჩადიოდნენ დანაშაულს, მისი შედეგებით მაინც სარგებლობდნენ. თუ არ ვცდები, ასეთია თქვენი შეხედულება. მე მინდა მხოლოდ ვიცოდე, რით ვსარგებლობდით ჩვენ? დასჯილთა ქონებით?

— თქვენ მშვენივრად იცით, მე ამას არ ვგულისხმობდი. გერმანელების გარკვეული ნაწილი, რასაკვირველია, სარგებლობდა ამ ქონებით, მაგრამ ბევრნი გერმანიის გამარჯვებით სარგებლობდნენ. მათ ატკობდათ გერმანიის ზეიმი, ვითარცა პური არსობისა და მსოფლიო ბატონობის იმედებით სულდგმულბდნენ...

— ჰო-ჰო! — წამოიძახა ვალტერმა, — გაამართლეს ისინი, ვინც ცდებისთვის ცხოველების ნაცვლად ადამიანები გამოიყენა, თქვენ კი სხვებს დებთ ბრალს?

— პირველნი გაამართლეს ამ სხეულის გულისთვის და ამ სხეულის წყალობით, — ბრედლის ხმა მოულოდნელად მკვახედ გაისმა, — გაამართ-

ლეს სწორედ იმიტომ, რომ პატარა კაცუნამ, ვინც ურალის დაპყრობაზე და იქაურ „ველურებში“ ცივილიზაციის შეტანაზე ოცნებობდა, საკუთარ თავს თვითონვე მიუტყევა ცოდვა. ამიტომაც მიუტყევს იმათ, ვინც პირველად ჩაუწერა ამ კაცუნას ეს ოცნება და შემდეგ კი აიძულა, განეხორციელებინა იგი. მითხარით, ბევრი იყო ისეთი გერმანელი, დამარცხებაზე და არა გამარჯვებაზე რომ ოცნებობდა? თომას მანი? სხვა კიდე ვინ?

— თქვენი კითხვა რთულია და ნუ გეწყინებათ, დემაგოგურიც; თქვენ გერმანელები სამარცხვინო ბოძზე გააკარით დიდების წყურვილისათვის, მაგრამ ისიც გამოამჟღავნეთ, რომ მათგან სწორედ ამ დიდებას მოელოდით. დიდებას მეტად ძნელსა და თითქმის ტრაგიკულს. ვანა ბუნებრივია და ვანა ეთიკის ძველთაძველ ნორმებს შეესაბამება, მოთხოვო კაცს საკუთარი ხალხის დამარცხება ინატროს, თუკი ეს კაცი ან რენეგატი, ან... ვენიოსი არ არის? აი, ზომ ზედავთ, რამოდენა დიაბაზონია? ვიცო, ვიცო, რომ გულში აღშფოთლით ამაზე და გინდათ მიპასუხოთ: ასეთი კაცი რენეგატი თუ ვენიოსი, ეს იმაზეა დამოკიდებული მის ხალხს რა მიზანი ამოძრავებსო. რენეგატები დამარცხებულ ხალხთა ის წარმომადგენლები იყვნენ, გერმანელებთან ერთად რომ თანამშრომლობდნენ, ზოლო გონების, ადამიანობისა და გერმანული სულის ვენია (დიახ, დიახ, იმ გერმანული სულისა, ხალხმა რომ აღიარა, როცა ჩვენს ერს მოაზროვნეებისა და პოეტების ერი უწოდა), — უეჭველად თომას მანია. მაგრამ ერთი მიპასუხეთ: რამდენ კაცს შეეძლო გაეგო და ამოეცნო გერმანიის იმპერიის დანაშაულებრივი ზრახვები? ეს რომ გაიგო, იმთავითვე თომას მანი უნდა იყო. მე შეგნებულად არ ვასახელებ ამ ეპოქის სხვა დიდ ადამიანებს. მათს შეხედულებებზე სხვა ფაქტორებიც იქონიებდა გავლენას. ისინი ზომ იმ ხალხს ეკუთვნოდნენ, ვის წინაშეც ჰიტლერიზ-

მმა თავისი სახე ყველაზე ადრე გამოამჟღავნა. მიუხედავად ამისა, გარეწმუნებთ, მისტერ ბრედლი, რომ ვენიოსი მანიის დამარცხების მოსურნენი უფრო მეტნი იყვნენ. ჩემი ამოცანა რომ არ გავაადვილო, არაფერს ვიტყვი საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებზე. თუმცა, როგორც მოგახსენებთ, მათი რიცხვი ათეული ათასობით იყო. მე მოგიყვებთ იმაზე, ვისაც თქვენ დამნაშავეებს, რეჟიმის ხელისშემწყობებს მიაკუთვნებთ მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი ამ რეჟიმის მსხვერპლნი არ ყოფილან. თუ ჩაუფიქრდებით, დამეთანხმებით კიდევაც, რომ ამაში რაღაც უკუსამართლიანობაა; ამიტომ ნება მომეცით, თქვენს ორ კატეგორიას კიდევ ერთი კატეგორია დაეუმატო. ამრიგად, არიან საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეები, მათი დაცვა და... სხვა დანარჩენი. მე ვიცავ ამ „სხვა დანარჩენი“, ვინაიდან მთავარ როლს ისინი ასრულებენ. ეს გახლავთ ხალხის ის ნაწილი, რომლებიც არც აქტიური ანტიფაშისტები იყვნენ და არც რეჟიმის პრეტორიანული გვარდიის მონაწილენი. ისინი ერის უმრავლესობას შეადგენდნენ, მაგრამ მათი პასიურობის წყალობით ისინი ვერც თქვენ შეამჩნიეთ და ვერც იმათ, ვინც მთელ გერმანულ ხალხს დასდო მსჯავრი. მე უფლება მაქვს ამ ხალხის სახელით ვილაპარაკო, რადგან მეც ერთი იმათგანი ვარ. ვინ იცის, შეიძლება სასაცილოდაც გეჩვენოთ, მაგრამ მე ვეკუთვნი იმ ადამიანებს, ვისაც გერმანიის დამარცხება სურდა. ნუ, ნუ, ვეთაყვა, ჩემი პოზიციის მნიშვნელობას დიდად ნუ გააზვიადებთ, თორემ იძულებული გახდებით ჩემი სახელი თომას მანის სახელთან ერთად მოიხსენიოთ. ეს კი გამაწითლებდა. რომ გაგიადვილოთ იმის გაგება, თუ რატომ მივედი ამ დასკვნამდე, პირდაპირ გეტყვით: მე იმთავითვე ვიცოდი, რომ გამარჯვება შეუძლებელი იყო. ასე რომ, არავითარი ეჭვის დაძ-

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

ლევა არ დამჭირვებია. ჩემი დამარცხების წყურვილი ურყევი იყო და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ვფიქრობდი მხოლოდ იმაზე, თუ როდის მოხდებოდა ეს.

რად ვიყავ ასე დარწმუნებული? მამაჩემი პირველი მსოფლიო ომის ხეიბარი იყო და ამიტომ ფრიად გარკვეული შეხედულება შეექმნა ომზე და იმ ლოზუნგებზე, რისი გულისთვისაც კაიზერმა სასაკლაოზე მილიონობით ადამიანი გარეკა. ოცდაცამეტ წელს მამაჩემი ქუჩაში ლამის გაგლიჯეს, მისი პოლკის ამხანაგს შემტურმენი დატაკებოდნენ და ის გამოქომაგებოდა. აი, ჩემი ანკეტის ერთი გამამართლებელი საბუთი, მისტერ ბრედლი. მეორე საბუთი ბიძაჩემია, იგი ომის დასასრულს ესესის შტანდარტენფიურერი გახლდათ. მამა რომ მომიკვდა, ასე ვთქვათ, ის ზრუნავდა ჩემზე. რას ნიშნავდა ეს ზრუნვა? თუ ოდნავ მაინც იცით, ჰიტლერულ რეიხში პროპაგანდის რა მარწუხებში იყო მოქცეული ყოველი ახალგაზრდა, მაშინდა წარმოიდგენთ, რა დღეში იქნებოდა ის ყმაწვილი, ვისაც ბედმა წილად ასეთი ნათესავი არგუნა.

მე ვერმანტში მოხალისედ შევედი. დიახ, ვერმანტში, მისტერ ბრედლი. თქვენს კოლეგებს დენაციფიკაციის საქმეში ათას ცხრაას ორმოცდახუთ წელს ფრიად აწვდებოდათ ეს საკითხი. ანუ უფრო უკეთ, არც აწვდებოდათ. ყველაფერი ნათელი იყო. მე გაუწვევამდე წავედი „სამშობლოს“ დასაცავად. როგორც მოგეხსენებათ, მე ერთმანეთისაგან ვანსვავებ ცნებებს—„სამშობლოსათვის“ და „სამშობლოს გამო“. იბრძოლო სამშობლოსათვის, — ეს ნიშნავს დიცივა იგი. იომო „სამშობლოს გამო“— იკულისხმება დაიპყრო მიწები და მოუპოვო მას დიდება. რასაკვირველია, ეს ჩემი საკუთარი ვაგებაა, ასე ვთქვათ, ფორმულირება, რომელსაც ზუსტ ფილოსოფიურ კატეგორიებთან საერთო არაფერი აქვს. ამგვარად, მე ჩემი სურვილით წავედი, რომ „სამშობლოს გამო“ მებრძოლა, ესე იგი, ჰიტლერს

მსოფლიო ბატონობის მოპოვებაში დაეხმარებოდნენ.

ახლა კი გეტყვით იმას, რაც დენაციფიკაციაში თქვენი ამხანაგებისათვის არ მითქვამს: მე ჩემი სურვილით მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ ესესში არ მოგვედარილიყავ, რასაც მაიძულებდნენ ბიძაჩემი და დედა, რომელიც ბიძაჩემს დაშინებული ჰყავდა. მაშინ მე გავიგე ორი რამ: რომ არ შემეძლია ვიყო გმირი, ესე იგი, არ შემეძლია აშკარად წინაღუდგე ძალდატანებას, მაგრამ ამასთან ერთად არ მსურს, საშინლად არ მსურს ვავხდე გაიძვერა და უნამუსო. ეს სრულეებითაც არ იყო ჩემი ორიგინალური აზრი. ნება მომეცით, მისტერ ბრედლი, ვითხრათ, რომ არავის უნდა იყოს გაიძვერა, თუ მართლაც გაიძვერად არაა დაბადებული.

ვერ გეტყვით, რა იყო იმის მიზეზი, რომ ესესელები ასე მძავდა. მაშინ მე კიდევ არ ვიცოდი, რა ხდებოდა საკონცენტრაციო ბანაკების მავთულხლართების მიღმა, იქიდან არავითარი ცნობა არ ატანდა, ხოლო განთავისუფლებული თითო-ოროლა ტყვე კი დუმდა. ოსვენციმის ვაზის კამერები, რაზეც მსოფლიო ალაპარაკდა, უფრო გვიანდელი „მიღწევა“ გახლდათ. ჩემი სიძულვილი ესესისადმი უფრო ქვეშეცნეული იყო, ვინემ შეგნებული. მხოლოდ ჩემს ალღოს უნდა ვუმადლოდე, რომ ბევრი ჩემი უნივერსიტეტის ამხანაგის მსგავსად ბოროტმოქმედი ორგანიზაციის წევრი არ შევიქნენი. იმ დროს ხომ მოვლენები თვალისდახამამებაში ვითარდებოდა; ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი და შენ უკვე იდექი იმ გზაზე, „სამხედრო ბოროტმოქმედის“ წოდებას რომ განიჭებდა. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ამ წოდების მომხვეჭელთ ვამართლებდე. მაგრამ, აბა, ჩაუკვირდით, ვის ექნებოდა წინასწარმეტყველების ისეთი ნიჭი, რომ მიმხვდარიყო, ის ადამიანები, რომელთაც მკალეებზე ექვსქიმიანი ვარსკვლავები უკეთიათ, ხვალ ვაზის კამერებში დაილუპებინანო? მართლმარტო ჩემმა გუმანმა გადამარჩინა და არ შემარეკია კამერებში განწირუ-

ლები, არ გამხნადა გმირიც; გმირობისაკენ მე სულაც არ ვისწრაფოდი.

ამგვარად, მოხალისედ წავედი, რათა აღმოსავლეთის ფრონტზე ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლა. არა, ტყვედ ჩავარდნა არც მიფიქრია. არ მინდოდა ისეთი დღე დამყროდა, რა დღესაც ჩვენ ვაყრიდით მოწინააღმდეგეებს. მისტერ ბრედლი, როცა ვამბობ „ჩვენო“, მე ვერმახტს არ ვგულისხმობ, თუმცა არც სამხედრო ხელისუფალნი იყვნენ სული წმინდანი. „ჩვენ“ — ეს გერმანელებს ნიშნავს. ხომ ჩედავთ, ჩვენ-მეთქი, რომ ვამბობ, ამით თითქოს ვცნობ თქვენს პრინციპს კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე.

— იმედია, იმის მტკიცებას არ დაიწყებთ, რომ ეს პრინციპი ჩვენი მოვონია, — გააწყვეტინა ბრედლიმ.

— არა, — უმაღლესად დავთანხმად ვალტერი, — მე ამის თქმა არ მინდოდა, მაგრამ თქვენს განსაზღვრასთან, არავინ არაფერი იცისო, დაკავშირებულია სხვა საკითხი. ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ახლა მინდა ცოტა რამ გვიამბოთ აღმოსავლეთის ფრონტზე. ამგვარად, ერთ ხანს იმ უბანზე ვიყავი, სადაც ჩვენი პოლკის გვერდით ესესეულთა ნაწილი იდგა. თქვენ ჩვენს საქმეებში ჩახედული ბრძანდებით და იცით, ამ ნაწილების გარდა არსებობდა კიდევ ესესეულთა პოლიცია, დივიზია — „თავის ქალა“ და ესესეულთა სხვა შენაერთები...

მისტერ ბრედლიმ თავი დააქნია და ვალტერს სიგარა მიაწოდა. ვალტერმა მადლობა გადაუხანდა და სიგარა გულდასმით შემოჭრა. ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ და თუთუნს აბოლებდნენ. ვალტერი თვალს აყოლებდა, როგორ უჩინარდებოდა ჰაერში სიგარის სურნე-ლოვანი ბოლი. ერთბაშად თვალწინ დაუდგა დიდი ხნის დავიწყებული სურათი: დათოვლილი სანგრები და ფარაჯიანი ჯარისკაცები.

ვალტერს გული დაწყდა, რომ ლიზა არ მოვიდა. მაშინ აღარ დაიწყებდნენ ამ გულისგამაწვრილებელ საუბარს.

ფიქრობდა, ლიზას ნასადილევეს ჩაეძინებოდაო და გადაწყვიტა არ გაეღვიძებია. ზღვის ავადმყოფობის დროს კი ძილს ყოველგვარ აბებს ამჯობინებდა.

თუმცა, ეტყობოდა, ლიზა უკვე მოერია ავადმყოფობას. დღეს გაცილებით უკეთ იყო, დამშვიდდა და გამხიარულდა. მართალია, კაიუტაში ისაუზმა, მაგრამ სადილობამდე ორი საათი გემბანზე გაატარა და სადილად რესტორანში ჩავიდა. ვალტერმა და ლიზამ თავიანთ სუფრაზე მისტერ ბრედლიც მიიწვიეს. თურმე ბრედლი ბევრჯერ ყოფილა ბრაზილიაში და ძალიან კარგად იცნობს არა მარტო იქაურ ყურნალისტებს, არამედ იმ ხალხსაც, რომელთა შორის კრეჩმერებს მოუხდებოდა ყოფნა. ბრედლი ენამოსწრებულად ახასიათებდა მათ და თან ანეგდოტებს ჰყვებოდა. „რა უცნაურია, — ფიქრობდა ვალტერი, — როგორ გამოიცვალა ეს კაცი“. ბრედლის არ დავიწყებია, რა შთაბეჭდილება მოახდინა ლიზაზე დახაუს ხსენებამ, და დღეს ამ თემაზე კრინტიც არ დაუძრავს. ვალტერმა ხომ იცოდა, რომ ბრედლის ამაზე საუბარი ყველაფერს ერჩია, უფრო მეტიც, მოსაუბრებელად ის სწორედ გერმანელებს დაეძებდა. ამ თემით მისი გატაცება ფსიქოზს უფრო წაავადდა და ვალტერს სულაც არ ეპიტანავებოდა მთელი გზა ამგვარ საუბარში გაეტარებინა. გულში სწყველიდა კიდევ შტრაიტს. რა ეშმაკმა ათქმევინა ამ კაცისათვის, ვალტერთან გულაზლილად ლაპარაკი შეიძლებო? დაე, იმათ ილაპარაკონ, ვისაც ბრალი მიუძღვით. დაე, გაიგონ, რას ფიქრობს მათზე ქვეყანა. მაგრამ სხვა რა გზა არის. იმედოდ მართო ის დარჩენი, რომ ლიზას აქ ყოფნა მისტერ ბრედლის სიფიცხეს გაუნელებს. ეგების ღირს, ერთხელ კიდევ მოაგონოს, ლიზა მეტისმეტად გულჩვილიაო? იქნებ ჯობს ისიც გადაუქრას, — მისი ერთ-ერთი ახლობელი საკონცენტრაციო ბანაკში დაილუპაო? ვალტერი

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

უფრო მოხერხებულად მოკალათდა დახვეულ ბაგირზე. ისინი ზედა გემბანზე ისხდნენ. ახლომასლო არავინ იყო. როგორც ეტყობოდა, საუბარი ისევ უნდა განეგრძობო.

— ჰოდა, მაშინ პირველად ვნახე ის, — დაიწყო ისევ ვალტერმა, — რასაც მხოლოდ ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, როცა ფრონტს მივაშურე და დავკარგე ბედნიერი შემთხვევა ესესელი გავმხდარიყავი.

მე ვნახე ესესელები საქმიანობის დროს, როცა ისინი ორ უკრაინულ სოფელს ანადგურებდნენ. მაშინ კი ვთქვი, აქედან თავის დასაძვრენად რამე უნდა ვიღონო-მეთქი. თავის დაძვრენას თუ ვერ მოვახერხებ, ამ საძაგლობას შორის უნდა ვაგვიტყვი, ამ „ძმურ“ სამხედრო ნაწილს რაც შეიძლება უნდა დავშორდე-მეთქი. ჩვენ ხომ საერთო სარდლობა გვყავდა და ესესელების დანაშაულზე პასუხს მთელი დივიზია აგებდა. გარდა ამისა, ერთ მშვენიერ დღეს შეეძლოთ ებრძანებინათ ჩემთვის, მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებაში მონაწილეობა მიიღეო. როგორც ხედავთ, მე არც კი მიფიქრია, აშკარა უარობა გამეწია. გმირად გახდომა სულაც არ მსურდა. ამიტომაც ტყვიას დავუწყე ძებნა. მისტერ ბრედლი, თქვენ ჯარისკაცი ხართ და იცით, როცა ტყვიას დაეძებ, როგორც წესი, მაშინ გავირბის. მაგრამ ჩემი ტყვია მოწყალებული გამოდგა. მე ბარძაყში დამჭრეს. კრილობა საშიში არ იყო. ასე რომ, ორი-სამი თვის შემდეგ ისევ შეეძლოთ ჩემი ფრონტზე ვაგზავნა. ვიცოდი, თუ ესესელთა დივიზიაში არა, ბანაკში სამუშაოდ მაინც ვამაგზავნიდნენ. გერმანიიდან აბა სად ვაგიქცეოდი! მაგრამ მე უკვე ჩემი გეგმა მქონდა. მის განხორციელებაში დიდად შემიწყვეს ხელი პოლონელმა პარტიზანებმა. ჩვენს სანიტარულ მატარებელზე ტყვია-წამლით დატვირთული რამდენიმე ვაგონი იყო მიბმული. მატარებელი კრაკოვთან ახლოს, ფერდობზე დაავორეს. ამ ოპერაციის დროს ჩემს ჭრილობას ცოტაოდენი მეც „წავეშველ“ ვერავინ დამ-

დებდა ბრალს, რომ მე განზრახ არ განვიკურნე ისე სწრაფად, როგორც ამას სამშობლოს ინტერესები მოითხოვდა. რასაკვირველია, შეიძლებოდა მოემკვდარიყავი, ან სულ ცოტა, ფეხი დამეკარგა, მაგრამ რაღაც რისკი ხომ უნდა გამეწია? რვა თვე ვიწეე ჰოსპიტალში. ბიძაჩემი ალტაცებული დარჩა ჩემი სიმამაცით — მე ხომ ჯვრის ორდენით დამაჯილდოვეს, შემპირდა, სადმე ბანაკში თბილ, უშიშარ ადგილს მოვიძებნო.

დღეა მეხვეწებოდა, უარი არ მეთქვა ამ „თანამდებობაზე“ (თქვენ ამბობთ, გამარჯვების იმედი ჰქონდათო, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი იმედი იყო: ომი დამთავრდება და ისინი მაინც გადარჩებიან, ვინც ჯერ კიდევ არ დაღუპულანო). დედაჩემის მუდარამ კვლავ ფრონტზე გამაქცია, ბიძაჩემი მაშინ ისევ ესესელთა ობერშტურმფიურერი იყო. ჰოდა, მისი წყალობით დასავლეთის ფრონტზე მოვხვდი. იქ მთელი ასეული დავენებდით, მერწმუნეთ, ეს არც ისე იოლი იყო. ჩვენი მეთაური დაიღუპა, იგი გერმანელის ტყვიამ იმსხვერპლა. ჩვენი ბიჭები, ამ მეთაურის გარდა, სულაც არ ოცნებობდნენ გერმანიის გამარჯვებაზე. მათ სულაც არ სურდათ დაღუპულიყვნენ. აბა, დაუკვირდით, მისტერ ბრედლი, რა პარადოქსი გამოდის: სიწმინდე შევიპარჩუნე მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჩემი ნათესავი ყოველად არამზადა კაცი იყო.

ვალტერი გაჩუმდა. თავში ერთი აზრი მოუვიდა, რამაც ფრიალ შეაძრწუნა: რატომ მაინცადამაინც ამ ამერიკელმა გაიგო პირველად სიმართლე მის ცხოვრებაზე? კლიზამ მხოლოდ ის იცის, რომ ვალტერი ტყვედ ჩავარდა. იმდენჯერ აქვს ეს მოყოლილი სხვებთან. რომ თითქმის დავიწყდა, როგორ იყო სინამდვილეში. გონებამ ისევ უღმობლად უკარნახა: „მიუხედავად ყველაფრისა, დასავლეთ გერმანიაში ვერ იტყოდი იმას, რაც ამერიკელის დასარწმუნებლად აქ თქვი: მე არ მინდოდა მეტროლა ჰიტლერისათვის და ამიტომ დეზერტირი ვავხდიო. ვერ იტყოდი

შერჩენების შიშით“. ვალტერს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ეს აზრი გარკვევით ჩამოყალიბებული, რომ ბრედლი უცებ მობრუნდა და გულგრილად, ყოველგვარი ფარული ზრახვის გარეშე, უბრალოდ ჰკითხა:

— ვერ მეტყვი, ბიძათქვენს რა მოუვიდა? ოღონდ ამ კითხვას უტაქტობაში ნუ ჩამომართმევთ.

— არა, რატომ? — ვალტერს გაეხარა, რომ საუბარს ასეთი გულგრილი კილო მისცა: — ბატონი ბრძანდებით. ორმოცდაექვსში მას თხუთმეტი წელიწადი მიუსაჯეს. ის ათი წელიწადი იჯდა დანარჩენი კი...

— აბატიეს და პენსია დაუნიშნეს, — დაასრულა ბრედლიმ. — ახლა ალბათ სამშობლოსათვის წამებულის შარავანდედით მოსილი რომელიღაც პატარა ქალაქში ცხოვრობს, ისინი კი, ვინც წინათ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადადიოდნენ, რომ მის სალაშზე არ ეპასუხათ, ახლა შემთხვევას არ კარგავენ უთხრან: „დილა მშვიდობისა, ბატონო... ბატონო პოლკოვნიკო“.

— საიდან იცით? — ზრახით შეეკითხა ვალტერი. ამ საუბარმა ძალზე გაუწყალა გული.

— მაბატიეთ, მე რასაკვირველია, ის კი არ მინდა ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში საქმე სწორედ ასეა. თქვენ ვერ გამოიგეთ. მე მხოლოდ ერთგვარი განზოგადება მოვახდინე. თუკი ჩემთან საუბარი ჯერ არ მოგბეზრებიათ, თავს ნებას მიცემ და განმეორებით გეტყვით, რომ სწორედ ამას ვეძახი მე „დანაშაულის წაყრუებას“ და ამ დღევანდელ „წაყრუებაში“ ყველაზე მეტად სწორედ გერმანელებს ვადაწაშაულებ. მისტერ კრემერ, თქვენზე მსჯელობის თანახმად, უთუოდ უნდა დაემთანხმეთ. იმხანად შეიძლება არაფერი გცოდნოდა, არ გქონოდა სურვილი ცოდნისა, ან გცოდნოდა და არ მოგესურვებინა თავზე წამებულის გვირგვინი დაგედგა. მაგრამ ახლა, როცა ძალას არავინ გატანს, გინდ ბიძათქვენისთანა კაცს მისალმებხარ და გინდ

„პაილ ჰიტლერ“ ვითქვამს. ალბათ შემაჩნით, რომ კამათის დროს მე შეგნებულად ვუვლიდი გვერდს სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებს. ყველა იცის, რად ამართლებენ ამ ვაჟბატონებს, რად აძლევენ საიმედო, მოხერხებულ თავშესაფრებს. არც ისეთი ბრყვი ვარ, ვერ გავიგო, რომ თქვენი მთავრობა გერმანელი ხალხი არ არის, ყოველ შემთხვევაში, მთელი გერმანელი ხალხი არაა. მაგრამ ის, რომ საზოგადოებას სრულიად არ გაუიციხავს ისინი, ის, რომ ეს საზოგადოება, თუ მთლიანად არ იზიარებს იმას, რაც მათ ჩაიდინეს წარსულში, ან რასაც ახლა ჩაიდინდნენ, ყოველ შემთხვევაში, ითმენს მაინც მათ არსებობას, ვერ ბედავს ოდნავი პროტესტის გამოთქმას, თუნდაც საზოგადოებრივი ბოიკოტის სახით, ზოგჯერ კი პირიქითაც აკეთებს...

— თქვენი დაკვირვებანი მაინც საკმაოდ ცალმხრივია, — გააწყვეტინა ვალტერმა უფრო ცივად, ვინემ უნდოდა. — საკვირველია, დოქტორ შტრაიტის ახლობლებს იცნობთ და ამას კი ამბობთ. მათ არც გერმანიის წარსული სწამთ და არც მისი აწმყო.

— ეს ინტელიგენტებისა და ლიბერალების ჯგუფი განლავეთ. მათ შორის ბევრი ყოფილი პატიმარია.

— თქვენ გინდათ თქვით, რომ ისინი არ გამოხატავენ ერის ჭეშმარიტ სახეს?

— სწორედ მაგას ვგულისხმობ.

— გამიგონეთ, მისტერ ბრედლი, მართალია, მე მხოლოდ ნაწილობრივ ვიზიარებ დოქტორ შტრაიტის შეხედულებებს, ვინაიდან არასოდეს ვყოფილვარ აქტიური ანტიფაშისტის, და როგორც მოგესვენებათ, არც ახლა ვარ საზოგადო მოღვაწე. მე უბრალო ადამიანი ვარ, ვისთანაც „ყველაფერზე ლაპარაკი“ შეიძლება და ვინც იმ გერმანელებს არ ჰგავს, რომელთანაც სალაპარაკო არაფერი გექნებოდათ. „სალაპარაკო“ რომ ვამბობ, ვგულისხმობ

ზოფია პოსნიში

მგზავრი ქალი

იმას, რაც გერმანიაში ყველაზე უფრო გაინტერესებთ. ახლა არ მინდა კამათი გაგავრძელო, ალბათ მიმიხვდით, რა ტომ. ლიზას უნდა მივკავითხო. მაგრამ მჯერა, რომ კიდევ გვექნება შემთხვევა გავარჩიოთ ეს ამბები, განვიხილოთ მიზეზები, რატომ არ სურს საშუალო გერმანელს „ყველაფერზე“ ლაპარაკი, რად ამჯობინებს წაუყრუოს დანაშაულებს. ახლა კი მარტო ამას გეტყვით, მისტერ ბრედლი: ამ ჩემი ჩვეულებრივი წარსულით, როგორც თქვენ უკვე დარწმუნდით, და ჩემი აწმყოთი მე ვეკუთვნინ ხალხის იმ ნაწილს, ვინც თქვენს გერმანელი ერის კატეგორიებად დაყოფისას სულაც გამოგრაჩათ მხედველობიდან: ვეკუთვნინ მშვიდობიან, მეოჯახე, შრომისმოყვარე, მეწიანურად ზომიერ გერმანელთა უმრავლესობას. დიახ, მეცა და ჩემი მეუღლეც ამ ხალხს ვეკუთვნით; ჰოდა, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გამოვიცხადოთ: ჩვენ არაფერზე არ ვხუჭავთ თვალს, არც იმაზე, რაც იყო და არც იმაზე რაც არის.

ვალტერმა ცოტა იყუჩა და მერე ვითომც სხვათაშორის დაძინა:

— რაც შეეხება ბიძაჩემს, მას შეიძლება არ აკლდეს მისაღმებანი და ძეთილი სურვილით წარმოთქმული — „დილა მშვიდობისა, ბატონო პოლკოვნიკო“. თუმცა ამაზე ვერაფერს ვიტყვით. უკანასკნელად იგი ორმოცდაექვსში ვნახე.

ლიზა გაბრუებული წამოდგა. წუხელ ძილის წამალი დალია და დღესაც გამოჰყვა მისი ძალი. ამიტომაც იმის ნაცვლად, ნასადილევს ცოტა თვალი წაეტყუებია, მოულოდნელად კარგა დიდხანს იძინა. საათს რომ დახედა, გული გადაუქანდა. ვალტერი ნაწყენი იქნება, აკი დაპირდა, მოვალეო. ლიზამ სწრაფად ჩაიცვა და კაიუტიდან გავიდა. დერეფანში ბნელყოდა. შუქი რატომღაც არ ენთო. პატარა პოლში ლიზა სარკესთან შეჩერდა, მოეჩვენა, ლოყა პომადითა მაქვს მოთხუპნული.

უკეთ რომ დაენახა, სახე სარკეს მიჯახლოვა და კინალამ შეჰკვილა. შუქი მოულოდნელად აინთო და მარჯვენა კუთხეში ვილაციის თვალმებს წააწყდა. სახე არ ჩანდა, მხოლოდ თვალები მიმუტერებოდნენ მცდელად. საკუთარი სახეც გაარჩია, მკვდრისფერი დასდებოდა. საიდან გაჩნდა ეს ქალი აქ, ამ პოლში? მისი კაიუტა ხომ გემის მეორე მხარეს, მისტერ ბრედლის მეზობლადაა? რად ზის ამ ბნელ კუთხეში? მან ხომ არ აანთო შუქი? ამ ფიქრებმა ლიზას თავბრუ დაახვია, ანგარიშმიუტეველად ჩანთაში ჩაიხედა, თითქოს რაღაცას ეძებდა, შემდეგ კაიუტაში შებრუნდა, სარკეს მიუახლოვდა, წუთით უძრავად იდგა და საკუთარ თავს აკვირდებოდა. თმის ჯაგარისი აიღო, შუბლიდან თმა გადაიყარა, მერე ისევ შუბლზე ჩამოივარცხნა. პომადა მოიწმინდა, სარკეში ჩაიხედა და ტუჩები საჩქაროდ შეიღება. საკუთარ სახეს უცხო ადამიანივით სინჯავდა სარკეში.

ვალტერი შემოვიდა. ხელში ჩოგანი ეჭირა.

— უჰ, მომკლა კაცი! დემრთს ვეხვეწებოდი, მოსულიყავი და დაგეხსენი. ლიზამ უაზროდ შეხედა.

— ეს-ეს არის მოვდიოდი.

— ვხედავ. დათქმულ დროს ერთი საათი გადააცილე.

— ძალიან ვწუხვარ, ვალტერ.

— გეძინა? ისეთი სახე გაქვს, ჯერაც არ უნდა იყო გამოფხიზლებული. დამტანჯა იმ ბრედლიმ.

— მოუტეე?

— რა მოგახსენო, ეგ იმაზეა დამოკიდებული, ვინ რა აზრისაა. რა იყო? ხმა რად წაგვლია?

— კვლავ ცუდად ვარ. ამიტომ იყო... ვალტერი მიუახლოვდა და შეშფოთებით დააკვირდა.

— ძალიან მაფიქრებს შენი ავადმყოფობა, ლიზა. სჯობდა, თვითმფრინავით გვემგზავრა.

— ჰო, მეც ასე მგონია.

ვალტერს რომ მისი შეშფოთება არ

შემჩნია, ღიზა სავარძელზე დაეშვა და სიგარეტი აიღო.

— ბევრს ხომ არ ეწევი, ღიზუნ? — ვალტერმა ნამწვავებით სავსე საფერფლეს დახედა, — თამბაქოს დიდად არასოდეს ეტანებოდი. ახლა კი ნამდვილად გაწყენს.

ღიზამ წაუყრუა. მოუყიდებელი სიგარეტი ხელში შერჩა, პირთან ვერ გაზედა მიტანა, ვაითუ ხელიდან გამივარდესო.

— სჯობია, ჰაერზე გამოხვიდე. ადამიანის ფერი არ გადაეცს!

— არ შემიძლია.

— ეგ აუცილებელია, ექიმს უნდა დაუჯერო. დილით არა გიშავდა რა. მოიხურე რამე, გავიდეთ.

— დამტოვე რა, ვალტერ...

— სენს თავს ნუ დაჩაგვრინებ, მთელი დღე კაიუტაში ყურყუტი არ შეიძლება.

— იმიტომ ვერ გამოვდივარ, რომ ყოველ წუთს შეიძლება ცუდად გავზღდე!

— არაფერი გიშავს. სუფთა ჰაერზე უმალ უკეთ შეიქნები. აბა, წავიდეთ!

— ვალტერ, გემუდარები.

— ნუ ჭირვეულობ, მე ვიცი, რა არის საჭირო ასეთ დროს. სუფთა ჰაერზე გასვლა მკურნალობის კურსში სწერია. წამოდი!

ვალტერმა პასუხს აღარ დაუცადა, ლაბადა მოახურა და მკლავში ხელი გაუყარა. ღიზა დაემორჩილა და კარი-საკენ გაჰყვა. მაგრამ ზღურბლზე რომ გადაბიჯა, შეშინებულმა უკან დაიხია, კარი მიაჯახუნა და მთელი ტანით ზედ აეკრა. ვალტერი აპილპილდა:

— რას მასხრობ? რატომ არ ვადიხარ?

— ერთ წუთს დამაცალე, — წაიჩურჩულა ღიზამ. იგი მთელი ტანით თრთოდა.

— მაინც რატომ? რას ნიშნავს ეს?

— ჩუმი იყავი, გემუდარები!

ვალტერი სახტად დარჩა.

— რად გავჩუმდი?! — და უცებ ღიზას გაფართოებულ, გაყინულ თვალებს

წაწყდა. — გეშინია? მაგრამ ვისი რისი?

— ჩუმი... — ღიზის ტირილით ვეწებოდა ქალი.

ვალტერმა მხრებში წაავლო ხელი.

— რა გემართება?

— არაფერი, ახლავ. ამ წუთს. მოდი, დაეჯდეთ.

ღიზა მაინც ფეხზე იდგა და კარს მიეროდა, თითქოს ქმარს გზას უღობავსო. ვალტერმა უხეშად მოაცილა იგი კარს და დერეფანში გაიხედა. ამ დროს ვილაცამ ჩაიარა. ღიზას არ დაუნახავს, მაგრამ იცოდა, ვინც იყო. ვალტერი მიუახლოვდა ცოლს და ჰკითხა:

— ღიზა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

ღიზა შეეცადა თავს მორეოდა. სავარძელში ჩაჯდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა და უპასუხა:

— არაფერია, ყურადღებას ნუ მიაქცევ.

ამ პასუხმა ვალტერი ვერ დააკმაყოფილა.

— იცი, ვინ ჩაიარა დერეფანში?

— საიდან უნდა ვიცოდე? — სწრაფად, მეტისმეტად სწრაფად უპასუხა ღიზამ.

— მშვენიერად იცი. იმიტომაც არ გამოხვედი კაიუტიდან, რომ მას არ შეფეთებოდი.

— ვის არ შეფეთებოდი? ეს შენი ფანტაზია.

— ნეტავ მართლაც ფანტაზია იყოს. მაგრამ ვაი რომ არაა. შენ რაღაცას მიმაღავ.

— სცდები, არაფერს არ გიმაღავ.

— ნეტამც ასე იყოს. გამიხარდებოდა კიდევ: შენ კარგად იცი, სხვის საიდუმლოში ცხვირის ჩაყოფა არ მიყვარს, არც ცნობისმოყვარე ვარ და, საერთოდ, მირჩევნია ნაკლები ვიცოდე, ვინემ მეტი. მაგრამ ახლა კი ვატყობ, საჭიროა მეტი ვიცოდე.

ზოფია პოსმიში

მეზავრი ქალი

ლიზა წამოდგა და აბაზანისაკენ გემართა, ვალტერმა გზა გადაუღობა:

— გამიშვი! ცუდად ვარ.

— სტყუი! ცუდად არა ხარ. გუშინდლიდან თვალს გადავხეხე. ეს არაა ზღვის ავადმყოფობა.

— რატომ მაწვალებ?

ვალტერმა თვალი თვალში გაუყარა, ერთ ხანს დუმდა.

— მე მინდა გიმველო, — მტკიცედ წარმოთქვა მან.

ლიზამ უკან დაიხია.

— მიშველო? განა შველა მჭირდება?

— არ ვიცი. არაფერს მეუბნები, და არც შეგეკითხებოდი, რომ შენთვის შიში არ შემემჩნია. შენ იმ ქალის გეშინია. აქ რაღაც ამბავია.

— არაფერი არ არის, — წამოიძახა ლიზამ, — მე უბრალოდ მეჩვენება!

— ლიზა, შენ იმ ქალს იცნობ.

— არა, არ ვიცნობ, მე მხოლოდ მეჩვენება. შეუძლებელია ის იყოს!

ვალტერი თითქოს გააცოცა მისი ეჭვის დადასტურებამ, წამოდგა და ნელა თქვა:

— მაშასადამე, ის ქალი ვილაცას გავიხსენებ. მაინც ვის?

— ნუ მეკითხები!

— სხვა გზა არ დამრჩენია! ეს მეტისმეტად სერიოზულია, ლიზა, თუ შენ არ მეტყვი...

ლიზა გაფითრდა.

— შენ... შენ ამას არ ჩაიღწენ.

— მე ვერ ავიტან, რომ ვინმე გაშინებდეს.

— რას აპირებ?

— ან კაპიტანს ვეტყვი, ან იმ ქალს მოველაპარაკებო.

ლიზა ილაჯგაწყვეტილი დაეშვა სავარძელში.

— გემუდარები!

— ლიზა, მე უნდა ვიცოდე, შენ რაღაცას მიმალა.

— შენთვის არაფერი დამიმალავს. შენ ყველაფერი იცოდი, — ლიზა ციებ-ციხელებიანივით კანკალებდა.

— ვიცოდი? რა? რა ვიცოდი?

— იცოდი, სადაც ვმუშაობდი ომის დროს.

— სად მუშაობდი? რაღაც არ მგონდება. ჰო, დიას, ნივთების საწყობაში, არა?

ვალტერმა
განმარტობა

— ჰო.

— ვიცი. ქალთა რაზმში, ხომ? ჰო, მახსოვს, მერე რა? ვერაფერი გამიგია.

— ამ ქალს მგონი იქიდან ვიცნობ.

— საიდან? იმ საწყობიდან? მერე აქ საშიში რაა?

— ის რომ, — ლიზამ ძლივს ამოღერდა სიტყვები, — ეს ბანაკის საწყობი იყო.

ვალტერი მაინც ვერაფერს მიხვდა და გაცოცხებით ჩაეკითხა:

— მერე ვითომ რა ეგ და რა სხვა სამუშაო.

— ეგ უბრალო სამუშაო არ იყო, ეგ სამსახური იყო. მე... ბანაკების განყოფილებაში გამგზავნეს.

ვალტერმა ძლივს გადაყლაბა ნერწყვი.

— რა ბანაკების?

ლიზამ რომ არაფერი თქვა, თვითონ დაუმატა:

— იყო შრომითი ბანაკები და...

— ეგ სულ სხვა იყო, — წაიჩურჩუტა ლიზამ.

ვალტერი ადგა, კაიუტაში გაიარ-გამოიარა და ილუმინატორთან შეჩერდა. კარგა ხანს იდგა ზურგშექცევით.

— საკონცენტრაციო ბანაკები? — ამოღერდა ბოლოს. ხმა ჩახრჩინწვოდა.

შენ საკონცენტრაციო ბანაკში იყავი? — და უცებ მკვეთრად შემოტრიალდა: — მაშ, ის „ქალთა რაზმები“ უბრალოდ ესესელები იყვნენ, არა? — სახე ისე წამოუჭარხლდა, გეგონებოდათ, სული ესუთებაო: — ის ქალი პატიმარი იყო, ხომ?! თქვი!

ლიზა უკვე გონს მოეგო.

— ეგ შეუძლებელია. უბრალოდ მომეჩვენა.

— იქნებ არ მოგეჩვენა, იქნებ მართალია.

— ვითომ მარტა იქნება? — ყოყმანით თქვა ლიზამ.

— მარტა, — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა ვალტერმა, — მაშასადამე?..

ორივენი გაჩუმდნენ. ვალტერი უყუ-

რებდა ლიზას, უყურებდა მისთვის ესოდენ ნაცნობ სახეს. მაგრამ ეს სახე ახლა უცხო იყო მისთვის.

— ეს რომ მარტა იყოს, — ლიზას ხმა ჩაუწყდა, მაგრამ მყისვე მოულოდნელი სიმშვიდით დაასრულა: — ყოველ შემთხვევაში, მე მისი რად უნდა მეშინოდეს?

— როგორ მიბრძანებ გავიგო?

ლიზას გული მოეცა.

— ღმერთო ჩემო, რამდენი სიკეთე გამიკეთებია მისთვის. რამდენჯერ გადამირჩენია სიკვდილს. მე მისი მფარველი ანგელოზი ვიყავი, ასე ვთქვათ, ბანაკის მფარველი ანგელოზი.

პასუხის მოლოდინში ლიზამ გაბედა და ზევით აიხედა, მაგრამ ვალტერს თითქოს არაფერი ვაუვიათ. ბარის კარადაში ვაფაციცებით ეძებდა ბოთლებს. ბოლოს მიაგნო, ჭიქა აავსო, სულმოუთქმელად დაცალა, სავარძელში ჩაჯდა და სახეზე ხელები აიფარა.

— მე მუდამ სიკეთე მინდოდა მისთვის, — ხმა აუკანკალდა ლიზას.

— სიკეთე გინდოდა, — დაცინვით გაიმეორა ვალტერმა.

ლიზამ თავი ვერ შეიკავა:

— შენ არ იცი, შენ წარმოდგენა არა გაქვს, რა ძნელი იყო იმ ჯოჯოხეთში სიკეთე შეგჩენოდა.

ვალტერმა შუბლი ზიზლით შეიყრა და კბილებში გამოსცრა:

— არ შეიძლება უფრო უბრალოდ ილაპარაკო?

— ბი-ბი-სიმ მოაწყო მაშინ გადაცემათ სერია; გადაცემები ასე იწყებოდა: „ლაპარაკობს ევროპის ჯოჯოხეთში — ოსვენციმი“, — თითქოს თავი იმართლა ლიზამ.

— ღმერთო ჩემო! მაშ, ოსვენციმი? — ვალტერი წამოხტა, შუბლზე ოფლმა დაასხა. ლიზამ ეს დაინახა და ენა ვედარ მოაბრუნა.

— ოსვენციმი? ნამდვილად ოსვენციმი? ღმერთო ჩემო! — შემდეგ ისე ჰკითხა, ანკეტის შევსებისას ჩინოვნიკებს რომ სჩვევიათ: — შენ როგორ მოხვდი ესესელებში?

ლიზამ პასუხი დააყოვნა. დიღობის მდუმარედ შესტკეოდა, მერე

— მე ვწამდა პიტლერის.

ვალტერი სავარძელს მოსწყდა.

— შენ ვწამდა? შენ? პირველად მესმის! როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით...

— მაშინ ეს ამბავი მოთავებული იყო. უფრო მეტად ჩემთვის, ვინემ სხვისთვის.

— იმიტომ რომ წაავო?

— იმიტომ რომ შენ გავიცანი.

ვალტერი ისევ დაჯდა.

— თქვი, თქვი! მითხარი ყველაფერი, რაც მაშინ დამიძალე!

ლიზამ წყალი დალია, შემდეგ სივარტე აიღო, დიღობის ეძება ასანთი, იქნებ ამ ზოზინით დაბნეულობის დაფარვა სურდა, აღსარების გაჯანჯლებად უნდოდა. ბოლოს დაიწყო:

— ესესში ორმოცდასამ წელს შევედი. მე არ ვიცოდი... არა, უფრო სწორად, ვიცოდი, რად მოვიქეცი ასე. არ ვიცოდი მხოლოდ, რა მოყვებოდა ამას. წავედი იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის საღარაჯოზე ვმდგარიყავი. მე მითხრეს, მის მტრებს უთვალთვალეო. ობერგრუპენფურერი პოლი გვეუბნებოდა, ოსვენციმი გერმანული საკონცენტრაციო ბანაკების თავისმომჭრელი ჭაობია. ამ ჭაობის გაჯანსაღება მხოლოდ საუკეთესო ესესელებს შეუძლიათ. ჩემს მოვალეობად ვთვლიდი, იქ ვყოფილიყავი, სადაც ყველაზე მძიმე სამუშაო იყო. „გამოჯანსაღებაზე“ ლაპარაკი მართლა დავიჯერე და ორმოცდასამი წლის მარტში უკვე „ევროპის ჯოჯოხეთში“ ვიყავი.

რაც მე ვნახე... არა, ობერგრუპენფურერმა პოლმა ჭაობი რომ უწოდა, ეს მეტაფორა არ ყოფილა. იქ სწორედ ჭაობი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. აქ ყველაფერი ჰყარდა. ბანაკიდან ნახევარ კილომეტრზე ცხვირში გეცემოდა მყრალი სუნი. ოცდაათ ათას კაცზე მხოლოდ ორი საპირფარეო

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

შო იყო. მთელი ბანაკი საპირფარეშოდ იყო ქცეული. ყველგან მყრალი ლაფი იდგა: მიწურ ბანაკებში, გზებზე, შესამოწმებელ მოედნებზე. გვაგებიც ლაფში ეყარა. ეს გულისამრევი, წარმოუდგენელი რამ იყო. სული მეხუთე-ბოდა, შიგნეულობა მეწვოდა. ადრევე გამაფრთხილეს, სიბრაულელი აქ უადგილოა.

გაფრთხილება ზედმეტი იყო. სიბრაულელისთვის ვის ეცალა! ყველა სხვა გრძნობა ზიზღმა ჩაჰკლა. როცა ბზე-ქინკაში ბანაკის გზაზე პირველად გავიარე, მარტო იმაზე ვფიქრობდი, რომ... მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. იქიდან თავს ვერავინ დაიძვრენდა.

უფროსი ზედამხედველი ქალი გულთბილად შემხვდა. მითხრა, თქვენზე ბევრი რამ კარგი მომწერეს, მწამს, პატიოსანი და ენერგიული მუსიკი იქნებითო, და ნივთების საწყობი მომანდო.

ნივთების საწყობი... მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი, რა ძნელი საქმე დამავალეს. ეს ორი ბარაკი ბანაკის საზღვრებს მიღმა, განცალკევებით იდგა. იქ, ბანაკის შიგნით, მაინც იგრძნობოდა სიცოცხლე. საზარელი და გულის ამრევი, როგორც სიცოცხლე ნებზე, მაგრამ მაინც სიცოცხლე იყო, აქ კი... აქ მხოლოდ უსულო ნივთები და უსულო გვამები დამხვდა.

უფროსმა ზედამხედველმა ქალმა თვითონ წამიყვანა საწყობში. ჩვენ ფეხით წავედით, რომ გზაში უფრო მეტი რამ მინახა. გზა ერთიმეორისაგან ჰყოფდა კაცებისა და ქალების ბანაკს, ის რკინიგზას მისდევდა. რკინიგზასთან ხალხი იდგა. არეულ-დარეულნი იდგნენ. ზოგი მიწაზე იჯდა, თუმცა მარტი იყო და ციოდა. გეგონებოდათ, რადაცას ელიანო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რას. მეგონა, ახალი ეშელონი ჩამოდგა-მეთქი. ერთი თეთრწვერა მოხუცი მღეროდა. არა, ეს სიმღერას არ ჰგავდა. აღაყრობდა ხოლმე ხელებს მძლავრად და რაღაცას ვაჰკიოდა. ვერ გაარჩევდი, ლოცვა იყო თუ სიმღერა.

საზარელი სურათი იყო. ზედამხედველ ქალს ვკითხე:

— არ შეიძლება გააჩუმონ? პრინციპული
შინაგონიუმი

— დაე იმღეროს, — მითხრა მან, — მაშინ უფრო გულდამშვიდებით წაველენ იქით... — და თავი წითელი შენობისაკენ მიაბრუნა, ქარხანას რომ წაავაგდა.

ამ შენობასთან ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ წითელჯვარიანი მანქანები.

— ავადმყოფები მიჰყავთ? — ვკითხე.

— არა, წამლები მოაქვთ. უნივერსალური, ყოველგვარი ავადმყოფობის განმკურნებელი წამლები.

ისე მომეჩვენა, თითქოს ზედამხედველს ჩაეღიმა, მაგრამ მაშინვე სერიოზულად განაგრძო:

— ზედამხედველო ფრანც, რაკი არ გცოდნიათ, ჩემი მოვალეობაა ავიხსნათ. ამ მანქანებს მოაქვს გაზი „ციკლონ-ბ“. — როცა მე მაინც ვერაფერი გავიგე, ცივად დაუმატა: — დანარჩენს თქვენი კოლეგები გეტყვიან.

შივედით ბარაკში, სადაც მე უნდა მემუშავა. იქ გროვა-გროვად ეყარა ნივთები. ამ ნივთებს პატიმარი ქალები არჩევდნენ.

— პირველ ყოვლისა, ეს ბრბო უნდა დაფერთხოთ, — მითხრა ზედამხედველმა, — სულ ხელიდან წავიდნენ. რაზმი ხელახლა უნდა შეიქმნას.

მეორე დღეს, კვირას, ბანაკის გარეთ მომუშავე რაზმების ბარაკებისაკენ წავედი. თავსხმა წვიმა იყო. პატიმრები მოედანს ასუფთავებდნენ. ქალები ნიჩბებით ორხელაზე ასხამდნენ ლაფს და ალაყაფს იქით გაჰქონდათ. ეს უაზრო წყლის ნაყვა იყო. ლაფი შუა გზაშივე იღვრებოდა. ამაზე ვუთხარი კიდევაც მორიგე ესესელს, მათ რომ უთვალთვალეზდა. ისე შემომხედა, მივხვდი, გიყ ვეგონე, შემდეგ ანორხოცდა, გეტყობათ, ახალი ხართო.

ვუბრძანე, ყველანი დაწყობილიყვენენ; როცა ორ მწკრივად დაეწყვენენ. შვებით გავიფიქრე: „ჩემი ბედი, რომ საქმე მკვდრებთან მაქვს და არა ცოცხ-“

ლებთან“. პატიმრებს საოცრად მყრალი სუნი ასდიოდათ. ეს სუნი დღემდე მას-სოვს. დღეს რომ იმ ქალმა დერეფანში ჩაიარა... ხელახლა ვიგრძენი ის სუნი... ქალები ლანდებს ჰკავდნენ. მაგრამ მაინც სული ედგათ და იცოდნენ, გადახურულქვეშ მუშაობა მათთვის ერთადერთი ხსნა იყო. მწკრივს რომ ჩავუარე, სახეში შემომციცინებდნენ, თითქოს მევედრებოდნენ, ყურადღება მოგაკაქიო. მაგრამ მე ვერავის ვხე-დავდი, უფრო სწორად, ვერ ვარჩევდი. ყველა ერთმანეთს ჰკავდა. იქნებ იმი-ტომ, რომ ყველას დამშეული სახე ჰქონდა. ის კი შევამჩნიე, მხოლოდ ის ერთი შევამჩნიე. რატომ — არ ვიცი. სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. სხვებსავით ძვალტყავადქცეული იყო. თავსაფრიდან მოკლედ შეკრეტილი თმა მოუჩანდა, სახეზე სხვებსავით ღინღლი მოსდებოდა, რაც სხეულის მეტისმე-ტად დაუძლურებაზე მეტყველებდა. მარტო ის ქალი არ შემომციცინებდა, პირდაპირ იყურებოდა. შემდეგში სხვა ზედამხედველი ქალებიც მეუბნებოდნენ: „მის თვალებს თითქოს ფსკერი აქვს და ამ ფსკერზე სულ სხვა რამეა, ვინემ ჩვენ ვხედავით“. ოღონდ მაშინ მე ეს არ ვიციდი. შევამჩნიე მისი მზერა და შევეყოყმანდი. მაშინვე არ მიიტყვამს, შერჩეულთა მწკრივში ვადადი-მეთქი. ჯერ ლაპარაკი ვავუბნი. არ ვიცი, რად შევეკითხე, გინდა თუ არა ნიუთების საწყობში მუშაობა-მეთქი. მაშინ კი, მაშინ შემომხედა, თვალი გამისწორა და დინჯად, ისე რომ დიდი სიხარუ-ლი არ დასტყობია, მითხრა:

— Iawohl, Frau Aufseherin.

— გერმანული იცით?

— Iawohl, Frau Aufseherin.— ისევ გაიმეორა მან.

ჩემთან საწყობში მწერლად იმუშა-ვებ-მეთქი, რომ ვანუტცხადე, იგივე პა-სუხი მივიღე.

და აი, კანტორაში ჩემთან ერთად იჯდა. დავარცხნილ-დასუფთავებული იყო, ჩვეულებრივი კაბა ეცვა და ზურგ-ზე მითხიბნილი წითელი ზოლი რომ არა, რიგიანი გერმანული ოჯახიშვილი

გეგონებოდათ. ერთხელ ჩემი საუბრი ნახევარი შევთავაზე. ღმერთო, რა მო-რძალებით შევთავაზე, თითქოს ვერ მო-ნოდა, არ ეწყინოს-მეთქი. პერე რა დამშეული იყო, რა გამოფიტული, მის-თვის ერთი ლუკმა პური რად ღირდა და მაინც ისე მითხრა მაღლობა, მა-შინვე მივხვდი: მაღლიერი უფრო იმის-თვის დამჩნა, ასეთი მოკრძალებით რომ შევთავაზე პური. მერე მოვუხსირე გა-მასპინძლებას, თუმცა მაინცადამაინც მაღლიერი არ იყო. სადილზეც ვიწვევ-დი ხოლმე, ჩვენთვის ესესელთა სამზა-რეულოდან რომ მოჰქონდა. მშვენი-ერი კერძები იყო. სხვა მის ადგილზე ალბათ ხელებს დამიკოცნიდა. ის კი ამას თითქოს არაფრად ავღებდა. მე მაინც მომწონდა. უცნაურია, მაგრამ მომწონდა სწორედ მისი ის თვისება, რამაც შემდეგში ერთმანეთს დაგვაშო-რა და რამაც ჩემი გეგმა ჩაფუშა, მისი გადარჩენის გეგმა... ის წესრიგს არ არღვევდა, მაგრამ არც ფეხქვეშ გე-ბოდა ვისმე. მომწონდა მისი სიტყვა-პასუხი, მსიამოვნებდა, როცა ველაპა-რაკებოდი და ფეხზე წამომიდგებოდა. თავს ვარწმუნებდი, ამას ჩემი პატი-ვისცემით სჩადის და არა იმიტომ, წესად ასე შემოღობული-მეთქი. მე მას „თქვენობით“ მივმართავდი, თუმცა სხვა პატიმრებსაც ასე ველაპარაკებო-დი. ესესელებიდან, მგონი, მარტო მე ვიცავდი ამ წესს. სხვანაირი მოქმევა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. „შენო-ბით“ ხომ მარტო ახლობლებს მიმარ-თავენ. მაგრამ ესესელთა უმრავლესო-ბას ამდენი გარჩევის თავი არ ჰქონდა. ან იქნებ იმიტომ, რომ მოურიდებელ მიმართვას, როგორც წესი, უხეშ გინე-ბას მიაყოლებდნენ ხოლმე. მხოლოდ მე და უფროსი ზედამხედველი ვიკა-ვებდით თავს. ამას პატიმრებიც აფა-სებდნენ. ჩემი მაღლიერი იყვნენ, პა-ტივს მცემდნენ. ისიც პატივს მცემდა. ყოველ შემთხვევაში, პირველად ასე მეჩვენებოდა. თუკი ზოგჯერ შენობით

ზოფია პოსმიში

მგზავრი ქალი

მიემართავდი, მხოლოდ იმიტომ, მეგრძ-
ნობინებინა, სულ სხვანაირად გიყურებ-
მეთქი. წითლდებოდა. მე კი გულში
სიხარულის სითბო მეღვრებოდა. დიახ,
ამ ქალის სიახლოვე ჩემთვის დიდ რა-
მეს ნიშნავდა, განსაკუთრებით თავდა-
პირველად, როცა ზარდაცემული და
სასოწარკვეთილი ვიყავი. მისი წყალო-
ბით ყველაფერი დავძლიე, გულის-
თქმას არ ავყევი. ის მუდამ გვერდით
მეგულებოდა. როდესაც ჩემს მომავალ
საქმიანობაზე ჩავფიქრდებოდი, მაგონ-
დებოდა ბანაკის კომენდანტის სიტყვე-
ბი, საუკეთესო ესესელებს საუკეთე-
სო პატიმრების დახმარებით შეუძლიათ
ბანაკს საკადრისი იერი დაუბრუნონო.
ამ სიტყვებს მუდამ ვიმეორებდი,
ვგრძნობდი, რომ მარტასადმი ჩემი კარ-
გი განწყობილება საზღვარს სცილდე-
ბოდა. ვერ ვამჩნევდი, რომ ეს ჩემს სამ-
სახურებრივ მოვალეობას, ჩემს მი-
ცემულ ფიცს ეწინააღმდეგებოდა. აბა,
თავად განსაჯე, ვალტერ. რეჟიმის ერთ-
ერთ ყველაზე უხეშ დარღვევად მამაკა-
ცებთან სიახლოვე ითვლებოდა. დამნა-
შავეს სასტიკად სჯიდნენ. მე ვისარ-
გებლე იმით, რომ ბანაკის კომენდანტ-
მა ნება დაგვართო „გვენათხოვრა“ პა-
ტიმარი მამაკაცები ქალების ბანაკის
ცალკეულ უბნებზე სამუშაოდ, და
ერთხელ, ჰო, ერთხელ მოვუყვანე საქ-
მრო, სატრფო თუ... მოკლედ არ ვიცი,
ვინ იყო მისი. როცა მათ ერთმანეთი
ნახეს, არა, ამ სურათს ვერ აგიწერ. იმ
კაცს დაძაბული სახე ჰქონდა, მარტა
ფერდაკარგული იდგა. ორივე დუმდა.
მეც იქვე ვიყავი, მე, ვინც ეს კაცი
ბანაკის ანგარიშების მოსაგვარებლად
მოვიყვანე.

ლიზა შეჩერდა, მშრალი ხველა აუ-
ვარდა:

— წყალი დალიე, — ცივად უთხრა
ვალტერმა.

ლიზას არაფერი გაუგონია. თვალი
გამტერებოდა.

— საგონებელში ჩავეარდი, მაშინ
პირველად ვიაზრე, რომ წესს ვარღვევ-
დი. ვიფიქრე, ხომ არ სჯობს ეს კაცი
ახლავე უკან დავაბრუნო-მეთქი, მაგრამ
ასე არ მოვიქეცი. ისინი ერთად დაე-
ტოვე. მაგიდასთან გვერდიგვერდ ის-
დნენ, თითქოს შინ არიან და წიგნს
კითხულობენო. რა თქმა უნდა, ანგარი-
შებზე არ საუბრობდნენ. მე ვუცქერო-
დი და ყველაფერს ვამჩნევდი. რა თვა-
ლებით უყურებდა კაცი! რამდენჯერმე
ხელიც კი მოჰკიდა. როგორ იკავებდა
ცრემლს მარტა. როგორ მალულად გა-
დაუსვა კაცმა მახინჯად შეკრეჭილ
თმაზე ხელი.

— დალიე წყალი, — გაუმეორა ვალ-
ტერმა ისე, თავი არ აუწევია, —
სურა მანდ გიდგას.

ლიზამ წყალი დალია, მაგრამ ხმა
მინც ჩახრინწული ჰქონდა.

— კაცი ასე ათიოდე წლით უფრო-
სი იქნებოდა, გამოცდილ-გამოჯაგული
ჩანდა, ბანაკის საქმეების დიდი მცოდ-
ნე, კაჟივით მაგარი, რაკი აქამდე
ცოცხალი ვაძლო. და მინც თავს ვერ
სძლია, მღელვარება ვერ დაიოკა. მე
კი ყველაფერს ვხედავდი და თითს არ
ვანძრევდი. აბა, დაფიქრდი, თავს რა
ხიფათში ვიგდებდი, ვინმე უფროსი
რომ შემოსულიყო და მათი ქცევა დაე-
ნახა! მამაკაცთა ბანაკში დაბრუნების
დრომ მოაღწია. ამ კაცს ვუთხარი, „შე-
გიძლიათ, გამოემშვიდობოთ თქვენს სა-
ცოლეს-მეთქი“. პირიც კი ვიბრუნე.
კაცმა მარტას ხელზე აკოცა. მერე
ქული მოისხადა, თმა გადაპარსული
ჰქონდა, თავი მდაბლად დაგვიკრა, თით-
ქოს ერთ-ერთ ჩვენთაგანს ეთხოვებო-
და. ეს რომ რომელიმე ესეესელს ენახა,
არ გამიკვირდებოდა, თუ... შენ ხომ
ოსვენციმს იცნობ, ვალტერ. აბა თქვი,
ასეთ სცენას წარმოიდგენდი?



პარლ კობეჩიძე

გმირული შრომის ღმეები

ნარკვევი

საუბარი ავტობუსში

მთელი დღეა მოვიდვართ. მგზავრე-
ში დაილაღნენ და საუბარს უკლეს.
ამდენ ხალხში ერთი ნაცნობია, ისიც
სამი დღის წინ გავიცანი, ენგურჭესის
მშენებლობაზე წამოსასვლელად რომ
ვემზადებოდი. ორივენი ერთ საქმეზე
მივიდვართ: მე ნარკვევი უნდა დავწე-
რო, ის კი მხატვარია, ჩანახატები უნ-
და გააკეთოს.

ავტობუსი ჩერდება და მძღოლი
მოურიდებლად ყვირის:

— სად ამოდიხართ, ადგილი არა
მაქვს, გაიგეთ!

— აბა, ეს რა არის? — ელიმება ერთს
და უბოდიშოდ ჯდება ვიღაცის ჩე-
მოღანზე.

მძღოლი შუბლიდან სახელოთი
ოფლს იწმენდს და ბუზღუნებს. იბუზ-
ღუნებს, აბა, რა იქნება? ერთი მგზავ-
რი რომ ჩადის, ხუთი ამოდის. გაიჭედა
ავტობუსი, გვერდზე შეტრიალება
ჭირს, მაგრამ არაფერია, ზუგლიდამდე
ორიოდე კილომეტრიღა დარჩა.

როგორც სხვა ახალგაზრდები, ჩვენც
ფეხზე ვდგავართ. ჩვენი ადგილები
მოხუცებს დავუთმეთ. ავტობუსის სარ-
კმელში ვედარ ვიხედებით და ეს ძა-
ლიან გვწყინს. პირველად ვმგზავრობთ
აქეთ და, ვინ იცის, რამდენი საინტე-

რესო რამ დარჩა უკან, რამდენმა საინ-
ტერესო რამემ გაიარა თვალშეუვლებ-
ლად. ძალიან გვწყინს, მაგრამ არ ვიძი-
ნევთ.

— დღეს რა გავაკეთოთ? — ვეკით-
ხები მხატვარს.

— მოვიფიქროთ რამე, დრო ბევრია!

— მუზეუმი დაათვალიერეთ, — გვთა-
ვაზობს ჭადარაშერეული კაცი და ჩვენს
პასუხს ელის.

— რაო?

— მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და-
ათვალიერეთ.

— გმადლობთ, მაგრამ ჯერჯერო-
ბით არა გვცალია, უფრო საინტერესო
რამ გვაქვს დასათვალიერებელი და
სანახავი.

— უკეთესი? — უკვირს მოხუცს.

— უკეთესი.

მაინც? — ჩავვაცვივდა.

— ენგურჭესის მშენებლობაზე მიე-
დივართ, — ვეუბნები ღიმილით.

— ჰოო, ასე გეთქვა, შე კაცო!

ავტობუსი ჩერდება. მძღოლი აღარ
ბუზღუნებს, რაკი ყველა ჩადის, ამომ-
სვლელი კი არავინაა. ბოლო გაჩერე-
ბაა.

უკვე საღამოა. თინყლაფს. ჩვენ სას-
ტუმროს ვეძებთ.



კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანს თინა ჯღამაძეს ვეძებთ. პატარა, გემოვნებით მოწყობილ კაბინეტში ახალგაზრდა, შავგვრემანი ბიჭი გვხვდება და მოკრძალებით გვაპლუსობს:

— მშენებლობაზეა წასული, ეს-ესაა წავიდა.

ვეშვიდობებით და დერეფანში გამოვდივართ.

— მოადგილე მანც გვენახა, — მეუბნება მხატვარი.

— არც ახლაა დაგვიანებული.

ამ საუბარს ჩვენკენ მომავალმა გოგონამ მოჰკრა ყური და გვითხრა:

— თქვენ რომ ელაპარაკებოდით, ის არის მოადგილე.

უკან მოვბრუნდით, ხელი ჩამოვართვით, გავეცანით, გავგეცნო:

— გურამ ნაჭყებია.

გვკითხა და ჩვენც ვუბასუხეთ: ვინ ვართ, საიდან ვართ, რატომ ჩამოვედით და რა გვსურს. ამ დროს ახალგაზრდა ბიჭი შემოვიდა, მაღალი, მოხდენილი. გურამმა გავაცნო:

— ენგურაძის მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ომარ სარალიძე.

პირველი გაცნობის უხერხულობამ გაიარა და უკვე საქმეზე გადავედით.

— თინა ჯღამაძეს სად ვნახავთ? — ვეკითხები.

— ვერ გეტყვით, მშენებლობის რომელ უბანზეა წასული, — გვეუბნება გურამი, — შეიძლება ჯვარშია ან ოლორში ან საბერიოში. წარმოიდგინეთ, ვერც მე ვკითხე და მასაც დაავიწყდა თქმა. ეს პირველი შემთხვევაა და ისიც დღეს.

ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ. მერე, როგორც იქნა, დავადგინეთ ჩვენი მოგზაურობის მარშრუტი. ომარმა და გურამმა იდავეს, არა, ჯერ იქით წავიდეთ, არა, ჯერ აქეთო. ჩვენ ვუსმენდით და ვუყურებდით ერთმანეთს, რაკი არაფერი გვქონდა სადავო.

მოსაფლტებულ გზაზე მანქანა მიპ-

ქრის. გზის ორივე მხარეს მთიანის ჩაის პლანტაციები, ხეხილის ბაღები, ციტრუსები, ჭალაკები...

თავდება მოსაფლტებული გზა. მარცხნივ ვუხვევთ ქელორლიან გზაზე. მთები, მწვანე მთები... ქვემოთ საკმაოდ ცხელოდა, აქ კი გრილა.

მანქანა ჩერდება, გადმოვდივართ. მოგვწყურდა, ვეწაფებით წყაროს. წყარო ცივია, ძალიან ცივი.

— ქვემოთ ასეთი ცივი არ არის წყალი! — ხმამალა ამბობს ომარი.

— ჰო, გზადგმა ყველაფერი იცვლება, ჰაერიც, წყალიც, მზეც... — ეთანხმება გურამი.

— მართალია, — ბუტბუტებს მხატვარი, თან რაღაცას ხატავს, ხატავს და შლის.

ისევ გზას ვავრძელებთ. უკან რჩება რამდენიმე კილომეტრი და:

— ესეც საბერიო, — ამბობს გურამი.

მოჩანს მაღალი, თეთრი სახლები, დამთავრებული და დასამთავრებელი სახლები. ირგვლივ კი მთებია, მაღალი, მწვანე მთები.

ისევ ჩერდება მანქანა, ამჯერად საბერიოში, კლუბთან. გურამი ცოტა ხანს გეტოვებს, მალე დავბრუნდებით, და აჩქარებული ნაბიჯით მიდის. ჩვენ ფერდობზე შეფენილ დაბას გავყურებთ. მშენებლობის ძირითადი უბანი ჩვენგანაც ცოტა დაშორებულია. ზემოთ მაღალი მთაა.

— იმ მთის ქვეშ გვირაბი გადის, — გვეუბნება ომარი, — აქ რომ მშენებლები მოვიდნენ პირველი ბარის დასაკვრელად, ერთ საათში შემოეფლითათ ტანსაცმელი, აქაურობა ძეძვით იყო სასვე.

ახლა აქ ოთხსართულიანი სახლები და სწორი მოკირწყლული ქუჩებია.

გურამი მალე დაბრუნდა, თან გვირამბშენის სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანი, მთავარი მექანიკოსი შოთა შიოლაშვილი მოჰყვა.

— თინა ჯღამაძე აქ არის, — თქვა.

გურამმა, — აკაკი ცნობილადეს ესაუბრება.

— ვინ არის აკაკი ცნობილადე? — ეკითხება მხატვარი.

— გვირახმშენის სამმართველოს უფროსი, — პასუხობს გურამი.

თეთრი ხალატი

თეთრი ხალატი მაცვია და გვირახმის შესასვლელთან ვდგავარ. შოთა შილაშვილი მიყურებს და იცინის. არ ვიცი, რა აცინებს, არც ვეკითხები. ისე კი, კაცმა რომ თქვას, არ არის სასიამოვნო, ვიღაც რომ გიყურებს და იცინის. ვერაფერს ვეუბნები, არადა, სხვებიც იცინიან. მე თავაწეული, გამართული ნაბიჯით გვირახმში შევდივარ.

— მოიცა! — ხელით მაჩერებს ხნიერი კაცი, — იმასაც ეცინება. წინ წასულ მხატვარსაც უკან აბრუნებენ. შოთა ისევ გვირახმის შესასვლელთან დგას და აღარ ათავებს სიცილს.

— რა მოხდა, — ვეუბნები, — შესვლა აკრძალულია?!

— მაგას ვინ ამბობს? — ეღიმება გურამს.

— მე ვამბობ, — ხმას უწევს ხნიერი კაცი, — ასე როგორ შეიძლება შესვლა, თეთრი ხალათით, თანაც უმუზარადოდ?! სახიფათოა, სახიფათოა, შვილო! პირველად შედინარ გვირახმში?

— დიახ. პირველად.

— გეტყობა. ნუ გეწყინება, შვილო, ასე შესვლა არ შეიძლება.

— ეს ჩვენი სახელოვანი მშენებელია, ტარასი ეფრემიძე, — გავაცნო შოთამ.

ტარასი ეფრემიძე რესპუბლიკაში ცნობილი მწერეველია. 1946 წელს იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. ახლა მას მუშაობის ორმოცი წლის სტაჟი აქვს. სადაც უმუშავია, ტყიბულსა თუ ახალციხეში, ჭიათურასა თუ ტყვარჩელში, ყველგან დიდი ავტორიტეტით, პატივისცემით სარგებლობდა.

ისევ დაიწყო გზა. გზა ხევს მიჰყვება. ხევს იქით აღარ მოჩანს მხატვრული პლანტაციები. ხევს იქით ციციბოლო დობებია, კლდეებია.

გვირახმის მშენებლობის დასათვალიერებლად მივდივართ.

მის აღზრდილებს თითქმის ყველა მალაროში შეხვდებით. სამოც წელს რა ხანია გადასცილდა, მაგრამ ჯერ ისევ ჭარმაგად არის, მუხლიც ერჩის, ღონეც. სთხოვეს, დროა პენსიაზე გახვიდეო. მაგრამ უარი თქვა.

— სახლში რა გავაკეთო?

— დაისვენეთ! — ვეუბნები და მიკვირს ძია ტარასის სიმხნევე.

— მე მუშაობაში ვისვენებ, შვილო. იმას რა სჯობია, როცა შრომა ვიფასდება, როცა უყურებ, რა შესძლებია ადამიანის გონებას, ხელებს.

— მართალი ბრძანდებით, ძია ტარასი!

— შევიდეთ გვირახმში, — გვეუბნება ომარი და წინ მიგვიძღვის. ის და შილაშვილი ხმამაღლა საუბრობენ.

შევდივართ, მაგრამ ახლა თეთრი ხალატი არ მაცვია და მუზარადიც მახურავს.

გვირახმი თანდათან ვიწროვდება.

— წინ მხარბეჭიანი ჭაბუკი შემოგვხვდა.

— გაიცანით, არჩილ კვერნაძე, — გვეუბნება ომარი.

— შენც მწერეველი ხარ? — ვეკითხები არჩილს.

— თითქოს, როგორ ვითხრა...

— უბრალოდ უთხარი, — ეუბნება შოთა და ჩემკენ იხედება, — სადაც საჭიროა, იქ მუშაობს. ყველა პროფესია, რაც გვირახმის მშენებლობისთვის არის საჭირო, მაგისი პროფესიაა. ყო-

კარლო კობერიძე
გმირული შრომის დღეები

ველ დილით კითხულობს, დღეს რა გავაკეთო. ეს რაღაც უცნაურად ჩანს, მაგრამ არც ასეა საქმე. ხშირად მუშახელი გვაკლდება: ზოგი შვებულებაში მიდის, ზოგი გამოცდების ჩასაბარებლად და ზოგჯერ, ალბათ, დამეთანხმები, ისეთი რამ დავატყდება თავს, რასაც არ ელი. მოკლედ, მუშახელი გვაკლდება ხშირად, მაშინ არჩილი მიდის იქ, სადაც საჭიროა.

ვათვლიერებ გვირახს: ინგრევა კლდე, პიტალო კლდე. თვითეული გოჯი მიწა დიდ ენერჯიას მოითხოვს, ადამიანის ენერჯიას, ხელებს.

მეზიგეები გვირახის კედლებსა და ჭერს ამაგრებენ, მეზეტონეები კედლებსა და ჭერს აბეტონებენ. შორიდან

კი ყველაფერი ლამაზად ჩანს, კედლებიდან და ჭერიდან აქა-იქ წყალი გონავს.

აქ ყველაფერი გასათვალისწინებელია: თვითეული ნაბიჯის ვადადგმა, თვითეული წუთი. ჩვენ კი ისიც ვერ გავითვალისწინეთ, რომ თბილისიდან, ასობით კილომეტრის დაშორებით, წასვლა მშენებლობაზე თეთრი ხალათით არ შეიძლება.

— ხშირად გვინახულეთ ხოლმე, გაეცანით ჩვენს მუშაობას, ცხოვრებას, ბიჭებს, — გვეუბნება ძია ტარასი.

— ხშირად ჩამოვალთ, — ვბირდებით ჩვენც.

— ოღონდ თეთრი ხალათი სასტუმროში დატოვეთ, — იცინის ძია ტარასი.

მესამე ძმა

გვირახში საკმაო ხანი დავყავით. გვირახიდან გამოსვლისას გვითხრეს, მალე ცვლა მოვაო. ჩვენც ცვლას დაველოდეთ. დიდხანს არ დავგვირევიბიალოდინი.

შიოლაშვილი მუშებს გამოელაპარაკა, როგორ მიდის საქმე, ხომ არაფერი გიჭირთო.

მხნედ იყენენ ბიჭები, განსაკუთრებით კი ბრიგადირი გივი ნადირაძე:

— რა დროს გავირევიბა, თუ ძმა ხარ!..

ქვეზე ჩამოვსხედით და საუბარი გავაბით. ვინ ანეგდოტს ჰყვება, ვინ არაკს. ვიდრე ცვლა არ გამოვა, ვერ შევალთ გვირახშიო, ასე გვიპასუხეს ჩვენს შეკითხვაზე.

— ესეც ნადირაძეა, — გვითხრა შოთამ, — ძმები არიან, ერთად მუშაობენ, — ერთ ახალგაზრდაზე მიგვიითითა, ალექსი ჰქვიაო.

გამოველაპარაკე ორივეს, ადრე სად მუშაობდით-მეთქი.

— ლაჯანურაქსზე, — თქვა გივიმ, — მერე ხრამქსზე. ხრამქსზე ალექსი ჩამოვიდა. შევუტყეთ საქმეს ძმებმა, წინ რა დავვიდგებოდა!

— ხრამქსზე შოთაც შემოგვიერთდა.

— ვინ შოთა? — ეკითხები მე.

— ჩვენი ძმა, მესამე ძმაც შემოგვიერთდა და მერე იყო, რაც იყო. მას შემდეგ სულ ერთად ვართ, ერთ ბრიგადაში.

— საამაყო ძმების საქმე, — საუბარში ჩაერია ომარი, — თითოთ საჩვენებლები არიან. გივის ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის იბრძვის და ამაში დიდი ღვაწლი, რა თქმა უნდა, ძმებსაც მიუძღვით.

— მესამე ძმა სადღაა? ისიც გავაცანით.

— შოთა? შვებულებაშია.

— ექვსნი ძმანი არიან, — თქვა ომარმა, — ექვსიდან სამი აქ მუშაობს. გვემას ყველა ასორმოცდაათი, ასოთხმოცი პროცენტით ასრულებს. სამი ძმა საკომპეტურნეო მინდვრებში შრომობს სამტრედიის რაიონში.

მუშები გვირახიდან გამოდიან, მუშარადებს იხდიან და საცალფეხო ბილიკით წყაროზე ჩადიან. გივი ნადირაძის ბრიგადის წევრები მუშარადებს იხურავენ და გვირახში შედიან.

ნადირაძეების შრომას ჩვენი რეს-

პუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები გაეცნენ. მათი საქმიანობა მოეწონათ, მარჯვენა შეუქმეს, რითაც აღფრთოვანებულენ არიან ძმები და ძალ-ღონეს არ იშურებენ შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად.

ასევე თავდადებით შრომობენ: ვაჟა ხურციძე, იოსებ გელაშვილი, ვაჟა

აბესაძე. ყველა, ყველა სამაგალითოდ შრომობს.

ვეშვებით დაღმართზე. მდინარის პირს მივყვებით. მერე მოსახვევით ვჩერდებით და უკან ვიხედებით. ვვირავი აღარ ჩანს, მხოლოდ მუშები ჩანან, ის მუშები, ახლახან რომ დაამთავრეს სამუშაო დღე.

საწარმოო პრაქტიკაზე

თინა ჯღამაძე მემონტაჟეთა ბრიგადის წევრებთან ვნახეთ. შესვენების საათი იყო, ისინი ჩრდილში ისხდნენ და რალაცაზე ბკობდნენ. შევატყვეთ, ბრიგადის წევრებთან დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონდა თინას და ეს არც გაგვიკვირებია. უნარიანი ხელმძღვანელი ყველას იცნობს, ყველასთან შეძლებისდაგვარად მეგობრობს.

ბრიგადირი სარდიონ მამუჩაშვილი, თავის საქმის მცოდნე ახალგაზრდა აღმოჩნდა. ომარი გზადაგზა გველაპარაკებოდა ამ მოწინავე ბრიგადირსა და მის ბრიგადაზე. დროდადრო გურამი ჩამოართმევდა ხოლმე სიტყვას და იყო მოწონება და ქება.

სარდიონი მშენებლობაზე კომკავშირული საგზურით ჩამოვიდა. მალე თავისი მუყაითი შრომით ხელმძღვანელთა ყურადღება მიიპყრო და ბრიგადირად დააწინაურეს.

თავგამეტებით შრომობენ მემონტაჟეთა კომკავშირული ბრიგადის წევრები, ამონტაჟებენ თვრამეტბინიან მსხვილბლოკოვან ბინებს. მოწინავეთა შორის არიან: მემონტაჟე ნოდარ ლავილავა, კოშკურა ამწეს მემანქანე მარგო კემულარია, მუხაღუხა ამწეს მემანქანე ბუხუტი სანიციძე და სხვები.

შრომობენ მთელ დღეს, ხოლო სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ საბერიოში ბევრი რამ არის გასართობი და თავშესაქცევი, თამაშობენ ჭადრაკს, ნახულობენ ახალ ფილმებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ხშირი სტუმრები არიან...

მთავრდება შესვენების საათი. ისევ

იწყება მუშაობა. ჩვენც ისევ გზას ვაგრძელებთ.

მთაზე ავდივართ. მანქანა მიდის ნელა, აუჩქარებლად.

ისევ გვირავი. აქ ვავიცანით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი გიორგი თაბაგარი.

— წინასაღბლომ საწარმოო პრაქტიკაზე ვარ, — გვიბასუხა შეკითხვაზე. სპეცტანსაცემელი ეცვა.

— ცვლა დამთავრდა? — ვკითხეთ.

— არა, წყლის დასაღვეად გამოვვლი.

— მარტო შენ ხარ პრაქტიკაზე?

— სხვებიც არიან. ისინი ჯვარში მუშაობენ. ჩემი თანაჯგუფელები არიან — ზაურ ბიბილაშვილი, იოსებ სუმბაძე, იოსებ თოდუა... ჩვენც შეგვაქვს წვლილი დიდ მშენებლობაში. ვიღრე ჰიდროტექნიკოსად ჩამოვალ, მანამდე მუშების შრომას ვეცნობი, თავის დროზე დიდ სამსახურს გამიწევს, ესეც მინდა გამოვცადო.

— კარგია, ძალიან კარგია! — ამბობს გურამი.

მერე, უფრო გვიან, როცა სიბნელეში იძირებიან მთები, როცა მარტო სამშენებლო უბნებია გაჩირადლებული უღრუბლო, ვარსკვლავიან ცის ქვეშ, გიორგი თაბაგარზე ვფიქრობ: აი, ასეთი ადამიანები შეუძლებელს შეძლებენ, ჩვენს მომავალ მშენებლობებს ასეთი ჭკვიანი, დაკვირვებული ინჟინრები სჭირდება.

კარლო კობერიძე
გმირული შრომის დღეები



მაგიდაზე გაშლილია გვირაბის პროექტი. აკაკი ცნობილადეს ხელში წითელი ფანქარი უჭირავს და წითელ ხაზს ავლებს. რამდენიმე შეკითხვა მივეციოთ და ახლა პასუხს ვუცდით. პასუხის მოლოდინში დავყურებთ წითელ ხაზს და მეღნით მიწერილ ციფრებს. ციფრებით სავსეა ქალაქი, მაგრამ ის ჩვენთვის ჯერჯერობით ციფრებია, მეტი არაფერი.

— ჩვენს მშენებლებს, — ამბობს აკაკი ცნობილადე, — დიდი გამოცდილება აქვთ მიღებული ლაჯანურპისისა და ხრამპისის მშენებლობებზე. ენგურპისის სამშენებლო უბნები ას კილომეტრის მოიცავს. იგი ვადაჭიმულია სვანეთის მთებიდან შავ ზღვამდე. ჰიდროელსადგური იწყება მთის სოფელ ჯვარში. აშენდება კაშხალი და შეიქმნება წყალსაცავი, მისი ტევადობა ერთნახევარ მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი იქნება, სიგრძით 35 კილომეტრი; ეს კი მთელი ზღვაა. საბერიოსთან, მიწის ქვეშ, აშენდება ჰიდროელსადგურის შენობა, იგი სიდიდით არ ჩამოუვარდება თანამედროვე 15 სართულიან სახლს. ამუშავდება ექვსი ტურბინი. თვითუღის სიმძლავრე, როგორც გამოანგარიშებულია, უნდა შეადგენდეს 237 ათას კილოვატ საათს. უმძლავრესი წყლის ნაკადი, თექვსმეტკილომეტრიან გვირაბს რომ ვაივლის, ამუშავებს ამ ტურბინებს. აღსანიშნავია, რომ ენგურპისის მარტო ერთი ჰიდროაგრეგატის სიმძლავრე უფრო მეტი იქნება, ვიდრე ლაჯანურპისის და ხრამპისის ჰიდროელექტროსადგურების ყველა აგრეგატი ერთად. ჰიდროელექტროსადგურის მიწისქვეშა შენობიდან სხვადასხვა მხრისკენ გაიყვანენ გვირაბებს და არხებს. ენგურპისზე მიწის სამუშაოთა მოცულობა ოთხჯერ გადააჭარბებს ბრატსკის ჰიდროელსადგურზე შესრულებული მიწის სამუშაოებს. ენგურის ჰიდროკვანძი წლიურად გამოიმუშავებს თითქმის 5,5 მილიარდ კილოვატ საათს. ეს სამჯერ

უფრო მეტია, ვიდრე ზაქსის, ლაჯანურის, გუმათის, ტყიბულისა და რიონის ელსადგურების სიმძლავრე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ენგურპისის მშენებელთათვის უნდა აშენდეს 15 კეთილმოწყობილი დაბა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რა გრანდიოზულია მშენებლობის მასშტაბი. მშენებლები ყოველ ღონეს ხმარობენ, წლის ბოლომდე დაიმორჩილან აბობოქრებული ენგური. ენგური წყალგადამღებ გვირაბში უნდა გაატარონ და შემდეგ მოამზადონ სამუშაო კაშხალის ასაგებად. უკვე ოთხი წელია, ჩვენი სახელოვანი ჰიდრომშენებლები ებრძვიან უამინდობას, მთებს, გაუვალ ქაობებს, პიტალო კლდეებს. უდიდესი სამუშაოები შესრულდა გზების გასაყვანად. რა თქმა უნდა, ჯერ გზა, გზა არის მთავარი! თუ გზა არ ვარგა, მშენებლობის დაწყებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ვინაიდან დღევანდელ ტექნიკის საუკუნეში ხელით თითქმის არაფერი შენდება, ტექნიკა ამბობს სიტყვას. ჰოდა, მართლაც კარგი გზები გავიყვანეთ, საამისოდაც დიდი სამუშაოები შესრულდა. ენგურპისის თაღოვანი კაშხალი მსოფლიოში ყველაზე უნიკალური იქნება, სიმაღლით 300 მეტრი. მართლაც რომ საოცრება!

აკაკი ცნობილადის კაბინეტში მუშები შემოდიან. ზოგი უშუალოდ მშენებლობიდან მოდის, სამუშაო იარაღები ისევ ხელში უჭირავთ. დახმარებას თხოვენ გამოცდილ ინჟინერს, როგორ მოიქცენ, როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის გაუთვალისწინებელი საკითხი, რომელიც თითქმის წვრილმანია, მაგრამ დიდ მშენებლობასთან მაინც აქვს კავშირი.

— ბედნიერი შემთხვევაა, კაბინეტში რომ დაგვხვდათ, — გვეუბნება მშენებელი ოსებ გელაშვილი, — დროზე მოუსწარიო, თორემ რას იზოვიდით! ვინ იცის, რომელ ობიექტზე იქნებოდა..

არ გვიკვირს, რომ აკაკი ასე უყვაროტ მუშებს.

ტელეფონზე დარეკეს. ყურმილი აკაკიმ აიღო. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ციფრები გადასცა და შეკითხვაც მიაყოლა:

— სად არის დღევანდელი გაზეთები, ეს არის დაპირება? ჯერ კი არ მიგვიღია და...

პატარა ბიჭი კაბინეტში შემოვიდა, შეშინებულვით მიიხედა-მოიხედა და კართან აიტუხა. აკაკიმ ყურმილი დალო და ბიჭს მიხედა:

— რაო, ბიჭო?

— აი, ძია აკაკი, გაზეთები მოვიტანე, — და გაზეთები მიაწოდა.

— შე, კაი კაცო, — გაიღიმა აკაკიმ, — რომ შემოხვედი, მაშინვე ვერ თქვი! ტყუილებრალოდ ვუსაყვედურე. ფოსტალიონი სად წავიდა?

— მუშებთან, გვირაბის მშენებლობაზე...

— ზუგდიდიდან დარეკეს, — წყნარად თქვა მშენებლობის უფროსმა, — როგორ არის საქმეო, ამ კვირაში გეგმა ორმაგად შევასრულეთ.

ისევ პროექტს დახედა აკაკიმ, ისევ

მოველით სასიამოვნო საუბარს ენგურტვის მომავალი მშენებლობის შესახებ, საერთოდ, მომავლის შესახებ და...
გაიღო კარი: გაოფლიანებული ბიჭი შემოვიდა. აკაკის არ ესიამოვნა მისი ქლომინი, სკამიდან წამოდგა:

— თქვი, რამე ხომ არ მოხდა?

— არა, — გაეღიმა ახლად შემოსულს, — ტელეფონის მავთულები გაწყდა. ელექტროდენისაც.

— რათა, კაცო?

— ლალუმი ლოდებს ისვრის მაღლა და რა ჩემი ბრალია!..

— შენ ვინ გაბრალე? — იცინის აკაკი, — წამოვალ, ადგილზე შევამოწმებ. იქნებ აჯობოს, ორივე ხაზი მთლიანად მეორე მხარეს გადავიტანოთ?

— მაგის სათხოვნელად მოვედი, — უხარია ახლაგაზრდას, — მაგისთვის გამომაგზავნეს. წავიდე?

— მოიცა, მეც მოვდივარ.

— აბა, რა, — ახლა ჩვენ გვეუბნება აკაკი და ხელს ისვამს ოფლიან შუბლზე, — ელექტროდენის მავთულზე ფეხის დადგმა ცოტა ძნელია.

აკაკი ცნობილად იცინის და რალაცას იწერს.

თხუთმევა კაკლის ხეზე

იმ თხუთმეტი დაბიდან, ენგურტვის მშენებლებისთვის რომ უნდა აშენდეს, ჯერჯერობით ყველაზე დიდი ჯვარია. ოთხსართულიანი შენობები თითქოს სავანგებოდ ერთ მხარეზე მოქცეულან. ადგილობრივ მცხოვრებთა სახლები ფერდობებზეა შეფენილი და საოცარ კონტრასტს ქმნიან. ჯვარში დიდიდან საღამომდე არ წყდება საქმიანი მისვლა-მოსვლა და ხმაური.

იქვე, სადაც კაშხალი შენდება, აშენებენ ცემენტის ქარხანას, ვინაიდან კაშხალის მშენებლობისათვის უზარმაზარი რაოდენობის ცემენტია საჭირო. მაგრამ ვერც ეს ქარხანა დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამიტომ ზუგდიდიდან ჯვრისაკენ ვაჭყავთ რკინიგზა. დღედაღამ არ წყდება მუშაობა.

ამ ლიანდაგზე ივლის მატარებელი, იგი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოიტანს უმაღლესი ხარისხის ცემენტს.

ოთხი წელია გუგუნებენ ექსკავატორები, თვითმცლელები, მძიმე ტვირთს ეზიდებიან ამწეები, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია მომავალი გრანდიოზული მშენებლობისა.

მატერიალური სარგებლობის გარდა, ენგურტვისი განუმეორებელ სილამაზესაც მოგვიტანს. ენგურის დაგუბების შემდეგ წარმოიქმნება ტბა, სევანის ტბაზე უფრო ღრმა. სილამაზით იგი არც მთებზე შემოჯარულ რიცას ჩამოუეარდება. ეს კი ხელსაყრელ პირო-

კარლო კობერიძე

გმირული შრომის დღეები

ბებს შექმნის, რომ ეს კუთხე საკურორტო მხარედ გადაიქცეს.

დღედაღამ ხმაურობს ჯვარი, დღედაღამ ისმის ლალუმების ხმა.

კეთილმოწყობილი დაბაა ჯვარი.

ჯვარში დგას უზარმაზარი კაკლის ხე. ამაყად გაუშლია მხრები და შრიანებს. ამ კაკლის ხეზე ჯვარში ლეგენდად დადის ნამდვილი ამბავი, მართლაცდა სასიამოვნო ამბავი, რომელიც ჩვენი არქიტექტორების, ინჟინრებისა და მუშების დიდ სიყვარულზე მიგვიითითებს, მიგვითითებს ჩვენი წარსულის, სახელგანთქმული წინაპრების ხსოვნისადმი პატივისცემაზე. ეს მოხდა ამ რამდენიმე წლის წინათ:

ჯვარის გაშენების პროექტი დამტკიცდა. ჯვარში ამოვიდნენ მუშები, მოიტანეს საშენი მასალა. ბულღოზერებმა, ამწეებმა მუშაობა დაიწყეს და ამ დროს აღმოჩნდა, რომ უნდა მოჭრან უზარმაზარი კაკლის ხე, ძალიან შორიდან რომ ჩანს. შეყოყმანდნენ მუშები, დაბლა დაუშვეს ნაჯახები და ახედეს კაკლის ხეს. ვინ იცის,

რამდენი რამის მომსწრეა, რამდენი წელი დასჭირდა, რომ ასე ამაყად გაეშალა მხრები. მისი წაქცევა კი დაიწყო და წუთის საქმე იყო.

მაშინ მშენებლებმა სხვა მხრიდან დაიწყეს დაბის მშენებლობა. რა თქმა უნდა, ინჟინრებიც დაეთანხმნენ ამ გადაწყვეტილებას.

ის მიდამო, სადაც კაკლის ხე დგას, ეკუთვნოდა დავით დადიანს. დადიანს ჯვარში რამდენჯერმე ესტუმრა ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი. ამ კაკლის ქვეშ ახლაც დევს ქვა, რომელზედაც აკაკი მჯდარა.

ბევრი რამის მომსწრეა უზარმაზარი კაკლის ხე...

და ახლა კი უნდა მოჭრან.

არაო, თქვეს მუშებმა და ინჟინრებიც დაეთანხმნენ და შეცვალეს მშენებლობის პროექტი.

ასე გადარჩა ბევრის მომსწრე და მნახველი კაკლის ხე.

დაღლილი მუშები ისვენებენ მის ჩრდილში და ისმენენ კაკლის ხის ფოთლების შრიალს, როგორც სამადლო ბელს.

საბავშვო სხვაობა

„ენგურკაშხალმშენის“ მთავარი ინჟინერი ნოდარ ემხვარი ახალგაზრდაა, მაგრამ მას უკვე დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ამიტომ იყო, რომ მის კანდიდატურას მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. ნოდარს თავის თავზე, თავის საქმეებზე ლაპარაკი არ ეხერხება. იძულებული ვართ, მუშებს ვკითხოთ. ისინი კი ამბობენ, ნოდარ ემხვარი ერთ-ერთი საუკეთესო ინჟინერია, თავმდაბალი და გულისხმიერიო; ეს კი ყველაფერს ნიშნავს.

ნოდარ ემხვარი მოწინავე მშენებელთა შორის უპირველესად ასახელებს „ენგურკაშხალმშენის“ სამმართველოს მთავარ მარკშიდერს მიხეილ კერესელიძეს, უფროს ოსტატ გიორგი გრიგოლის, მეხუთე უბნის გამჟოლი ბრი-

გადის ბრიგადირს გივი მკერვალიშვილს და ბევრ სხვას.

მიხეილ კერესელიძემ 1961 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა.

პირველად უბნის მარკშიდერად დაიწყო მუშაობა. მაშინვე დიდი და პასუხსაგები საქმის გაკეთება მიანდეს. ეს იყო 520 მეტრის სიგრძის გვირაბის გაყვანა. მანამდე თეორიულად თუ გაუყვანია გვირაბი ქალაქზე და ახლა, როცა ოცნებას ფრთები შეეხსა, ცოტა არ იყოს, შედრკა. ახალგაზრდა ინჟინერი.

საქმე მაინც თავისას ითხოვდა. დაიწყო უძილო ღამეები. უმნიშვნელო წვრილმანსაც კი გულმოდგინედ უკირკიტებდა, ასჯერ ზომავდა და ერთხელ

სკრიდა. მისი შერცხვენა, მარტო მისი კი არა, აღმზრდელი მასწავლებლების, მშობლიური ინსტიტუტის შერცხვენაც იყო. ეს ძალიან კარგად იცოდა მიხეილმა.

სწორედ აქ გამოადგა ის დიდი, ბეჯითი სწავლა, ინსტიტუტის კედლებში რომ მიიღო.

გვირაბი გაპყავდათ ორივე მხრიდან. ადრე ნავარაუდევ დღეს, გარკვეულ ადგილას მშენებლები ერთმანეთს შეხვდნენ. გვირაბის გაყვანა დამთავრდა! მათს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შეხვდნენ და შემდეგ მოხდა, რაც მოხდა. გვირაბების შეხვედრის, შეერთების წერტილმა სხვაობა მხოლოდ 8 მილიმეტრი უჩვენა, ე. ი. 8 მილიმეტრით ასცდნენ ერთმანეთს.

ეს ამბავი ყველამ გაიგო. გაცდნენ: ნუთუ მართლა 8 მილიმეტრი? ეს ხომ უმნიშვნელოა, შეამოწმეს რამდენჯერმე და რვა მაინც რვად დარჩა. ასეთი რამ იშვიათია გვირაბების მშენებლობის მსოფლიო პრაქტიკაში. მიზეზიც ეს გახდა, რომ მიხეილი სულ მალე დააწინაურეს მთავარ მარკშიდერის თანამდებობაზე.

ძირითად გვირაბს 16 კილომეტრი სიგრძე ექნება და სიგრძით პირველი იქნება საქართველოში. ეამაყება მიხეილს, საამაყო და ეამაყება.

როცა ენგურჰესის მშენებლობის რომელიმე ობიექტისკენ მიდიხართ, გზის ორივე მხარეს შეხვდებით სტენდებს. იმ სტენდებზე წაიკითხავთ: „ენგურჰესი კომკავშირული მშენებლო-

ბაა!“ ეს რომ მართლა ასეა, მაშინ დარწმუნდებით, როცა ობიექტებზე მიხვალთ და ნახავთ მუშებს, ინჟინრებს. ყველას, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეს ემსახურება. აქ შეხვდებით 17 ეროვნების წარმომადგენელს. თავამოდებით შრომობენ: ოსი სერგო თედევცი, ბერძენი ვასილ ალმაზოვი, რუსი იური რიჟაკოვი, სომეხი გრიგორ ავაჯანოვი, უკრაინელი ლიდა უსატიუკი და კიდევ მრავალი სხვა.

მიხეილ კერესელიძე გვირაბში შეგვხვდა. მივულოცეთ წარმატება, მერე ისევ იმ რვა მილიმეტრზე ჩამოვუვადეთ სიტყვა:

— რვა მილიმეტრი, — თქვა მიხეილმა, — რვა მილიმეტრი თითქოს არაფერს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ნიშნავს.

— მაინც რას ნიშნავს? — ვკითხეთ.

— მაინც სხვაობას ნიშნავს, — გაიღიმა.

— აი, ეს არის რვა მილიმეტრი, — ასანთის ღეროთი გვიჩვენებს გვირაბგამყვანი გიორგი ხეცურიანი. დავინტერესდით:

— ვინ გაზომა მერე?

— ხელსაწყომ, — გვიბასუხა, — ხელსაწყოს ვერაფერს გამოაპარებ.

გვირაბის კედლებს აბეტონებენ. წინ მიიწევენ გვირაბი: ორივე მხრიდან უტევენ მუშები. ნავარაუდევ დღეს, ნავარაუდევ ადგილას ერთმანეთს შეხვდებიან ორივე მხრიდან მომავალი მუშები.

ვუსურვებთ მიხეილ კერესელიძეს გაემეორებინოს თავისი „შეცდომა“.

საპატიოსნების გზიყვანა და სინამდვილე

დღეს ყველამ იცის, რომ ენგურჰესის კაშხალი მსოფლიოში პირველი კაშხალი იქნება თავისი სირთულით. ამიტომაც არის, რომ ასეთი გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს მთელ მშენებლობაზე.

მეოთხე უზნის კომკავშირულ ბრიგადას ანზორ ჯორჯიკია ხელმძღვანე-

ლობს. მის ბრიგადაში 15 კომკავშირელია. ერთმანეთზე უფრო მუყაითი და შრომასმოწყურებული ახალგაზრდები არიან. ანზორ ჯორჯიკიას ბრიგადას სოცშეჯიბრში გამოწვეული ჰყავს მე-

კარლო კობერიძე
გმირული შრომის დღეები

საქმე კომკავშირული ბრიგადა. მართალია, ხან ერთი იმარჯვებს, ხან მეორე, მაგრამ ისიც მართალია, რომ ჯერჯერობით ამ შეჯიბრების შედეგები საყაიშოა. ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიმარჯვებს.

მშენებლები ტრანსპორტის ნაკლოვანებას განიცდიდნენ. ეს საყვედური მხოლოდ ერთხელ ითქვა და... ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა დახმარება აღუთქვა მუშებს. სიტყვა და საქმე ერთი იყო — მშენებლებმა მიიღეს მანქანები. ადრე თუ რამდენიმე კილომეტრი ფეხით უნდა გაეცლოთ მშენებლებს, ახლა ავტობუსი პირდაპირ გვირახში შედის, მიჰყავს და მოჰყავს მუშები. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ამხანაგმა ვასილ მკავანაძემ მუშებთან და მშენებლობის ხელმძღვანელებთან საუბარში განაცხადა, რომ დასავლეთელი სკეპტიკოსები ამტკიცებენ, ისეთი რთული ნაგებობის აშენებას, რო-

გორიც ენგურჭესის მშენებლობაა, საბჭოთა კავშირში ვერ შეძლებენ. ენგურჭესის სამშენებლო უბნის უფროსმა ვლადიმერ ჭარბაძემ თქვა:

— საქმე არა აქვთ და ლაპარაკობენ.

— ილაპარაკონ, — ჩაერია მსგრეველი ალექსი მკერვალიშვილი, — ლაპარაკს ვინ უშლით, მაგრამ ჩამობრძანდნენ აქ და თავიანთი თვლით ნახონ, რისი ვაკეთება შეეძელით ამ მცირე დროში.

მშენებელთა წინაშე ქედს იხრიან ზვიადი მთები. აქაფებული ენგური უზარმაზარ ლოდებს მოაგორებს. მაგრამ გაივლის თითზე ჩამოსათვლელი თვეები და იგი გადასაშვები გვირახისკენ აიღებს გეზს. მაშინ ენგური პირველად დათმობს საუკუნეების მანძილზე გაკვალულ კალაპოტს. მისი ძალა, მისი ენერგია გადაეცემა მავთულებს, რომლებსაც მიწისქვეშ აშენებული ელსადგური მოამარაგებს. ის მავთულები სინათლეს მოჰფენენ მიწას, ჩვენს სამშობლო მიწას.





ნიკოლოზ ჯაფი

გმირი ქალაქი

„როცა სევასტოპოლში ხართ, შეუძლებელია თქვენს სულს არ დაეუფლოს სიამაყის, სიამაყის გრძნობა და ძარღვებში სისხლი არ ავიჩქროლდეთ...“

ლევ ტოლსტოი

ადგილი, სადაც ქალაქი სევასტოპოლია გაშენებული, დასახლებული იყო უხსოვარი დროიდან. მე-6 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, აქ აღმოცენდა ბერძნული კოლონია ხერსონესის სახელწოდებით. როგორც სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი, ხერსონესი, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ცნობილი იყო რუსებისათვის კორსუნის სახელით. მონღოლთა შემოსევის შედეგად ქალაქი განადგურდა და მისგან ნანგრევებიც დარჩა.

1783 წელს თათრული დაბის — ახტიარის ადგილზე, ეკატერინე II ბრძანებით დაარსდა ნავსადგური, მას სევასტოპოლი უწოდეს, რაც ბერძნულად „დიდებულ ქალაქს“ ნიშნავს. 1797 წელს პავლე I ქალაქს ძველი სახელი აღუდგინა, მაგრამ მეფის სიკვდილის შემდეგ ისევ სევასტოპოლი დაერქვა. 1804 წლიდან სევასტოპოლი შავი ზღვის ფლოტის მთავარი ნავსადგური გახდა.

მე-18 საუკუნის ბოლოს რუსეთი მტკიცედ იკიდებს ფეხს შავი ზღვის სანაპიროზე. შავი ზღვის ფლოტის მთავარი ბაზა — სევასტოპოლი სწრაფად ვითარდება ადმირალ უშაკოვის დაუცხრომელი მზრუნველობით.

1809 წელს სევასტოპოლი ოფიციალურად გამოცხადდა სამხედრო სიმაგრედ და იმ დროისათვის უმნიშვნელოვანეს სამხედრო-საზღვაო ბაზად იქცა. მაგრამ სევასტოპოლის თავდაცვითი ნაგებობანი ქალაქს უმთავრესად ზღვიდან იცავდნენ. ყირიმის ომის დაწყებამდე სევასტოპოლში უკვე 45 ათასი მცხოვრები იყო.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შავი ღრუბლებით დაიფარა რუსეთის პოლიტიკური ჰორიზონტი. დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. სევასტოპოლს ყოველ წუთს საფრთხე ემუქებოდა, სულ უფრო და უფრო ნათე-

ლი ხდებოდა, რომ სწორედ ყირიმის სამხრეთ ნაწილში, სევასტოპოლში, გაიმართებოდა გადამწყვეტი შეტაკება რუსეთსა და მის მოწინააღმდეგე ბანაკს (საფრანგეთი, ინგლისი, თურქეთი) შორის.

349 დღე და დამე გაგრძელდა სევასტოპოლის პირველი დაცვა 1854-55 წლებში. განსაკუთრებით დიდი როლი ქალაქის დაცვის საქმეში შეასრულეს გამოჩენილმა რუსმა აღმირალებმა: კორნილოვმა, ნახიმოვმა, ისტომინმა; სამხედრო ინჟინერმა ტოტლებენმა; მეზღვაურებმა: კოშკამ, შევჩენკომ, სამოკაოვმა და ათასობით სხვამ.

მეფის მთავრობის უნიჭო მოქმედებით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ეს გმირი ადამიანები, მეზღვაურებთან და მეზღვაურებთან ერთად, ჰქმნიდნენ სევასტოპოლის დიად ეპოპეას. ამ გმირული დაცვის წინაშე მკრთალად გამოიყურება ისტორიაში მანამდე ცნობილი თითქმის ყველა დაცვა. დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილებმა ჰქმნიდნენ ისტორიული სასწაული შოახდინეს. დამარცხებულმა მტერმა სევასტოპოლს „რუსეთის ტროადა“ უწოდა. ეს იყო სევასტოპოლის პირველი გმირული დაცვა.

ომმა თითქმის მთლიანად დაანგრია სევასტოპოლი. ქალაქში სულ 14 შენობა გადაჩრა. ლოზოვია-სევასტოპოლის რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქალაქის სწრაფი აღმავლობა დაიწყო. აღადგინეს ომის დროს დანგრეული ყველა სიმაგრე.

გასული საუკუნის 70-იან წლებში სევასტოპოლში დაარსდა ნაროდოვოლცების პირველი წრეები. მათ სოფია პეროვსკია ხელმძღვანელობდა. 90-იანი წლების მიწურულში აქ ჩამოყალიბდა მარქსისტული წრეები, 1902 წელს კი დაარსდა რსდმპ სევასტოპოლის მუშათა კავშირი.

სამოცი წლის წინათ, ისევე როგორც მთელ რუსეთს, სევასტოპოლსაც მოედო მღელვარებათა და რევოლუციური

გამოსვლათა ძლიერი ტალღა; ნოემბერში მოეწყო გაფიცვა, მღელვარება მოიცვა ხომალდები და გარნიზონის ნაწილები, შეიქმნა მუშათა დემოკრატიული დეპუტატების საბჭო, იგი სათავეში ჩაუდგა რევოლუციურ მოძრაობას. გაფიცვამ შავი ზღვის ფლოტში საყოველთაო ხასიათი მიიღო და 1905 წელს სევასტოპოლის ცნობილ აჯანყებად იქცა.

ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდა ლეიტენანტი პეტრე პეტრეს ძე შმიდტი. ხალხმა მას „წითელი ლეიტენანტი“ უწოდა.

1905 წლის ნოემბერში შავი ზღვის მთელი ფლოტი აჯანყების ქარცეცხლში გაეხვია. პეტრე შმიდტი სევასტოპოლის მუშებმა და მეზღვაურებმა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიცნეს და შეიყვარეს, როცა მან წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა და ფიცი ოქტომბრის დღეების მსხვერპლთა საფლავზე. 27 ნოემბერს კრეისერ „ოჩაკოვის“ ანძახე აფრიალდა წითელი დროშა და ლეიტენანტმა შმიდტმა ჩაიბარა აჯანყებულ ფლოტის მეთაურობა. აჯანყება სულ რამდენიმე დღე გაგრძელდა. მეფის მთავრობამ იგი ჩვეული სისასტიკით სისხლში ჩაახრჩო. 400-მდე რევოლუციონერი მეზღვაური და მეთაური სამართალში მისცეს. 1906 წლის 5 მარტს სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ლეიტენანტ შმიდტსა და მეზღვაურებს — ჩისტინკს, ანტონენკოს და გლადკოვს. 20 მარტს კუნძულ ბერგზანზე ოთხივე მეთაური დახვრიტეს. მრავალი მეზღვაური და ჯარისკაცი გადაასახლეს, ან ციხეში ჩასვეს. ისევე როგორც სასამართლოში, დახვრეტის წინაც ლეიტენანტ შმიდტსა და მის სამ თანამებრძოლს მამაცურად ეჭირათ თავი. „მე მხოლოდ ბედნიერება და სიკეთე მსურდა ხალხისათვის. მინდოდა, მომეპოვებინა მისთვის მიწა, მოვიპოვე კი მხოლოდ სიკვდილი ამ უდაბნო კუნძულზე!“ — ეს იყო შმიდტის უკანასკნელი სიტყვები.

1918 წლის აპრილში გერმანელმა

ოკუპანტებმა დაიკავეს ჯანყოი და სევასტოპოლისკენ გაიჭრნენ. 1 მაისს ფაშისტებმა ქალაქი აიღეს. ავსტრიელი და გერმანელი დამპყრობლების ბატონობა ქალაქში შვიდი თვე გაგრძელდა. 25 ნოემბერს სევასტოპოლს მიაღდა უცხოელი ინტერვენტების ესკადრა და ქალაქს საფრანგეთის ჯარები დაეპატრონენ. იატაქვეშეთის მძიმე პირობებში ბოლშევიკური ორგანიზაციები რევოლუციურ პრობანდას ეწოდნენ ფრანგ ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს შორის. 1919 წლის 15 აპრილს სევასტოპოლს საბჭოთა არმიის ნაწილები მიუახლოვდნენ. ფრანგმა მეზღვაურებმა თავიანთ გემებზე წითელი აღმები აღმართეს და უარი განაცხადეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ფრანგული ჯარების მთავარსარდლობა იძულებული გახდა თავისი ნაწილები ქალაქიდან გამოეყვანა. 30 აპრილს საბჭოთა არმია სევასტოპოლში შევიდა.

1919 წლის ზაფხულზე სევასტოპოლი დროებით დაიკავეს დენიკინელებმა. 1920 წლის 4 აპრილს ქალაქში ფეხი მოიკიდა გენერალმა ვრანგელმა. ამავე წლის ზაფხულზე, ვრანგელის შეტევის დროს, სევასტოპოლის მახლობლად დაიწყო პარტიზანული მოძრაობა. მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ი. დ. პაპანიანი.

შემოდგომაზე საბჭოთა არმიის ნაწილებმა, გამოჩენილი მთავარსარდლის მ. ვ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით, იერიშით აიღეს პერეკოპი და ჩონგარი. ვრანგელის არმია ზღვაში გადაისროლეს. 1920 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა ჯარებმა სევასტოპოლი გაანთავისუფლეს.

სევასტოპოლი თვალწარმტაცადაა განლაგებული გორაკების ფერდობებზე. ქალაქი და მისი გარეუბნები განთქმულია ისტორიული ძეგლებით: დიდი პოპულარობით სარგებლობს „სევასტოპოლის დაცვის პანორამა“. იგი ასახავს ქალაქის გმირულ ბრძოლას 1854-55 წლებში; სევასტოპოლის მიდამოებშია მალახოვის ყორღანი, ქალა-

ქის გმირ დამცველ ძმათა სასაფლაო, იმდროინდელ სიმაგრეთა ნანგრევები.

სევასტოპოლიდან 3 კმ. დაშორებით არის ძველი ქალაქის — ხერსონესის ნანგრევები, 7 კმ. დაშორებით კი უძველესი ქალაქი ინკერმანი მდებარეობს.

ყოველი სევასტოპოლისათვის ძვირფასია „წითელი ლეიტენანტის“ შმიდტისა და მისი სამი თანამებრძოლის სამარე. შმიდტი სიამაყით თვლიდა თავის თავს სევასტოპოლის მუშების დეუტატად. მან პირველმა აღმართა რუსეთის ფლოტის რევოლუციური დროშა და ბოლომდე ხალხის ერთგული დარჩა. 1922 წელს სევასტოპოლულებმა კლდეზე ამოკვეთეს შმიდტის ფიცის სიტყვები. იქვე ჩაასვეს ზომალდის ნამღვილი ღუზა და მასზე აღმართეს თუნუქის ფლაგმტოკი წითელი ალმით. ასე შეიქმნა „წითელი ლეიტენანტის“ ძეგლი. ოცი წლის შემდეგ ფაშისტმა ავაზაკებმა წაბილწეს ეს წმიდათა წმიდა ადგილი. ჰიტლერელებმა ააფეთქეს შმიდტის ძეგლი, ნაკუწ-ნაკუწად აქციეს თუნუქის კუბოები, გაანადგურეს ბარელიეფი კრეისერ „ოჩაკოვის“ გამოსახულებით, ხოლო ძეგლის მახლობლად ბლინდაჟი მოაწყეს.

სევასტოპოლის განთავისუფლების პირველსავე დღეს საბჭოთა მეზღვაურები მოვიდნენ კომუნარების საფლავთან, დამარხეს გმირთა ნეშტები, აღმართეს ძეგლის ლოდები; ერთ-ერთ გაბზარულ ქვაზე შავად მოჩანდა წარწერა: „ლეიტ... პ. შმ...“.

1946 წლის მარტში, ოჩაკოველთა დახვერტიდან ორმოცი წლის შემდეგ, სევასტოპოლის მშრომელებმა გმირთა საფლავებზე ხელახლა ააგეს „წითელი ლეიტენანტისა“ და მისი თანამებრძოლების ძეგლი.

კაცობრიობის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება სევასტოპოლის ლეგენდარული თავდაცვა დიდი სამამულო ომის დროს. სევასტოპოლი ხომ დიდების

ნიკოლოზ ჯაში
გმირი ქალაქი

ქალაქს ნიშნავს და დედამიწის ზურგზე ალბათ ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ქალაქი, რომლის სახელწოდება ასე ზუსტად გადმოსცემდეს მისი ისტორიის შინაარსს. 250 დღე და ღამე გმირული საბჭოთა არმიის ნაწილები მსოფლიოს ყველა ომის ისტორიაში უმაგალითო მამაცობით და სიმტკიცით იცავდნენ საზღვაო სიმაგრეს. სევასტოპოლი თავგანწირულად იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მან სასწაული მოახდინა. 250 დღე და ღამე წიოდნენ ტყვიები, ფეთქებოდნენ ნაღმები, სკდებოდნენ ბომბები. ბობოქრობდა სასტიკი ომი, გამუდმებით ღელავდა შავი ზღვა, ქალაქი კი უკუღავი სულით ცოცხლობდა და გმირულად იბრძოდა. მიწისქვეშა თავშესაფრებში შეუქსენებლივ მუშაობდნენ დაზგები, ღრჭილით ესობოდა საჭრისი ლითონს... სევასტოპოლის მშრომელები, კომუნისტები, კომკავშირელები და ახალგაზრდები იარაღს უმზადებდნენ ქალაქის დამცველებს.

მთელი მსოფლიო თვალყურს ადევნებდა სევასტოპოლის გმირულ დაცვას. ქალაქის დამცველები აღმაფრთოვანებულ მისალმებებს იღებდნენ კუნძულ მალტიდან და ჩვენი მოკავშირეების სხვა გარნიზონებიდან. მტრის ჯარები ერთი ზუთად აღემატებოდნენ ჩვენს ჯარებს, მაგრამ საბჭოთა მეომრები ფაშისტებს სძლევდნენ არა რიცხობრივი უპირატესობით, არამედ მოხერხებით, გასაკეცებელი, ჯერ უნახავი გმირობით, პარტიისადმი, დედა-სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებით. სევასტოპოლის დამცველთა ფოლადისებურმა სიმტკიცემ უმთავრესი როლი ითამაშა გერმანელების ყბადღებულის „საგაზაფხულო შეტევის“ ჩაშლაში 1942 წელს.

სევასტოპოლის დაცვა წითელი არმიის ნაწილების შავი ზღვის ფლოტთან, მის სანაპირო არტილერიასთან, ზომალდებთან, ზურგის ნაწილებთან გონივრული ურთიერთმოქმედების საუცხოო ნიმუშია. წითელი არმიის ნაწილები, შავი ზღვის ფლოტთან ერთად,

1942 წლის 30 ოქტომბრიდან 1942 წლის 3 ივლისამდე გმირულად იცავდნენ საბჭოთა მიწის ყოველ მეტრს სევასტოპოლის დაცვაში დიდი როლი ითამაშა სახომალდო არტილერიამ.

მტრის პირველი (ოქტომბრის) და მეორე (დეკემბრის) შეტევები უკუაგდეს ჩვენი ზომალდების ძლიერი საარტილერიო დარტყმების აქტიური დახმარებით. გერმანელების მესამე, უკანასკნელ შემოტევაში ჩვენმა ზომალდებმა ველარ შეძლეს მთელი სიმძლავრით დახმარებოდნენ გარნიზონის დამცველებს.

სევასტოპოლის იერიშის სამზადისში გერმანელებმა ქალაქის მისადგომებთან აურაცხელ ძალებს მოუყარეს თავი. ამ ძალებით მტერს ქალაქის 3 დღეში ალბა ჰქონდა განზრახული.

დღე-ღამეში 15-20 შეტევას იგერიებდნენ სევასტოპოლელები. ივნისის მარტო პირველი სამი დღის განმავლობაში შავი ზღვის მამაცმა მეზღვაურებმა და ზღვისპირეთის არმიის ჯარისკაცებმა გაანადგურეს 22-ე, 50-ე და სხვ. გერმანული დივიზიები. 50-ე გერმანულ დივიზიაში კი ჯარისკაცთა რიცხვი 2 პოლკს არ აღემატებოდა.

ასეთი დიდი დანაკლისის გამო გერმანულ ფაშისტთა მთავარსარდლობამ უკვე მეხუთე დღეს ყირიმის სამხრეთ სანაპიროდან გადმოიყვანა მე-4 რუმინული დივიზია და ქერჩის ნახევარკუნძულზე მყოფ 46-ე გერმანული დივიზიიდან გადარჩენილი 2 პოლკი. გარდა ამისა, სევასტოპოლთან მტრებმა თავი მოუყარეს 97-ე დივიზიის პოლკს სამხრეთ ფრონტიდან, 125-ე და 213-ე დივიზიების პოლკებს, აგრეთვე მრავალ სამარშო შეესებას.

მეორე კვირის დასაწყისში ფაშისტებმა ბრძოლაში მთლიანად ჩააბეს 22-ე სატანკო დივიზია და მე-8 გაძლიერებული საჰაერო კორპუსი. პირველ დეკადაში 200-მდე თვითმფრინავი დაჰკარგეს.

1942 წლის 20 მაისს გერმანელები შეუდგნენ შეტევის საავიაციო მომზადებას. 2-დან 7 ივნისამდე მტერმა სე-

გასტროპოლის საპაერო იერიში დაიწყო. ყოველდღე 2.500-დან 6.000-მდე ბომბს აყრიდნენ ქალაქს. სულ ერთი თვის საავიაციო იერიშის განმავლობაში მტერმა 25.000-მდე თვითმფრინავ-გადრენა მოაწყო და 100 კგ. და მეტი წონის 125.000 ბომბი ჩამოაგდო. ამავე დროისათვის გერმანელებმა ქალაქთან მოზიდეს საალყო არტილერია (24 დიუმიანი არტილერიის ჩათვლით). საავიაციოსაარტილერიო იერიშის მხოლოდ პირველი ორი დღის განმავლობაში (1942 წლის 2-3 ივნისი) მტერმა სევისტროპოლში 37.000-მდე ვაზნა გაისროლა.

10 ივნისს გერმანელები არა თუ შევიდნენ სევისტროპოლში, არამედ ერთი ნაბიჯითაც არ წაუწევიან წინ საწყისი პოზიციებიდან... 15 ივნისისთვის გერმანელებმა დაკარგეს თავიანთი დივიზიების ნახევარზე მეტი. სასწაულოქმედით ქალაქის გარნიზონმა ბოლომდე მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. იერიშის უკანასკნელი 25 დღის განმავლობაში მტერს გამოაკლდა 150.000-მდე კაცი, მათგან 60.000 დაიღუპა.

1942 წლის 3 ივლისს, საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით, ჩვენმა ჯარებმა დატოვეს სევისტროპოლი. მტერი ქალაქში თავიანთი გვამების მთებზე გადავლით შევიდა. ძვირად დაუჯდათ ფაშისტებს სევისტროპოლი. მტერმა 300.000-მდე გვამით მოჰფინა სევისტროპოლისა და ყირიმის მიწები. თუმცა ჩვენ დავტოვეთ სევისტროპოლი, მაგრამ საბოლოოდ მაინც გავიმარჯვეთ ამ უმაგალითო ბრძოლაში. სევისტროპოლის ეპოპეაში მამაცობისა და გამბრბობის აურაცხელი მაგალითია. ქალაქის ყველა დამცველი უმაგალითო გამბრბობას იჩენდა. განსაკუთრებით დიდია შავი ზღვის ფლოტელთა წვლილი.

მტერი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ხელში ჩაეგდო მნიშვნელოვანი მადლობი და იქიდან ქალაქში შეჭრილიყო. დამით ბლინდაჟში მოიწვიეს ნაწილის კომკავშირული კრება. ფრონ-

ტის ამ ნაწილის გამბრბა დამცველებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს:

„ჩვენ მშობლიურ ქალაქს, ^{სევისტროპოლი} ^{სამშობლოს} ზღვის მთავარ ბაზას, ყველა ჩვენგანს სიკვდილის საშიშროება ემუქრება. მტერი, როგორც გაღიზიანებული მწყეცი, ლამობს ჩვენს საყვარელ სევისტროპოლში შეჭრას. ფიცს ვდებთ სამშობლოსა და მშობლიური პარტიის წინაშე: 1. არ დავიხიოთ უკან არც ერთი ნაბიჯით. 2. არავითარ შემთხვევაში არ დავნებდეთ ტყვედ. 3. ვებრძოლოთ მტერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. 4. ბოლომდე ვიყოთ გამბედავნი და მამაცინი, მთელს პირად ნაწილს ვუჩვენოთ მამაცობისა და გამბრბობის მაგალითი!“

ეს სიტყვები რამდენიმე ცალად გადაწერეს და მეზღვაურებმა იგი ყველა ძელმიწურში, სანგარსა და საცეცხლე წერტილში მიიტანეს. მებრძოლები კითხულობდნენ და ხელს აწერდნენ. ფიცს ხელი მოაწერა მე-11 საცეცხლე წერტიის შვიდმა კომკავშირელმა მეზღვაურმა. მეორე ღამეს მტერი იერიშზე გადმოვიდა.

პატარა სიმაგრეს ეს შვიდი კომკავშირელი მეზღვაური იცავდა და მტრის პატალიონის გააფთრებულ იერიშებს იგერიებდა. გერმანელები შეტევას აძლიერებდნენ. მტრის თვითმფრინავები განუწყვეტილად უშენდნენ ყუმბარებს საცეცხლე წერტილს. პატარა სიმაგრის დამცველები მტრის ქარბ ძალებთან ბრძოლაში ერთი წუთითაც არ შემდრკალან. აი, მწყობრიდან გამოვიდა მეთური სერგო რაენკო და ორი მებრძოლი. დარჩენილი მთხი გამირი—ალექსი კალიუჟნი, ვასილ მოუდრიკი, ივანე ჩეტკერტაკოვი და გრიგოლ დოლია სისხლისაგან იცლებოდნენ, მაგრამ მტერს წინსვლის საშუალებას მაინც არ აძლევდნენ. შვიდივე გამბრბულად დაეცა და სიმაგრე მტერს არ დაანებეს. საცეცხლე წერტიის დამცველებმა ორასამდე ჰიტლერელი გამოასალმეს სიცოცხლეს.

გათენებისას ამ უბანზე ჩვენი მებრ-

ნიკოლოზ ჯაში
გამირი ქალაქი

ძოლები გამოჩნდნენ და ერთ-ერთი მეომრის ცხედართან ასეთი შინაარსის წერილი ნახეს:

„სამშობლოვ ჩემო, მიწვე რუსეთისა! მე, ლენინური კომკავშირის შვილი, მისი აღზრდილი, ვიბრძოდი ისე, როგორც გული მიკარნახებდა, ვანადგურებდი ფაშისტებს, მანამ მკერდში გული ფეთქებდა. მე ვკვდები, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. მეზღვაურებო, შავზღველებო! იბრძოლეთ მედგრად, ანადგურეთ ფაშისტი ცოფიანი ძალები. მებრძოლის ფიცი მე შევასრულე! კალიუჟნი“.

ღიახ, მათ შეასრულეს სამშობლოსადმი მიცემული წმინდა ფიცი. თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე პირნათლად შეასრულა თვითუღმა სევასტოპოლელმა.

სევასტოპოლელთა რიგებში მამაცურად იბრძოდა მრავალი ქართველი ვაჟკაცი. საშუალოდ დარჩება ხალხის ხსოვნაში გმირი შევარდენის, საბჭოთა კავშირის გმირის, მაიორ ალექსანდრე წურჭუმიას სახელი. იგი პირველი ქართველი იყო, ომის დაწყებიდანვე რომ გაითქვა სახელი მტერთან ბრძოლაში. ქართველი ხალხის საამყო შვილები — მაიორი შალვა ლუბანიძე, კაპიტანი გიორგი ჯაბაღარი და სხვები რისხვად ევლინებოდნენ ფაშისტ არაშაღებს სევასტოპოლსა და ოდესაში, პლოეშტსა და კონსტანციაში, ანადგურებდნენ შავ ზღვაზე მოთარეშე მეკობრეებს.

დაუვიწყარია საბჭოთა კავშირის გმირის, საზღვაო ქვეითი ჯარის მეთაურის, მაიორ არკადი გეგეშიძის ლეგენდარული ბრძოლა სევასტოპოლისათვის. იგი მებრძოლთა მცირე ჯგუფით მტრის სამ პოლკს შეებრძოლა და გაიმარჯვა.

საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ მამაცი ფლოტელები — მე-2 რანგის წყალქვეშელი კაპიტანი იაროსლავ იოსელიანი, მეკატარლენი—უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე კაპანაძე და კონსტანტინე კოჩიევი, საზღვაო მფრინავი, გვარდიის მაიორი ალექსანდრე

გურგენიძე, მედეასანტე რაქდენციცი.

სევასტოპოლში გაბედულად მებრძოდა საბჭოთა სნაიპერთა მთელი პლეადა. მრავალმა მათგანმა მოკლე დროში ასობით ჰიტლერელი მოსპო. ზუსტი სროლის ოსტატებს — ლუდმილა პავლიჩენკოს, ნოე ადამიასა და მრავალ სხვას კარგად იცნობდნენ სევასტოპოლის გმირი დამცველები. ჩვენმა სნაიპერებმა გაანადგურეს 10 ათასამდე ჰიტლერელი, ე. ი. მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის თითქმის მთელი დივიზია. 1942 წლის 16 მარტს სევასტოპოლში სნაიპერთა შეკრება გაიმართა. შეკრების მრავალ მონაწილეთა შორის იყო ცნობილი სნაიპერი, საზღვაო ჯარის ზემდეგი, მეშვიდე ბრიგადის ოცეულის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, ქართველი ხალხის საამყო შვილი ნოე ადამია.

არაჩვეულებრივი სიმამაცე, საბრძოლო თავგამოდება, მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილი — აი, მზიური საქართველოს ამ სახელოვანი შვილის დამახასიათებელი თვისებები. ნოე ადამიამ ერთ-ერთ ბრძოლაში 50 გერმანელი მოჰკლა, ექვსი დღის განმავლობაში კი 200 ჰიტლერელი გამოასალმა სიცოცხლეს, მოსპო მტრის ორი ტანკი, ზუსტი სროლის ხელოვნება შეასწავლა 70 საბჭოთა მეომარს. ნოე ადამია შიშის ზარს სცემდა მტერს. ერთხელ მას ალყა შემოარტყა ჰიტლერელთა თერთმეტმა მეთვრამეტემ, მაგრამ გულადმა მეზღვაურმა თითქმის ყველა გაანადგურა და თავი დააღწია მტრის გარემოცვას.

უმაგალითო გმირობა გამოიჩინა სნაიპერმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ლუდმილა პავლიჩენკომ. მან 309 ჰიტლერელი გაანადგურა. იგი იცავდა ოდესას, მან სახელი გაითქვა სევასტოპოლთანაც.

...პატარა სატელეფონო სადგურისკენ გაიჭრა 60 გერმანელი ჯარისკაცი ორი ქვემეხით. სადგურში სულ 13 კაცი იყო: ერთი ტელეფონისტი ქალიშვი-

ლი და 12 წითელფლოტელი. ტელეფონისტმა ქალმა არ მიატოვა პოსტი. „გადაცემთ ჩვენებს! — მშვიდად ატყობინებდა იგი ცენტრალურ სატელეფონო სადგურს, — რომ აქ შემოიჭრნენ ფრიცები. ბრძოლა გრძელდება. ექვსი კაცი მოკლეს. მათი გვაგები ჩემს მახლობლად“. თითქმის 10 საათის განმავლობაში იგერიებდა 13 მამაცი მტერს. მეზღვაურებმა გაანდგურეს მტრის ჯარისკაცების ნახევარზე მეტი და ღამით წავიდნენ კატარლით. წასვლის წინ სატელეფონო სადგური ააფეთქეს.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი ხუთმა მეზღვაურმა კომკავშირელმა. ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მტრის 22 ტანკი გამოჩნდა. ტანკები ჩვენს პოზიციებს უახლოვდებოდნენ. გერმანელთა რკინის წინ აღუდგა ხუთი გმირი მეზღვაური — ვ. ციბულკო, ი. პარშინი, ი. კრანსოვსკი, დ. ოდინცოვი—ოფიცერი ნ. ფილჩენკოვის მეთაურობით. მათ საკუთარი სიცოცხლის ფასად 16 ტანკი მოსპეს, მაგრამ უბანი მტერს არ დააჩრებეს, დანარჩენმა ტანკებმა პირი იბრუნეს.

ბრძოლის ველის იმ უბანზე, პოლიტხელი ფილჩენკოვი რომ მეთაურობდა, უძრავად იდგნენ მტრის ტანკები, უძრავად იწვა ვასილ ციბულკოც და სისხლისგან იცლებოდა. ბრძოლის ველს ჩვენი სამხედრო ნაწილი მიუახლოვდა, როდესაც ციბულკო გონს მოვიდა, მან დაინახა ჩვენი მეზღვაურები და კომისარი ლუკიანოვი. მამაც ჯარისკაცს ჭრილობები შეუხვიეს და სევასტოპოლისაკენ წამოიყვანეს. ციბულკომ მოუთხორო ლუკიანოვს მომხდარი ამბის შესახებ და გზაში გარდაიცვალა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულებით პოლიტხელ ნიკოლოზ ფილჩენკოვს, მეზღვაურებს — ვასილ ციბულკოს, ივანე კრანსოვსკის, იური პარშინსა და დანიელ ოდინცოვს სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

სევასტოპოლში, უმკაცრესი ტერორის პირობებში, მოქმედებდა იატაკ-

ქვეშელთა ორი ჯგუფი — ერთი თვით ქალაქში, მეორე კი ტყვეთა ბანაკში. მეორე ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ოფიცერი რევიაკინი და მისი მეუღლე. იატაკქვეშელები დიდ მუშაობას აწარმოებდნენ, უშვებდნენ საკუთარ გაზეთს „სამშობლოსათვის“, აწყობდნენ ბანაკიდან ტყვეების გაქცევას, მოსახლეობის დახმარებით აგროვებდნენ იარაღს და ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მაგრამ ისინი მოლაღატემ გასცა. 1944 წლის 16 აპრილს გერმანელები სასტიკად გაუსწორდნენ იატაკქვეშელებს, სევასტოპოლის 33 მკვიდრი ტანკაწინააღმდეგო თხრილში დახვრიტეს.

დიდხანს არ დასცალდა ვერაგ მტერს სევასტოპოლში თარეში. 1944 წლის 10 მაისს უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, არმიის გენერალ ტოლბუხინის მეთაურობით, სამი დღის შეტევით ბრძოლების შემდეგ გაარღვიეს მტრის გამაგრებული თავდაცვა და ირრით დაიკავეს სევასტოპოლი. ამ ოპერაციაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გენერლების — ზახაროვის, კრეიზერისა და ჩანჩიბაძის ნაწილებმა და ანაპის 414-ე წითელდროშოვანი ქართული დივიზიის მეომრებმა.

1944 წლის მაისის დასაწყისში სევასტოპოლის მისადგომებთან მიუვალ სიმაგრეებში დაჯავშნული 75 ათასზე მეტი პატლერელი უწყვეტი ცეცხლით შეხვდა საბჭოთა მეომრებს. ანაპის სახელგანთქმული წითელდროშოვანი 414-ე ქართული მსროლელი დივიზიიდან შეიქმნა ერთი ნაკრები პოლკი. მას მონაწილეობა უნდა მიეღო სევასტოპოლის მისადგომებთან მტრის მთავარი სიმაგრის — საპუნ-გორის გარღვივაში, პოლკის მეთაურად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი ენუქი ქანთარია. ამ ნაკრებ პოლკში დივიზიის სხვადასხვა დანაკრებიდან რჩეული მეომრები შევიდნენ. პირველი ათასეულის მეთაური იყო კაპიტანი ძიძავა, მეორისა — კაპიტ-

ნიკოლოზ ჯაში
გმირი ქალაქი

ტანი როსტომაშვილი, მესამისა — კაპიტანი ჭავჭავაძე.

პოლკის საბრძოლო ამოცანას გორის ძირში საიერიშო ზღუდის დაკავება და მტრის თავდაცვის გარღვევაზე პირველად გადასვლა შეადგენდა. საბუნგორის ფერდობებზე მტერს ღრმად ეშელონირებული თავდაცვა მოეწყო, ჰიტლერელებს ყველა მისასვლელი გამოთოფილი ჰქონდათ. 1944 წლის 7 მაისს, დილით, საარტილერიო მომზადების შემდეგ, დაიწყო საბუნგორის იერიში. ქართველი მეომრების ნაჯრები პოლკი, ე. ქანთარიას მეთაურობით, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. მას ფლანგებიდან მხარს უჭერდნენ მანაგაძისა და გორგიშვილის პოლკები. კაპიტან ძიძიას ათასეულის მებრძოლები პირველი ეკეთენ ფაშისტებს სანჯრებსა და ბლინდაჟებში. ამ შერკინებაში უმაგალითო ვაჟაკობას იჩენდნენ უფროს ლეიტენანტ ბიძინა ბოსტაშვილის ასეულის მეომრები; უფროს ლეიტენანტ გალაკტიონ ვადაჭკორიას, ლეიტენანტ პოლიკარპე ლორჩოშვილის და ზემდეგ გივი შვანგირაძის ოცეულები.

ბოსტაშვილის მეომრების მიერ საბუნგორაზე აფრიალებული წითელი დროშა ჩვენს ნაწილებს გადააწყვეტი შეტევისათვის აღადგინოვანებდა.

ერთ-ერთი იერიშის დროს ბოსტაშვილის ასეული მტრის თავდაცვის ღრმა ზურგში შეიჭრა. ჰიტლერელებმა ასეულის გარშემორტყმა და მოსპობა მოინდომეს. გააფთრებულ ბრძოლაში უფროსი ლეიტენანტი ბიძინა ბოსტაშვილი რვა მებრძოლით ასეულს მოწყდა. ცხრა ქართველმა მეომარმა ცხრა მძა ჩერხეულიძესავეთ საარაკო გმირობა ჩაიდინა, 50-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპო. რაინდული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე ცხრავე ქართველი ვაჟაკი: უფროსი ლეიტენანტები: ბ. ბოსტაშვილი და გ. ვადაჭკორია; ლეიტენანტი—პ. ლორჩოშვილი, ზემდეგი გ. შვანგირაძე, სნაიპერი მ. ნანიტაშვილი მეტყვიამფრქვევე გ. შენგელია, მსროლელები — პ. აკობია, მ. თა-

თარიშვილი, ა. სიჭინავა. გმირები დი პატივით დაკრძალეს სევასტოპოლის მისადგომებთან, საბუნგორისთან სასაფლაოზე.

სევასტოპოლი დღითიდღე აღორძინებას განიცდიდა. განთავისუფლების პირველ დღეებში ქალაქში ორიოდ სახლი თუ იყო დაუზიანებელი. მოსახლეობა ყოველდღე მატულობდა. არ იყო არც ერთი ნანგრევი, სარდაფი, სადაც ხალხი არ დასახლებულიყო. ის ხალხი, ვისთვისაც უძვირფასესი იყო სევასტოპოლის ბედი, გმირი ქალაქის საბრძოლო ტრადიციები, მისი ნათელი მომავალი.

განთავისუფლების პირველ დღეს ქალაქში სულ ოციოდე მოსახლე იყო. სამი კვირის შემდეგ — 1500, ერთი თვის შემდეგ კი რამდენიმე ათეული ათასი. თავდადებული შრომით ისინი სევასტოპოლს ომით მიყენებულ მძიმე ჭრილობებს უშუშებდნენ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდნენ გმირი ქალაქის აღდგენისადმი. საგულისხმო დეტალია ის, რომ სევასტოპოლის გენერალური გეგმის შედგენა მის განთავისუფლებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ოკუპაციის მძიმე დღეებში ქალაქის ცაზე გამოჩნდნენ მშვიდობიანი თვითმფრინავები, საიდანაც სურათებს იღებდნენ. ამან გააადვილა განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენა.

ახალი სევასტოპოლის გეგმის შემუშავების საქმეში ჩაებნენ გამოჩენილი საბჭოთა ხუროთმოძღვრები — არქიტექტურის აკადემიკოსი მ. ვინზბურგი და პროფესორი მ. ბარხინი. პროფესორ მ. ბარხინის ხელმძღვანელობით არქიტექტორთა ბრიგადამ შექმნა პროექტი. ეს პროექტი 1945 წელს საჯარო განხილვაზე გაიყენო სევასტოპოლის საზოგადოებრიობამ. მასში დიდი ადგილი ეთმობოდა სევასტოპოლის ცენტრისა და მოედნების განლაგებას. ახალი ქალაქის ტერიტორია, ომამდელთან შედარებით, 1,5-ჯერ გაიზარდა.

სევასტოპოლის განთავისუფლების 21

წლისთავი განუწყვეტელი მშენებლობის შესანიშნავი წლებით აღსავსე პერიოდია. იგი მაშინ დაიწყო, როცა მტერი ქალაქის გარეუბანს გასცილდა, როცა ხერსონესის ნახევარკუნძულზე ჯერ კიდევ ბრძოლები მიმდინარეობდა. სევისტოპოლი მაშინ ნანგრევებისა და კვამლის ველს წარმოადგენდა. ქალაქში დარჩა მხოლოდ შეიდი ნახევრადდანგრეული შენობა. ქუჩებმა დაკარგეს ჩვეული მოხაზულობა. 21 წელიწადი ისტორიისათვის დიდი დრო არ არის, მაგრამ ამ ხნის მანძილზე დაიბადა ახალი სევისტოპოლი — უფრო დიდი, ლამაზი და კეთილმოწყობილი, ვიდრე ომამდე იყო.

ქალაქის აღორძინება იმით დაიწყო, რომ სახლების ნანგრევებზე გაჩნდნენ წარწერები: „ნაღმები არ არის“. შემდეგ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ათასობით წერილმა იწყო დენა — მოხალისეები სურვილს გამოთქვამდნენ მონაწილეობა მიეღოთ სევისტოპოლის აღდგენაში. 1946 წლის მარტში ლენინურმა კომკავშირმა შეფობა აიღო რუსეთის 15 უძველესი ქალაქის აღდგენაზე. ამ ქალაქთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სევისტოპოლს ეკუთვნოდა. ვოლგოგრადელი პატრიოტი ქალის ჩერკასოვას თაოსნობის საპასუხოდ ახალგაზრდა სევისტოპოლებმა ქალაქის კეთილმოწყობაზე უსასყიდლოდ იმუშავეს რამდენიმე მილიონი საათი.

ამჟამად ქალაქის საცხოვრებელი ფონდი ორნახევარჯერ აღემატება ომამდელს; სევისტოპოლი გაიზარდა და გაფართოვდა. გაჩნდა ახალი ქუჩები, მოედნები, მთელი რაიონები. უკარგიელ ადგილებში ვრცელი პროსპექტები გამწკრივდნენ. მარტო უკანასკნელ ოთხ წელიწადში აშენდა 12 ათასი საცხოვრებელი ბინა, სამი სასტუმრო, პიონერთა სასახლე, 14 სკოლა, მშენებელთა კულტურის სახლი, სამგზავრო ნავსადგური. თუ ადრე საცხოვრებელი კვარტალები ზღვისაგან მოწყვეტილი და ქალაქი ნავმისადგომებისაკენ პირით შებრუნებული იყო, ამჟამად

შექმნილია სევისტოპოლის შესანიშნავი „საზღვაო ფსაიდი“. სანაპირო ლამაზი შენობებით დამშვენდა, მას მთელ სიგრძეზე გასდევს ბალები და სკვერები.

სევისტოპოლში ამჟამად არ არის საწარმო ან მშენებლობა, რომლის კოლექტივი არ ისწრაფოდეს იცხოვროს, ისწავლოს და იმუშაოს კომუნისტურად.

ომამდე ქალაქში ცოტა იყო მწვანე სამოსი. ახლა იგი დამშვენებულია მრავალრიცხოვანი სკვერითა და ბუღვარით, ყოველ ეზოში არის ყვავილნარი, დარგულია ხეხილი და ვაზი. შეიქმნა კომკავშირული პარკი, აგრეთვე პარკი მალახოვის ყორღანზე. გაშენდა ლენინის, პუშკინის, ნახშირის სკვერები. მარტო უკანასკნელ ოთხ წელიწადში ქალაქის მოსახლეობამ და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებმა დარგეს 330 ათასზე მეტი ხე და მილიონობით ბუჩქი. სევისტოპოლი ბაღებისა და პარკების ქალაქად იქცა.

რუსი ჯარისკაცის გმირობის უკვდავყოფელი მრავალრიცხოვანი ძეგლით მოფენილ ქალაქს ომის შემდგომ კიდევ ბევრი ძეგლი შეემატა — მფრინავების ძეგლი მალახოვის ყორღანზე, ტანკისტებისა — „ზელიონაია გორაკზე“, იატაკქვეშელი გმირებისა — კომუნარების სასაფლაოზე, ობელისკი და დიორამა — „სევისტოპოლის განთავისუფლება“ — საპუნ-გორაკზე. გერმანელი დამპყრობლებისაგან სევისტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეიტანეს ანაპის წითელდროშოვანი 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მემორებმა. მრავალი ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. ქართველი მემორების ძმათა სასაფლაოებზე, საპუნ-გორის ფერდობზე რომ მდებარეობენ, 1961 წლის 21 ივნისს, დიდი სამამულო ომის დაწყებიდან 20 წლისთავზე, საზეიმოდ გაიხსნა საბრძოლო დიდების ძეგლი. იგი წარმოადგენს 12,5 მეტრ სიმაღლის

ნიკოლოზ ჯაში
გმირი ქალაქი

ობელისკს და გრანიტის ვანიერ კვარცხლებეზე დგას. ობელისკის წინ დადგმულია ქართველი მეომრის ბრინჯაოს ქანდაკება (პროექტის ავტორია ინჟინერ-არქიტექტორი ა. გოქაძე; მოქანდაკე — ტ. სიხარულიძე). ძეგლის წინ, ძმათა სასაფლაოების დასაწყისში, გაკეთებულია მემორიალური დაფები, მათზე ამოკვეთილია ბრძოლაში გმირულად დაცემულ მეომართა გვარები. მისასვლელებისა და ბილიკების გაყოფებით დარგულია საქართველოდან სპეციალურად გამოგზავნილი ხეები — თელა, ძელქვა, წიფელი, არყის ხე, მუხა და მარადმწვანე ბუჩქები. ქართველ მეომართა ძეგლის მახლობლად ტამანის 89-ე სომხური დივიზიის დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად ობელისკია აღმართული.

კაცობრიობა არასოდეს დაივიწყებს სევასტოპოლელთა უკედავ გმირობას, მის წმინდა მიწაზე დაღვრილ ^{მეჩვენული} ~~სისხლს~~ ^{სისხლს}

დიღების ქალაქი — სევასტოპოლი ყოველდღიურად იზრდება და მშვენიერდება. სევასტოპოლელები ამაყოვენ თავიანთი ქალაქის წარსულითა და აწმყოთი, თავდადებით შრომობენ კომუნიზმის აშენებისათვის.

ვიგონებთ რა გმირი ქალაქის—სევასტოპოლის ლეგენდარულ ისტორიას, გვახსენდება ვალაკტიონის ერთი მშვენიერი ლექსის სტრიქონები:

თავრიდის მზიან კიდეზე,
ვით მარგალიტი ობოლი —
ბევრის მომსწრე და ამტანი
ელვარებს სევასტოპოლი.



პეჩა შაბათაჲ

მშობლიური ჩანგით

აქ ქვემეხები არასდროს მდგარა,
ვინ იფიქრებდა ამ საოცრებას!
რძლით უცქერდნენ მყინვარებს მარად,
ვით მიუწვდომელ კაცთა ოცნებას... —

აღტაცებით წერდა ქართველი პოეტი გრიგოლ აბაშიძე თავის პოემაში „ძღვევის ქედი“. მართლაც, აქ ქვემეხები არასდროს მდგარა და აქ, მთებში, ქვემეხების განლაგებას, მათს საბრძოლო მწყობრს ვინ წარმოიდგენდა! ეს მართლაც საოცრებას ჰგავდა. მაგრამ ეს საოცრება საბჭოთა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად აუცილებელი გახდა. და არა მარტო მთების ძირში, არამედ მის მიუღდომელ, ციკაბო კალთებზე ადიოდნენ მამაცი არტილერისტები და თავიანთი ზურგით აჰქონდათ მსუბუქი, საშუალო თუ მძიმე კალიბრის ქვემეხები, საჭურველი და იქ მართავდნენ საცეცხლე პოზიციებს, მარჯვედ, აუცდენლად უშენდნენ ცეცხლს მოწინააღმდეგეს.

ჰქუხდნენ მთები და კლდისებურ მაგარი,
მტკიცედ შეკრული მტკიცე ფიცითა,
ბაქსანთან იდგა ჩვენი ლაშქარი,
იდგა მტკიცედ და ფეხს არ იცვლიდა, —

გვამცნობდა პოემის მომდევნო სტროფი. მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობ-

და მაშინ კავკასიის მთების ძირში. ურყევად იდგა ჩვენი ჯარი ბაქსანისა და ჩეგემის ხეობებში და მოძალადეს წინ წამოწვევის საშუალებას არ აძლევდა. იდგა მტკიცედ და შეურყევლად, როგორც კავკასიონი — ხალხის დიდების სიმბოლო, როგორც მისი მუდამ სხივმოსილი მყინვარწვერი — ნათელი და სპეტაკი მწვერვალი, როგორც ნიშანი ხალხის ამაყი და თავისუფლებისმოყვარე სულისა. სწორედ ამ ღირსებას იცავდნენ ჩვენი გმირი ხალხი და მისი მამაცი მეომრები. მათ მხედრულ შემართებასა და მამაცობაზე მშობლიური მთებიც ჰქუხდნენ და ამ ქუხილში თითქოს ექსოვებოდა მადლიერი მამულის მოწონება და სიყვარულთა თავისი ერთგული შვილებისადმი.

მათზე ოცნება ბევრს გავიტაცებს,
სულ რჩეულები იყვნენ ერთიან,
ნაღმი და მუხი სვექდა მიწაზე
და გუზუნებდა მთებში გეთა.

მართლაც რჩეულნი იყვნენ მთებში მებრძოლნი. მათი მამაცობისა და მეომრული თავდადების ამბავი შორს გაისმა, როგორც სამშობლოს ერთგულებისა და პატრიოტული სამსახურის შესანიშნავი მაგალითი. ახლა, როცა მშვიდობა სუფევს და შემოქმედებითი შრო-

მა გაჩაღებული, კვლავაც პატივისცემით ვიხსენებთ გეთიას სახელოვან არტილერისტებს.

და სხვაც რამდენი იყო, ვინ დათვლის, მკერდით სიკვდილის გადაძლახველი, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი სიმატის სახელად დარჩა მათი სახელი.

ჩვენ აქ მოგივითხოვთ გეთიასა და მის ზოგიერთ სახელოვან თანაპოლკელზე, რათა კვლავ შევხასენოთ მის თანამედროვეებს ამ ადამიანების კეთილშობილური საქმე და ვაყვაცური შემართება.

დიდი ხნის ძებნის შემდეგ მივაკვლიეთ და კვლავ ვიხილეთ საფრონტო დოკუმენტური კინონარკვევი „კავკასიის დასაცავად“. მისმა კადრებმა ნაცნობი და მახლობელი სურათები გავხასენა.

1942 წლის 10 მაისია. საკმაოდ მოზრდილ მინდორზე თავი მოეყარათ ქართული დივიზიის მეომრებს, რათა საზეიმო ვითარებაში ჩაებარებინათ მეომრული სახელისა და დიდების სიმბოლო და საბრძოლო დაოსტატების ნიშანი — საბრძოლო დროშა.

როცა არტილერისტთა ჯერი დადგა, საზეიმო მარშზე პოლკის მეთაური და კომისარი მტკიცე, მხედრული ნაბიჯით წარდგნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, პოეტ ილო მოსაშვილის წინაშე და ჩაიბარეს პოლკის წმიდათაწმიდა დროშა. საითთაოდ ემთხვიენ მის ოქროსფერ არშისა და შემდეგ მედროშეთა — პოლკის რჩეულთა წინ დადგნენ და საზეიმო მარშს ნაბიჯები აუწყვეს... დიდებულია და დაუფიწყარი ეს წუთები მეომრის ცხოვრებაში. დღესაც თვალწინ გვიდგას ამ საზეიმო ცერემონიალის სურათი. ფოტოც შემოგვრჩა: აი, არტილერისტთა საბრძოლო მწყობრს, მის მოელვარე დროშას, ასე ამაყად რომ უჭირავთ მედროშეებს, წინ უძღვის მაღალი, ბრვე ვაჟაკი, მაიორი მიხეილ გეთია...

ამ დღიდან სახელოვნად ატარებდნენ ამ დროშას არტილერისტები და მუდამ

ერთგული იყვნენ მისი საბრძოლო დევიზისა, — „ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის!“ ამ წმიდათაწმიდა დროშის ქვეშ მათ ერთგულება შეფიცეს სოციალისტურ სამშობლოს და ამ დროშით მოპოვებული საბრძოლო დიდებით უპატაკეს ფრონტიდან მშობლიურ ხალხსა და მამულს მტერზე მოპოვებული სისახელო გამარჯვებათა შესახებ.

საბრძოლო დიდების კინოკადრები სიმართლით მოგვივითხოვენ ქართველ არტილერისტთა ბრძოლების დაუფიწყარ ეპიზოდებზე. აი, კადრში მოჩანს საარტილერიო ბატარეის უჩვეულო და უმატილით ლაშქრობა მთების ძირში. აკვირდებით მოლაშქრეთა დაძაბულ სახეებს. მათ ერთი შეხედვით შეუძლებელი განუზრახავთ. სულ მაღლა, მაღლა მიიწევენ მთის კალთებზე. რა ძალა, რა მონდომება უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასეთი მძიმე ამოცანა გადაწყვიტოს: საბრძოლო მწყობრით, მთელი აღჭურვილობით ავიდეს ასეთ სიმალღეზე!.. უჭირთ, ძალზე უჭირთ „საბრძოლო მეგობრებს“ — ამ საქმისათვის გახედნილ ცხენებს ქვემეხების ზიდვა. ჯარისკაცები მათთან ერთად ეწევიან მძიმე ჰაანს მთის უვალ კალთებზე...

ძნელია მთებში საომარი მოქმედება. მით უმეტეს ძნელი იყო იგი არტილერისტებისათვის — მაგრამ ისინი თავგამოდებით მოქმედებდნენ, რათა მიეღწიათ გამიზნულ ზღუდემდე, მოეწყოთ და კარგად შეეხამებინათ გარემოსათვის საცეცხლე პოზიცია და გამანადგურებელი ცეცხლი დაეშინათ მტრისათვის.

კინოკადრში ნაჩვენებია ჩვენი საარტილერიო ბატარეების ცეცხლი, რომელიც ჩვენი შემტევი მსროლელი ქვეანაყოფების თავზე გამოზომილად გადადიოდა, ზუსტი მისამართით იგზავნებოდა და დიდ ზარალს აყენებდა მოწინააღმდეგეს. ამ საარტილერიო ბრძოლას არა მარტო ამ კადრში ნაჩვენებო უფროსი ლეიტენანტი ალექსი პირმი-

საშვილი და ლეიტენანტი გ. მაჩაბელი წარმართავდნენ, არამედ სხვებიც.

მთებში არაერთი მამაცი და ჩინებულ-ლი ოსტატი-არტილერიისტი იბრძოდა: დივიზიონების მეთაურები ალექსი პირმისაშვილი და სერგო თომიაა, ბატარეების მეთაურები აკაკი ჭელიძე და ოთარ როინიშვილი, შტაბის მუშაკები შალვა წიკლაური და იოსებ გოგიტიძე, პარტიუროს მდივანი იონა ჯიმშელეიშვილი და კომორგი ვიორგი ძიძიშვილი, პოლიტმუშაკები ვარლამ ბირკაია, აკაკი სურგულაძე, ვიორგი ბერიძე და სხვები, რომლებიც ერთგულად ასრულებდნენ თავიანთ მხედრულ მოვალეობას და ღირსეული წვლილი შეჰქონდათ პოლკის პირადი შემადგენლობის წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანების პირნათლად შესრულებაში.

ბევრი სისახელო საბრძოლო ეპიზოდი ჩაიწერა მთებში მოქმედ ქართველ არტილერისტთა საბრძოლო აქტივში. სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს პირისპირ „ნაქები“ გერმანელი გრაფი, გენერალი ფონ-მაკი თავისი ჯავშნიანი ურჩხულებით და მანამდე უცნობი საბჭოთა ოფიცრის — მიხეილ გეთიას არტილერისტები. ამ დაუნდობელ ბრძოლაში გეთიამ დაჯაბნა ბრძოლებში გამოწრთობილი გერმანელი გენერალი ფონ-მაკი.

სწორედ ამ მძაფრი ბრძოლის გეგმას, მისი პოლკის დივიზიონებისა და ბატარეების მოქმედებას აზუსტებს თავის საკომანდო პუნქტზე მაიორი გეთია ნაწილის კომისარ კლიმენტი გვალიასთან ერთად.

მათს შეწყობილ და უნარიან მოქმედებაზე მოგვითხრობენ იმხანად (1942 წლის ოქტომბერი) მოქმედ არმიამში მყოფი ვიორგი ქუჩიშვილი და სოლომონ თავაძე:

„წინა დამით დათოვილ მწვერვლებსა და უცნაურ ჩუქურთმებივით დაღარულ ციკაბო კლდეებს ნისლი შეჰფენია. ვიწრო ხეობას ნაცრისფერი გუმბათი ჰხურავს. ყინელღავს.

კუთხეში, ნაჩქარევად გასწორებულ ლოგინთან ზის ტანმორჩილი, ჩასკენი-

ლი ვაქკაცი, ქაღალდებს ათვალიერებს.

კარი გაიღო და შემოდის ნაწილის შტაბის უფროსი, შავგვრემანი, შავთვალწარბა ჭაბუკი — შალვა წიკლაური, დინჯად, აუჩქარებლად მოახსენებს მეთაურს:

— მტერი შეტევაზე გადმოვიდა. საჭიროა ცეცხლის გახსნა — 20 გასროლას მართხოვენ.

ნაწილის მეთაური მაიორი მიხეილ გეთია შეუშფოთველად შეხვდა შალვას.

მაღალი, მეტად ახოვანი კაცია მიხეილი. საოცრად დინჯი, ხმაც აუჩქარებელი აქვს და მკვეთრი.

— მეთვალთვალე თუ ხედავს, ათი გასროლა, — მოკლედ მოსჭრა გეთიამ და მხევა თავის მოსაუბრეს მიაპყრო.

კვლავ განაგრძეს მშვიდი საუბარი. კუთხეში მჯდომამც მხოლოდ ერთხელ ახედა შალვას, უმაღლვე გაერკვა და ქაღალდების ფურცელა განაგრძო.

იქვე ახლოს, სულ ოთხ კილომეტრზე, ერთ-ერთ სოფელში შეტევაზე გადმოსულ მტერს იგერიებენ ჩვენები. მძაფრი ბრძოლაა. ჩვენს შეუპოვარ არტილერისტებს — ა. პირმისაშვილს, გ. მაჩაბელს, ა. ჭელიძეს, ს. თომიას, ს. უმიკაშვილს მტრის ბანაკი მიხანში აქვთ ამოღებული. აგერ ქვემეხთა ყუმბარებმა გაბზარეს სივრცე, დაბალქერიან სადგომშიაც შეიჭრა მათი გუგუნი.

აქ კი თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, კვლავ მშვიდად განაგრძობენ საუბარს. ხანდახან ოდნავ დამცინავი ღიმილით იგონებენ რომელიმე ამხანაგის შეკრთომას, ან შეცდომით გადაღებულ ნაბიჯს.

კუთხეში რომ ზის, — ეს კლიმენტი გვალიაა. რა სიძნელეებსაც არ უნდა წააწყდეს, მის თაფლისფერ თვალეში მუდამ გამარჯვების რწმენა ციმციმებს. ამ წუთს რომ აქ არის, სულ მალე მეორე მთის მწვერვალზე გაჩნ-

პეტრე შამათავა
მშობლიური ჩანგი

დება, არტილერიისტებს ახალ საბრძოლო ამოცანებს უსახავს.

აგერ მტრის არტილერიის ყუმბარები სკდება. ჩვენი ქვემეხების ირგვლივ ამოთხრილი მიწის მტვერი, ცეცხლი და კვამლი ცას აბნელებს, მაგრამ ჩვენი ქვემეხების მეთაურები და მემიზნეები ერთი წუთითაც არ წყვეტდნენ ცეცხლს.

კლიმენტი გვალიაც მათთანაა. შეტევაზე გადასულს ვაჟაკის იერა შვენის ვიწროდ აშვილდულ წარბებს შეარხევს ხოლმე. ამ დროს თვალთაგან სიხარულის სხივი გამოუკრთება, ისე გაიღიმებს, იფიქრებ, რაა სიცოცხლე, თუ არა მარტოოდენ მარადი გზნება, წინსვლა და გამარჯვება.

ახალი ძალით შეიჭრა სადგომში ქვემეხის მჭექარე ხმა. ფანჯრები ოდნავ აზრიალდნენ.

მაიორმა გეთიამ ცალკედ გაჰხედა სივრცეს, გამახვილებული სმენით გაიზრა ყოველივე და საუბარი განაგრძო...“

ბევრი საინტერესო და დამახასიათებელი დეტალი შეამჩნიეს პოეტებმა ამ მამაცი ადამიანების საფრონტო ცხოვრებაში. საბრძოლო ვითარების სურათებში არაფერია მოგონილი ან გადაჭარბებული, რადგან იგი უშუალოდ, საკუთარი თვალით არის დანახული და ასახული უტყუარ მოწმეთა მიერ. ვისაც თვითონ უნახავს იმ მკაცრ დღეებში არტილერიისტთა მოქმედება, გულით გაიზიარებს პოეტთა ნათქვამსა და განცდილს.

ნაცადი მეომრის განსახიერება იყო მაიორი მიხეილ გეთია არა მარტო თავისი გარეგნობით, არამედ თავისი ნიჭითა და გამჭირახობითაც. იგი ყველაზე საშინელი ბრძოლის დროსაც კი შეუდრეკელი ვაჟაკი იყო, მისი უშუალო ხელმძღვანელობით არტილერიისტებს არაერთ მძაფრ და ფიცხელ ბრძოლაში, შეტევასა თუ მტრის მოგერიებაში მიუღიათ მონაწილეობა, არაერთხელ ჩაუჩუმებიათ მოწინააღმდეგის ქვემეხები და ნაღმმტყორცნები, გაუნადგურებიათ მტრის ცოცხალი ძა-

ლა და საომარი ტექნიკა. ამ მოვლერიცხოვან ბრძოლებში მის ბატარეებს და საცეცხლე ოცეულებს მკირვდი დანაკლისი განუტლიათ. ეს იყო არტილერიისტთა მეთაურის ოსტატობა და თვალსაჩინო დამსახურება.

ბევრი მრისხანე საარტილერიო დუელი გამართულა ბრძოლის ველზე. ამისი მოწმენი, სხვებთან ერთად, ჩვენი არტილერიისტების სტუმრები — ქართველი პოეტებიც იყვნენ. მამაცი და ნიჭიერი საბჭოთა არტილერიისტის დაუფიქარი სახე შექმნა პოეტმა კარლო კალაძემ. მისი ლექსი „საარტილერიო დუელი“ მიხეილ გეთიას შინაგანი სამყაროს, ადამიანური ხასიათისა და მხედრული უნარის მართალი, პოეტური სურათია:

ვნახეთ, აქ იღვა მაშინ გეთია,
და მომრბოთან გასაუბრებით,
ხელდახელ, არც კი შეუხედია,
ხელთ გასწია კვამლის ღრუბლები,
კაცი რომ აგრე ადგეს პიტალოს,
ვით მისიანი, მისი ნატეხი,
უნდა კლდისგანვე გამოთალოს
თვალთანად აგრე წარმოსადვილი!
ქვემეხთ ესმოდათ მისი ქართული,
იცოდნენ, ომის ჭირშიაც ულხინს,
იღვა ღრუბლებში, ხელაღმართული
უპასუხებდა ქუხილით ქუხილს.
და არემარეს იპყრობდა შიში,
იყო წაშლილი ღამის უკუნით,
მხოლოდ სამშობლოს ქედები ძილში
იმეორებდნენ ბრძოლას გუგუნით.

955-ე საარტილერიო პოლკის მეთაური მაიორი მიხეილ გეთია ჯარისკაცთა საყვარელი უფროსი იყო. მას ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ მებრძოლები და მეთაურები. მისი ასეთი მაღალი ავტორიტეტი გაპირობებული იყო საარტილერიო ხელოვნების ჩინებული ცოდნით, მამაცობითა და გამბედაობით, ხელქვეითებისადმი მშობლიური გულისხმიერებით. ამ ამაგის სანაცვლოს სიყვარულითა და მოვალეობის უმწიკვლო შესრულებით უხდიდნენ ხელქვეითები მეთაურს.

მომთხოვნმა და გულისხმიერმა მეთაურმა საუცხოოდ გაწვრთნა ახალ-

გაზრდა არტილერისტები, მათაც ღირსეულად ჩააბარეს გამოცდა ბრძოლის ველზე.

არავის გაკვირვებია, როცა ფრონტზე, ცეცხლის ხაზზე მოპოვებული პირველი სერიოზული საბრძოლო წარმატების შემდეგ, პოლკის მეთაურმა 1942 წლის 28 სექტემბერს მოკლევადიანი ბეგრისმთქმელი განცხადებით მიმართა პარტიულ ბიუროს: „კაცობრიობის მოსისხლე მტრის, გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ მინდა ვებრძოლო, როგორც კომუნისტმა. ამისათვის გთხოვთ, მიმიღოთ ლენინის პარტიის რიგებში და სიტყვას ვიძლევი, ვებრძოლო მტრის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“.

ეს იყო მეომარი-მოქალაქის, მებრძოლთა საყვარელი ადამიანის გულის სიღრმიდან მომდინარე მართალი სიტყვა, განმტკიცებული მისივე სასახელო საბრძოლო საქმით. ღირსეულმა უპარტიო მეთაურმა თავისი უნარიტა და მამაცობით მოიპოვა ლენინის სახელოვანი პარტიის რიგებში შესვლის უფლება. ამიტომ იყო, რომ მისმა რეკომენდატორებმა — ძველმა ბოლშევიკმა კლიმენტი გვალიამ, უფროსმა პოლიტბელმა ვარლამ ბირკაიამ და იონა ჯიშმელეიშვილმა ასე ხალისით მისცეს მას პარტიული რეკომენდაცია და კომუნისტმა მეომრებმა ერთხმად დაადასტურეს პარტბიუროს გადაწყვეტილება პარტიის წევრობის კანდიდატად მისი მიღების შესახებ.

მიხეილთან ერთად პარტიის რიგებში მიღებულთა შორის იყვნენ მამაცი მებრძოლები და მეთაურები: ქვემეხის მეთაური კალისტრატე ალანია, დაზვერვის ოცეულის მეთაური ვ. ლურსმანიშვილი, ქვემეხის მემიზნე ეფრეიტორი ერასტი თავბერიძე, ბატარეის მეთაური აკაკი ჭელიძე და სხვა მოწინავე მეომარი არტილერისტები. აღსანიშნავია, რომ ნაწილის ბრძოლაში ჩაბმის პირველ ორ თვეს ცეცხლის ხაზზე წარჩინებულ მეომართა შორის 87 კაცი იქნა მიღებული პარტიის რიგებში, აქედან პარტიის წევრად 25 კა-

ცი, ხოლო წევრობის კანდიდატად 62. მიიღეს სწორედ ისინი, რომელთაც თავისი უნარიტა და მამაცობით დასტურეს სამშობლოსადმი ერთგულება.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი საბრძოლო ეპიზოდი და მასთან დაკავშირებული საინტერესო შემთხვევა ამ პოლკის არტილერისტთა ცხოვრებლადან.

ბრძოლა მცირე ხნით მიწყნარდა. პოლკის საკომანდო პუნქტზე მყოფმა მაიორმა მ. გეთიამ საველე გაზეთს გადააგლო თვალი. ერთბაშად შეუბლი გაეხსნა, სახეზე ღომილმა გადაუარა, ეტყობოდა, რაღაც საინტერესოს მოკრა თვალი და ბრძოლაგადახდილმა მეთაურმა მოულოდნელად ხმამალა წამოიძახა:

— დახეთ, დახეთ, რა სწრაფად დაუწყრიათ ჩვენი ფაცაცისა შესახებო,— და იქვე მყოფ კომისარს, კ. გვალიას გაზეთი მიაწოდა...

გულისყურით უსმენდა პოლკის მეთაური ახალბედა მებრძოლის პირველ საბრძოლო წარჩინებაზე დაწერილ პოეტურ სტრიქონებს... ეს დინჯი და გამოცდილი არტილერისტი თავს ვერ იკავებდა და ჩვეული ბოხი სიცილით მიჰყვებოდა ნაჩქარევად წაყითხულ სტროფებს.

ერთ ხანს იგი დუმდა, ჩანდა მოეწონა, მებრძოლის წარმატებას ასე დროულად რომ ეხმაურებოდა გაზეთი. აკი წინა ნომერშიც დაიბეჭდა მასზე კორესპონდენცია, რომელიც ოპერატულად იუწყებოდა არტილერისტი მებრძოლის ინიციატივისა და მამაცობის შესახებ.

— კარგია, სწორად მოიქცა რედაქცია, რომ ასე დროულად ამცნო მკითხველებს მებრძოლის მოსაწონი და მისაბაძი ამბავი, — თქვა ბოლოს მეთაურმა.

პეტრე შამათავა
მშობლიური ჩანგით



ძნელია იმის თქმა, თავიდან როგორ დაიწყო ეს ამბავი: შესაძლოა კარგად შენიღბული საცეცხლე პოზიცია მაინც აღმოაჩინა ცბიერმა მტერმა; შესაძლოა ეს ბრმა გასროლის შედეგიც იყო, მაგრამ ამის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ახლა მთავარი იყო ცეცხლის ჩაქრობა, რომელიც ემუქრებოდა საარტილერიო მარაგს, შემდეგ კი აღამიანებსაც.

ორმხრივი მცელავი ცეცხლი მძვინვარებდა. სანგრიდან თავის ამოყოფა შეუძლებელი იყო. უცებ ახალგაზრდა არტილერისტმა ნიკოლოზ ფაცაციაშვილმა მოჰკრა, სულ ახლოს როგორ აფეთქდა მტრის ყუმბარა... ირგვლივ ცეცხლის ალი დატრიალდა. საარტილერიო კანონადას ტყვიამფრქვევის ცეცხლიც ერთვოდა.

მებრძოლი ფაცაცია ელვის სისწრაფით ამოხტა სანგრიდან, თუმცა მისთვის ეს არავის უბრძანებია. ამ მძიმე და კრიტიკულ მომენტში მას გულმა უკარნახა გადაედგა სწრაფი და საჭირო ნაბიჯი. მებრძოლმა მართლაც დაასწრო საშიშროებას, არ დაიბნა, შიგ ცეცხლში შეიჭრა და ჩააქრო იგი, რითაც საარტილერიო მარაგი გადაარჩინა და ამით მოძმეებიც იხსნა განსაცდელისაგან.

ორჯერ იყო იმხანად ქართველ მწერალთა დელეგაცია ჩვენი არტილერისტთა მოქმედების რაიონში. ქართველი მწერლები ი. აბაშიძე, ს. ჩიქოვანი, ა. მირცხულავა, კ. ლორთქიფანიძე, გ. ქუჩიშვილი, კ. კალაძე, ს. თავაძე, ე. ქარელიშვილი მოწინავე ხაზზე

ხედებოდნენ საბჭოთა მეომრებს; ეცნობოდნენ მათ საბრძოლო განწყობას, მოუთხოვრებდნენ მათ ზურგში თანამემამულეთა გმირული შრომის შესახებ, წერდნენ ბრძოლის გმირებზე და თავიანთ ნაწერებს იქვე აქვეყნებდნენ დივიზიის გაზეთის ფურცლებზე.

აი, იმ დღეებში გიორგი ქუჩიშვილის მიერ ფრონტზე დაწერილი ლექსი: „მთანიც მოგძახით ვაჟკაცურ ვაშას“. თანამემამულეთა საბრძოლო წარმატებით აღფრთოვანებული პოეტი ალტაცებით მიმართავდა ფრონტელ მეომრებს:

გულმოგუგუნე მშობლიურ ჩანგით
აქ, თქვენს ბანაკში,
შორით მოსულნი,
მოგესალმებით საგმირო ჰანგით,
თქვენი ბრძოლებით ალტაცებულნი!
ისე სიმედგრიით
იცავთ მაგ დროშას,
მათა სისხლივით
წითლად მშუქურას?
რომ თქვენ, არწივებს საქართველოსას,
მთანიც მოგძახით ვაჟკაცურ ვაშას!

ფრონტზე თანამემამულეთა სასახელო საბრძოლო წარმატებანი მართლაც იმსახურებდა საგმირო ჰანგით მისაღმებას. მთანიც მოსძახოდნენ ვაჟკაცურ ვაშას მთებში მოგუგუნე მიხეილ გეთის და მისი პოლკის მამაც არტილერისტებს, რომელთა ზარბაზნები გზას უკაფავდნენ ჩვენს მეომრებს და მტრის რიგებს ანადგურებდნენ.



ჰონსკანონი სკინგაკი

ბრძოლები ბრძელებოდა...

1942 წლის გეიანი შემოდგომა იყო, მარუხელები აფხაზეთის სოფელ წებელდას რომ ესტუმრნენ. ყინულოვან მთებში ნაბრძოლ ჯარისკაცებს და მეთაურებს სიხალისე მაინც არ აკლდათ. დაიწყო ხელახალი მზადება. შეთხელებულ განაცოფებს ავსებდნენ, დაუძლურებულთ სამკურნალოდ გზავნიდნენ. მივიღეთ ახალი ტანსაცმელი საბუმელ-სასმელიც გვექონდა. ბევრმა მებრძოლმა რამდენიმედღიანი შვებულებაც მიიღო და თავისიანების სანახავად წავიდა. ბერს ესტუმრა ხილითა და ხორაგით დატვირთული ნათესავები. ერთი სიტყვით, შვებით ამოვისუნთქეთ.

სამამულო ომის ფრონტებზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გრძელდებოდა. მთელი მსოფლიოს ყურადღება ვოლგოგრადისაკენ იყო მიმართული. საბჭოთა ჯარისა და საბჭოთა იარაღის ძლევამოსილება თანდათან აშკარა გახდა.

ჩვენი პოლკი სავიელ ბრძოლებისათვის მზადებას განაგრძობდა. ბრძოლაში ნაწრთობი მეომრები თავიანთ გამოცდილებას ახალბედებს უზიარებდნენ, კავკასიის ყინულოვან მთებში დაღუპულ თანამებრძოლების საარაკო გმირობაზე მოუთხრობდნენ.

ვოლგაზე ჩვენი ჯარების ისტორიულმა გამარჯვებამ უსაზღვროდ აღგვაფრთხივანა. სოფლები, დიდი და პატარა ქუჩაში გამოეფინენ. ყველას თვალზე სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა. ზეიმობდა პატარა აფხაზური სოფელი, ზეიმობდა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო.

საბრძოლო მზადყოფნისათვის მუშაობა გავაძლიერეთ. ჩვენი მიწა-წყალი რაც შეიძლება მაღლე უნდა გაგვეწმინდა ბილწი მომხდურებისაგან. ფრონტზე და მტრის ზურგში დიდი ბრძოლები იყო გაჩაღებული. პარტიის აღზრდილები, სამ-

შობლოს ერთგული შვილები გამარჯვებისათვის თავს არ ზოგავდნენ.

1943 წლის იანვრის თოვლუკაბიანი დილა თენდებოდა, როცა სარდლობის ბრძანებით მარუხელთა 349-ე მსროლელი დივიზია, პასთან ერთად ჩვენი 808-ე პოლკი, შავიზღვისპირა ქალაქ ტუაპსეს მიმართულებით დაიძრა. 26 იანვარს ტუაპსეში ვიყავით. ეს მეტად ლამაზი ქალაქი საქმაოდ იყო დაზიანებული. ამ დროს ჩვენი ჯარები ჩრდილოეთ კავკასიიდან მტერს დასავლეთისაკენ ერეკებოდნენ. კავკასიის უღელტეხილებზე მაგრად შეებრტყილ გერმანელთა ალპური დივიზიების ნარჩენებს ისღა დარჩენოდათ, რომ სავიელ არმიებს შეერთებოდნენ და მათივე განწირული ბედის მონაწილენი გამხდარიყვნენ.

რასაკვირველია, აჯობებდა ყველაფერი ეს თქმულიყო ნაშრომის პირველ თავში, სადაც ნათლად უნდა გარკვეულიყო ავტორის დამოკიდებულება ნოველის სპეციფიკის პრობლემისადმი, მკვეთრად გამოყოფილიყო მისი მოსაზრება ნოველის თეორიის პრობლემებზე.

მაგრამ არის ერთი საკითხი ნოველის თეორიისა, რომელიც არ შეგვიძლია გავიზიაროთ. ეს არის მოსაზრება ე. წ. უსიუჟეტო ნოველების არსებობაზე. თავის ნაშრომში მ. გვეტაძე, თუმცა მოკრძალებით, მაგრამ მაინც აღიარებს ასეთ ფორმას. ამიტომაც იგი ნ. ლორ-

გიორგი მერკვილაძე
თანამედროვე ქართული ნოველა

თქიფანიძის შთელ რიგ მინიატურებს, ესკიზებს განიხილავს, როგორც ნოველებს.

ყველა ნოველას აქვს თავისი „პატარა“ სიუჟეტი. ნოველაში მოთხრობილია ამბავი. რომელსაც თავისი გარკვეული შინაარსობრივი ხაზი აქვს. რასაკვირველია, ეს არის ვრცელ სიბრტყეზე გაშლილი ისტორია, მაგრამ იგი მაინც არის ამბავი თავისი დასაწყისითა და დასასრულით; მას არა აქვს შენაკადები, მაგრამ მისი პერსონაჟები მაინც მოჩანს გარკვეულ გარემოცვასთან ურთიერთობაში; იგი არ გვიჩვენებს გმირის ხასიათის განვითარების ისტორიას, მაგრამ აშუქებს ამ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს, მისი მეტად საინტერესო პერიპეტეხებით. სიტუაციებითა და განწყობილებებით.

ამიტომაც ნოველისათვის აუცილებელია მისი სიუჟეტური შეკვრა. მკვლევარს ეს თვითონაც კარგად ესმის, რადგან იგი სწორედ სიუჟეტიან ნოველებს მიიჩნევს ტიპურ, ტრადიციულ ნოველებად. მაგრამ როდესაც ნიკოლორთქიფანიძის ნოველების ანალიზს იწყებ, რატომღაც ბევრ მის ესკიზურ ჩანახატს თუ მინიატურას ნოველების რკალში აქცევს. ნაშრომის 22-ე გვერდზე ავტორი წერს: „...ნიკოლორთქიფანიძის ადრეულ ნაწერებში მრავალგვარი და მრავალი სახის ნოველები გვხვდება. ესაა სრულიად ლირიული, უსიუჟეტო „წინათ და ახლაც“, რომელიც სიყვარულის ღაღადისს წარმოადგენს, ესაა ნოველა-ანეგდოტი „გაათხოვეს“, ესაა დიდაქტიკური ქადაგება „ოჯახი“, ესაა სარწმუნოებრივი ექსტაზით დაწერილი „და ქრისტე აღდგა ჩემ გულში“ (უნდა იყოს „...და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში“. გ. მ.).

არიან კი ეს საწარმოებნი ნოველები? მხოლოდ ერთი მათგანი — „გაათხოვეს“ თუ შეიძლება მივიჩნიოთ ასეთად. დანარჩენები კი ზოგი მინიატურაა (ნახევარგვერდიანი „წინათ და ახლაც“, „...და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში“), ან ესკიზი (მაგ. „ოჯახი“).

ნიკოლორთქიფანიძის ჭეშმარიტი ნო-

ველები მკვლევარს კარგად აქვს გაანალიზებული და მათი მავალითი ნაჩვენებია თვით მწერლის — ნოველისტის გზა. განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ისეთი კლასიკური ნოველების ანალიზი, როგორცაა „თავსაფრინი დედაკაცი“, „ტრაგედია უგმიროდ“, „ფეოდალები“. აქ ნაჩვენებია არა მართო ამ ნოველათა ძირითადი პათოსი, მათი ადგილი ქართულ საბჭოთა ნოველისტიკაში, არამედ მხატვრის ოსტატობის ბევრი თავისებურებაც არის გახსნილი.

ასევე მონდომებით არის შესწავლილი და გაანალიზებული ლეო ქეიჩელის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას და სერგო კლდიაშვილის ნოველები. „მართალი აბდულაჰ“ თუ „მეჩქმე ვაზო“, „ქოსა ვახუ“ თუ „ტაბუ“, „ალმასგირ კიბულან“ თუ „თავადის ქალი მია“, „დაბრუნება“ თუ „შემოდგომის წვიმა“ და ბევრი სხვა ნოველა ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც ტიპური თანამედროვე ქართული ნოველის ნიმუშები. მათი ანალიზის დროს ნაშრომის ავტორი ავლენს მეცნიერული კვლევის საკმაოდ თვალსაჩინო უნარს. ამ თვალსაზრისით, მ. გვეტაძის „ნოველა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“ ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოკვლევაა დღევანდელ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში.

ჩვენთვის მეტად საინტერესო იქნებოდა, ნაშრომის ავტორს განეხილა აგრეთვე ისეთ ქართველ ნოველისტთა შემოქმედება, როგორიც არიან კ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელია, შ. დადიანი, ა. ბელიაშვილი, ა. გაწერელია, რ. გვეტაძე, თ. იოსელიანი, გ. რჩულიშვილი, ნ. დუმბაძე და სხვ., რომელთაც იგი მოიხსენიებს ხოლმე თავის გამოკვლევაში. მაგრამ ეს უფრო ვრცელი მსჯელობის საგანია და ჩვენ იმედი გვაქვს, ახალგაზრდა მკვლევარი კვლავ განაგრძობს დაწყებულ საქმეს.

თანამედროვე ქართულ ნოველას რომ იკვლევს, მ. გვეტაძე მის ისტორიულ გზასაც გადაავლებს თვალს. პართიულია სულხან-საბა ორბელიანის „საბრძენ სიკრუსისა“ დაკავშირება ქარ-

თული ნოველის განვითარების გზასთან. მაგრამ ავტორი თავის ნაშრომში ვერ ასცდა ერთგვარ წინააღმდეგობასაც. ერთი მხრივ, იგი ლაბარაკობს ქართული ნოველის განვითარებაზე ძველ ქართულ ლიტერატურაში („სიბრძნე სიცრუისა“), შემდეგ სამართლიანად მიუთითებს ნოველის უანრობრივი სახის აღმავლობაზე XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში (ე. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი, ე. გაბაშვილი, ნ. ლომოური, ჭ. ლომთათიძე და სხვ.), მეორე მხრივ კი აცხადებს: „ქართული ნოველის ისტორია არსებობდა არის ქართული საბჭოთა ნოველის ისტორია“ (გვ. 16).

ის ფაქტი, რომ საბჭოთა სინამდვილეში ნოველის სახემ ასე ძლიერი განვითარება ჰპოვა, სავსებით არ ნიშნავს ნოველის საბჭოთა პერიოდისწინანდელი ისტორიის უგულვებელყოფას. თვით მ. ჯავახიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქვიციანიძის მთელი რიგი ნაწარმოებნი, რომელთაც ნაშრომის ავტორი საკმაოდ მაღალს უთმობს ქართული ნოველის ანალიზის დროს, შექმნილია 1910-იან წლებში.

წინააღმდეგობანი ნაშრომის სხვა ადგილებშიც გვხვდება. მაგალითად, 32-ე გვერდზე ნ. ლორთქიფანიძის „პანაშვილი“ გამოცხადებულია მოთხრობად, ხოლო შემდგომს, 33-ე გვერდზე ავტორი მას არჩევს, როგორც ნოველების სერიას.

მეტად საყურადღებოა, რომ მ. გვეტაძემ ზოგ შემთხვევაში ერთგვარად აფარ-

თობს ნოველის ცნებას, მის სახეობრივ ჩარჩოებს და შედარებით განვრცობრივ ფორმის ნაწარმოებს, თუ მის სიუჟეტში ხედავს ნოველის დამახასიათებელ სპეციფიკათა გამოვლინებას, ნოველად მიიჩნევს. მაგრამ ამგვარი „მიჯნათა მოშლა“ ყოველთვის როდი ჩაივლის ხოლმე უმტიყენეულოდ. მაგალითად, ჩვენის აზრით, ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა ე. ნინოშვილის „პალიასტომის ტბა“, მ. ჯავახიშვილის „ტყის კაცი“ თუ „ოქროს კბილი“, თავისი სპეციფიკით უფრო მოთხრობებია, ვიდრე ნოველები. ნოველების ელემენტთა დაძებნა აქ უთუოდ შეიძლება (მოულოდნელობანი, ზოგ შემთხვევაში — მზა ხასიათების აღება და ა. შ.), მაგრამ, ამავე დროს, ამ ნაწარმოებებში თვალსაჩინოა ფონი, ხასიათთა პარალელური ხაზები, ექსპოზიციური პლანი, რაც მათ მოთხრობათა ნიშან-თვისებას აძლევს.

ნაშრომს ესაჭიროება მეტი ენობრივი დახვეწაც. მასში შეინიშნება მთელ რიგ ფორმულირებათა ბუნდოვანება თუ არასიზუსტე.

მაგრამ ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ არის მთავარი. არსებითი ეს არის, რომ მ. გვეტაძემ თავისი პირველი წიგნით, რომელიც მეტად დიდ პრობლემას მიუძღვნა, კარგი გამოკვლევა შესძინა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებას.

გიორგი მერკვილაძე
თანამედროვე ქართული ნოველა



გვიგორ ხარხუიძე

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გოგონათი ნიგან-თვისება

პირველი სახელი, რომელიც მეოცე საუკუნეში მისცა ქართულ ლიტერატურას, არის გალაკტიონ ტაბიძე. დღეს უკვე ყველასათვის ბუნებრივი და ვასაგებია, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ვახსენებთ რუსთაველისა და გურამიშვილის, ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვეჯა-ფშაველას გვერდით. ეს უდიდესი ალიარება გალაკტიონმა დაიმსახურა თავისი სრულიად ორიგინალური პოეტური ტალანტით, რომელშიაც ბედნიერად არის შერწყმული ერთმანეთთან აზრი და ემოცია, მელოდია და ხატოვანება, გრძნობა და ექსპრესია. ყველა ეს სანუკვარი თვისება, რასაკვირველია, მხოლოდ რჩეულ შემოქმედთა ხედრია და გალაკტიონსაც, ამ განსაკუთრებული მადლის წყალობით, ქართული პოეტური სიტყვა და სახეობრივი აზროვნება იმ ხარისხამდე აიყვანა, რომლის იქითაც ადამიანის მხატვრული ფანტაზიის წვდომა ზოგჯერ შეუძლებლადაც კი გვეჩვენება.

გალაკტიონ ტაბიძემ ღრმად და საფუძვლიანად აითვისა არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა, თავის სულიერ ბრძმედში გადააღწია იგი და ამგვარი განძით გამდიდრებულმა თქვა სრულიად ახალი და მომჯადოებელი პოეტური სიმღერა. ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების ორგანულმა შესისხლხორცებამ მას საშუალება მისცა თავიდანვე ნათლად განესაზღვრა საკუთარი სამწერლო პროფილი და დანიშნულება. უკვე დასაწყისი ხანის ლექსებში მკაფიოდ გამოიკვეთა ის შემოქმედებითი პრინციპები და მოტივები, რომლებიც წარმართავენ მთელ

მის პოეზიას თავიდან ბოლომდე. ეს იყო მშობელი ხალხისადმი უანგარო სამსახურის, დიდი ეროვნული და სოციალური ტკივილების, მაღალი ადამიანური იდეალებისა და ლამაზი ვნებების შთამაგონებელი გამოხატვა.

გალაკტიონ ტაბიძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაუახლოვა ქართული პოეზია ჩვენი საუკუნის მსოფლიო სამწერლო მოვლენებსა და მიმართულებებს. სხვებთან ერთად მან შემოიტანა ჩვენში ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული სტილი, როგორიცაა სიმბოლიზმი. ჩვენ ვგულისხმობთ ამ მხატვრული ცნების კეთილ გაგებას, როცა წინ წამოსწევინ მის არა დეკადენტურ მხარეს, არამედ მეტაფორული სისტემის სირთულეს, პოეტური ფრაზის მეტ დახვეწილობასა და მუსიკალობას. სრულებითაც არ არის საჭირო თვალის დახუჭვა იმ უცილობელი ფაქტის წინაშე, რომ გალაკტიონის პირველი პერიოდის შემოქმედებაში დიდი ძალით იჩინა თავი სიმბოლისტური ხელოვნების ნაკადმა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში იოტის ოდენადაც კი არ შეჭრილა დაცემულობისა და სიმახინჯის განწყობილებები, რაც ასე დამახასიათებელია სიმბოლიზმის უციდურესი, რეაქციული ფრთისათვის. განა ძნელია ქართული ლირიკული პოეზიის ისეთ შედეგებში, როგორიცაა „ლურჯა ტხენები“ და „თოვლი“, შევამჩნიოთ სიმბოლისტური მეტაფორული წყობის ელფერი? და განა ეს გვიშლის ხელს ვალიაროთ ისინი მხატვრული სინათლისა და სიწმინდის, და საერთოდ, ჰუმანიტარული ლირიკული მეტყველების ნიმუშებად? ამგვარად, გალაკტიონმა ახალი ლიტერატურ-

ლი მიმართულების საღი მარცვლი მშობლიურ ნიდაგზე მოაბნია და მისი საშუალებით ქართულ მხატვრულ სიტყვას ახალი კლერადობა მიანიჭა. როგორც თავის დროზე ბარათაშვილმა ჩვენი პოეზია გაანთავისუფლა ზედმეტი აღმოსავლური დანაშრეებისაგან, ევროპეზმის ფართო გზაზე გამოიყვანა იგი და ამით მწერლობაში ეროვნულობის ჩარჩო განზე გასწია, ისე გ. ტაბიძემ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული პოეტური სიტყვა აზიარა უახლეს ლიტერატურულ მოვლენებს, დაუახლოვა იგი თანადროულობის განვითარებულ გემოვნებას.

გალაკტიონ ტაბიძე არის ახალი ეპოქის ფუძემდებელი ეროვნული პოეტური კულტურის განვითარებაში. იგი უდიდესი წარმომადგენელია იმ სამწერლო თაობისა, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული ლექსის განახლების დასაწყისი ჩვენი საუკუნის ათიან წლებში. ცნობილია ის დიდი შემოქმედებითი ღვაწლი, რასაც ეწეოდნენ გ. ტაბიძე, ი. ტრიშაშვილი, ა. აბაშელი, ს. შანშიაშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე და სხვები ლექსის დახვეწის, მისი ტექნიკური საშუალებების განვითარების და, საერთოდ, მხატვრული სრულყოფის საქმეში. ამ მხრივ სრულად განსაკუთრებულია გალაკტიონის დამსახურება, რომელმაც მოგვცა ლექსის შინაგანი ორგანიზაციის, რიტმიკისა და ხმოვანების საცხებით ახალი, უბრწყინვალესი მავალითობი.

როცა ლაპარაკია ხოლმე შემოქმედებითის ნათესაობაზე წინამორბედთა და გ. ტაბიძეს შორის, უფრო ხშირად მიუთითებენ პარალელურ მოტივებზე, რომლიც შერჩნევა ბარათაშვილისა და გალაკტიონის ლექსებში. ამ საკითხზე საკმაოდ თქმულა და ჩვენი სიტყვას აღარ გავაკრძებთ. ამჯერად ყურადღება უნდა გავამახვილოთ შედარებით ნაღვლებად შესწავლად მომენტზე. კერძოდ, გვინდა რამდენიმე მაგალითი ნათელი გავხალოთ ის მკიდრო სულიერი კავშირი, რასაც ამყარებს გ. ტაბიძე თავის დიოტოლო წინაპარ ი. ჭავჭავაძესთან. ამ შემთხვევაში უნდა გაიარჩიოთ ორი პერიოდი, ორი სხვადასხვა მიდგომა ილიას შემკვიდრებულთან: ერთი ადრინდელი, ხოლო მეორე თანამედროვე. ორივე მათგანისათვის საერთო უარისი მოწინააღმდეგე და თაყვანისცემი დიდი თერაპიოლოგი, მიმართ. მისი პარტიოტული და ლიტერატორული ოლაწლის ღრმად შეცნობა და ორიგინალური მხატვრული გააზრება.

პირველყოფილისა, უნდა გავისხინოთ გალაკტიონის ცნობილი ლექსი „წიწამურში რომ მოკლეს ილია...“ ოსახილებოლ ნაწარმოებში ავტორი იძლივა იპოქის თაერისებურ პოეტურ დახასიათებას. წიწამურის მძიმე ტრაგედიას იგი შიინჩევს დიდი დროის დასასრულად, რამდენადაც ათაქორმა ტყვიამ განგმირა გასული საუკუნის ჩიერი უდიდესი ადამიანი, ხალხის ფიქრთა მკარობელი. მაგრამ არ ჩამართალი ილიას მიერ ანთებული ლამპარი, რომლის

შუქმაც გზაზე გამოიყვანა მამულიშვილთა ახალი თაობა; დადგა სულ სხვა დრო, დაიწყო სულ სხვა ცხოვრება, როცა წინაპართარგმულით გამხნეებულთა ახალი ადამიანი-შემოქმედი შეუდგა დიდი მიზნების შემუშავებას და მათს განხორციელებას.

ცნობილია, რომ გ. ტაბიძის ლექსებშიაც იჩინა თავი სეედისა და მწუხარების მოტივებმა, რაც დამახასიათებელი იყო რეაქციის დროის ხელოვნებისათვის. მართალია, გალაკტიონის პოეზიაში გამოვლენილ მწუხარე განწყობლებებს სრულად სხვა სოციალური ფაქტორები ჰკეებავდა, მაგრამ მან მაინც შესაძლებლად ჩასთვალა, თავისი დარღის გამოსათქმელად მოემუშაობინა ილიასეული მხატვრული ენა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს, მაგალითად, ლექსი „მასსოვს“, რომელიც სამშობლოს ბედობაზე მწარე ფიქრს გამოხატავს. ლამის იდენტობით გატაცებული პოეტი ამბობს: „თეთრი ზოლები შორი მთებისა იკარგებოდნენ ცისა სიღრმეში“. ძნელი არ არის ამ სტრიქონებში ვივარძნოთ ილიას „ელებიის“ ცხოველყოფილი კვალი.

ილიას გოლიათური პიროვნებისა და მისი პოეტური მერყეულების შუქი თავიდან ბოლომდე გასდევს გალაკტიონის შემოქმედებას. საქართველოში ახალი ყოფა-ცხოვრების დაწყების ისტორიულ მომენტშიაც, როცა საცნაური გახდა ახალი დროის მძლავრი გულისცემა, გალაკტიონი კვლავ ილია ჭავჭავაძეს მიმართავს და ქვეყნის აღორძინების დასაბამს მისი სიტყვების თავისებური გააზრებით ეგებება: „ახალი დროის დასაწყისია, ყოველ მხრიდან — ხმა, ყველგან — ძახილი“. ეს არის სტრიქონები ლექსიდან „მეტეხს ჩიეთ ცა, ამა, ნათლებმა“, რომელიც 1921 წელს არის დაწერილი.

შემდგომშიაც, როცა საცხებით ჩამოყალიბდა პოეტის პარტიოტული მხატვრული კონცეფცია, თავისი დიდი ფიქრების გადმოსაცემად მან ილიას მხატვრული სამყარო გამოიყვანა. იგი საბჭოთა საქართველოს სიმძლავრეს და ნამდვილ თავისუფლებას ასეთი სხარტი პოეტური მიგნებით გვიხატავს:

გემი ვით არ იცნობს
ზღვას ვრცელს და განიერს,
ივცე ხომ მეწვლავურს
სამშობლოდ ეუფუნვის?

— მოხვევჯი გახედე
ჩვენს იმერ-ამიერს;
ეუფუნვის თავის თავს?
— ცხადია, ეუფუნვის!

გრიგოლ ხერხეულიძე
გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ზოგიერთი ნიშან-თვისება

ეს არის კლასიკური მწერლობის ძირითადი მოტივების ორგანული ათვისებისა და შემოქმედებითი განვითარების მეტყველი კონკრეტული მაგალითი. როგორც ვიცით, ილია ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში“ მოხვედ ლუწის პირით ჩამოაყალიბა საკუთარი ეროვნული მორწამო: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“. ჩვენს დროში, როცა ილიას ეს დიდი პატრიოტული ნატერა ახდა, თანამედროვე პოეტმა ლუწისა შთამომავლის ენით გამოთქვა თავისი სიხარული.

შემიძლება კიდევ ვაგვეხსენებინა ვალაკტიონის სხვა ლექსებიც, რომლებშიც ცხადად იგრძნობა ის სულიერი ნათესაობა, რაც მას ილიასთან აკავშირებს, მაგრამ აღნიშნული ამჯერად საკმარისად ჩაეთვალათ.

ის ვითარება, რომ გ. ტაბიძის პოეზიაში გამოძახილს პულობს ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა და სხვათა მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი საკითხები, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი პოეტის შემოქმედებითი ფესვები ღრმად არის გადგმული ეროვნული ლიტერატურული ტრადიციის ნიადაგში. იგი ჩვენს დროში წინ სწევს აღნიშნული ტრადიციის საუკეთესო მონაპოვარს.

ვალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ღრმად ეროვნული ხასიათის გასათვალისწინებლად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა დამოკიდებულებაში იმყოფება იგი ქართულ ხალხურ შემოქმედებასთან. ფოლკლორისადმი გ. ტაბიძის მიდევრობა მეტად ორიგინალურია. მისთვის ამ მხრივ უფრო დამახასიათებელია ფოლკლორული მოტივის შორეული მინიშნებანი, რითაც აღნიშნული მასალა მხოლოდ თავისებური სტიმულოზატორის როლს ასრულებს ამა თუ იმ ნაწარმოებში შესაქმნელად. ხალხურ მოტივებს პოეტი დიდი სისათუთით ეკიდება, მიმართავს მას მხოლოდ. აუცილებლობის შემთხვევაში, შემოაქვს უხმაურად, თითქმის შეუმჩნეველად, საკუთარ შემოქმედებითს სამყაროში ამუშავებს და გადაამყვეტი აზრობრივ ფუნქციით ტვირთავს. ეს ხერხი იმდენად ოსტატურად აქვს პოეტს შეთვისებული, რომ ზოგჯერ განსაკუთრებული დაკვირვებაა საჭირო მისი ლექსის ფოლკლორული საფუძელის დასადგენად. ნათქვამი რომ უფრო ვასაგები ვაგვხადოთ, მივეთითებთ ლექსებზე: „მშობლიური ეფემერა“, „ელვარ და ლომფერი“, „სადაც დარჩა, შორს, სტოკოლოში“, „დარჩენი ქვიშანი“ და სხვ. თვითველი დასახელებული ლექსი იდუმალად ემყარება ხალხური მეტყველების რომელიმე საძირკველს და მისი შთავგონებით შენდება, როგორც სრულიად ახალი პოეტური ნიმუში. ვალაკტიონის ერთ-ერთი ლირიკული მარგალიტი „ელვარ და ლომფერი“ საზრ-

დობს ქართულ ხალხურ სამყაროში ძალზე გავრცელებული ისეთი გამოთქმებით, როგორცაა: „ცხრა წყარო“, „ცხრა მუხა“, „ცხრა თვალი“ და სხვა, მაგრამ ეს მასალა თავისი გრძნობების გამოსახატავად ისე ორიგინალურად და მოხდენილად აქვს მომარჯვებული, რომ მხოლოდ რამოდენიმე წაკითხვის შემდეგ თუ შევარქვეთ ყურადღებას ამ ლექსის ფოლკლორულ ნიადაგს.

ანდა როგორ ვათავისებურებელი აქვს ვალაკტიონს ქართული ანდაზა „წყალნი წაღვენ და წამოთქმენ, ქვიშანი დარჩებანიო“ აღნიშნული გამოთქმა პოეტს ჩართული აქვს მეტად დიდი შინაარსის მხატვრულ კონტექსტში. სახელობრ, იგი მას იყენებს, როგორც ლოგიკურ დასკვნას გავლილი ისტორიული მოვლენებისა და ამგვარს გახსენების შემდეგ, რითაც ძველი ხალხური შეგონება ჩვენი ეპოქის თანამიერი ხდება და თვითველი ჩვენთავანის სულის მოძრაობას გამოხატავს:

ახწი ფილა, სავსე ფილაა
აქა მშვიდობა!
რა ნიღვრებმა გაღვირალო,
რა წყალღებობამ!
რამე თვითველს გარემოდან
შეგვრჩა ნიშანი?
წყალნი წაიღვენ და წამოვიღვენ,
დარჩენი ქვიშანი.

როგორც ვხედავთ, ხალხური მასალა პოეტს არამც თუ იმორჩილებს, არამედ შთავგონებს მას სრულიად ორიგინალური პოეტური ქმნილების შესახებულად.

ჩვენ აქ მხოლოდ ნაწილობრივ დავახასიათებთ გ. ტაბიძის მხატვრული მეთოდი ხალხური მეტყველების გამოყენებისა. თავისთავად ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, რითაც გამოვლინდება ბევრი საინტერესო და ორიგინალური კუთხე გ. ტაბიძის პოეზიისა და ფოლკლორის ურთიერთმიმართებაში¹.

ზეპირისტყვეერების მოტივები თუ სახეები არის ერთი ნაწილი იმ მდიდარი ეროვნული ისტორიული და კულტურული სინამდვილისა, რითაც საზრდობს ვალაკტიონის პოეზია. მის ლექსებში უკუდავ პოეტურ სახეებად არის ამღერებული არა მარტო ხალხური მეტყველება, არამედ მთელი ქართული ბუნება. ეროვნული სული და ხასიათი, ქართული ტიპრები და ციხე-სიმაგრეები, წარსულის ბრძოლები და თანამედროვეობის გოლიათური გაცევა. ვალაკტიონის შემოქმედებითს სამყაროში მოხვედრისას მკითხველი დატყვევებული რჩება მშობლიური ხმებისა და ფერების საოცარი სისახლითა და შესამებით.

ქართული ენის სიმდიდრე, ელასტიურობა და მუსიკალური ხმოვნება სრული ბრწყინვალეობით გამოვლინდა ვალაკტიონის ლირიკაში. ქართული სიტყვა ვალაკტიონ ტაბიძის ხელში

¹ ამ საგანზე იხილეთ: ქსენია სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, სახელგამი, 1956.

აღწევს ემოციური გამოხასხველობის უმაღლეს მწვერვალებს, თავისი ფერადოვნებითა და ძალ-ღონით, თავისი შინაგანი და გარეგანი შესაძლებლობის უღრმესი ნიუანსირებით. ამ მხრივ შეიძლება ხანდახან კაცს ისე ეგონოს, რომ პოეტმა თითქოს ამოსწერა სიტყვის საღებროს ელერადობის უკანასკნელი საშუალება. თვით ეს ფაქტიც, რომ გალაკტიონის სტრიქონები ხშირად ასეთ წარმოდგენებს იწვევენ, მოწმობს მისი პოეტური ოსტატობის არანეულებრივ ძალას და ცხოველყოფილობას. ამასთანავე, გ. ტაბიძემ გამაღიროვებდა ახალი გამოთქმებით, ახალი მოქცევებით, ნეოლოგიზმებით, რომლებსაც დიდი მხატვრული ტაქტიკით ურთავს ლექსებში. დროულად და ზომიერად იყენებს პოეტი აგრეთვე კუთხურ სიტყვებსა თუ გამოთქმებს, რითაც სრულყოფს ლირიკული გმირის ხასიათს ან გარემო კოლორატს.

აქვე უნდა ითქვას, რომ გ. ტაბიძეს პოეტური ტექნიკა არასოდეს არ გაუხდია თვითმიზნად, არასოდეს არ უცდია ბრჭყვიალა და კომპოზიცია ფრაზებით თავის მოწონება, როგორც ეს ე. წ. ესთეტ პოეტებს სჩვევიათ. მისი სტროფები ყოველთვის აზრობრივი და ფორმისეული ფაქტორების იშვიათი შეხამების მაგალითს იძლეოდა. ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ეგზომ განეთარებულ სიტყვის ფლობის ტექნიკა პოეტს საშუალებას აძლევს მიმზიდველად აამტყველოს ადამიანური განცდების ყველაზე უფრო ფაქიზი და შეუძნეველი მოძრაობანი, დაამყაროს „კავშირი გულთა შორის“. ამის გამოა, რომ გალაკტიონის ლექსებში მკითხველი თითქმის ყოველ ნაბიჯზე ცნობილობს თავის თავს და სრულიად თავისუფლად და შინაურულად ტრიალებს მთელ ამ უქიდევანო მხატვრულ გარემოში.

სიტყვის დაუნჯების არტისტული დახვეწილობა მკაფიოდ გამოსჭევს გ. ტაბიძის პოეზიაში. საკმარისია ავიღოთ რომელიც გნებათ ლექსი, რა თემაზეც არ უნდა იყოს იგი დაწერილი, რომ ქართული ენის საამო მოქმედება ვეგრძნოთ. გასაგებია, რომ სიტყვა აზრის გამოსახატავი საშუალებაა, მაგრამ მხატვრული აზროვნების სპეციფიკა სავესებით გარკვეულ, თავისებურ სიძნელეებს აყენებს შემოქმედის წინაშე და თითქოს უჩინარი გამოდის უწყობს მას. გალაკტიონი იშვიათი ინტუიციით სწვდებოდა სიტყვის მაგიურ ძალას და ყოველთვის გამარჯვებული გამოდის შთაგონებისთან პაექრობაში. არ შეიძლება არ გადავიკვიროს ფიქრების, სავნებისა და მოვლენების პოეტურ მტყვევლებად ქცევის იმ უნარმა, რომელიც მქადუნდება გ. ტაბიძის ნაწარმოებებში. სხვანაირად არ შეიძლება შეფასდეს სიხარულის ის გრძნობა, რითაც შეპყრობილია მკითხველი მისი ლექსების ვაცობის დროს. საამისო მაგალითები ძალზე ბევრია. გაეხსენოთ პოეტურ-

რი სიმღერა, რითაც პოეტი უკვდავყოფს ნიკორწმინდის დიდებულ ტაძარს, მის გუმბათსა და სვეტებს, კამარებსა და ჩუქურთმებს: ნიკორწმინდა
გუმბათისა
სვეტებისა

ნეტა ვინ მოჰქარავა,
და როცა მოჰქარავა
შეგ მიჰქარავ-მოჰქარავა
გზნება — ნიკორწმინდა.

აქ არის ყველაფერი — აზრითა და წარმოსახვით, უშუალო გრძნობაცა და სივრცეში ქროდაც — და ეს ყოველივე მოცემულია აბსოლუტურად შესატყვისი ენობრივი მასალით, როცა სიტყვა თავისთავად მოსდევს, უჯერებს და ემორჩილება შემოქმედს.

ქართული ენის სრულყოფილად ფლობის კიდევ უპარავი მაგალითის მოტანა შეიძლება გ. ტაბიძის პოეზიიდან. აქ ჩვენ შევხვდებით სიტყვების ორიგინალური წარმოების დიდ მრავალფეროვნებას. რაც მთავარია, გ. ტაბიძის მიერ წარმოქმნილი თავისებური გამოთქმები თუ ნეოლოგიზმები ემყარება ქართული ენის ბუნებას და უმრავლეს შემთხვევაში კარგად ევდება მას. სანამ უშოდ თუ ავიღებთ ცნობილ სტრიქონს — „ქარიშხალი მოდის ს ა ი მ დ რ ო თ“ — ენაზეთ, რომ როგორც მთელი ეს კონტექსტი, ისე ორიგინალური და ძალზე საინტერესო ფორმა („საიმდროთ“) მოხდენილად გადმოგვცემს ეპოქალური მოვლენების წინათგრძობას. ამ კიდევ, რა დიდი შინაარსის შემცველია სხარტად მოკვეთილი პატარა მაჯამა:

შეხედე, რა ცაა! —
ენ არის, რაცაა!!

ეს მართლაც რომ ოსტატის მიერ ნაძერწ ჩუქურთმასა ჰგავს, რომელშიაც უხვად არის ჩაქსოვილი მშობლიური ცის ლაქვარი, მისი მცხუნვარე მზის სხივები. ავტორი აქ თავისი ეროვნული სიამაყის გრძნობას გადმოგვცემს ერთი დეტალით, თითქოსდა უბრალო მინიშნებით. ასეთი გალაკტიონ ტაბიძე შორსა ღვას ხმურის ამტვ ფრაზებისა და მყივან პატრიოტიზმისაგან. მას ურჩენენა ღრმად იხედებოდეს ადამიანის სულში და იქიდან ჰკრებდეს ძნელად შესაჩნევ, ძვირფას მარვალიტებს.

ცნობილია, რომ რუსთაველმა, გურამიშვილმა, ილიამ, აკაკიმ და ვეამ მწერლობაში უხვად შემოუშვეს ხალხური მტყვევლების ნაკადი, რითაც სალიტერატურო ენის რეფორმა მოახდინეს. ისინი მაქსიმალურად დაუახლოდნენ სასაუბრო კილოს, უსაზღვროდ გაამდიდრეს შემოქმედებითი ლექსიკა და ქართულ პოეზია-

გრიგოლ ხერხეულიძე
გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ზოგიერთი ნიშან-თვისება

ში მრავალი დავიწყებული სიტყვა დაამკვიდრეს. ქართული სამწერლო ენის დემოკრატიზაციის ეს კვალი გააკრძელეს მეოცე საუკუნის პოეტებმა; მათ შორის გ. ტაბიძესაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ამ სფეროში. მან ყოველმხრივ ამოწურავედ აითვისა ქართული ენის უღვევი მარაგი, გააცოცხლა და მზის სინათლეზე გამოიტანა ბევრი სიტყვა თუ გამოთქმა, მართალია, მისი შემოქმედების რევოლუციამდელ პერიოდს აშკარად ატყვიდა უცხოური ლექსიკის ბეჭედიც, რაც სიმბოლისტური ხელოვნების მოთხოვნილებით არის ნაკარნახევი, მაგრამ მთლიანად და საერთოდ გ. ტაბიძის ლექსების ენა არის უაღრესად ეროვნული, უაღრესად ხალხური.

აღსანიშნავია ერთი გარემოება გ. ტაბიძის მხატვრული ლექსიკიდან. სახელდობრ, აქ შემოჩნევა იშვიათი უნარი, მიენიჭოს თითქოსდა პროზაულ, ყოველდღიურ გამოთქმებს პოეტური ფერადობა. გალაკტიონი უყურადღებოდ არ ტოვებს თითქმის არც ერთ სიტყვას, იგი გულგრილი ვერ არის ვერც ერთი გამოთქმისადმი, მისთვის სალიტერატურო ენა-ში არ არსებობს კარგი და ცუდი, ღლი და პატარა სიტყვები; იგი ყველაფერს იშვიათი გულისხმიერებით ეკადება, ყოველივე აპყავს პოეტური ფერადობის რეგისტრში.

ზემოთქმულის დასადასტურებლად არაერთი მაგალითის მოტანა შეეძლო გ. ტაბიძის ლექსებიდან. დავჯერდეთ რამოდენიმე ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნიმუშის ჩვენებას. ვის არ გესმენია ისეთი ყოველდღიური და საკმაოდ მშრალი გამოთქმა, როგორცაა „უბირველეს ყოვლისა“, რასაც უფრო საუწყებო და მეცნიერულ ლიტერატურაში იყენებენ. მხოლოდ გალაკტიონმა მიაგნო ამ გამოთქმის გამომსახველობის ძალას. გალაკტიონის ერთ-ერთი ბრწყინვალე ლექსი— „პოეზია—უბირველეს ყოვლისა“, რომელშიაც ავტორის ესთეტიკური მრწამსია გამოთქმული, როგორც სათურთივე გვიჩვენებს, აგებულია სწორედ აღნიშნული გამოთქმის მხატვრულ-შინაარსობრივი შესაძლებლობის გახსნით: „სიმღერები ხალისის და ბროლისა, პოეზია — უბირველეს ყოვლისა.“ გასაგებია, რომ მხოლოდ ამ ლექსის შემოღაც მოაბოჯო აღნიშნულმა თქმამ პოეზიაში მოქალაქეობრივი უფლება. იგივე უნდა ითქვას „რა“ ნაწილაკადართულ სიტყვებზე. ასეთი ფორმა გალაკტიონმა ფართოდ გამოიყენა პოეზიაში და არაჩვეულებრივი პოეტური ფერადობა მიაჩნა მას. გაიხსენოთ: „ტყდებოდა გოლი, ერთხელ გაიბზარა რა, არარა ბედს ჩემთვის არ აქვს არარა.“ ავიღოთ სტრიქონები ლექსიდან „ომნიბუსით“, სადაც ტინიფის შესახებ ნათქვამია: „გადაწრილი ზედ-მიწივით, მსუბუქი და ირიბი.“ ძნელად თუ ვინმეს შეეძლო უფრო დროულად და უკეთესად აემღერებინა ისეთი პროზაული გამო-

თქმა, როგორცაა „ზედმიწივით“. აქ რომ სიტყვა პირდაპირ საგნის თვისების აღწერატური გამოიყენება? ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გ. ტაბიძე მთელ სიტყვების, არამედ, რაც მთავარია, თემების მიმართაც განუჩინებელია. მას შეუძლია ყოველდღიურობაში შენიშნოს პოეზიისათვის გამოსადეგი, სრულიად „უმნიშვნელო“ მომენტები და შესაფერისი განწყობილებით გამოხატოს იგი. ამაზე მითითებებს, თუნდაც, მისი ზოგიერთი ლექსის სათაურთ: „ღღღღღ პროზიდან“, „ქრონიკა ერთი დღის“.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე ასეთი მღიღიარი ლექსიკური განძის პატრონია, სიტყვის ექონობის გრძობა მას ძალზე განვითარებული აქვს, რაც, საერთოდ, მწერლის დიდ ღირსებას წარმოადგენს. იგი ანგარიშმიუცემლად და უყარათოდ როდი ფანტავს ენობრივ მასალას, არამედ მისაბამ ზომიერებასა და წინახაზდულებას იჩენს. სიტყვების ფეიერვერკი მისთვის ისევე უცხოა, როგორც მანერულობა და პოზირობა. სიტყვის დროული მომარჯვება, მისი შინაარსის მაქსიმალური გამოვლილება, პოეტს საშუალებას აძლევს იყოს ლაკონური და ამავე დროს ბევრისმთქმელი. ასეთია მისი „შესანიშნავი ლექსი „რიცა“, რომელშიაც თვალწარმტაცი ტბის ლეილივი, ბუნების მთელი მშვენიერება და ავტორის ინტიმური განცდები თითქმის ერთმანეთს ავსებენ:

ავხაზეთს არის
ერთი ტბა: რიცა,
და იქ ხომ ვგახსოვს
შენცა და მეცა:
ზეცა, ვით ზეცა
და არა მიწა,
მიწა, ვით მიწა
და არა ზეცა.

პირველყოვლისა, აქ ყურადღებას იქცევს იგი გარემოება, რომ ლექსიკური მასალის მეტად შეკუმშული ფაქტურითა და სიტყვათა ჯადოსნური კომბინირებით ისახება არაჩვეულებრივი ფაქიზი გრძობებით და განწყობილებებით, არაჩვეულებრივად თბილი ფერები და მელოდია.

რაც შეეხება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მელოდიურობას, ეს სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, რამდენადაც იგი ამ მხრივ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას იძლევა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ გალაკტიონმა ქართული ლექსის მუსიკალური ფერადობა განსაკუთრებულ სიმძლავრეზე აიყვანა. ამ თვალსაზრისით იგი მსოფლიო პოეზიის კორიფეების სიმძლავრეზე დგას.

მელოდიური ტონუსი ისევე აუცილებელია ლირიკისათვის, როგორც განცდის უშუალოება.

ლირიკული პოეზიისა და მუსიკის ურთიერთ-მიმართების შესახებ მრავალი საინტერესო აზრი გამოთქმულა. ჰეგელი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ რამდენადაც უფრო შინაგანი ცხოვრება ადამიანისა მოთხოვს გახსნას, იმდენადვე იგი საჭიროებს მელოდიას. ბელონსკი ჰირდაპირ მიუთითებს: „ლირიკული პოეზია შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მუსიკას. არსებობენ ისეთი ლირიკული ნაწარმოებნიც კი, რომლებშიც თითქმის ისპობა მუსიკისაგან პოეზიის გამოყოფის საზღვრები“.¹ დიდი კრიტიკოსის ეს სიტყვები ზედგამოჭრილია გ. ტაბიძის ლირიკის მიმართ. მართლაც, განსაცვიფრებელია ვალაკტინის ლექსების მელოდიურობა, ზნორად იგი იმდენად გამომსახველია, რომ გვეჩვენება თითქოს მუსიკალურ ნაწარმოებს ვისმენდეთ. ამის მიხედვით სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ მის შემოქმედებას მუსიკალურ პოეზიას დავარქმევთ.

რამდენადაც გ. ტაბიძე სიტყვებისა თუ ბგერების შეხამების იშვიათი ოსტატია, ამდენად სიტყვა მისთვის იგივეა, რაც მუსიკოსისათვის სანოტო ნიშანი. მას ძალზე გაფაქიზებული აქვს ლექსიკური ერთეულის ტონალობის გრძობა და ყოველთვის პარზონულ სიტყვიერ კომპლექსებს ჰქმნის, თითქოს უხილავი კამერტონი ეპყრას ხელთ. აქ კი დროული იქნება გაფიქრორო ლიტერატურაში უკვე აღნიშნული ქვეშარტება, ვალაკტინი ტაბიძე აბსოლუტური სმენის მქონე პოეტია.

გ. ტაბიძის ლექსის მელოდიური წყობა განსაკუთრებით მქადუნდება ბუნების სურათების ხატვისას; ამასთანავე უნდა ითქვას, რომ პეიზაჟის მხატვრული წარმოსახვა აქ ყოველთვის პოეტის სულოვანი განწყობილებების პლანში წარმოგვიდგება. ადამიანის შინაგანი საყაროს და ბუნების მრავალფეროვანი ხშიერებისა და მოძრაობის კვალობაზე, ვალაკტინის სტროფები ხან მშვიდ და წყნარ სიმღერას გამოსცემენ, ხანაც ბრძოლისუნარიან გუგუნს ემსგავსებიან. ამ მხრივ მასალა იმდენად დიდია, რომ არჩევანი ვარკივოლ სიმძლეოსთანა და აოიშირბული. აღსანიშნავია, მაგალითად, ქარის ქორალის სმენით აღქმა გ. ტაბიძის პოეზიაში. აქაც ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე — ერთ შემთხვევაში ქარის მშვიდი და საამო რწყევა: „ნანაობს ქარი და მიქანაობს“, ხოლო მეორეგან ქარიშხალისებური მძაფრი რტმი: „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრიათ ქარდაქარ...“ ანდა: „იგივე ქარი დაჰქრის. იღუნება ბზა. იმგვარივე მზე. იმგვარივე ჭა“.

გ. ტაბიძის პოეზიის მუსიკალურ ხასიათს ისიც ამახილებს, რომ მასში ვარკვევით შეინიშნება აიტორის მიდრეილება ლექსებისა თუ ცალკეული თემების ვარიაციული დამუშავებით.

საკენ. საერთოდ, თემებისა და მოტივების ვარიაციული განვითარება ხელოვნების ყველა დარგისთვის არის დამახასიათებელი, განსაკუთრებით იქნის თავს იგი მუსიკალურ შემოქმედებაში. მსოფლიოში ალბათ არც ხრის ისეთი კომპოზიტორი, ვისაც აღნიშნული ზერხისათვის არ მიემართოს და მუსიკალური ენის მრავალფეროვან მიმოხერვაში ერთი და იმავე მოტივის ნაირსახეობრივი წყობა არ ჩაექსოვოს. ამის გამო, რომ საკომპოზიტო ლიტერატურაში უხვად შეგვხვდება მსგავსი ინტონაციები, „თემები ვარიაციებით“ და სხვ. მუსიკისა და პოეზიის ურთიერთუკავშირი ამ მხრივ შეიძლება თვალნათლად დაეინახოთ გ. ტაბიძის ლექსების შესწავლით. ამ შემთხვევაში წინა პლანზე წამოიწვევთ არა ამა თუ იმ ნაწარმოების ვარიანტულ სახესხვაობებს, არამედ ცალკეული მხატვრული სახის განსხვავებულ კონტექსტში განსხვავებული მნიშვნელობით წარმოდგენის ფაქტს.

ჩვენ უკვე დავიმოწმეთ ვალაკტინის ცნობილი ადრინდელი ლექსი „პოეზია — უპირველეს ყოვლისა“; ამ თავისებურ პოეტურ ფრაზაში ნათლად არის ჩამოყალიბებული ავტორის ესთეტიკური კრედი. აღნიშნულ მხატვრულ სახე-გამოთქმას პოეტმა ერთხელ კიდევ მიმართა უფრო გვიან, სხვა დროს, როცა ჩვენს ხალხს უშემიქვს ომს იხდიდა გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ. შემომოყვანილ ფრაზაში ავტორმა დროის შესაფერი კორექტივი შეიტანა, რითაც მხატვრულ სახეს აქტუალური, საბრძოლო ელვადობა მისცა; მამულისადმი მიმართვა ყოველი სტროფის ბოლოს სხვადასხვა იერით ზნაინობს: „სთქვა: „სამშობ-შობლო — უპირველეს ყოვლისა“; „მამულს გული — უპირველეს ყოვლისა“; „გამარჯვება უპირველეს ყოვლისა“; „ის გვიყვარდეს უპირველეს ყოვლისა“ („ჰე, მამული“). აღნიშნული მაგალითით ერთხელ კიდევ ვერწმუნდებით, რომ მცირედი შემოქმედობით იპერაციით არათუ შეიცვალა, არამედ უფრო ენერგიულ გახდა ავტორის ლიტერატურული მრწამსი, რამდენადაც ვალაკტინის პოეზიის უპირველეს საფუნად ყოველთვის პატრიოტული გრძობა მიანდა.

ასევე დიდი პოეტური ვაზრებით სუნთქავს ვალაკტინის ლექსებში ატმის ყვავილი. ვის არ ენსოვება, მაგალითად, „იმ ატმზე გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს“. ამ მხატვრული სახის შთაგონებით შექმნა პოეტმა განახლებული სამშობლოსადმი მიმართული სიმღერა: „სინათლეს გაუმარჯოს, სინათლის ყვავილებს!“ („სინათლი ახალ გზით ვაერთიანებულ საქართველოსს“).

გრიგოლ ხერხეულიძე
ვალაკტინი ტაბიძის პოეზიის ზოგიერთი ნიშან-თვისება

¹ ბ. ბელონსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, გვ. 360, 1952 წ.

არამც თუ მარტო მხატვრული სახეების, გალაკტიონი იძლევა ცალკეული სიტყვების მეტად თავისებურ ვარიაციულ ფორმებსაც. ავიღოთ, საინჟინო, მხოლოდ ერთი სიტყვის (ია) სახეცვლილება, რომელიც კარგად ამჟღავნებს მის ნიუანსურ მრავალფეროვნებას: „ვარდებით მორთე, მოაიავეე“, „მთების შეღამებით მონაიავეე“, „და ოცნება მოგონებას ით მოაიავეე“, „სავსებით ნაყოფი, რომ აქ პოეტს მიგნებული და გამოვლენილი აქვს მოცემული სიტყვის მრავალმხრივი შინაარსობრივი და მუსიკალური შესაძლებლობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მრავალი მავალითის მოტანა შეიძლება იმის დასადასტურებლად, რომ ვარიაციის მომენტი გ. ტაბიძის პოეზიაში დიდი ძალით მოქმედებს. ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოეტს აღვივალ ვერ ელვია ერთბაშე მიგნებულ, სულის სიღრმეში გამოტარებულ მხატვრულ სახეებს და ვადაშუშავების გზით იყენებს მათ სხვადასხვა განწყობილებას თუ განცდის გამოსახატავად. ამ ხერხს იგი მიმართავს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ისე რომ აქ სავეთბო გამოირცხულია თავისი თავის გამოვლენის მოსაწყენი შეგრძნება, რადგანაც უკვე ნაცნობი პოეტური სახე ასეთ დროს სრულად ახალ სიციხვებს იძენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ისიც უნდა დამატოს, რომ გ. ტაბიძის ლექსებში გამოვლენებულია უდიდესი სიყვარული და თავისებური გაგება მუსიკალური ხელოვნებისა და სახელოვნაო მუსიკოსების შემოქმედებისა. ქართულ მუსიკასთან ერთად, პოეტი დიდ ყურადღებას უთმობს მსოფლიოს გამოჩენილ კომპოზიტორთა ხელოვნებას, ხოლო ზოგიერთ მათგანთან ღრმა შემოქმედებითს კავშირს ამყარებს. გალაკტიონის ლექსებში არცთუ იშვიათად შევხვდებით ბეთჰოვენის, მოცარტის, ვაგნერის, ვერდის, შოპენის, პავანინის, და სხვათა სახელებს და მათი შთაბრძნებით შემქმნილ მხატვრულ სახეებს. აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანისა ან ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების ხსენება მის ლექსებში ყოველთვის ნაკარნახევია გარკვეული განწყობილებით, გარკვეული აუცილებლობით, როცა პოეტი თავისი სულიერი განცდების თანაზიარ მომენტებს პოელობს დიდი მუსიკოსების შემოქმედებაში.

პოულარული მუსიკოსებისა და ნაწარმოებების მხატვრული შეფასების დროს გ. ტაბიძე ამჟღავნებს მათი ინტერპრეტაციის თავისებურ გზას. გარდა ყოველივეს, პოეტისათვის მთავარია, რომდენად ეთვისება ამა თუ იმ მუსიკალური შედეგის შინაარსი ქართულ ბუნებას. იგი ეძებს და ადგენს იმ საერთო და ზეგად მარცვალს, რითაც ალებული შემოქმედებითი ფაქტი შეიძლება დაეუკავშიროთ ჩვენს ეროვნულ სახეებსა და მოტივებს. ამით პოეტი მხატვრული სიტყვით აღიარებს ერთად-

ერთ სწორ კონცეფციას ხელოვნების უკვე შემქმნილებების მიმართ, ასაბუთებს მათს საერთოველით მნიშვნელობას და კეთილშეგობრობას და დროისა და ყველა ხალხების თვალსაზრისით

გ. ტაბიძის ლექსების მელოდოზობით აიხსნება ის ამბავი, რომ ბევრი მათგანი ხალხის საყვარელ სიმღერებად არის ქცეული. სულ უკანასკნელ ხანს გამოჩენილმა კომპოზიტორმა რთარ თაქთაქიშვილმა დაწერილ ეოკალური ნაწარმოებების მთელი ციკლი, რომელიც შეკრულია საერთო სახელწოდებით — „მთაწმინდის მთვარე“. უნდა ითქვას, რომ ეს არის სინტერესო ცდა, მუსიკის ორიგინალურ ფორმაში გამოვლენის პოეტის იდეური და მხატვრული ჩანაფიქრი, მუსიკალურ სახეებში გახსნის ლირიული გმირის განწყობილებები და ემოციები. რასაკვირვლია, გ. ტაბიძის პოეზიის ამეტიყველია მუსიკის სრულყოფილი ერთი ჩვენი კომპოზიტორების საპატიო მოვალეობაა.

როგორც ითქვა, გ. ტაბიძის შემოქმედების მელოდური ტრენუსი, მისი ლექსებისა და მუსიკალური ხელოვნების ურთიერთობის საკითხი მეტად საყურადღებო თემაა სპეციალური დაკვირვებისა და ღრმა ანალიზისათვის, რაც თავის მკვლევარს მოეოს.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსისათვის დამახასიათებელ უღარეს მუსიკალობას, მხატვრულ სახეთა სინტეზეს და პოეტური ფარსის დხვეწილ სიმსუბუქეს ერთადერთი უმაღლესი დანიშნულება და მიზანი აქვს — ვაღმოვცეს უღრმესი აზრები და ფიქრები, ვაზიაროს კეთილშობილურ საცაობრიო იდეალებსა და მისწრაფებებს, ვადაგვიშალოს ადამიანის სულის ყველაზე უფრო ფაქიზი და ინტიმური მხარეები, მისი მამოძრავებელი განცდები და ემოციები. ჩვენ იძულებული ვართ ეს უღვაო ქეშმარიტება კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ხაზგასმით, რადგანაც, სამსწრაოდ, ლიტერატორთა ერთ ნაწილში ჯერ ისევ ვაგრძელებულია შეხედულება, თითქოს გალაკტიონი არ იყოს პოეტი — მოაზროვნე, თითქოს მის პოეზიაში გამოხატულება არ ეპოვნოს დიდ იდეებსა და ფილოსოფიურ პრობლემებს. ამ აზრს, მეტი რომ არა ეთქვას, არავითარი საფუძველი არ გაჩნია და წარმოშობილია სავესებთ სუბიექტური თვალსაზრისის შედეგად, რითაც ზოგიერთები აფასებენ გალაკტიონის შემოქმედებას.

ვინც ღრმად და წინასწარაკვირებული აზრის გარეშე ჩაიხედავს გალაკტიონის პოეზიაში, მისთვის ძნელი არ იქნება დაინახოს ვადალი ფიქრებისა და დიდი ადამიანური გრძნობების ის თვალსწევინი მორევი, რომელიც კიდევებს ხეხუქება და ნაპირებიდან ვადმოსვლას ლამობს. ოღონდ ერთი რამ საჭიროა ვიოდოდ წინასწარ: გალაკტიონი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ თუ ეროვნულ საკითხებსა და ფილოსოფიურ პრობლემებს ჰხევის პოეტური ხელოვნების უღარესად გამჭვირვალე და მუს-

ბუქ სამოსელში, ისე რომ ჩაუყვარებულ მკითხველს მისი ლექსების საამურ მუსიკაში შეიძლება ხელიდან დაუსხლტეს აზრთა სიდიადე. გ. ტაბიძე არ მიმართავს იდეის გაიშვებულად წამოწევის გზას; მისთვის აზრი და უშუალო ემოცია არის ნაწარმოების საფუძველი, ხოლო დახვეწილი მხატვრული ფორმა — ამ აზრის მიმზიდველად წარმოსახვის საშუალება.

ჩვენ აქ არ ვაპირებთ გ. ტაბიძის პოეზიის ფილოსოფიურ პრობლემატिकासა და პოეტური იდეების რთულ სამყაროში ჩაღრმავებას; ამჯერად ჩვენ მიზანია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკითხველს გვახსენოთ გალაკტიონის მხატვრული აზროვნების ზოგიერთი ნიმუში, რომელთა მნიშვნელობა ვანისზღვრება სწორედ რთული პოეტური აზროვნებითა და პაეროვნებით.

ჩვენს თანამედროვე პოეზიაში, არცთუ ისე ბევრს შეეხვედებით ჩვეულებრივი სინამდვილისმიერი მოვლენების ისეთ ღრმა პოეტრიზაციას, როგორცაა გალაკტიონის ეს სტრიქონები: „და სხივი, რომელიც სარკმელთან აამროდდა, სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“ თავი რომ დავანებოთ იმას, რომ აქ არაჩვეულებრივ მხატვრულ კონტექსტში გადამტყდარია სინათლის სექტორული თვისება, თვით ეს ფიზიკური მოვლენა დიდი ძალით უკავშირდება ადამიანის უიღბლო ბედისწერას, რომელიც მას აიძულებდა უგზოუკვლოდ ხეტაოს.

გ. ტაბიძემ ქართულ პოეტურ მეტყველებაში შემოიტანა სრულიად ახალი მხატვრული ხერხი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შინაარსობრივად საპირისპირო ცნებებს ეძებნება შინაგანად დამაკავშირებელი ძაფები და ამ გზით იმართება მთლიანი სახე — მეტაფორა. „ძველ ბარათებში აღარ იყო სიახლე ძველი,“ — ამბობს ერთგან პოეტი და ნათლად ვგვარობთ, თუ როგორი ბუნებრივობით მოურიგებია ერთმანეთთან მხატვრის ფანტაზიას სიძველისა და სიახლის ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათი. სხვა ლექსში ერთმანეთის საპირისპირო ცნებების ორგანული შერწყმით ზამთრის თოვლიანი დღის მოსაწყენი პეიზაჟი იხატება: „არც ტყეება ჰაერი, არც ცხრება ქინი ცის, თავისი უქინო სიმძაფრით ვართლი“. გალაკტიონის მხატვრული წარმოსახვისათვის დამახასიათებელ აღნიშნულ ხერხზე სრულ წარმოდგენას მოგვცემს ლექსი „სიშორით შენით“, რომელიც ასეთი კონტრასტული ლექსიკური ერთეულების დაკავშირების პრინციპზეა აგებული — „სიშორის შენის სიახლოვე, მარადის მძაფრი, აბრუებს ყნოსვას, ვარდო ტყუროს“, შემდეგ კი „და სიახლოვის სიშორეში კვლავ უფრო შორი მისვლა ყელამდე, მიწველობა ყელის...“

საერთოდ, გ. ტაბიძის პოეტური სახეები

ხასიათდება უაღრესად ტევადი შინაარსით, გამომსახველობითი სიხადითა და ბრწყინვალეობით. ცნობილია აგრეთვე მისი ლექსები გორც მხატვრული ორგანიზმის, საოცარი მთლიანობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ცალკეულ მეტაფორებზე დაკავშირებული არიან ღრმა შინაგანი აზრით და ბუნებრივად მოპყვებიან ერთმანეთს. ამგვარ ნაწარმოებულ მიგეანია, მაგალითად, გალაკტიონის აღნიშნული ლირიკული შედევრი „მზეო თიბათვისა“, რომელიც პოეტის მორთულვარე სულის ნამდვილი აღსარებაა. ყველაფერი ის, რასაც ჭეშმარიტი პოეზიის უტყუარ თვისებად მიიჩნევენ — იდეის გამოვლენა მხატვრულ სახეში, უშუალო და ღრმა გაცნა, ადამიანის გრძობათა განმსხვავებელი მელოდია — ყველაფერი ეს ფართო სუნთქვით არის გადმოცემული ამ მცირე მოცულობის ლექსში:

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთხილად დაიფარე — ამას გვევდრები.
ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოავლენი ისევ შენმიერი,
დღია გაუთენი ისევ ციურიდან
სული უმანკოთა მიეც შევნიერი.
ხანმა უნდობარმა, გზა რომ წედეება,
უხვად მოიტანა სისხლად და ცხედრები,
მზაფრი მქატეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გვედრები.

პოეტური ხელოვნების ეს იშვიათი ნიმუში შეიძლება შევედაროთ იუველირის ჯადოქრული ხელით შემოთლილ ძვირფას ქვას, რომლის მისაბაძი მთლიანობა ფერთა ათინათების ორგანული შეხამებით არის მიღწეული. მთელი ნაწარმოები გაშლილია მშვიდ ტონში, სადაც მინც შეიმჩნევა შინაგანი მღელვარება; მხოლოდ ერთგან იგრძნობა ხმის აწევა (ბოლო სტროფის პირველი ნახევარი), რაც ამკლავნებს ავტორის უარყოფით დამოკიდებულებას მუხთაოდ დროისა და მწარე სინამდვილისადმი. ამ სტრიქონების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, ძველი ეპოქის რა მტკივნეული და მძაფრი შეგრძნებით ხასიათდება, გ. ტაბიძის პოეტური წარმოსახვა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია დაკვირვებულ შესწავლასა და ღრმა ანალიზს მოითხოვს. ავტორის ისეთი ლექსებისა, როგორცაა „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „მზეო თიბათვისა“, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, „გვერ ვინმე მესხი მელექსე“ და ბევრი სხვა, არ საპირობებს არავითარ შედავას ბერც იდეათა ფართოდ

გრიგოლ ხერხეულიძე
გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ზოგიერთი ნიმუშ-თვისება

წამოყენებისა და არც ფილოსოფიურ-მხატვრული აზროვნების მხრივ.

ამრიგად ხალასი ემოცია, უშუალო გრძობა არის ის „მიზეზთა მიზეზი“, რაზეც აღმოცენდება გალაკტიონის ყოველი ნაწარმოები და რაც განსაზღვრავს მის მიდგომას ვარც სამყაროსადმი, სინამდვილის ყოველი მოვლენისა თუ საგნისადმი. მაგრამ გრძობების ამ მოზღვაებაშიც ვლინდება უდიდესი ზომიერება, რაც თვით შემოქმედის შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს. გალაკტიონი შორსა დგას ყოველგვარი მოჭარბებული მგრძობებლობისაგან, რომელიც თვალთვან ცრემლებს იწურავს და გამიზნულია იაფფასიანი ეფექტისათვის. როგორც იტყვიან, პირდაპირ სიტყვამ მოიტანა გალაკტიონის ერთი უსათურო ლექსი („როგორც მრავალი ვარდების მფენი“), რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება და ამასთან დაკავშირებით შემოქმედის ზოგად ლირიკულ პორტრეტს იძლევა. ხელოვანის უპირველეს ღირსებად ავტორს მიაჩნია ძალდაუტანებელი მგრძობებლობა, ბუნებრივი განცდა, რაც მოვლენასთან უშუალო შეხებით წარმოიშვება:

მშვენიერია ეფექტი მისი
იქ, სადაც სიტყვა თავდება ძველი,
ოღეს თავისი და არა სხვისი
ცრემლებით თვალი უბრწყინავს სველი


იშვითაა აზრისა და ემოციის ისეთი ბუნებრივი შერწყმა, როგორსაც გ. ტაბიძის პოეზიაში ვხვდებით; აქ თვით აზრია დატვირთული

დიდი ემოციით ან ემოცია იძლევა აზროვნების ულევ მარავს. ამიტომ არის, რომ მკითხველისათვის ასე მახლობელი და გასაგებია მისი ლექსები, რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს ისინი; აქ დროული იქნებოდა გავვეხსენებინა გალაკტიონის სიტყვები: „გრძობა, პირველი თემა... გრძობა პირველი დღისით“, რაც, სწორედ, პოეზიაში უშუალო განცდის პრიორიტეტზე მიუთითებს. ხოლო თუ ერთხელ კიდევ საქირთა გალაკტიონის პოეზიის წარმოდგენა, მისი ძირითადი ნიშან-თვისებით, მაშინ სიტყვა ისევ პოეტს უნდა დაეუთმოთ: „მსურდა ყოველში და ყველაფერში მუსიკა, გრძობა და სილამაზე“, ასე წერდა გალაკტიონი ჯერ კიდევ შემოქმედების პირველ ხანაში.

პოეტის, როგორც შემოქმედისა და მოქალაქის, დანიშნულებას ალექსანდრე ბლოკი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „Три дела возложены на него: во-первых — освободить звуки из родной безначальной стихии, в которой они пребывают; во-вторых — привести эти звуки в гармонию, дать им форму; в-третьих — внести эту гармонию во внешний мир.“¹

ამ პირობის ბრწყინვალე განაღდება. მან ბრძენი კაცის გამჭრიახობით ჩიხედა მშობლიური ბუნების წიაღში, შეიცნო იქ დამალული, მანამდე მიუწვდომელი ჯაღოსნური ხმები, აკინძა ისინი მომხიზლავ პარმონიად და ხალხის კუთვნილებად აქცია. მას მართლაც თამამად შეეძლო ეთქვა თავის თავზე: „აღმოვაჩინე მთელი სამყარო ქვეყნისათვის ჯერაც მიუცვლეველი“. ასეთი უშრეტეი და სამართლიანი შემოქმედებითი სიხარული არის აღსავეს გალაკტიონ ტაბიძის კეთილი გული, მისი უკვდავი პოეტური გენია.

¹ Александр Блок, О назначении поэта, Собрание сочинений, том. шестой, стр. 162, 1962 г.



მიხეილ ჯავახიშვილი როგორც ეკონომისტი

მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული სოციალ-ეკონომიური აზრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდ ქართველ მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მისი პუბლიცისტური წერილები, რომელნიც იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, ნათლად ასახვენ რუსეთის იმპერიაში, კერძოდ, საქართველოში კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებას. მ. ჯავახიშვილს ერთნაირად აინტერესებს ფულის მიმოქცევა, ეკონომიური კრიზისები, კაპიტალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები, კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის — იმპერიალიზმის არსი და სხვა მოვლენები. მიხეილ ჯავახიშვილის ეკონომიური ხასიათის წერილები „...ძვირფას მასალას წარმოადგენს ყველა იმათთვის, ვინც ცდილობს შეისწავლოს მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია“.¹

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ გაანალიზებულ ეკონომიური საკითხებიდან ჭეშმარიტად მეცნიერული აზრებია გამოთქმული — ბატონყმობის, სოფ-

ლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის შესახებ.

მ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით დეტალურად ეხება ფულის მიმოქცევის საკითხს. აღნიშნულ საკითხზე მიძღვნილი წერილებიდან ყურადსაღებია „რუსეთის მდგომარეობა ფინანსების მხრივ“, რომელიც მან 1906 წელს დაწერა.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერია ხანგრძლივი ომისა და საფინანსო სისტემის კრახის გამო განიცდის „უფულობას“. მთავრობის ცუდი და მოუქნელი ეკონომიური პოლიტიკის შედეგობით გლეხობა — იმპერიის ძირითადი მწარმოებლური კლასი გადატაკდა. „...გლეხების თანდათანობით ვადარიბებას მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა, გადასახადებს ამრავლებდა და ხაზინის შემოსავალს ადიდებდა“.² მ. ჯავახიშვილის აზრით, ამ გზით მეფის მთავრობა ომისათვის საჭირო სახსრებს ვერ იშოვიდა, ამიტომ იგი მიმართავდა უცხოურ კაპიტალს, მაგრამ კაპიტალისტურ მსოფლიოში მოქმედებს მისთვის დამახასიათებელი ეკონომიური კანონები და რუსეთის მთავრობა ძალუწებურად იძულებული გახდა მიმოქცევაში ოქროს მონომეტალიზმის შემოღების პოზიციებზე დამდგარიყო. მ. ჯავახიშვილი მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ „უცხოეთის კაპიტალისტებმა თა-

¹ გ. ნატროშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, 1964, გვ. 507.

² მ. ჯავახიშვილი, რუსეთის მდგომარეობა ფინანსების მხრივ, რჩ. თხზ., ტ. 6, გვ. 56-57.

ვიანთი სესხის უზრუნველსაყოფად მოითხოვეს, რომ რუსეთის ოქროს ფულის სისტემა შემოედო და აღებული სესხი თავის სარგებლითურთ ოქროს ფულით ეხადა.¹ სწორედ ამის დადასტურება იყო 1897 წლის ფულის რეფორმა. სახელმწიფო ბანკი ოქროს მონომეტალიზმის შემოღებით ვერ იყენებდა თავის საემისიო უფლებებს; მ. ჯავახიშვილს მოყავს სტატისტიკური მონაცემები, რითაც ასაბუთებს, რომ ამ პერიოდში დაწყებული სამრეწველო კრიზისის შიშით „სახელმწიფო ბანკი ახალი ქაღალდის ფულის გამოცემას ვერ ბედვდა და მრეწველთა შერყეულ საქმიების გამოსაკეთებლად ძალაუვნებურად ოქროს ფულს ხარჯავდა“.² მაგრამ რუსეთში არსებულ „ოქროს დაუშრეტელი წყაროს“ მიუხედავად, უცხოეთის ბირჟაზე მანეთის კურსი სისტემატურად ეცემოდა. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთს ფული სჭირდება ომის საწარმოებლად, მისი მიღება სესხებითა და გადასახადებით შეუძლებელია, სესხებით იმიტომ, რომ „რუსეთში არ არიან საკმაოდ ისეთი დიდი კაპიტალისტები, რომელთაგანაც მთავრობას, თუნდ დიდი სარგებლითაც, შეეძლოს ფულის სესხად აღება“,³ ხოლო გადასახადების გადიდება რევოლუციის საშიშროებას ზრდიდა.

დარჩა კიდევ ერთი გზა — სესხების აღება უცხოელი კაპიტალისტებისაგან მაგრამ თუ რა მოჰყვება „ამგვარ გამაქოტრებელ პოლიტიკას“ — ყველა გამოიყენოს.

მ. ჯავახიშვილმა იცის, რომ მიუხედავად რუსეთის ფულის მიმოქცევის უმყარობისა, კაპიტალისტური სამყარო მასზე სესხებს კიდევ გასცემს მაღალი სარგებლით. „ბურჟუაზია თუნდ ეშვას

ჩააბარებს თავის კაპიტალს და თან სულსაც მიაყოლებს, ოღონდ დარწმუნებული იყოს, რომ მისი კაპიტალი კარგად შეინახება და კარგ სარგებელსაც მოუტანს“.⁴

მ. ჯავახიშვილის წერილი „სინდიკატები და ტრესტები“ დიდი მნიშვნელობის დოკუმენტია ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც მასში ავტორი ცდილობს ჯერ კიდევ 1906 წელს მოგვეცეს კაპიტალიზმის უმადლესი სტადიის — იმპერიალიზმის დახასიათება, თუმცა სიტყვა „იმპერიალიზმს“ იგი არსად არ ახსენებს. მან იცის, რომ იმპერიალიზმმა თავისუფალი კონკურენცია მონოპოლიების ბატონობით შეცვალა. „უწინდელ ვაჭრობა-მრეწველობის ერთადერთმა რეგულიატორმა — თავისუფალმა კონკურენციამ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და მის ალაგას ახალი რეგულიატორი გაჩნდა: ტრესტი, კარტელი და სინდიკატი — აი ეს არის ეხლანდელ ვაჭრობის ახალი რეგულიატორი“⁵. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავისუფალი კონკურენცია და მონოპოლიები არასდროს არ ყოფილა ეკონომიკის რეგულიატორი.

მ. ჯავახიშვილი სავსებით დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ თავისუფალი კონკურენციიდან მონოპოლიებზე გადასვლა გამოწვეულია ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებითა და წარმოების კონცენტრაციით, „...საწარმოო ძალამ, — აღნიშნავს ის, — საოცარის სისწრაფით წაიწია წინ უმთავრესად იმის გამო, რომ ტექნიკა განვითარდა, წარმოება შეჯგუფდა და საქონლის გადატან-გადმოტანაც გაადვილდა“⁶.

საყურადღებოა მ. ჯავახიშვილის მსჯელობა მონოპოლისტურ გაერთიანებათა შესახებ. მან იცის, რომ ამ გაერთიანებათა მიზანია დიდი მოგების მიღება, რომელსაც მიადრეწვს ზოგიერთი სახეობის პროდუქციის წარმოებისა და გასაღების დიდი ნაწილის ხელში ჩაგდებათ და მასზე მონოპოლიური ფასების დაწესებით. ავტორი

¹ მ. ჯავახიშვილი, რუსეთის მდგომარეობა ფინანსების მხრივ, რწ. თხზ., ტ. 6, გვ. 57.

² იქვე, გვ. 58.

³ იქვე, გვ. 59.

⁴ მ. ჯავახიშვილი, ვიტტე და მისი სამინისტრო, რწ. თხზ., ტ. 6, გვ. 110.

⁵ მ. ჯავახიშვილი, სინდიკატები და ტრესტები, რწ. თხზ., ტ. 6, გვ. 238.

⁶ იქვე, გვ. 239.

არა მარტო ზოგადად მსჯელობს მონოპოლიათა ძირითად ფორმებზე, არამედ მის განსაზღვრებასაც იძლევა, თუმცა ეს განსაზღვრება ბევრგან დაზუსტებას მოითხოვს. „სინდიკატი (ტრესტი) არის მრეწველთა კავშირი, რომელსაც მიზნად აქვს წარმოება ბაზრის მოთხოვნილებას შეუფარდოს და საქონლის ფასი არ დასცეს“¹. მ. ჯავახიშვილი არ არის სწორი, როდესაც სინდიკატებსა და ტრესტებს აიგივებს, მაგრამ ეს ვერ ჩრდილავს იმ ჭეშმარიტ აზრებს, რომელიც მან გამოთქვა მონოპოლისტური კაპიტალიზმის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ მონოპოლიური გაერთიანებები გადაწყვეტ როლს თამაშობენ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. „...ამერიკაში სინდიკატები წარმოადგენენ უზარმაზარ დაწესებულებას, რომელიც ხშირად ხელთ იგდებს ხოლმე რომელიმე საქონლის მონოპოლიას მთელ ქვეყანაზე. ამერიკის ნავთის ტრესტმა, განთქმულ მილიარდერის როკფელერის მეთაურობით, ხელთ იგდო თითქმის მთელი ამერიკის ნავთის წარმოება და მთელი ქვეყანა თავის ბაზრად გადააქცია. ასევე მოქცნენ ამერიკის შაქრის ქარხნების პატრონები და ასევე მოიქცა ამერიკელი მილიარდერი პირმონტ მორგანი, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ უზარმაზარი გემების მწარმოებელი ტრესტი დააარსა და ლამის არის ხელში ჩაიგდოს ამერიკის საზღვაო ვაჭრობა!“².

მ. ჯავახიშვილი ეხება ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების ბუნებას და აღნიშნავს, რომ იმპერიალიზმმა საქონლის გატანა შესცვალა კაპიტალის გატანით ანუ „კაპიტალის დატრიალებითა და მოძრაობით“³, რომლის დროსაც

¹ მ. ჯავახიშვილი, სინდიკატები და ტრესტები, რწ. თხზ., ტ. 6, გვ. 240.

² იქვე, გვ. 240.

³ იქვე, გვ. 239.

⁴ მ. ჯავახიშვილი, სოციალისტური მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტ. 6, გვ. 192 — 193.

⁵ მ. ჯავახიშვილი, სინდიკატები და ტრესტები, თხზ., ტ. 6, გვ. 241.

ხდება დიდძალი საქონლის წარმოება მისთვის ცნობილია, რომ „თანამედროვე მრეწველობამ არ იცის ზოგადი საზღვარი წარმოებისა, რასაც ხშირად მოსდევს ვაჭრობისა და მრეწველობის კრიზისი, რომელიც ხშირად დიდი უბედურებით თავდება ხოლმე მრეწველობისთვისაც და მუშებისთვისაც“⁴.

მ. ჯავახიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების დამანგრეველი ძალა იზრდება კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ მ. ჯავახიშვილისათვის კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია არა მარტო ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისებს ამწვავებს, არამედ ხელს უწყობს პოლიტიკურ კრიზისსაც, ის აღნიშნავს, რომ „ეს გარემოება ხელს უწყობს კლასობრივ წინააღმდეგობასა და ბრძოლის განვითარებას“⁵.

მ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას: „რით შეიძლება კრიზისების მოსპობა?“ და უპასუხებს, რომ თავისუფალი კონკურენციის პერიოდში ეს შეუძლებელია. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ მონოპოლიები კრიზისების რიცხვს ამცირებენ: „შეთანხმებით მოქმედებენ მუშათა ორგანიზაციებთან და ამით ცოტათი მაინც ხელს უწყობენ ვაჭრობა-მრეწველობის წესიერ მიმდინარეობას“⁵. მ. ჯავახიშვილს მხედველობიდან რჩება ის, რომ მონოპოლიების ბატონობა არათუ ვერ სპობს კონკურენციას, წარმოების ანარქიას და კრიზისებს, არამედ კიდევ უფრო ამწვავებს მათ. იგი ვერ გაურკვევ კრიზისების ეკონომიურ ბუნებაში, რომ კრიზისები კაპიტალიზმის დროს გარდუვალია, რამდენადაც წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგთა მითვისების კრძალ-კაპიტალისტურ ფორმას შორის წარმოადგენს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას და ჭარბწარმოების

რევაზ კაკულია

მიხილეთ ჯავახიშვილი როგორც ეკონომისტი

ეკონომიური კრიზისების საფუძველს, მაგრამ ამით სრულებით არ მცირდება მისი შეხედულებების მნიშვნელობა.

მ. ჯავახიშვილი თავის წერილებში ეხება ბატონყმობის გადაფარდნის შემდეგ ქართველი გლეხკაცის ცხოვრებას. იგი აღნიშნავს, რომ გლეხი ბატონყმობის გადმონაშთებისა და ცარიზმის უსამართლობის შედეგად უღმობელ ჩაგვრას განიცდის, რაც აღვივებს რევოლუციის ცეცხლს სოფელში. გლეხები ანადგურებენ და სწვავენ მემამულეების სახლ-კარს, ჩეხავენ მათ ტყეებს, ხნავენ მიწას, თიბავენ მინდვრებს, თავისთვის მიირეკავენ მემამულეების საქონელს. კეტებით, ნაჯახებით და იარაღით უხვდებიან გლეხები ყაზახებს და დარაჯებს, რომელთაც მთავრობა კვზავნის მათ წინააღმდეგ. ყველგან გამწვავდა მემამულეებისა და გლეხების დამოკიდებულება.¹

მწერალი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ გლეხებს არ სურთ ძველებურად ცხოვრება, ისინი ხელს ჰკიდებენ იარაღს და რევოლუციურ ბრძოლაში ებმებიან. უნდა გადაიჭრას ერთი მთავარი საკითხი — მიწა უნდა ჩამოერთვას მემამულეებს და გადაეცეს გლეხს, რომელიც მას ამუშავებს და არ იყენებს სხვის შრომას. გლეხების ჩაგვრა და უუფლებობა, — აღნიშნავს მ. ჯავახიშვილი — „...იქნება კიდევ, სანამ მიწა არ ჩამოერთმევა მემამულეებს.“² მაგრამ დღეს, — განაგრ-

ძობს იგი, — მეფის მთავრობაც მემამულეების მხარეზეა, მას სურს მათი ინტერესების დაცვა, რამდენადაც
„ჩვენი მეფე არის ყველაზე მდიდარი კაცი მთელ ქვეყანაზე. მარტო იმას და იმის ოციოდე ნათესავს მთელ რუსეთში აქვს 60 მილიონი დესეტინა მიწა... ათჯერ მეტი მთელ საქართველოზე“³ და შემდეგ სვამს კითხვას, საიდან აქვს მეფეს ამდენი მიწა და სიმდიდრე? და უპასუხებს:

„...საიდან და ხალხის ზურგიდან, ხალხის ოფლიდან, ხალხის ნამუშევრიდან“...⁴ და სწორედ ამიტომ გლეხობამ დაიწყო ბრძოლა „...რომ ძირს დასცენ მთავრობა, დაამარცხონ მემამულეები და მთელი მიწა გადასცენ მიწის მუშებს“.⁵

მ. ჯავახიშვილი სწორად წარმოგვიდგენს კაპიტალისტური დაჯგოფების ტენდენციას, რომ სიმდიდრის ზრდასთან ერთად მატულობს სიღარიბე, რაც ამწვავებს წინააღმდეგობებს და ბრძოლას საზოგადოების კლასებს შორის, მას სჯერა, რომ ამ ბრძოლაში მშრომელი ხალხი გაიმარჯვებს.

ამრიგად, მ. ჯავახიშვილი — დიდი ქართველი მწერალი — თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში არ იყო შემოფარგლული მხოლოდ მხატვრული ლიტერატურით, რასაც ნათლად მეტყველებს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მასალები. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, 900-იანი წლების პირველ ათეულში საქართველოში იშვიათად მოიპოვება ისეთი ფართო გაქანების ეკონომისტი, როგორც დიდი მწერალი იყო. მის მიერ გამოთქმულმა ეკონომიურმა შეხედულებებმა თავისი ადგილი უნდა დაიკავონ მე-20 საუკუნის ქართულ-ეკონომიური აზრის ისტორიაში.

1 მ. ჯავახიშვილი, გლეხი და მემამულე, რჩ. თხზ. ტ. 6, გვ. 131.

2 იქვე, გვ. 132.

3 მ. ჯავახიშვილი, მთავრობა, რჩ. თხზ., ტ. 6, გვ. 124.

4 იქვე, გვ. 125.

5 იქვე, გვ. 132.



ანდრე სტილის ბოლო რომანები

ანდრე სტილი სამწერლო სარბიელზე გამოვიდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ და მკითხველთა ყურადღება მიიპყრო თავისი მოთხრობებით, რომანებით, ნარკვევებითა და სტატიებით. მის კალამს ეკუთვნის 50-მდე მოთხრობა, 10-მდე რომანი და რამდენიმე ასეული ნარკვევი და სტატია. მისი ნაწარმოებები ხელიდან ხელში გადადის, მათ გატაცებით კითხულობენ ფრანგი მშრომლები, რომლებიც ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის სახით ხედავენ თავიანთი ინტერესების ერთგულ დამცველს, მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს.

ფრანგი ხალხის ბელადმა მორის ტორეზმა 1950 წლის აპრილში, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში მოიხსენია ფრანგი პროგრესული მწერლები, ფილოსოფოსები, მხატვრები, რომლებიც წარმუხუხრელად იბრძვიან ახალი ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ. გამოჩენილი ფრანგი მწერლების გვერდით მორის ტორეზმა დაასახელა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი ანდრე სტილიც.

ამ ბოლო ხანებში ანდრე სტილმა გამოაქვეყნა რომანების მთელი ციკლი საერთო სათაურით: „ბედნიერების საივთხი დასმულია“. („La Question du Bonheur est posée“). ჩვენ შევეხებით სამ რომანს, რომლებიც ამ ციკლში შევიდა. ესენია: „ჩვენ ხვალ ერთმანეთს შევიყვარებთ“ („Nous nous aimerons demain“, E. F. R. 1957, Paris), „ჩ მონგრევა“ („Le Foudroyage“, Paris, E. F. R. 1960) და „საათის უკანასკნელი მეოთხედი“ („Le Dernier Quart d'heure“, Paris. 1962).

როგორც ცნობილია, ანდრე სტილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ალკირის ომს, მწერალი მოთხრობებისა და რომანების მთელ ციკლს მიუძღვნის ალკირელი ხალხის ბრძოლას ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ. ანდრე სტილი ამბობს, რომ ალკირის ომი „ფრანგული პრობლემების ცენტრი“ გახდა.

რომანში „ხვალ ჩვენ ერთმანეთს შევიყვარებთ“, მწერალი გვიხატავს ახალგაზრდა მუშის რაიმონის შინაგან დრამას, რომელიც მასში გამოიწვია ალკირის ომმა. რაიმონს უყვარს მკერავი გოგონა ანი, უნდა შექმნას ოჯახი, მაგრამ რაიმონი მიჰყავთ ალკირის ომში. ომიდან დაბრუნებულ რაიმონს უკვე აღარ უყვარს ანი. სიყვარულის გრძნობა ომმა ჩაახშო. რაიმონი სახლშიც ვერ პოულობს სულიერ სიმშვიდეს, იგი ყოველმხრივ გამოფიტულია და იტანჯება.

რომანის მეორე ნაწილში სიუჟეტისა და კომპოზიციის განვითარება განისაზღვრება იმით, რომ რაიმონი დაადგება ზნეობრივი აღორძინების გზას. აქ დახატულია გმირის სულიერი განწმენდის ნელი პროცესი. მისი სულიერი გამოჯანმრთლება მთლიანად არ არის დამთავრებული ავტორის აზრით, რაიმონი სულიერად მაშინ გამოჯანმრთელდება, როდესაც ალკირში ომი დამთავრდება და მშვიდობა გაიმარჯვებს.

რომანი სინამდვილეს არ გაუბრბის, არამედ ებრძვის მას. იგი იბრძვის იმისათვის, რომ ახალგაზრდები აარიდოს ძმათა მკვლელ ომს და სწორ გზაზე დააყენოს ისინი. მწერალი გვაძლევს სეროზულ ფსიქოლოგიურ ანალიზს,

რომლის საფუძველზე შესანიშნავად წყვეტს მის მიერ წაროყენებულ პრობლემას. აქ მქალაქდება სწორედ მწერლის ნიჭი — ჩაწვდეს გმირების რთულ დრამატულ განცდებს, ზუსტად გადმოსცეს თავისი გმირების ტიპიური გარემო. ანდრე სტილის დამახსოვრებაა ისიც, რომ მან თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში წინა პლანზე წამოსწია მუშათა კლასის ცხოვრება და ეს ცხოვრება სიმართლით ასახა. მან მხოლოდ თავისი გმირის ფსიქოლოგიური დრამა და პირველი სიყვარულის პოეტიზაცია როდი მოგვცა, არამედ რაიმონის სახით ბრწყინვალედ გახსნა თავისი წიგნის ძირითადი იდეა: „მოვა დრო, როდესაც ჩვენი ხალხები ერთმანეთს შეიყვარებენო“.

მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადამიანის პირადი ბედნიერება მაშინ განხორციელდება, როდესაც მოისპობა სოციალური უსამართლობა.

ანდრე სტილმა ერთხელ თქვა, რომ მწერალმა უნდა შექმნას სამართლიანი ნაწარმოებები, რეალურად ასახოს ხალხის ცხოვრება და ამ ნაწარმოებებით მონაწილეობა მიიღოს თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში. მართლაც, ეს რომანი მწერლის აქტიურობის დღესასწაულებად. ეს არის დიდი მხატვრის გამოსვლა მშვიდობის დასაცავად, ალყირის უსამართლო ომის წინააღმდეგ.

„ჩ. მონტევეა“ თემატურად უკავშირდება რომანს „ჩვენ ხვალ ერთმანეთს შეიყვარებთ“.

რომანში მწერალი აშუქებს ფრანგი მეზობლების ცხოვრებასა და ალყირის ომის საკითხებს. რომანში მოთხრობილია მეზობელ მუშის, ფერნან დავენის ოჯახის თავგადასავალი. შახტში ჩამონგრევის დროს იღუპება ოჯახის მამა ფერნან დავენი. ობლად რჩებიან მისი ორი ვაჟი — ალბერი და რობერი, რომლებიც შახტში მუშაობენ.

უმცროსი ვაჟი შეშფოთებულია მამის ხედვრით, მას უნდა თავი დააღწიოს შახტში მუშაობას, ამიტომ ვადაზე ადრე მიდის არმიავი, მაგრამ უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება, მას ავზავნიან ალყირის ომში, სადაც იღუპება კიდევ.

მწერალს აწუხებს ახალგაზრდა ადამიანის ბედი ომისშემდგომ საფრანკეთის სინამდვილეში. ეს საკითხი მის უკანასკნელ რომანებში დიდ რეზონანსს იძენს. ამიტომ არის, რომ მისი ბოლო რომანები გამოდის საერთო სათაურით: „ბედნიერების საკითხი დასმულია“.

მწერლისთვის დამახასიათებელია ის, რომ თავისი რომანის პერსონაჟებად ირჩევს არასაკმაოდ მომწიფებულ, რიგით ადამიანებს, რომლებიც შესაძლებელია ადვილად აცდნენ სწორ გზას.

მწერალი ხშირად იყენებს შინაგან მონო-

ლოგს, იგი აშოშვლებს თავისი გმირის სუტს აიძულებს გულწრფელად თქვას ყველაფერი, თქვას ის, რასაც არ ეტყოდა არც დღევანდელ მძის, არც მამას და ამხანაგს. ბერნარის მხარეს ნიგელი ბევრი რამ აქვს, რადგან წინააღმდეგობის გაუწევლად ჩაება ომში, არ დაფიქრებულა თავის საქციელზე. ერთხელ მას მოუხდა ამხანაგის გულისათვის შურისძიება, მაგრამ დამსჯელის როლით გამოვიდა. ბერნარი ახალგაზრდაა, მას ჯერ კიდევ არა აქვს ნებისყოფის სიმტკიცე, რათა ხელიდან გამოუსხლტეს კოლონიზატორებს.

ბერნარის ბედი რაიმონის ბედის მსგავსია. შვებულებიდან ფრონტზე დაბრუნებული ბერნარი ცდილობს თავის დანაშაულის გამოსყიდვას. იგი იარაღს გადაადგებს და მძილოდ დაიწყებს მუშაობას. მაგრამ ერთ დღეს ხეობაში მის მანქანას აჯანყებულები ალყას შემოარტყამენ და ბერნარს მოკლავენ.

„უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრა, — ფრონტიდან სწერს ალბერს მისი ძმის ამხანაგი დოფინი ფერნანი, — რომ ბერნარი არ იყო შენზე ნაწვენი, აიიარება, რომ შენ ელვაპრაკე მკაცრი ტონით, მაგრამ მაინც არ იყავაჯერებულო“.

დავენის ოჯახი მწერალს დახატული ჰყავს დიდი სიყვარულით, ყოველ სტრიქონში იგრძნობა, რომ ავტორი დიდ პატივს სცემს თავის გმირებს. ავტორს ერთი წუთით არ ავიწყდება ის გარემოება, რომ ამ გმირებისაგან ადამიანმა შეიძლება ბევრი რამ ისწავლოს. ამავე დროს მწერალი მზად არის ასწავლოს მათ, ვით შორსმჭვრელია უფროსი მამა.

თავისებურია მწერლის მხატვრული მანერა. რომანი აგებულია შინაგან მონოლოგებზე. თვითიულ გმირს აქვს შესაძლებლობა გამოთქვას თავისი აზრი, „დაიცავს თავი“, განმარტოს თავისი საქციელის გამომწვევი მიზეზები. ამავე დროს მწერალი ცდილობს თავისი გმირის სიმართლე ან მცდარობა გვაჩვენოს. ზოგჯერ პერსონაჟთა შინაგან მონოლოგებში მოჩანს მწერლის ფრანგული, მსუბუქი ირონია. ეს ჩანს რძღვისა და მულის დამოკიდებულების ბევრ ეპიზოდში. რომანი მთავრდება ალბერის მონოლოგით.

ლუი არაგონი მიუთითებს რომანის მაღალი დეურობასა და მაღალმხატვრულობაზე. იგი ამბავს, აქ გამოჩნდა ავტორის ნიჭი „თავის სისრულესა და სიმწიფეში“.

რომანში კულმინაციურ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ის მომენტი, როცა ბერნარი შვებულებით სახლში ბრუნდება და მისი ძმა ალბერი ამხანაგებისაგან გაიგებს, რომ ბერნარი ალყირელების დარბევით მონაწილეობდა. ბერნარის საქციელს გმობს ყველა. ბერნარის საქციელი რომ დაგმო მუშათა კოლექტივმა, ამით მწერალმა გმირის ბიძგი მისცა — დაადგეს სწორ გზას.

თუმცა „ჩამონგრევა“ წარმოადგენს ნამდვილ ტრავმად (მთავარი გმირი ილუპება), იგი მაინც რწმუნას არ უყარავს ადამიანს.

როცა გაროდი თავის სტატიაში „ჩამონგრევა“ ჯარისკიტულ-ლენინურ შეფასებას აძლევს. „რომანი, — ამბობდა ლიტერატორი, — არის მატყუარა ეპიკური, რადგან იგი ავტორის ვნებებს თავისთავად: მას აკლია მორალური დასკვნა. ვნებანი რომ აღწერო, ეს არაფერია, არამედ რომანში უნდა იყოს ცოტა რამ ტურის, სევდისა და ავზისა.

ანდრე სტილის რომანში არც ტურა გამოყვანილი, არც სევდი და არც ავზი. აქ არც ანგელოზია და არც „მორალური დასკვნა“. აქ ჩვენ ვხედავთ ცოცხალ ადამიანებს, ნამდვილ ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებული არიან თავიანთ პროფესიასთან, სხვა ადამიანებთან. აქ წამოყენებული პრობლემები ამ ადამიანების ირგვლივ ტრიალებს. ეს ადამიანები ბოძობთ დვანან, ეწინააღმდეგებიან მტრებს, იბრძვიან, რომ დაამსხვიონ რაინის საეკლო. ისინი ზოგჯერ დაცურდებიან, მაგრამ შეუდევ კვლავ აღიან ფერდობზე. ისინი ამას აკეთებენ არა მარტონი, იზოლირებულად, არამედ სხვებთან ერთად. მათ იციან, საითკენ მიდიან საფრანგეთის მშრომლები. ამ წიგნს რომ წაიკითხავენ, მასში თავიანთ ბედსაც ამოკითხავენ. ეს წიგნი აქვრდება როგორც მოწოდება: საფრანგეთის სხეულში გამჯდარია ვანგრენა, რას აკეთებ შენ, რომ იგი დაამარცხო?“

რომანი გამოვიდა 1960 წლის თებერვალში და მასწინვე დებრეს მთავრობის ყურადღება მიიპყრო. როგორც ჩანს, რომანი არ მოეწონა საფრანგეთის მთავრობას და 1960 წლის 26 აპრილს მას კონფისკაცია უყვეს. „ეს მოქმედება, — წერდა ლე ლეტრ ფრანსუზი 1960 წლის 28 აპრილის ნომერში, — ჩვენში დიდ გავირებებს იწვევს. „ჩამონგრევა“ არც პოლიტიკური დოკუმენტია და არც რეპორტაჟი, იგი მხოლოდ ლიტერატურული ნარკვევი, ლიტერატურული ნაწარმოებია. ჩვენ საქმე გვაქვს მწერლის თავისუფალი შემოქმედების ხელყოფასთან, რომლის წინააღმდეგ გალაპრით პროტესტს აცხადებს. ფრანგ გამოცემულთა გავრთიანება.“

დებრეს მთავრობის ანტიდემოკრატიულმა მოქმედებამ თრანგი ხალხის აღშფოთება გამოიწვია. საფრანგეთის გაზეთებსა და ჟურნალებში ბევრი საპროტესტო წერილი დაიწერა.

„მთავრობის ბრძანებით, — წერს ფრანგი დემოკრატი მწერალი მარსელ ფურეი, — გუშინ დილით პოლიციამ კონფისკაცია უყო ანდრე სტილის რომანს — „ჩამონგრევა“, რომელიც თებერვალში გამოვიდა. ამრიგად, ადგილი აქვს იდეის რეპრესიის ახალ ფორმას, რაც, სამწუხაროდ, სოციალური რეგრესის მაჩვენებელია. ნიკიერი მწერალი ანდრე სტილი დებრეს მთავრობას შეჰყავს თავის სანადირო სიაში არა პო-

ლიტიკური საქმიანობის გამო, არამედ რომანი სათვის.“

ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და პოეტი ჟან-პოლ სარტრი წერს: „სულ ცოტა, ერთი თვის განმავლობაში აკრძალეს სამი გაზეთი: „ექსპრესი“, „ფრანს ობსერვატორ“ და „ტემუანჟ ე დოკუმენ“. ითხი წიგნი: „დებრეტი“, „უპრყოფა“, „ალეირის რეგოლაციის ხუთი წლისთავი“ და ახლახან გამოცემული ანდრე სტილის რომანი „ჩამონგრევა“. ლიტერატურულმა კრიტიკამ მწერალს ბრალი დასდო და იგი ციხეში ჩასვეს.“

რომანის აკრძალვასთან დაკავშირებით „ლიბერასიონის“ რედაქციამ ინტერვიუ გაუმართა ანდრე სტილს, რომელმაც პროტესტი განაცხადა რომანის აკრძალვის გამო და ბოლოს დაასკვნა: „რომანი რომ აკრძალო, ეს ნიშნავს შთაგონო მწერალი — ატაროს პატიმრის უღელი“.

1960 წლის 13 ივნისს „ლუმინიტი“ წერდა, რომ ანდრე სტილის რომანი „ჩამონგრევა“ ბაზარზე კვლავ გამოჩნდა.

თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში ანდრე სტილის სახით გვეყვს ერთ-ერთი შესანიშნავი მწერალი, რომლის მხატვრული სიტყვის ძალა შიშის ზარს ჰკვირის საფრანგეთის ბურჟუაზიას.

1962 წლის ივნისში გამოვიდა ანდრე სტილის ბოლო რომანი: „სათის უქანასკნელი მეოთხედი“, რომელიც დაწერილია ალყირელი და ფრანგი ხალხების მეგობრობის თემზე. რომანში გამოკვეთილია ორი მთავარი პერსონაჟი, ორი მთავარი სახე. ერთი არის ალყირიდან ჩამოსული მუშა საიდი, რომელიც მუშაობს ჩრდილო საფრანგეთის ერთ-ერთ მეტალურგიულ ქარხანაში. ამავე ქარხანაში მუშაობს ფრანგი მუშა მარლენი. რომანში ერთმანეთს უკავშირდება ორი სახე, ორი ადამიანი. ისინი ფიცს სდებენ, ერთად იმუშაონ და იბრძოლონ ალყირელი და ფრანგი ხალხების საკეთილდღეოდ. პერსონაჟთა მოქმედება ვითარდება ჩრდილო საფრანგეთში, მუშახტეთა დაბებისა და ქარხნების ფონზე.

ავტორი დიდი ექსპრესიით გვიხატავს თავის მშობლიურ მხარეს — ჩრდილოეთ საფრანგეთს, მაღაროელთა დაბებს, ცეცხლითა და კვამლით გამურულ ქარხნებს, მუშებს, ამ ქარხნებში რომ მუშაობენ და დოვლას ქმნიან.

რომანში ვერ ნახავთ მაღალფარდოვან სიტყვებს, ვერც სენსაციურ დრამასა და გმირობას. რომანში ვრცლად არის მოთხრობილი ომის საშინელება, რაც ნათლად ჩანს რამდენიმე სცენაში, სადაც ანთფლექტები მოცემულია ღრმად, დამაჯერებლად.

სერგო თურნავა

ანდრე სტილის ბოლო რომანები

რომანისტს არც შავი სითვალე აქვს და არც ვარდისფერი, — წერს ცნობილი ფრანგი მწერალი პიერ გაბარა, — მწერალმა გამოიყენა თავისი ორიგინალური ხელოვნება, აესახა ეს სისხლისმღერელი კონფლიქტი და ყველა კონფლიქტი საერთოდ, რომლებმაც განვიტარების მაღალ საფეხურს მიაღწიეს. ეს უნდა ითქვას შეგნებულად.

მე ვამბობ, რომ მწერალი წიგნის უკანასკნელ გვერდებზე გვაძლევს ამფორაქებულ დილოგებს შარლემანსა და საილს შორის. ჯერ არ მინახავს, მწერალს ასე ღრმად და დამაჯეტებლად აესახოს კონფლიქტები.“

შარლემანი და საილი პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ. მათ სურთ ბოლო მოეღოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, ისინი სხვა მუშებთან ერთად თავგამოდებით იბრძვიან ამ ამოცანის განსახორციელებლად. რომანის მთავარი პერსონაჟი შარლემანი სხვა პერსონაჟებთან შედარებით ხშირად მოჩანს მოქმედებაში. შარლემანი არ შორდება იმ ქალაქს, სადაც დაიბადა, მას ყველა იცნობს, დიდი და პატარა. ყველას უყვარს როგორც მტკიცე, უმუშაო მებრძოლი-ლენინელი, რომელსაც არ ეშინია არც ციხის, არც გადასახლებისა და არც სიკვდილის. შარლემანმა თავისი ცხოვრების მეტი ნაწილი საპრობოლესა და გადასახლებებაში გაატარა. ოცდაათი წელია, რაც მას იცნობენ, როგორც მებრძოლ კომუნისტს. მუშათა ქალაქი ხშირად ლაპარაკობს შარლემანზე, მის ცხოვრებაზე.

მთელ წიგნში მუშების ცხოვრებაა ასახული, მაგრამ ზოგჯერ შიგ ჩართულია სხვადასხვა ნოველა, თუმცა ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ამ ნოველებშიაც შარლემანის ოჯახი, ქარხნის მუშები, მოხუცები, ახალგაზრდები მოქმედებენ; მოქმედებენ აგრეთვე ალყირელი კომუნისტები, რომლებიც იზიარებენ თავიანთი ძმების ვაჟირებებს, ზოგჯერ უკანაც იხევენ, მაგრამ დიდი სურვილი აქვთ მანაწილდნენ მიიღონ საერთო ბრძოლაში. ფრანგი კრიტიკოსი ანდრე ვოვე მაღალ შეფასებას აძლევს რომანს, მისი აზრით, ეს არის ძვირფასი იარაღი კოლონიალური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მწერალი შესანიშნავად ახერხებს განმარტოს კომუნისტთა გმირული ბრძოლების მნიშვნელობა, ამისათვის იგი ბრძოლაში აბამს მასებს, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედებენ. შარლემანმა კარგად იცის, რომ ბრძოლა არ დამთავრებულა, მოსალოდნელია კიდევ ძნელი გამოცდა და იგი მზად არის ბოლომდე იბრძოლოს.

რომანის ბოლოს მწერალი სიმბოლურად ამბობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაჰყრავს საათის უკანასკნელი მეოთხედი და ბოლო მოე-

ლდება კოლონიატორთა ველურობას არა მითა ალყირში, არამედ მთელ მსოფლიოში, ანდრე სტილის რომანებში თვითმეტიველი სონაჟი მოქმედებს განსახლვრულ სოციალურ ვითარებაში. მწერალი ფართოდ იყენებს შინაგან მორალოგებს, ვეჩინებებს გმირების გრძნობების სამყაროს. ეს ხერხი ფართოდ არის გავრცელებული მეოცე საუკუნის რეალისტურ ხელოვნებაში. მწერალს ახასიათებს მხატვრული საშუალებებისა და ხერხების მრავალფეროვნება, რომელიც იგი თავისი პერსონაჟების ხასიათების გასახსნელად იყენებს. ეს არის ემიკური და დრამატული თხრობის ხერხი.

ანდრე სტილის რომანებისათვის დამახასიათებელია ორი სამყაროს ჩვენების კონტრასტული ხერხი. ეს სრულებით არ არის ხელოვნური ხერხი, როცა მწერალი მიზნად ისახავს გააოცოს მკითხველი ძლიერი დაპირისპირებით. კონტრასტი მწერალს უშუალოდ სინამდვილიდან აქვს აღებული და გადატანილი რომანის მხატვრულ ქსოვილში. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ შობს გმირებს თვით ხალხი, როგორ ხდის ცხოვრება ამ უბრალო ადამიანებს გმირებად და რა დიდ როლს თამაშობს ცხოვრება ამ პროცესში. კომუნისტური პარტია აძლევს ამ ადამიანებს ბიძგს გმირობისაკენ.

შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ რომენ როლანისა და ანდრე სტილის პერსონაჟები, რომელია, როგორც მებრძოლებს, შინაგანი ნათესაობა აქვთ, მაგრამ ერთმანეთისაგან მინც განსხვავდებიან. ეან კრისტოფს მთელი თავისი ცხოვრების მანიჭლვე მარტოს უხდება ბრძოლა არსებულ სინამდვილესთან. მის გვერდით არც პარტია იყო, არც მეგობრები და არც თანამოაზრეები. სულ სხვა არიან ანდრე სტილის გმირები: ანრი ლურუა შარლემანი, საილი, ეაკი, მორისი. ისინი მარტონი არ არიან, მათ აქვთ ორგანიზაცია, ჰყავთ მეგობრები, თანამოაზრეები, რომლებიც ხელოვნელოვნად იბრძვიან კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. ეს პერსონაჟები პოლიტიკურად გათვითცნობიერებული არიან, ხალხს სჯერა მათი სიტყვის. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, ანდრე სტილის გმირებში მიილტვიან საერთო სახალხო მოძრაობისაკენ და ერთიანი ძალით ამარცხებენ მტერს. ეს თვისება არ გააჩნით თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის წარმომადგენელნი: ფილიპ იეიას, მორის დრუენს, ერვე ბაუნეს, რობერ გერსს, არმან ლანუსს, ეან ვერკორსა და სხვებს. ეს მწერლები, მართალია, ცდილობენ ახლოს მივიდნენ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისთან, მაგრამ მათ ჯერ კიდევ დიდი, დაძაბული მუშაობა დასჭირდებათ, რომ დადგნენ სოციალისტური რეალიზმის ნიადაგზე. ანდრე სტილის გმირები კი პირიქით, აქტიური მებრძოლები არიან, მწერალ-



ლი გმირებს ყოველთვის ბრძოლის დაძაბულ ვითარებაში ხატავს, თვითულის წინაშე დგას პარტიის ყოფნა-არყოფნის საკითხი, დამოუკიდებელი დარჩება თუ არა საფრანგეთი? მათ შესწევთ უნარი თან გაიყოლიონ მასებო.

ანდრე სტილი კვალდაკვალ მისდევს ფრანგული ლიტერატურის რეალისტურ ტრადიციებს. ანდრე სტილი, ისე როგორც ზოლა, ბარბუსი და სხვ. დიდი ძალით ხატავს ომის მთელ არსს. მას არ აკმაყოფილებს საქმის მარტო ფაქტური მხარე, რასაც ზოლა გვაძლევს „განადგურებაში“, არამედ მას სურს გავრცეოს ომის წარმოშობის მიზეზებში, მზის სინათლეზე გამოიტანოს სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა, დაინახოს იგი მოწინავე კლასის პოზიციებიდან, მწერალი დაუზოგავად ამხილებს იმპერიალიზმს.

ანდრე სტილი, აგრეთვე სხვა პროგრესული მწერლები იზიარებენ ლეი არაგონის მხატვრულ მეთოდს. არაგონს მიყვებიან აგრეთვე სხვა მწერლებიც, რომლებიც თავიანთი იდეოლოგიით ახლოს დგანან მარქსიზმთან. ეს მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში ჯერ კიდევ ვერ აღწევენ ეპიკურ მასშტაბებს, მაგრამ უახლოვდებიან სოციალისტურ რეალიზმს.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა საფრანგეთში ვითარდება არა იზოლირებულად, არამედ ბურჟუაზიული საზოგადოების გარემოცვაში. ბურჟუაზიული ლიტერატურა ცდილობს დაჩრდილოს მუშათა კლასის ეს

ახალგაზრდა ლიტერატურა. ზოგჯერ მოდერნისტული ლიტერატურა კიდევ აღწევს წარმატებებს. ამიტომ უნდა გაეთვალისწინოთ შინაგანი ბრძოლა, რომელიც წარმოებს თანამედროვე საფრანგეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში მოდერნისტულ და სოციალისტურ რეალიზმის ლიტერატურებს შორის. უამისოდ ვერ გავიგებთ იმ რთულ პროცესს, რომლის შედეგად თანამედროვე საფრანგეთის ლიტერატურაში მკვიდრდება სოციალისტური რეალიზმის მეთოდი.

ანდრე სტილის რომანები: „პირველი დარტყმა“ (ტრილოგია), „ჩვენ ხვალ ერთმანეთს შევიყვარებთ“, „ჩამონგრევა“, „სათის უკანასკნელი მეოთხედი“ დაწერილია სოციალისტური რეალიზმის პრინციპების მიხედვით.

ანდრე სტილია მიიღო სოციალიზმი, როგორც ყველაზე მოწინავე იდეოლოგია და მიუძღვნა მის პროზაგანდას საუკეთესო პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებები. მისი რეალიზმის ძალა იმაშია, რომ თავის ნაწარმოებებში გამოაშკარავა კაპიტალიზმის დამხობის და პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებლობა.

ანდრე სტილი როგორც მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, თავის შემოქმედებით ამდიდრებს ფრანგულ და მსოფლიო კულტურას.

სერგო თურნავა
ანდრე სტილის ბოლო რომანები



მანია მამასაშვილი

„სპარსული ქრესტომათია“

გამომცემლობა „ცოდნამ“ გამოსცა პროფ. დავით კობიძის მიერ შედგენილი „სპარსული ქრესტომათია“. წიგნის რედაქტორია ალექსანდრე გვახარია.

სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს პირველ ტომს, სადაც დაბეჭდილია სპარსულ-ტაჯიკური მწერლობის კლასიკური პერიოდის (X—XV ს.) ნიმუშები. როგორც „სპარსული ქრესტომათიის“ წინასიტყვაობაშია აღნიშნული, გამოსაცემად მზადდება II ტომი, სადაც წარმოდგენილი იქნება თანამედროვე სპარსული ლიტერატურა. მესამე ტომი მთლიანად დაეთმობა წინა ორი ტომის ლექსიკონს.

ქრესტომათია დიდი მოცულობისაა; იგი შეიცავს 462 გვერდს. წიგნს უძღვის პროფ. დავით კობიძის წინასიტყვაობა, სადაც ვკითხულობთ ცნობებს ქრესტომათიაში დაბეჭდილ ავტორთა შესახებ. აქვე გადმოცემულია ქრესტომათიის შედგენის პრინციპები და მიზანი.

ვიდრე საკუთრივ „სპარსული ქრესტომათიის“ დახასიათებას და მასში წარმოდგენილი მასალის განხილვას შევუდგებოდეთ, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მანამდე არსებულ, რუსეთში გამოქვეყნებულ სპარსულ ქრესტომათიებზე, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს სარეცენზიო წიგნის აქტუალობა და დღეისათვის მისი გამოსვლის საჭიროება.

პირველი სპარსული ქრესტომათია რუსეთში შეადგინა ა. ბოლდირევა (Персидская хрестоматия, I—II 1826—1834). ბოლდირევა ქრესტომათიაში შესული მასალა სამ განყოფილებად დაჰყო:

1. პროზა — არაკები, ნაწყვეტები ისტორიული თხზულებებიდან, ნარევი.

2. პოეზია — ნაწყვეტები ამა თუ იმ პოეტის ნაწარმოებებიდან, ლექსები, ცალკე ბეითები (ფირდოუსის, საადის, ჯამის, ჰაფიზისა და სხვა).

3. ლექსიკონი.

ბოლდირევის ქრესტომათია, განსაკუთრებით კი ლექსიკონი, თითქმის მთელი ერთი საუკუნის მანძილზე ერთადერთი სპარსული ქრესტომათია იყო. (ლითოგრაფიულად გამოცემული).

1906 წელს მოსკოვში გამოიცა მ. ყაფარის „Образчики персидской письменности с X века до нашего времени“. ეს ქრესტომათია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ტომში წარმოდგენილია პროზა, ხოლო მეორეში — პოეზია (სამანიდების დროიდან მოკიდებული ვიდრე XIX საუკუნემდე), ყველაზე სრულად ამ ქრესტომათიაში მოცემულია ფირდოუსის, საადის და ჰაფიზის პოეზია. საინტერესოდ არის შერჩეული მასალა სუფიზმის დიდი თეორეტიკოსების ათარისა და რუმის თხზულებებიდან.

ქრესტომათიაში ძირითად მასალასთან ერთად დაბეჭდილი იყო ნაწყვეტები მეორეხარისხოვან პოეტთა თხზულებებიდან. ამდენად, ამ ქრესტომათიას ერთგვარი შთაბეჭდილება უნდა შეექმნა სპარსული ლიტერატურის განვითარების ისტორიაზეც.

ქრესტომათიის შედგენისას მ. ყაფარიმ ისარგებლა იტალო პიდზის ქრესტომათიით, განსაკუთრებით მასალის შერჩევის დროს. გზადგზა ის ასწორებდა პიდზის მიერ დაშვებულ შეცდომებსაც.

მ. ყაფარის თავის ქრესტომათიაში გათვალისწინებული ჰქონდა სპარსული ენის, ლიტერატურისა და ლექსთაწერის უმთავრესი საკითხები და მასალაც სწორედ ამ ძირითად საკითხთა საილუსტრაციოდ შეარჩია.

მ. ყაფარის ქრესტომათიის მეორე ნაწილი შედგება ეპოსის, დიდაქტიკის და ლირიკის განყოფილებებისაგან (აქ უმთავრესად წარმოდგენილია ყასიდები, ყაზალები და ყითა, სტროფული ლექსები: თარჯიბანდი, მუხამასი; ნარევი—წერილ-წერილი ლექსები, რობაი და ჰაფიზის „საყი-ნამე“).

როგორც ამ განყოფილებიდან ჩანს, ქრესტომათიის შედგენის პრინციპს საფუძვლად უდევს მასალის უანრობრივი თვალსაზრისით შერჩევა. თუმცა შეძლებისდაგვარად დაცულია ქრონოლოგიური პრინციპიც. ყოველ ნაწარმოებს თან ახლავს განმარტება. ამით ავტორი ერთგვარ წარმოდგენას იძლევა ლექსთაწერის საკითხებზეც.

რიკით მესამე ქრესტომათია ვ. ფილონენკოს „Персидская хрестоматия“, часть первая (მერე აღარ გამოსულა). ეს არის პირველი ბეჭდური სპარსული ქრესტომათია. ავტორმა ის შეადგინა 1922 წელს ყირიმის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტის მსმენელებისა და სტუდენტებისათვის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო სპარსული ენის შესასწავლად. ქრესტომათიის შედგენის დროს მას იმ პროგრამით უხელმძღვანელია, რომლითაც მაშინ სპარსულ ენას უნივერსიტეტში

ასწავლიდნენ. წიგნში შევიდა მხოლოდ ის ტექსტები, რაც ვ. ფილონენკოს ხელთ ჰქონდა. ასე რომ, იგი ნაწყვეტად, სახელდახელოდ შედგენილი ქრესტომათია გამოდგა და რაღა თქმა უნდა. ვერ უპასუხებდა მეცნიერულ მეთოდურ მოთხოვნილებებს. და თუ იგი მაინც გამოვიდა, მხოლოდ იმის გამო, რომ სტუდენტებისათვის ენის შესწავლა უტექსტოდ შეუძლებელი იყო.

აქ განხილულ სპარსულ ქრესტომათიებს, გარდა მ. ყაფარის სპარსული ქრესტომათიისა, დღეისათვის დაკარგული აქვთ მეცნიერული მნიშვნელობა. მ. ყაფარის ქრესტომათია კი ახლა უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ეს პატარა „ისტორიული ექსკურსი“ იმისთვის დაგვიჭირდა, რომ გვეჩვენებინა რამდენად დროული და აუცილებელი იყო „სპარსული ქრესტომათიის“ გამოცემაზე ზრუნვა. მისასალმებელი და სასიხარულო ფაქტია, რომ ასეთი საჭირო წიგნი ქართული უნივერსიტეტის კედლებში შეიქმნა.

„სპარსულ ქრესტომათიაში“ პროზა და პოეზია ქრონოლოგიური პრინციპის დაცვითა დაბეჭდილი. მასალის ასეთი დალაგება სავსებით გამართლებულია, რადგან თვითეული ავტორის ნაწარმოებები ერთად არის თავმოყრილი, არ არის გაფანტული და დანაწევრებული (როგორც ამას ადგილი აქვს ზემოთ განხილულ ქრესტომათიებში). ამით ეს მასალა საშუალებას აძლევს მკითხველს ერთიანი შთაბეჭდილება შეუქმნას თვითეულ სპარსულ ავტორზე. საგულსხმაოა ისიც, რომ ასეთი პრინციპი მასალის განლაგებისა ხელს უწყობს აგრეთვე სპარსული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ხაზისა და მთავარი მომენტების გათვალისწინებას.

„სპარსულ ქრესტომათიაში“ წარმოდგენილი ტექსტები გადმომეჭდილია ძირითადად ახალი სპარსული გამოცე-

მაია მამაცაშვილი

„სპარსული ქრესტომათია“

მებღან. ასე მაგ: რუდაქის პოეზიის ნიმუშები დაბეჭდილია საიდ ნაფისის ცნობილი წიგნის მიხედვით. ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ეპიზოდების ტექსტები თეირანის 1935 წლის გამოცემიდან არის გადმოტანილი, ფეროხი — თეირანის 1932 წ. გამოქვეყნებული „დივანიდან“; „ვისრამიანი“ — მოჯთაბა მინოვის გამოცემიდან. გათვალისწინებულია მ. მამაჯუბის გამოცემაც. როცა ახალი გამოცემა არ მოიპოვება, შემდგენელი სარგებლობს ყველაზე სანდო ძველი გამოცემების ტექსტებით. მასალის მცირე ნაწილი ამოკრეფილია მ. ყაფარის სპარსული ქრესტომათიიდან.

ამ ფაქტზე მხოლოდ იმიტომ ვაგვამახვილეთ ყურადღება, რომ ქრესტომათიაში წარმოდგენილი მასალის სახით ამ დარგში მომუშავე სპეციალისტები თუ სტუდენტები მიიღებენ სპარსული ტექსტის ზედმიწევნით საიმედო წყაროებს შედარებით სხვა, აქამდე არსებულ ქრესტომათიებთან. აქ ჩამოთვლილი სპარსული გამოცემების უმრავლესობა მიუწვდომელია სპეციალისტთა უმეტესობისათვის, განსაკუთრებით კი სტუდენტებისათვის.

სარეცენზიო წიგნში ბევრი ნაწარმოები საერთოდ პირველად იბეჭდება და კრიტიკული ტექსტის დადგენის ცდასაც კი წარმოადგენს. ამ ხასიათის შრომა გაუწევია პროფ. დავით კობიძეს ხოსრო დეჰლეღის „ჰაშთ-ბეჰეშთის“ ტექსტის გარკვეულ ნაწილზე მუშაობის დროს (გვ. 384—394). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ფონდში ინახულია ხოსრო დეჰლეღის „ხამსა“ (ხუთეული), რომლის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს მისი პოემა „ჰაშთ-ბეჰეშთი“ (ქართ. ბარამგურიანი). ამ ხელნაწერის გარდა ქრესტომათიის შემდგენელს გამოუყენებია აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ხელნაწერიც. ამ ორი ხელნაწერის საშუალებით არის დადგენილი ქრესტომათიაში მოტანილი ნაწყვეტის ტექსტი.

ტექსტის დადგენისას პროფ. დავით კობიძე ხშირად ემყარება „ჰაშთ-ბეჰეშთის“ სალექსო ზომას, რაც უწყობს მას ხელს სწორი წაკითხვის დადგენაში. გარდა ამ პოემისა, ქრესტომათიაში დაბეჭდილი ეპიზოდებიც ჯამის „იოსეფო ზოლეხადან“ (გვ. 414—419) ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების (P—296; P—224; P—396 და სხვა) მიხედვითაა გამოცემული.

როგორც თავად შემდგენელიც აღნიშნავს, სპარსული ტექსტების გამოცემა დღესდღეობით ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას. ყველაზე სანდო გამოცემებშიც ხშირად ვხვდებით ტექსტის თანმიმდევრობისა თუ ლექსის ზომის დარღვევის შემთხვევებს. ამ თვალსაზრისით ქრესტომათიაში შესული სპარსული ტექსტები დიდი სიფრთხილითაა დამუშავებული და ამ სახის შეცდომები მინიმუმამდეა დაყვანილი. ყველა შეცდომა უპირატესად კორექტული ხასიათისაა.

ხელნაწერთა გამოყენების დროს პროფ. დ. კობიძეს რიგ შემთხვევაში საინტერესო კორექტურები შეაქვს ტექსტში. მაგრამ იმის გამო, რომ ხელნაწერი ხშირად ვარიანტებში არ არის მითითებული, მისი საინტერესო და სწორი დაკვირვებები შეუმჩნეველი რჩება. ასე მაგ. ქრესტომათიის 384 გვერდზე ვკითხულობთ, გაშთე; ხელნაწერში P-73 არის წაკითხვა: გაშთ. პირველი ვარიანტი უფრო მართებული ჩანს, რადგან მას მხარს უჭერს ლექსის ზომა. ხელნაწერის ჩვენება კი ვარიანტებში არ არის ასახული. 385-ე გვერდზე ხელნაწერი P—73-ის წაკითხვის ქაშმუნაშის ნაცვლად ტექსტში სწორი ფორმაა მოტანილი: ქაშმეიეშ, მაგრამ პირველი ვარიანტი არ არის შეტანილი და სქოლიოში წარმოდგენილია მხოლოდ ლენინგრადისეული ხელნაწერის მიხედვით — აშმუნ და სხვ.

შეიძლებოდა შეგვენიშნა აგრეთვე მასალის არაზომიერი განაწილება. ჩვენი აზრით, არ იყო საჭირო ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ასეთი ვრცელი ტექსტის

დაბეჭდვა (გვ. 16—114), ვინაიდან ამან გამოიწვია სხვა პოეტების ნაწარმოებთა შეკვეცა. მით უფრო, რომ „შაჰ-ნამეს“ სპარსული ტექსტის პირველი ორი ტომი უკვე დაიბეჭდა. უფრო ვრცლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი რუმისა და ათარის ნაწარმოებები.

წლების მანძილზე აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები მოკლებულნი იყვნენ მათთვის საჭირო სახელმძღვანელოს. დღეს ეს ხარვეზი შეესებულება და სტუდენტებმა „სპარსული ქრესტომათის“ სახით

კარგი საჩუქარი მიიღეს. მაგრამ ამ ქრესტომათიას მარტო სასწავლო მანიერა ვნელობა როდი აქვს. აქ გამოქვეყნებულია მრავალი უნიკალური და ძნელად მოსაპოვებელი ტექსტი, ზოგიერთი მათგანი დღემდე არ გამოცემულა. ამდენად, მასში წარმოდგენილი მასალა დიდ დახმარებას გაუწევს სპარსულ ფილოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებსაც.


მაია მამაცაშვილი

„სპარსული ქრესტომათია“



მეგობრის სსოვნას

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ გიორგი შატბერაშვილი ჩვენს შორის აღარ არის. მისი დაკარგვა განსაკუთრებით მძიმეა მათთვის, ვინც პირადად იცნობდა ამ არაჩვეულებრივი სიკეთისა და გულის ადამიანს, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი მაღლიანი სიტყვა.



გიორგი შატბერაშვილი გამოჩენილი ქართველი მწერალი და ახალგაზრდობის დიდი მეგობარი იყო. უურნალ „ცისკრის“ დაარსების დღიდანვე იგი ჩვენს რედაქციაში მუშაობდა და სხვადასხვა დროს პოეზიისა და პროზის განყოფილებებს ხელმძღვანელობდა. გიორგი შატბერაშვილი ჩვენს უურნალთან მთელი თავისი მოღვაწეობითა და შემოქმედებით იყო დაკავშირებული. „ცისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მისი ერთ-ერთი საუკეთესო პროზაული ნაწარმოები „მკვდრის მზე“, ამაღელვებელი ლირიკული პოემა „ზაფხულის დამის ქრონიკა“ და მრავალი ლექსი და წერილი.

გიორგი შატბერაშვილი თავისი შემოქმედებით ჩვენი თანამედროვე ცხოვრების გამომხატველი იყო. ამას ადასტურებს მისი ვაჟკაცური, მეტად თავისებური ელფერით აღბეჭდილი პოეზია, ამასვე მოწმობს მისი ღრმად ეროვნული პროზა.

იგი ისე შეუდრეკლად და პათოსნად ეწეოდა მწერლობის მძიმე ჭაპანს, როგორც მისი საუკეთესო მოთხრობის გმირი ვაჟკაცური თავგამებებითა და უინით შეპყრობილი ადგილიდან სძრავდა „საჯილდაო ქვას“, მანაც თავისი გმირივით შეურცხვენლად და რაინდულად გალია „წუთისოფლის გრძელი დღე“, სამუდამოდ დაგვსორდა და გული ყველას უზომოდ დაგვწყვიტა.

დაუფიქსარია ის დიდი სიბოლო და მზრუნველობა, რასაც გიორგი შატბერაშვილი ახალგაზრდა მწერლებისადმი იჩენდა. სულითა და ბუნებით მუდამ ახალგაზრდას უსაზღვროდ ახარებდა უმცროს მეგობართა ყოველი წარმატება.

გავიხსენოთ თუნდაც, რა დიდი სიყვარული ჩააქსოვა მან უდროოდ დაღუპულ გურამ რჩეულიშვილზე დაწერილ წერილში.

იგი ჩვენს გვერდით მუშაობდა, გვეხმარებოდა, გვასწავლიდა. ჩვენთვის მაღლან ბევრს ნიშნავდა მისი სიღარბაისლე, მდიდარი მწერლური გამოცდილება და რჩევით ნათქვამი უბრალო სიტყვაც კი. ჩვენ გვზიბლავდა მისი სულიერი სიფაქიზე, დიდი ადამიანობა, პატიოსნება, ქართული ენის განუზომელი სიყვარული და ქართული სიტყვისადმი უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება.

ჩვენ გვზიბლავდა მისი დაუსრეტელი შემოქმედებითი ენერჯია და გულწრფელობა. გიორგი შატბერაშვილის სახელი მარად იცოცხლებს მისი მეგობრების გულში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როზო აბაშუაძე, გიორგი ბედიანიშვილი, ჯაშრ ბოლქვაძე, გივი ბეგაძე, ნოდარ დუმბაძე, მირაზ ელიოზიშვილი, დიმიტრი ერისთავი, რევაზ თვაჩაძე, მადეა კახიძე, ეგზარ კვიციანიშვილი, ჯემალ ლოლუა, მუხრან მაჰარაძე, შოთა ნოზიანიძე, ოტია პაპკორია, გურამ ფანჯიკიძე, გიორგი ქავთარაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რაულ ჩაჩანიძე, ცილა ჩხეიძე, ნოდარ ჩხეიძე, ნოდარ ჭულენიკიძე, ტარიელ მანუშკია, ვახტანგ ჭელიძე, როზო ბივიანი, თამაზ ბილაძე, ოთარ ბილაძე, გიორგი ხუბუაშვილი.



ამბტრინა

ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ

მწერალი ქალის ფრიდლ ხოფბაუერის ახალი რომანი „ცალმხრივი სიყვარული“ გამოცემაში გამოცემილია „იუგენდ უნდ ფოლკმა“.

გაზეთ „ფოლქსშტემის“ მიმომხილველის სიტყვებით, რომანი თანამედროვე ახალგაზრდობის მრავალ აქტუალურ საკითხს ეხება. რატომ არის, რომ დღევანდელი ავსტრიის ახალგაზრდობა სულ სხვაგვარად გამოიყურება? რატომ არის, რომ იგი რადიკალიზირებულია „ცივი-ცხელითა“ და უხალისოდ ცხოვრობს იგი უბედურების მან სიცოცხლის მიმართ სიხარბე და რატომ ასე ცოტას აკეთებს მისთვის? რატომ ცხოვრობს იგი ყოველგვარი იდეის, გეგმის, უმოქმედებითი აზრებისა და მიზნების გარეშე? რატომ, რატომ, რატომ?.. „როგორც ხედავთ, შეკითხვა ბევრია, მაგრამ მწერალმა ქალმა ყველა მათგანზე პასუხის გაცემა ვერ მოახერხა“, — აღნიშნავს მიმომხილველი.

რომანში მოქმედება სოფლად იწოდება. ქალაქთან შედარებით აქ უფრო მეტად იგრძნობა ბურჟუაზიული ცხოვრების დამღუპველი გავლენა ახალგაზრდობაზე. აქ უფრო მკვეთრად ჩანს ახალგაზრდობის კონფლიქტი ცხოვრებასთან, საზოგადოებასთან.

იხადება სიყვარულიც... მაგრამ განა ცალმხრივი, უპასუხო

სიყვარული სიყვარულია? დიდი გრძობების ნაცვლად — იმედების გაცრუება, გულგრილობა, მომხდარი ამბების მნიშვნელობის უგულვებელყოფა.

„რა არის ეს? ღრმა პესიმისტური წიგნი? — განაგრძობს მიმომხილველი, — არა, ეს არის კარგად დაწერილი რომანი თანამედროვე ახალგაზრდობის ამოცანებისა და მიზნების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორმა ვერ შეძლო ეჩვენებინა გზა, ახალგაზრდობას რომ დაეხმარებოდა ამ ამოცანების გადაწყვეტაში.“

არბმენტინა

კინემატოგრაფიის კრიზისი

არგენტინის კინემატოგრაფია კრიზისს განიცდის: 1966 წელს 120 კინოთეატრი დაიხურა. მაყურებელთა რიცხვი მილიონამდე დავიდა. კონკურენციისაგან კინოწარმოების დასაცავად არგენტინის მთავრობამ შეიმუშავა ახალი წესი, რომლის თანახმად გამჭირავებელი კომპანიები ვალდებული გახდნენ დაამზადონ საზღვარგარეთულ ფილმთა კომპიები, რომლებსაც არგენტინის კინოთეატრებში უჩვენებენ.

თვითეული გამჭირავებელი კომპანია ვალდებული გახდა საზღვარგარეთულ ფილმთან ერთად შეიძინოს ერთი სამამულო ფილმიც.

ბირმა

კულტურის მოღვაწეთა ამოცანები

რანგუნში შედგა ბირმის მთავრობის წევრთა შეხვედრა კულტურის მუშაკებთან. ამ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა გენერალი ნე ვინი. როგორც პრესაში იუწყებიან, ნე ვინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ის თეატრები, რომლებიც თანამედროვე სოციალური რევოლუციისთვის შეუფერებელ პიესებს ღვაძენ. ამ პიესებში, როგორც წესი, მხოლოდ ფეოდალური ეპოქა იხსენიება, სიუჟეტი კი მეფეებისა და პრინციების ირველივითაა... ნე ვინის აზრით, ასეთი პიესები უნდა შეიცვალოს იმ ნაწარმოებებით, რომლებიც სიმართლით ასახვენ უბრალო ადამიანის შრომასა და ცხოვრებას ბირმის სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.

ნე ვინმა ხაზგასმით აღნიშნა: აუცილებელია თვალისჩინვით გაუფრთხილდეთ და დავიცვათ ყველა ძვირფასი ძეგლი, რაც ხალხს რევოლუციამდე შეუქმნია. კერძოდ კი — ბირმელთა შრომისა და გამირობის ამსახველი ძეგლი კლასიკური პოემები. ეს პოემები თანამედროვე დრამატურგის დაეხმარება, შექმნას ახალი პიესები ხალხის ცხოვრებაზე.



**შეფოქაფაზიტი
თანაფეგზორგა**

თანაფადროვი პოეტები

ახალგაზრდა გერმანელი ნუ-
მიზმატი უძველესი მონეტების
საძებნილად ბულგარეთში მი-
ემგზავრება. იქ იგი პოლოხბს...
შესანიშნავ მხარეს, არანაკლებ
შესანიშნავი აღმანიებით. ასე
იწყება სოფლისა და ბერლინის
„დეფას“ კინოსტუდიების ერთ-
ობლივი ფილმი, კინოკომე-
დია „უძველესი მონეტა“.

ფილმის სცენარი ეკუთვნის
ყოველკვირეულის „სტირშე-
ლის“ თანამშრომლებს ძმებს
მოსმარტებს. რეჟისორია ვლადი-
მიერ იანჩევი.

**ბაბრინანს პოეტური
ალსარება**

გამოვიდა ელისავეტა ბაგ-
რიანას ლექსების ახალი კრე-
ბული „ნაპირიდან ნაპირამდე“. ამასთან დაკავშირებით უურნა-
ლი „სეტემერის“ რეცენზენტი
წერს: „ბაგრიანა თავის ახალ
ლექსებში იმ ძირითად ხაზს
ავითარებს, რაც ასე დამახა-
სიათებელი იყო ადრეგამოცე-
მულ ლექსების კრებულისათ-
ვის, „ხუთი ვარსკვლავი“. პო-
ეტი ქალის შემოქმედებითი
გზა — ეს არის ნაყოფიერი
შრომის გზა, რომელიც მი-
მართულია იმ მიზნისაკენ, რა-
თა პოეტის ლირიკული „მე“
ხალხის ბედს დაუკავშირდეს,
მიადწიოს პირადულობისა და
საყოფადობრივი საწყისების
ერთიანობას პოეზიაში.“

„მოიხურე ციკლი“ კრებუ-
ლის ერთ-ერთი ყველაზე ძლი-
ერი და დახვეწილი ციკლია, —
აღნიშნავს რეცენზენტი, — ეს
არის სიცოცხლის მარადიუ-
ლობაზე, ბუნების მშვენიერე-
ბასა და მაღალ პატრიოტიზმზე
დაწერილი ლექსები...

ბაგრიანა ნათელი პოეტური
ინდივიდუალობით ხატავს მრავალ-
ფეროვან და მუდამ განახ-
ლებულ სიცოცხლეს, აღმია-
ნებს. ამავთა პოეტი ქალის
ლექსების ძალა“.

გამოცემლობა „ნაროდნა
კულტურამ“ გამოსცა კრებუ-
ლი „მწერლები - გმირები“,
რომელიც მიქდუნა სამშობ-
ლოს თავისუფლებისათვის გმი-
რულად დაღუპული მწერლე-
ბისა და პოეტების ხსოვ-
ნას.

ყოველკვირეული „ლიტერა-
ტურენ ფრონის“ რეცენზენ-
ტი აღნიშნავს, რომ კრებულ-
ში შეტანილია გმირი მწერ-
ლების: ხრისტო იანენოვის,
გეო მილევის, ნიკოლა ვაპ-
ციაროვის, კირილ მავაროვის,
ვასილ ვედენიჩარსკის და
სხვათა შემოქმედებითი პორ-
ტრეტები.

„ყოველ მათგანს ერთი ხე-
რთო თვისება ჰქონდა... ისინი
ნამდვილად მწერლები - გმი-
რები იყვნენ, ამ სიტყვის
პირდაპირი მნიშვნელობით;
ისინი ბრძოლის ველზე დაე-
ცნენ, რათა შემდეგში უკე-
ლავნი გამხდარიყვნენ“.

დანია

**„გედის ტბა“
კოპენჰაგენში**

ამას წინათ კოპენჰაგენის
სამეფო თეატრმა წარმოადგი-
ნა ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის
ტბა“, რომლის დადგმაც განა-
ხორციელა ლენინგრადელმა
ბალეტმეისტრმა ნინა ანისი-
მოვამ. დანიის მთავრობამ იგი
სპეციალურად მიიწვია.

„ეს საინტერესო სექტაკლი
მნიშვნელოვან, კეთილისმყო-
ფელ გავლენას მოახდენს რო-
გორც დანიის საბალეტო ხე-
ლოვნებაზე, ასევე მაყურებ-
ლებზეც, — განაცხადა კრიტი-
კოსმა ულფ ვილიუმსენმა გა-
ზეთ „ლანდ ოგ ფოლქს“
ფურცლებზე. შან აღნიშნა აგ-
რეთვე ოდეთა-ოდილიას პარ-
ტიების ბრწყინვალე შემსრუ-
ლებლის კირსტენ სიმონესა
და სხვათა მაღალი ოსტატო-
ბის შესახებ.“

როგორც ურნალი „ალ-
ადიბი“ იუწყება, ბეირუთის
გამომცემლობა „მაკტაბატ ალ-
მასარიფი“ („სოცლის ბიბლიო-
თეკა“) გამოსცემს იემენის
„თანამედროვე პოეზიას“. ეს
იქნება პირველი ანთოლოგია
არაბულ ენაზე ამ პატარა
ქვეყნის საინტერესო და თა-
ვისებური პოეზიის შესახებ.

ინგლისი

შეპირება უძაფროდ

ინგლისში შეიქმნა ორიგინა-
ლური, ულტრახემოვანი საე-
რავი მანქანა, რომელსაც სა-
ეკრავს ჩვეულებისამებრ ვუ-
წოდებთ: ეს მანქანა კი არ
ეკრავს, არამედ ადუღაბებს.
ახალ მანქანაზე შეიძლება
„შეიკეროს“ კლასტმასა, ქა-
ლალდი, ქსოვილი.

1800 წლის სომალდი

ლონდონის ცენტრში, მდ-
ტემზის ფსკერზე აღმოჩინეს
საკმაოდ კარგად შენახული
რომაული სომალდი, რომე-
ლიც 1800 წლის წინათ აუშე-
ნებიათ. სომალდზე იპოვეს მო-
ნეტა იმპერატორ დომიციანის
გამოსახულებით. სომალ-
ბისა, მისი სიგრძე 30 მეტ-
რია.

იტალია

ლორენი ბლადიალა

ისრაელის კინემატოგრაფის-
ტებმა „ივლითში“ მთავარი
როლის შემსრულებლად მი-
იწვიეს სოფია ლორენი, რო-
მელიც ახლახან დაბრუნდა ის-
რაელიდან. სოფია ლორენმა
ურნალისტებს განუცხადა,
რომ იგი უარს ამბობს რო-
გორც იტალიურ, ასევე სახ-
ღვარგარეთულ ფილმებში მო-
ნაწილეობაზე, რადგან გადა-
იღალა და სურს ერთი წელი
დაისვენოს.

მაპარონის დღასწავალი

იტალიელები ემზადებან, საზეიმოდ აღნიშნონ... მაკარონის დაარსების 750 წლის-თავი. მაღლიერმა შთამომავ-ლებმა გადაწყვიტეს, მათი საყ-ვარელი საქმიის გამოგონე-ბელს ძეგლი აუგონ.

იუგოსლავია

დათვი და ხარი უღელში

ობრიდის ტბასთან, წმ. ნაუ-მის მონასტრის შესასვლელის თავზე არის ფრესკა, რომელიც ტურისტთა ყურადღებას იქ-ცევს. ფრესკაზე გამოხატულია ურემი, რომელშიც დათვი და ხარია შეებმული. როგორც ლე-გენდა გვიამბობს, თურმე და-თვმა ერთ გლეხს ხარი დაუგ-ლიჯა. გლეხი წმინდანთან მი-ვიდა საჩიველლად. წმინდანმა დათვი დაიჭირა და აიძულა

იგი უღელში ცაღად დარჩე-ნილ ხართან ერთად ემუშავა.

მაროკო

სამეფო ბიბლიოთეკაში

მაროკოს სამეფო ბიბლიო-თეკაში ინახება მრავალი ძვე-ლი ხელნაწერი. როგორც არა-ბეთის პრესა ამას წინათ იუწ-ყებოდა, ბიბლიოთეკაში აღმო-აჩინეს შუასაუკუნეების ცნო-ბილი პოეტისა და მოაზროვ-ნის აბულ-ლ-ალ აღ-შაარის უნიკალური ხელნაწერი, რომ-ლის ტექსტიც მალე გამოქვეუ-ნდება.

მექსიკა

„ვივა მარია!“

ფრანგი რეჟისორი ლუი მა-ლი მენიკოში იღებს ფილმს „ვივა მარია“, რომლის სცენა-რი ეკუთვნის თვით მალის და ჟან-კლოდ კარერს. ფილმში

მონაწილეობენ ბრიჯიტ ბარდო და ჟანა მორო. მათ მიუხე-პოლის მსახიობების რეკონს-ტრუქციის დახმარებით, ეს მსახიო-ბები სამხრეთ ამერიკის ქვეუ-ნებში იმყოფებიან საგასტრო-ლოდ. ფილმში მოქმედება პირ-ველი მსოფლიო ომის წინა დღეს ვითარდება.

კოლონეთი

შოპენის ნაწარმოებთა ნაციონალური გამოცემა

ხუთი წლის წინ, როცა პო-ლონეთში ფრედერიკ შოპენის დაბადების 150 წელი აღნიშ-ნა, გადაწყდა გამოცდათ დიდი კომპოზიტორის ნაწარმოებთა ნაციონალური გამოცემის 86 ტომი. ამჟამად გამოსაცემად მზადდება I ტომი. უკვე 58 ტომის გამოცემის ვადა 8 წე-ლიწვდება. შოპენის მრავალ-ტომული გამოცემა პოლო-ნურ და ფრანგულ ენებზე.



მატერული რედაქტორი ტიტე შევილაძე

ტექნიკური რედაქტორი მელეა შონია

რედაქციაში შემოსული განსაზღვრული, მოცულობით ერთ თანახმად, აბტორებს უკან არ დაუბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუხანოვის პროსპ. № 91.

ბელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მ გვირგვინის — 5-08-86, განყოფილებაში: კრი-ტიკისა და კუბალიციისტიკის — 5-08-85, კოეფიციისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IV-65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. 425. უე 03161. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 8.500.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ღაბრუნება

მხატვარი მ. ჩირინაშვილი

20



მს პა უნდა განსონარის

მხტარი ა. გუგუხიშვილი



მამ

მხტარი E. გუბოძე



მხატვრული პოეზია — ბილწის მხარე — მხტარი A. გუგუხიშვილი
მხატვრული პოეზია — ბილწის მხარე — მხტარი E. გუბოძე

3360 60 333



8

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236